ანზორ ბაგალაია, ზურაბ ჯოგაძენაძე

ეკონომიკური ანალიზი



თბილისი
2016

330
ს-11

ანზორ ადგამლაძე, ზურაბ ჯოგაძენაძე

ეკონომიკური ანალიზი

სახელმძღვანელო

43488

სახელმძღვანელო მოიცავს ეკონომიკური ანალიზის საბაზისო საკითხებს. მასში თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ასახულია ეკონომიკური ანალიზის თეორიის, საწარმოს (ფირმის) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისა და ეკონომიკური ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავების ინსტრუმენტების ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლები. ავტორები დეტალურად განიხილავენ თანამედროვე საწარმოებში საფინანსო-საინვესტიციო ანალიზის ჩატარების ეტაპებს.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო გამიზნულია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისა და კოლეჯების მასწავლებლებისათვის; იგი ასევე სასარგებლო იქნება ბუღალტრული აღრიცხვის, სამეურნეო საქმიანობის აუდიტისა და ანალიზის სფეროში დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

სახელმძღვანელო შედგენილია სხვადასხვა წყაროების გამოყენებით, რომელთაგან ძირითადია: Экономический анализ: учебное пособие / колл. авторов под. ред. Н.В. Парушиной. М.: КНОПУС, 2013, 304 с.; Экономический анализ: учебное пособие / Л. В. Попова, И. А. Маслова, Б. Г. Маслов, Е. Л. Малкина, М.: Дело и Сервис, 2013, 336 с.

მეცნიერ-რედაქტორი: ელგუჯა მუქბანიძე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: ლევან გრიგალაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ფეორვა ცაავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წიგნი იბეჭდება თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს (სხდომის ოქმი N1, 29 იანვარი, 2016 წელი) და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს (ოქმი N6, 20 ივლისი, 2016 წელი) გადაწყვეტილების საფუძველზე.

წინამდებარე წაშრომის ან წაწილების გამრავლება ან ბეჭდვა ავტორებთან შეთანხმების გარეშე იკრძალება საავტორო უფლებები დარღვევად და იხდება არსებული კანონმდებლობით.

© ანზორ ადამია, ზურაბ ჯორბენაძე

ISBN 978-9941-0-9053-0

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 7

თავი 1. ეკონომიკური ანალიზის ორგანიზაციული მეთოდოლოგიური საფუძვლები 9

1.1. ეკონომიკური ანალიზის შინაარსი, მიზანი და ამოცანები 9

1.2. ეკონომიკური ანალიზის სახეები და მათი დახასიათება 14

1.3. ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკა და მისი ჩატარების თანმიმდევრობა 19

თავი 2. ეკონომიკური ანალიზის ჩატარების ინფორმაციული ბაზა. საწარმოს ინფორმაციული მოთხოვნები 29

2.1. სამეწარმეო რისკის ანალიზი 30

2.2. ეკონომიკური ანალიზის ჩატარების ინფორმაციული ბაზა 39

2.3. ინფორმაციული ნაკადები და საქმიანი ბრუნვის პროფესიონალური გაცხიება 43

თავი 3. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი 52

3.1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი 52

3.2. პოტენციური გაკოტრების შეფასება 70

3.3. ფინანსური პროგნოზირება 86

თავი 4. კაპიტალის განლაგების ანალიზი და საწარმოს ძირეგარემო მდგომარეობის შეფასება 105
4.1. საბრუნავი კაპიტალის ანალიზი 105
4.2. კაპიტალის მოზიდვის პოლიტიკის ანალიზი 113
თავი 5. საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი 122
5.1. საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის ანალიზი 122
5.2. საწარმოს საბაზრო ფასის ანალიზი 127
5.3. საწარმოს ვალუტასთან დაკავშირებული თბერაციების და საგარეო ვაჭრობის ანალიზი 136
თავი 6. მარკეტინგული და ინოვაციური ანალიზი 142
6.1. ანალიზი მარკეტინგის სისტემაში 142
6.2. საქონლის მარკეტინგული ანალიზი. წარმოების ფაქტორების მარკეტინგული ანალიზი 148
6.3. ინოვაციური ანალიზი 160
თავი 7. საწარმოს მოგების განაწილების ანალიზი 170
7.1. კაპიტალის რეინვესტირების პოლიტიკის ანალიზი 170
7.2. საწარმოს საგადასახადო ხარჯების ანალიზი 177
თავი 8. მეწარმეობის მართვის ანალიზი 182
8.1. ეკონომიკური მმართველობითი ანალიზი: შეცნობითი ანალიზის მიზანი და ამოცანები 182
8.2. საწარმოთა ბიტენციალის ფორმირების და საწარმოთა პროგრამის ანალიზი 188
8.3. მარკეტინგული ანალიზი 203

თავი 9. პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) თვითღირებულების ანალიზი 215
9.1. შრომის მწარმოებლურობის ანალიზი 215
9.2. ხარჯების ვარიაციული ანალიზი 223
9.3. ხარჯების ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზი 234
თავი 10. პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ფინანსური ანალიზი 246
10.1. ბიზნეს-გეგმის მომზადებისა და მონიტორინგის მეთოდები 246
10.2. მარაგების ფორმების ანალიზი და კონტროლი 252
10.3. თვითღირებულების სახეზრა პროექტირების მეთოდები 260
თავი 11. შრომითი რესურსების და ხელფასის ფონდის ანალიზი 266
11.1. შრომითი რესურსების და ხელფასის ფონდის ანალიზის მიზანი 266
11.2. შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის ანალიზი 268
11.3. შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი 271
11.4. სამუშაო დროის გამოყენების ანალიზის მეთოდიკა 276
11.5. შრომის ნაყოფიერების ანალიზის ადგილი შრომითი რესურსების გამოყენების პრობლემაში 282
11.6. ხელფასის ფონდის ფორმირების და გამოყენების ანალიზი 287

თემა 12. წარმოების ტექნიკურ-ორგანიზაციული პირობების და სხვა პირობების ანალიზი 293

12.1. წარმოების ტექნიკურ-ორგანიზაციული დონის და სხვა პირობების ანალიზის მიზანი და ამოცანები 293

12.2. წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის დონის შეფასება და კომპლექსური ანალიზი 295

12.3. ძირითადი საშუალებების ანალიზის მეთოდიკა 300

12.4. მატერიალური რესურსების მდგომარეობის და გამოყენების ეფექტურობის ანალიზი 306

12.5. ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზი 309

თემა 13. ბიზნესის შეფასების და კომპლექსური ანალიზის მეთოდიკა 317

13.1. ბიზნესის ეფექტიანობისა და ინტენსიურობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა 317

13.2. სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება, მისი ეტაპები და მეთოდები 321

13.3. სამეურნეო საქმიანობის ინტენსიფიკაციის შეფასება 329

13.4. რეიტინგული ანალიზის მეთოდიკა 332

13.5. ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების მიმართულებები 338

ლიტერატურა 344

გლოსარიუმი 345

სილაბუსი 357

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ევროპისაკენ ჩვენი ქვეყნის სწრაფვისა და ერთიან ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში მისი ინტეგრაციის, საინვესტიციო აქტივობისა და ეკონომიკური სტაბილიზაციის ზრდის პირობებში დასაბუთებული მმართველობითი, საინვესტიციო და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების დროს ეკონომიკური ანალიზის სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ერთ-ერთ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო ამოცანას წარმოადგენს.

უკანასკნელ წლებში კომპლექსური და სრული ეკონომიკური ანალიზის არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. დღეს იგი მოიცავს ფინანსურ, მმართველობით, საგადასახადო, სტატისტიკურ ანალიზს, და ამდენად ლოგიკურად მტკიცდება, რომ შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციური მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადების პროცესში ეკონომიკური ანალიზის ათვისება მნიშვნელოვანი საქმეა.

ამ ფონზე ეკონომიკური ანალიზის გაცნობიერება შესაძლებლობას იძლევა დასახული მიზნის მიღწევის მიმართულებით ადექვატური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების, ბიზნესის შეფასების საიმედოობის დონის, საფინანსო და მმართველობითი მუშაობის შედეგიანობის ამაღლების მიზნით შევიძინოთ ორგანიზაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური შეფასების უნარ-ჩვევები.

დღეს ეკონომიკური ანალიზის სფეროს სპეციალისტები მოვალენი არიან კარგად იცნობდნენ ანალიტიკური მუშაობის თეორიულ საფუძვლებს, მონაცემების ანალიტიკური დამუშავების თანამედროვე მეთოდებს და ხერხებს; ანალიტიკურ მაჩვენებელთა სისტემის და ინფორმაციის ყველა წყაროს ურთიერთკავშირის გამოყენების საფუძველზე ფლობდნენ როგორც ორგანიზაციის (ფირმის), ისე მისი სხვადასხვა სეგმენტების საქმიანობის კომპლექსური ეკონომიკური ანალიზის ჩატარების მეთოდიკას;

გააჩნდეთ ანალიტიკური ინფორმაციის მომხმარებლების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ანალიზის შედეგების მართებულად დოკუმენტირებისა და გაფორმების უნარი.

წარმოდგენილი დამხმარე სახელმძღვანელოს შინაარსი მოიცავს ანალიზის საბაზისო კონცეფციის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლებს და მეთოდებს; კომპლექსური ანალიზის ჩატარების თანამედროვე მეთოდების განზოგადებას; ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემით ასახულ ინფორმაციაზე წარმოდგენის ფორმირებას; ფირმის ქონებრივი პოტენციალის, ფინანსური მდგომარეობის და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის პროგნოზირების ანალიზის პროცესში გამოყენებული შეფასებითი მაჩვენებელთა ერთობლიობის სისტემატიზაციას.

თეორიული და პრაქტიკული მასალების ურთიერთკავშირი შესაძლებლობას იძლევა წარმატებით ავითვისოთ დამხმარე სახელმძღვანელო და სწრაფად გადავწყვიტოთ პრაქტიკული ხასიათის და დამოუკიდებელი ამოცანები.

წარმოდგენილ დამხმარე სახელმძღვანელოში გადმოცემულია ეკონომიკური ანალიზის პრაქტიკული ასპექტები, ანალიზის მეთოდიკა კი ბუღალტრული, საგადასახადო აღრიცხვის, ეკონომიკური ანალიზის მართვისა და სტატისტიკის თანამედროვე ნორმატიული დოკუმენტების გამოყენებას ეძყარება; მოყვანილია ანალიტიკოს-ეკონომისტის მიერ ბიზნესის, აქტივების, კაპიტალის და ორგანიზაციის ვალდებულებების ცალკეული მიმართულებების ანალიტიკური დოკუმენტების გაფორმების მაგალითები. მონაცემების ანალიტიკური დამუშავების ხერხებისა და მეთოდების ამსახველი ანალიტიკური პროცედურების შედეგების ილუსტრაციო და ცხრილობრივი მასალები შესაძლებლობას იძლევა წინამდებარე გამოცემა სალექციო, პრაქტიკულ და სასემინარო მეცადინეობებზე საბრეზენტაციო მასალად იქნეს გამოყენებული.

თავი I. ეკონომიკური ანალიზის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. ეკონომიკური ანალიზის შინაარსი, მიზანი და ამოცანები

თანამედროვე ეკონომიკის განვითარება რეალური სექტორის აღდგენის უზრუნველყოფის, წარმოების განვითარების დაჩქარების, პროდუქციის გამომშვების მოცულობის ზრდის რეზერვების მოძიების, ეკონომიკური სუბიექტების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების, უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზნით ოპტიმალური პირობების შექმნასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელი ხდება წარმოების სიღრმისეული ფაქტორების გამოკვლევის დროს, კომპანიების ფინანსური მდგომარეობის ყოველმხრივი ანალიზით და ბიზნეს-პროცესების ორგანიზაციის იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც თვითოეულ ჩადებულ ერთ ლარზე მეტი უკუგების მიღებას უზრუნველყოფს. ამდენად, ორგანიზაციის (ფირმის) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სრულად შეფასების საიმედოობა, ინფორმატიულობა და სისტემატურობა ბიზნესის და ეროვნული ეკონომიკის წარმატებითი მართვის გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება.

საბაზრო ეკონომიკა მიკრო-, მეზო- და მაკროეკონომიკურ დონეებზე მართვის სისტემის ორგანიზაციის მიმართ მიდგომის კონცეპტუალურად ახალი მიდგომების გამოყენების აუცილებლობას კარნახობს. თანამედროვე პირობებში ეკონომიკურ ანალიზს წამყვანი როლი ენიჭება არა მხოლოდ ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების შეფასებაში, ის ასევე ღირებულია ორგანიზაციის შემდგომი განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრის პროცესში.

ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პირობებში ანალიზის მიზანი საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო პროცესების ტენდენციების და შედეგების შეფასებაში, ფირმის საქმიანობის უწყვეტობის დამტკიცებაში, ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისა და ბიზნესის განვითარების პერსპექტივის განსაზღვრაში უნდა მდგომარეობდეს.

ანალიზი არის მეცნიერების მეთოდი, რომელიც ბუნებაში და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შესწავლის დროს გამოიყენება. ანალიზის ცნების ქვეშ, ჩვეულებრივ გაგებულია კვლევის მეთოდი, რომლის არსი მთელის შემადგენელ წილებად აზრობრივ დანაწილებაში და ცალკეული მხარეების, თვისებების, კავშირების გამოყოფაში მდგომარეობს. საზოგადოებრივი წარმოების ხასიათმა და მისმა სტრუქტურამ განაპირობეს ანალიზის მაკროეკონომიკურ, მეზოეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ ანალიზად დიფერენცირება.

მაკროეკონომიკური ანალიზი (ერთიანი სახალხო-სამეურნეო პროცესის ანალიზი) სწავლობს ეკონომიკურ მოვლენებს და პროცესებს ეროვნული ეკონომიკის დონეზე მისი ცალკეული დარგებისა და რეგიონების ჭრილში. **მეზო-ეკონომიკური ანალიზი** (რეგიონალური ანალიზი) კონკრეტული რეგიონის მასშტაბით საწარმოო და საფინანსო სფეროს საქმიანობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა; და, ბოლოს კი **მიკრო-ეკონომიკური ანალიზი** (ეკონომიკური ანალიზი, საქმიანობის საფინანსო-სამეურნეო ანალიზი) ეკონომიკურ მოვლენებს და პროცესებს სწავლობს ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების დონეზე.

ეკონომიკური ანალიზის მიზანი ორგანიზაციის შიდასამეურნეო პრობლემის გადაჭრაში, მისი საქმიანობის შედეგიანობის გაზრდაში, ასევე მისი ეკონომიკური პოტენციალის: რესურსების, აქტივების, კაპიტალის, შემოსავლების, დანახარჯების და მოგების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში მდგომარეობს. აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებლობას იძლევა გაიზარდოს

კომპანიის ღირებულება, ამაღლდეს აქციების შემოსავლიანობა, უზრუნველყოფილი იქნეს სოციალური გარანტიები.

ეკონომიკური ანალიზის საგანს წარმოადგენს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ფირმაში მიმდინარე სამეურნეო პროცესები, მასი საქმიანობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა და საბოლოო ფინანსური შედეგები.

ანალიზის ობიექტები შესაძლოა იყოს კომპანიის მთელი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა (მას კომპლექსური ანალიზს უწოდებენ), ან კომპანიის საქმიანობის მხოლოდ ზოგიერთი კონკრეტული მხარეები და სეგმენტები, დანახარჯებისა და პასუხისმგებლობის ცენტრები, ცალკეული სამეურნეო პროცესები (მას თემატურ ანალიზს უწოდებენ). ანალიზის ობიექტებს წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური შედეგები: პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია; თვითღირებულება; მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენება; წარმოების ფინანსური შედეგების გამოყენება; ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური მდგომარეობა.

ეკონომიკური ანალიზის ძირითადი ამოცანებია:


- საწარმოს ბიზნეს-გეგმის და ნორმატივების მეცნიერულ-ეკონომიკური დასაბუთებულობის ამაღლება, რომელიც მიიღწევა ორგანიზაციის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის რესპექტიული ანალიზის მეშვეობით. ამ მხრივ დროის გარკვეული პერიოდისათვის დინამიკური მწკრივების აგება შესაძლებლობას იძლევა გამოვავლინოთ კომპანიის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობაზე არსებითად მოქმედი ეკონომიკური კანონზომიერებები, განვითარების ტენდენციები, მაჩვენებლებსა და ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირი;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების მიხედვით საწარმოო მაჩვენებლების კომპლექსური

შესწავლა, ბიზნეს-გეგმით დაწესებული გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის, სტრუქტურის და ხარისხის ნორმატივების დაცვა და შესრულება, სამუშაოების შესრულება და მომსახურების გაწევა. ამ მიზნით, მაგალითად, სამრეწველო საწარმოებში გაანალიზდება პროდუქციის რაოდენობის, ასორტიმენტის, სორტირების, კომპლექტურობის და ხარისხის საწარმოო პროგრამები, ფასდება პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვების რიტმულობა, მიწოდების ხელშეკრულებების შესრულება;

- განისაზღვრება შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა. კომპლექსურად გამოიკვლევა შრომის ნაგების, სამუშაო ძალის და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, ავლენენ შიდასამეურნეო რეზერვებს, დგინდება წარმოების ზრდის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გამოუყენებელი შესაძლებლობები;
- კომპანიის საქმიანობის შედეგობრივი ფინანსური შედეგების და ფინანსური მდგრადობის მიღწევის უზრუნველყოფის შეფასება და კონტროლი. საფინანსო საქმიანობის სტაბილურობა დამოკიდებულია ხარჯების მინიმიზაციისა და მაქსიმალური მოგების მიღებას მიმართულებით ეფექტიანი სამეწარმეო საქმიანობის პრინციპების დაცვაზე. ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პირობებში არსებითი მნიშვნელობა გააჩნია სოციალური მაჩვენებლების ანალიზს და სოციალური პროგრამების შესრულებას;
- ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების დასაბუთება და შემოწმება, რათა მიღებულ იქნეს გონივრული მმართველობითი გადაწყვეტილება; ამ სახის გადაწყვეტილების რაციონალურობა და ეფექტიანობა შესაძლოა გამოვლინდეს მხოლოდ რეტროსპექტიული,

ოპერატიული და პერსპექტიული ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე.

ეკონომიკური ანალიზის ორგანიზაციის და ჩატარების პროცესს უნდა მივუდგეთ სისტემურობის და კომპლექსურობის პოზიციიდან; ამ მიზნით უნდა განისაზღვროს მისი შემდეგი კომპონენტები (იხ. ნახ. 1.1-2.).



ნახ. 1.1-1.

ეკონომიკური ანალიზის ყველა შემადგენელი კომპონენტის დეტალური შესწავლა შესაძლებლობას იძლევა გაიგოთ მისი, ანუ ეკონომიკური ანალიზის არსი, გავიაზროთ ანალიზის ორგანიზაციის და ჩატარების პრინციპები, წარმატებით გამოვიყენოთ ისინი პრაქტიკულ საქმიანობაში ფირმის საწარმოო და ფინანსური რესურსების ეფექტიანი და გონივრული მართვისთვის.

1.2. ეკონომიკური ანალიზის სახეები და მათი დახასიათება

თეორიასა და პრაქტიკაში საწარმოს (ფირმის) მმართველობითი შესაძლებლობების ურუნველყოფის მიზნით ეკონომიკურ ანალიზს შემდეგი ნიშნების მიხედვით აჯგუფებენ:

ანალიზის მასშტაბის მიხედვით (სივრცობრივი ანალიზი):

- მაკროანალიზი ტარდება მთელი ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით;
- დარგობრივი - განპირობებულია საზოგადოებრივი წარმოების დარგის სპეციფიკით, რომელსაც შრომის სხვადასხვა ხასიათიდან გამომდინარე თავისი თავისებურებანი და, შესაბამისად, დამახასიათებელი ეკონომიკური ურთიერთობები გააჩნია; ამდენად, დარგობრივი ანალიზი თავის ადგილს სამართლიანად ინარჩუნებს ანალიზის საერთო არეალში;
- დარგთაშორისი - გვიხსნის ანალიზის თავისებურებებს და ყველაზე საერთო მეთოდოლოგიურ ნიშნებს, განაზოგადებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში ანალიზის მოწინავე გამოცდილებას;
- კომპანიის შიდასამეურნეო - სწავლობს ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას და ახდენს მთელი გუნდის მიღწევებში მათი წვლილის შეფასებას;
- კომპანიის მეურნეობათშორისი - შესაძლებლობას იძლევა შედარებული იქნეს ორი ან მეტი კომპანიის შედეგები, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მოწინავე გამოცდილება;

დროის მიხედვით განასხვავებენ შემდეგი სახის ანალიზს:

- ოპერატიული (სიტუაციური) - ანალიზი ხორციელდება დროის მოკლე პერიოდში (ცვლა, დღე, დეკადა და ა.შ.);
- მიმდინარე (რეტროსპექტიული) - ანალიზი სრულდება

დროის ამა თუ იმ პერიოდისათვის საქმიანობის შედეგების მიხედვით;

- პერსპექტიული (საპროგნოზო) - ანალიზი ხორციელდება მმართველობითი გადაწყვეტილებების და ბიზნეს-გეგმის მაჩვენებლების დასაბუთების მიზნით, ასევე მომავლის პროგნოზირებისა და გეგმის მოსალოდნელი შესრულების შესაფასებლად, ნეგატიური მომენტების დადგომის თავიდან ასაცილებლად.

სამეურნეო საქმიანობის (მმართველობითი სისტემა) მართვის სუბიექტების მიხედვით ანალიზს ჰყოფენ:

- ტექნიკურ-ეკონომიკურ ანალიზად, რომელიც ტარდება ტექნიკური განყოფილებების და სამსახურების სპეციალისტების მიერ და გულისხმობს წარმოების ტექნიკურ-ორგანიზაციული და სამეცნიერო-ტექნიკური დონის ანალიზს;
- საფინანსო-ეკონომიკურ ანალიზად, რომელსაც ასრულებს კომპანიის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება, საფინანსო და საკრედიტო ორგანოები საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზის ნაწილში;
- სოციალურ-ეკონომიკურ ანალიზად, რომელსაც ატარებენ სოციალური ორგანოები სხვადასხვა სოციალური პროექტების და პროგრამების რეალიზაციის დაცვის დასამტკიცებლად;
- ეკოლოგიურ-ეკონომიკური ანალიზად, რომელიც მოიცავს ეკოლოგიური სამსახურების და კომიტეტების მხრიდან ეკოლოგიური ფაქტორების და მაჩვენებლების ანალიზს;
- აუდიტორული ანალიზი, რომელიც ტარდება შიდა და გარე აუდიტის ფარგლებში და მოიცავს ორგანიზაციის მთელ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას მისი კანონიერების და საიმედოობის გადასახედიდან;
- ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი, რომელიც გუ-

ლისხმობს სტატისტიკური ორგანოების მხრიდან ეკონომიკურ, ფინანსურ და სოციალურ მაჩვენებლებზე სტატისტიკურ დაკვირვებას;

- მარკეტინგული ანალიზი, რომელიც ტარდება გარე გარემოს, გასაღების ბაზრების, ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის, კომერციული რისკის შესაფასებლად, ფასების პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, კომერციული საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესამუშავებლად;
- მმართველობითი ანალიზი, მას ახორციელებს კომპანიის ყველა სამსახური, რათა ხელმძღვანელობას გაჩნდეს აუცილებელი ინფორმაცია ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით;

ობიექტების შესწავლის მეთოდიკის მიხედვით გამოყოფენ ანალიზის შემდეგ სახეებს:

- შედარებითი, იგი ორიენტირებულია წლების მანძილზე გეგმური და ფაქტიური მაჩვენებლების, ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების შედარებაზე. აქ ხდება კომპანიის საქმიანობის შედეგების კონკურენტების შედეგებთან შედარება მიზნესის მიხედვით;
- ფაქტორული, იგი შესაძლებლობას იძლევა დავადგინოთ შედეგობრივი მაჩვენებლების ზრდასა და დონეზე მოქმედი ფაქტორების გავლენა;
- დიაგნოსტიკური - ავლენს ტიპური ნიშნების საფუძველზე მხოლოდ მოცემული საწარმოს ნორმალური მსვლელობის დამახასიათებელი ეკონომიკური პროცესების დარღვევის ხასიათს;
- მარჟინალური არის გაყიდვების მოცულობის, თვითღირებულების და მოგების მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირის და მუდმივი და ცვალებადი ხარჯების გამოყვნის საფუძველზე მართველობითი გადაწყვეტილებების ეფექტიანობის შეფასება და დასაბუთება;

- ეკონომიკურ-მათემატიკური შესაძლებლობას იძლევა საწარმოო რესურსების გამოყენების მიზნით დადგინდეს ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების ვარიანტი;
- სტოხასტიკური მეთოდი, სადაც გაერთიანებულია დისპერსიული, კლასტერული, კორელაციური, კომპონენტური მეთოდები – ხელს უწყობს ეფექტიანი მმართველობის მიზნით მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრას;
- ფუნქციონალურ-დირებულებითი – კლასიფიცირდება როგორც რეზერვების გამოვლენის მეთოდი;

მართვის ობიექტების მიხედვით ერთმანეთისაგან ასხვავებენ:

- ეკონომიკის დარგების და საქმიანობის სახეების მიხედვით (დარგი, საქმიანობის სახე, რეგიონი) ანალიზს;
- საზოგადოებრივი წარმოების და მართვის დონეების (დარგი, გაერთიანება, ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფი, საწარმოები, ფილიალები და სტრუქტურული საწარმოო ერთეულები) მიხედვით ანალიზს;
- გაფართოებული კვლავწარმოების პროცესის სტადიების (წარმოება, გაცვლა, განაწილება, მოხმარება) მიხედვით ანალიზს;
- წარმოების შემადგენელი ელემენტების (შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების) და წარმოებითი ურთიერთობების (შრომითი, ფინანსური, საკრედიტო) ცალკეული ელემენტების მიხედვით ანალიზს;

ანალიზის სუბიექტების (მოსარგებლეების) მიხედვით ანალიზს ჰყოფენ:

- შიდა (მმართველობით) ანალიზად, რომელიც მმართველობითი აღრიცხვის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და ფირმის ხ[illegible]ნალიტიკურ ინფორმაციას უ[illegible]

43488

- საგარეო (ფინანსურ) ანალიზად; იგი ფინანსური აღრიცხვის შემადგენელი ნაწილია და გარე მომხმარებლებს (საგადასახადო სამსახური, სტატისტიკური ორგანოები, აქციონერები და სხვ.) საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფს.

შესასწავლი ობიექტის სისრულის მიხედვით ანალიზი არის:

- სრულად მომცველი იგი მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირების მიზნით საწარმოს მთელ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას იკვლევს კომპლექსურად და სისტემურად;
- შერჩევითი - დროის განსაზღვრული პერიოდისათვის სრულად აფასებს საფინანსო ან საწარმოო სფეროს ან ანალიტიკური ობიექტების განსაზღვრულ წრეს (მაგალითად, წარმოების ტექნიკურ ეკონომიკურ დონეს).

პროგრამის შინაარსის მიხედვით ანალიზს ჰყოფენ:

- კომპლექსურ ანალიზად, რომელიც მოიცავს საწარმოს მთელ საქმიანობას და მისი ქვეყდანაყოფების ურთიერთკავშირში, ე. ი. წარმოების მომზადების ყველა სტადიას და პროდუქციის წარმოებისა და მიმოქცევის პროცესის ყველა ეტაპს;
- ტექნიკურ ანალიზად, რომელიც მიმართულია კომპანიის საქმიანობის ერთი მიმართულების (მაგალითად, საფინანსო სფერო) ფარგლებში არსებული ტენდენციების და ურთიერთკავშირის შესწავლაზე.

1.3. ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკა და მისი ჩატარების თანმიმდევრობა

ეკონომიკური ანალიზის მეთოდი განისაზღვრება შესასწავლი ობიექტის შინაარსით და თავისებურებებით, იმ კონკრეტული მიზნებით, ამოცანებით და მოთხოვნებით, რომლებსაც მის წინაშე აყენებენ. ეკონომიკური ანალიზის მეთოდში გულისხმობენ შესასწავლი სამეურნეო პროცესებისა და მოვლენების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიალექტიკური მიდგომის წესს. ეკონომიკური ანალიზის მეთოდის თავისებურებებს წარმოადგენს:

- იმ სახის ეკონომიკური მაჩვენებლების გამოყენება, რომლებიც კომპლექსურად ახასიათებენ საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას;
- მაჩვენებელთა შეცვლის მიზეზების შესწავლა და ამ მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა;
- ბიზნესის ეფექტიანობის და შედეგიანობის ამაღლების მიზნით მაჩვენებელთა შორის ურთიერთკავშირის გაზომვა.

ამრიგად, ეკონომიკური ანალიზის მეთოდი არის შესასწავლი ეკონომიკური მოვლენის და პროცესის მიმართ საერთო მიდგომის წესი. ამასთან, შესასწავლი ეკონომიკური მოვლენის და პროცესის მიმართ და კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავებისათვის გამოიყენება სხვადასხვა სახის წესები, ხერხები და მიდგომები; სწორედ ამ მოცემულობათა ერთობლიობა აყალიბებს ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკას.

ეკონომიკური ანალიზის პროცესში გამოყენებული მეთოდები შეიძლება პირობითად დავყოთ საერთო და სპეციალურ მეთოდებად. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება კვლევის მიმართ ზოგადად მიღებულ მიდგომებზე დაფუძნებული საერთომეცნიერული მეთოდები (იხ. ცხრილი 1.1-1).

ცხრილი1.1-1

კვლევის საერთო-მეცნიერული მეთოდები და მათი დახასიათება

კვლევის მეთოდები	მეთოდის დახასიათება
ანალიზი	მოიცავს მემდგენელი ნაწილებად აზრობრივი ან პრაქტიკული დანაწევრების გზით საგნის შესწავლას, თითოეული გამოყოფილი ნაწილი ცალკე განალიზდება ერთიანი მთელის ფარგლებში.
სინთეზი	მთლიანობაში, მისი ნაწილების ურთიერთობაში და ურთიერთკავშირში ობიექტის შესწავლის მეთოდი. ის შესაძლებლობას იძლევა გავაერთიანოთ ანალიზის პროცესში დანაწევრებული ობიექტები. დაგადგინოთ მათი კავშირი და საგანი მეცნიერთ როგორც ერთიანი მთლიანობა.
ინდუქცია	წარმოადგენს ცალკეული, კერძო ფაქტორებიდან საერთოზე აზრობრივ გადას ელას, ე.ი. ობიექტის მდგომარეობის შესახებ დასკვნა კეთდება მისი ცალკეული მხარეების განხილვის საფუძველზე.
დედუქცია	საერთოდან კერძოზე აზროზრივი გადასვლის გზით მთლიანად ობიექტის მდგომარეობის გამოკვლევა მის შემადგენელ ელემენტებზე დასკვნის ლოგიკური განსჯის საფუძველზე.
ანალოგია	ცალკეული ობიექტების შეცნობა სხვასთან მსგავსების საფუძველზე.
მოდელირება	ობიექტის შესწავლა ორიგინალის შემცვლელი და არსებითი ნიშნების მქონე მოდელის შექმნა.
აბსტრაჰირება	არასებითი თვისებებისგან, კავშირებისაგან, ურთიერთობებისაგან საგნების აზრობრივი განცალკევება და იძულებრივ არ საგნის შესწავლისათვის სა-ინტერესო ერთი ან რამდენიმე მხარის გამოყოფა.
კონკრეტიზაცია	ობიექტის მის ნაირგვარობაში, მრავალმხრიობაში შესწავლა.
დაკვირვება	ობიექტის სისტემური, მიზანდასახული აღქმა.
გახომვა	ერთეულად მიღებული სიდიდის დასმარებით ზოგიერთი სხვა რიცხობრივი მნიშვნელობის განსაზღვრის პროცესი.
ექსპერიმენტი	არსებითი თვისებების გამოვლენის მიზნით ხელოვნური პირობების შექმნის გზით ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობის შეგნებული გაუსიჯვა.

ისტორიული მეთოდი	შესასწავლი ობიექტის ისტორიული წარმოსახვა ყველა მის მრავალსახეობაში, ყველა მეშთხვევითობის გათვალისწინებით
ლოგიკური მეთოდი	შეშთხვევითობებისგან და არაარსებითი ფაქტებისგან გვერდის ავლის გზით ისტორიული თეორიის ფორმაში რთული დინამიური მოვლენის აზრობრივი წარმოსახვა.
ფორმალიზაცია	ობიექტების და პროცესების შესწავლა მათი შინაარსის და სტრუქტურის სპეციალური სიმბოლოების და აღნიშვნების გამოყენების მეშვეობით.
სისტემური მიდგომა	კვლევისობიექტისროგორცსისტემისჩარომყალიბებელი ელემენტების ერ-თობლიობის შესწავლა, ე.ი. შესაძლოა გადმოცემული იქნეს ობიექტის როგორც სისტემის ქცევის შეფასება მის ფუნქციონირებაზე გავლენის მოხდენი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.
კომპლექსური მიდგომა	ობიექტის შესწავლა მოვლენებთან და პროცესებთან კავშირში

ეკონომიკური ანალიზის სპეციალური მეთოდები შეიძლება სამ ჯგუფად – ტრადიციულ, ეკონომიკურ-მათემატიკურ და ინოვაციურ მეთოდებად დაიყოს.

ანალიზის ტრადიციულ მეთოდებს იყენებენ მაჩვენებელთა შორის ფუნქციური დამოკიდებულების შეფასებისა და შესწავლისათვის. ძირითად ტრადიციულ მეთოდებს მიეკუთვნება შედარება, საშუალო და შეფარდებითი სიდიდეები, საბალანსო მეთოდი, ელიმინირების მეთოდები (ჯაჭვური ჩასმა, აბსოლუტური და შეფარდებითი სხვაობა), ინდექსური მეთოდი, დაჯგუფების მეთოდი, წილობრივი მონაწილეობის ხერხი და სხვა.

ეკონომიკურ ანალიზში ფართოდ გამოიყენება შედარების მეთოდი. მისი არსი ერთგვაროვანი ობიექტების მსგავსების ან განსხვავებების გამოვლენის მიზნით მათ შედარებაში მდგომარეობს. ეს ხერხი შესაძლებლობას იძლევა შევაფასოთ გეგმური მაჩვენებლების შესრულება, განვსაზღვროთ მიღწეული დონე და ეკონომიკური განვითარების ტემპი, გავზომოთ დავალებიდან გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავ-ლენა, გავარკვიოთ ის რეზერვები, რომლებიც წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასთან

არის დაკავშირებული, გამოყავლიწოთ არასაწარმოო დანახარჯები და დანაკარგები. აღნიშნული მიმართულებით შედარების ბაზად გეევლინება გასული პერიოდის გეგმის მაჩვენებლები, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების ნორმატივები.

საშუალო სიდიდეები გაანგარიშება თვისებრივად ერთგვაროვანი მასობრივი მოხაცემების საფუძველზე. ისინი მოვლენებისა და პროცესების განზოგადოებულ დახასიათებას და, ასევე, შესაძლებლობას გვაძლევს, რომ აბსტრაჰირება მოვახდინოთ ცალკეული მნიშვნელობის მოფლენებისგან და მიმდინარე რყევების შემთხვევითობისაგან. შესასწავლ ობიექტებს, როგორც წესი, გააჩნიათ რაოდენობრივი განსაზღვრულობა, რაც გამოიხატება აბსოლუტურ და შეფარდებით სიდიდეებში. თავისი არსით აბსოლუტური სიდიდეები გვიჩვენებენ მოცლენის რაოდენობრივ სიდიდეს ზომის, წონის, მოცულობის, ღირებულების და ა.შ. ერთეულებში, შეფარდებითი მაჩვენებლები კი მიიღება შედარების ბაზასთან მიმართებაში, ერთი სიდიდის მეორეზე გაყოფით.

საბალანსო მეთოდი აუცილებელი არის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეწონასწორებული ეკონომიკურ მაჩვენებელთა ორ ჯგუფს შორის თანაფარდობის ან პროპორციის ასახვისათვის. იგი ხშირად გამოიყენება ორგანიზაციის შრომითი რესურსებით, ნედლეულით, საწვავით, მასალებით, მირითადი საშუალებებით უზრუნველყოფის ანალიზის დროს, და ასევე მათი გამოყენების სიცხადისათვის. საბალანსო მეთოდი გამოიყენება საწყისი მონაცემების შემოწმების დროს, როცა ხორციელდება ანალიზი და ანალიტიკური გაანგარიშებების მართებულობის დადგენა.

დღეს, ანალიტიკურ გაანგარიშებებში ყველა ტიპის დეტერმინირებულ მოდელებში გამოყენების შესაძლებლობის გამო დღეს ჯაჭვური ჩასმის წესმა ფართო გამოყენება ჰპოვა. ამ მეთოდის არსი თითოეული ფაქტორის (გასული პერიოდის გეგმური ან ფაქტიური მონაცემების) საბაზისო მონაცემების სააწგარიშგებო პერიოდის ფაქტიური მონაცემებით თანმიმდევრულ შეცვლაში მდგომარეობს. ამ დროს პირველ რიგში იცვლე-ბა რაოდენობრივი და სტრუქტურული მაჩვენებლების მონაცემები, შემდეგ კი ხარისხობრივი. და თუ შეისწავლება შედეგობრივ მაჩვენებელზე რამდენიმე რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორის გავლენა, მაშინ პირველ რიგში ხდება მათგან მთავარის, ძირითადის შეცვლა. შედეგად კი დგინდება შედეგობრივი მაჩვენებლის პირობითი მნიშვნელობა, რომელთა რაოდენობა წესით განსახილველ ფაქტორთა რაოდენობასთან შედარებით ერთი ერთეულით ნაკლებია.

აბსოლუტური სხვაობის წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ფაქტორული მაჩვენებლების მიხედვით ამოსავალი მონაცემები უკვე შეიცავს გეგმიდან ან გასული პერიოდის მონაცემებიდან აბსოლუტურ გადახრას.

ორფაქტორიან მულტიპლიკაციურ მოდელებში ფაქტორების გაელენის შესწავლის დროს მიღებულია, რომ რაოდენობრივი ფაქტორის მიხედვით გეგმიდან გადახრა გამრავლდეს გეგმურ თვისებრივ ფაქტორზე, ხოლო თვისებრივი ფაქტორის გეგმიდან გადახრის დროს – ფაქტიურ რაოდენობრივ ფაქტორზე. რაოდენობრივი ფაქტორის მიხედვით დინამიკაში გადახრა მრავლდება გასული პერიოდის თვისებრივი ფაქტორის ფაქტიურ მნიშვნელობაზე. თვისებრივი ფაქტორის მიხედვით დინამიკაში გადახრა მრავლდება სააწგარიშგებო პერიოდის რაოდენობრივი ფაქტორის ფაქტიურ მნიშვნელობაზე. მრავალფაქტორიან მულტიპლიკაციურ მოდელებში ამ ხერხით გაანგარიშების მართებულობა იმაში მდგომარეობს, რომ გასაანალიზებელი ფაქტორული მაჩვენებლიდან გადახრა უნდა გავამრავლოთ მისგან მარცხნივ მრიცხველის ფაქტიურ მნიშვნელობაზე და იმ საბაზისო მნიშვნელობაზე, რომლებიც განლაგებულია გასანაალიზებელი ფაქტორის მარცხნივ.

ინდექსური მეთოდი ემყარება ფაქტორული ან აგრეგირებული ინდექსების აგებას, რაც ნიშნავს ერთობლივ მაჩვენებელზე ცალკეული ფაქტორების გავლენის თანმიმდევრულ ელიმინირებას (გამორიცხვას). ამ მეთოდში გამოიყენება მოცემული მოვლენის დონის მის წარსულ დროში დონესთან და ანალოგიური მოვლენის დონესთან ურთიერთობის ამსახველი დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებლები. აგრეგატული ინდექსების დახმარებით შესაძლებელია გამოვავლინოთ მულტიპლიკაციურ და მოკლე მოდელებში შედეგობრივი მაჩვენებლების ცვლილებაზე სხვადასხვა ფაქტო-რების გავლენა. აღნიშნული ინდექსები გამოიყენება საქონელბრუნვის, შრომის ნაყოფიერების და სხვა მაჩვენებლების დინამიკის შესწავლის და შეფასების დროს.

ტრენდური მეთოდი გამოიყენება პერსპექტიულ ანალიზში. ის აუცილებელია ფინანსური პროგნოზირებისათვის. ტრენდი არის განვითარების გზა. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება საბაზისო დონესთან მიმართებაში მთელი რიგი წლების მანძილზე მაჩვენებელთა ზრდის შედარებითი ტემპების შესწავლის დროს. ტრენდის ანალიზი მიზანმიმართულია საშუალო მნიშვნელობის დროითი მწკრივის ცვლილების შესწავლისათვის ტრენდის მათემატიკური მოდელის შექმნაზე და ამის საფუძველზე მწკრივის მომავალი მნიშვნელობის პროგნოზირებასთან მიმართებაში წრფივი და არაწრფივი რეგრესიის მოდელების აგებაზე.

დაჯგუფების მეთოდი წარმოადგენს შესასწავლ ობიექტთა ერთობლიობის მასის შესაბამისი ნიშნების მიხედვით თვისებრივად ერთგვაროვან ჯგუფებად დაყოფას. ამ დროს ანალიზში გამოიყენება ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიტიკური დაჯგუფებები. თვით მეთოდის აგების სირთულის მიხედვით განასხვავებენ ორი სახის დაჯგუფებას:

1) მარტივი - როცა მოვლენებს შორის ურთიერთკავშირი ერთი ნიშნის მიხედვით შეისწავლება;

2) კომბინირებული - ეს არის ერთობლიობის დაყოფა თავდაპირველად ერთი ნიშნის მიხედვით, ხოლო შემდეგ თითოეული ჯგუფის შიგნით სხვა ნიშნის მიხედვით და ა.შ. ამ სახის დაჯგუფების მთავარი ნაკლი მისი აგების სირთულეში მდგომარეობს, მაგრამ დაჯგუფებული ანალიტიკური მასალები თვალნათლივ ასახავს შესასწავლ მოვლენებსა და საშუალო-ჯგუფობრივ მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირს.

წილობრივი მონაწილეობის ხერხის გამოყენების დროს შედეგობრივ მაჩვენებელზე თითოეული ფაქტორის გავლენა განისაზღვრება ამ მაჩვენებლის მიხედვით გეგმიდან გადახრის პროცესში მისი წილის პროპორციულად.

კვლევის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები გამოიყენება სტოხასტიკური სისტემების შესწავლის დროს; ამ სისტემებში გასაანალიზებელი ფაქტორებსა და შედეგობრივ მაჩვენებლებს შორის კავშირი სავარაუდო, კორელაციურ ხასიათს ატარებს. ეკონომიკურ ანალიზში გამოიყენება კორელაციის, რეგრესიის, მათემატიკური პროგრამირების ხერხები, თამაშთა თეორია, მასობრივი მომსახურეობის თეორია, ანალიზის მატრიცული და პროგნოზული მეთოდები და სხვ.

ანალიზის ინოვაციური მეთოდები მოიცავს ქულებრივ-რეიტინგულ შეფასებას, ორგანიზაციის ფასეულობათა ფაქტორების კომპლექსურ ანალიზს, ევრისტიკულ (კრეატიულ) მეთოდებს. ეკონომიკურ ანალიზში ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა შემოქმედებით აზროვნებაზე დამყარებულმა ევრისტიკულმა (კრეატიულმა) მეთოდებმა. აღნიშნული არაფორმალიზირებული მეთოდები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს მათემატიკური მოდელების დახმარებით ეკონომიკურ ელემენტებსა და ობიექტებს შორის არსებული კავშირის აღწერის შესაძლებლობა. აღნიშნული მეთოდის არსებობას მიეკუთვნება ანალოგიის, გამოკითხვის მეთოდი, "კოლექტიური ბლოკნოტის" ხერხი.

ევრესტიკული მეთოდებისათვის დამახასიათებელია სპეციალისტთა (ექსპერტთა) ჯგუფის მიერ პროფესიულად განსჯილი ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების განსაკუთრებული ხერხები. ანალიზის მიზნიდან და მიმართულებიდან გამომდინარე მოცემული ჯგუფი აქ შესაძლოა ერთგვაროვანი იყოს ან სხვა პროფესიების წარმომადგენლებს მოიცავდეს. საკითხის თავისებურება ჯგუფის წევრების თანმიმდევრულ, ინდივიდუალურ, ანონიმურ გამოკითხვაში მდგომარეობს. აღნიშნული მეთოდიკა გამორიცხავს ერთობლივი მუშაობის დროს ექსპერტთა შორის კონტაქტს და, შესაბამისად, ჯგუფურ გავლენას, ან თუნდაც უმრავლესობის აზრთან შეთანაწყობას. აღნიშნული მეთოდის მიზანია – გამოავლინოს ამა თუ იმ მაჩვენებელზე არსებითად მოქმედი ფაქტორები.

ტრადიციულად ეკონომიკური ანალიზი თავისთავში მოიცავს ორ შემადგენელ მოცემულობას: მმართველობითი (წარმოებით) ანალიზს და ფინანსურ ანალიზს.

მმართველობითი ანალიზის არსი კომპანიის საქმიანობის წარმოებითი ასპექტების სისტემურ შეფასებაში მდგომარეობს; ამდენად, იგი საწარმოს მესაკუთრეების, ადმინისტრაციის, მენეჯერების, კომპანიის პერსონალის ინტერესების მიზნით მმართველობითი გადაწყვეტილებების გამომუშავებაზეა მიმართული. წესით, მმართველობითი ანალიზის ორგანიზაცია და მეთოდები ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრება და აქ პირველ პლანზე წამოყენებულია იმ სახის ამოცანები, რომლებიც ფინანსური დაგეგმარების, ბიუჯეტირების, ეკონომიკური პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენების სფეროში ცოდნას მოითხოვს.

ფინანსური ანალიზი, როგორც წესი, სახელმწიფოსთან და ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სხვა გარე მომხმარებლებთან ორგანიზაციის ურთიერთკავშირის პრობლემებს წყვეტს. აღნიშნული ანალიზის მთავარ მიზანს

წარმოადგენს ფირმის ფინანსური მდგომარეობის ობიექტური და ზუსტი სურათის, მისი მოგების და ზარალის, აქტივების და პასივების, დებიტორებთან და კრედიტორებთან ურთიერთობის ამსახველი ყველაზე ინფორმატიული პარამეტრების მიღება.

უკანასკნელ წლებში არსებითად ამაღლდა საინვესტიციო, ინოვაციური და საგადასახადო ანალიზის როლი, რამაც საბოლოო ჯამში გავლენა მოახდინა ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკის ფორმირებაზე და მისი განხორციელების თანმიმდევრობაზე.

ეკონომიკური ანალიზის ტიპური მეთოდიკა მოიცავს ორგანიზაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემდეგ მიმართულებებს:

- წარმოების და გაყიდვების მოცულობის ანალიზს და მართვას;
- მენეჯმენტის, მარკეტინგის და საქმიანობის ინოვაციური სფეროს სისტემაში ანალიზს;
- პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის პროგრამის შესრულების ეფექტანობის ანალიზს;
- სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის და სხვა პირობების ანალიზს;
- პირითადი და საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის შეფასებას და ანალიზს;
- შრომითი რესურსების და ხელფასის ფონდის გამოყენების ანალიზს;
- პროდუქციის თვითღირებულების და ღირებულების, გაყიდვებისა და მოგების ურთიერთკავშირის ანალიზს;
- ფინანსური მაჩვენებლების, მოგების, პროდუქციის და აქტივების რენტაბელობის პროგნოზირებას და ანალიზს;
- კაპიტალური და ფინანსური ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზს;

- ფინანსური მდგომარეობის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზს, საგადასახადო ვალდებულებების დაცვის შეფასებას;
- სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის კომპლექსური შეფასებას და რეიტინგულ ანალიზს.

ეკონომიკური სუბიექტის კომპლექსური ეკონომიკური ანალიზის ჩატარების პროცესში შესაძლოა გამოვყოთ სუსი ტიპური ეტაპი (იხ. ცხრილი 1.1-2)

ცხრილი 1.1-2

ეკონომიკური ანალიზის ჩატარების ეტაპები და თანმიმდევრობა

ანალიზის ეტაპები	ანალიტიკური პროცედურების შინაარსი
I-ი ეტაპი	ანალიზის მიზნის, ამოცანის და თანმიმდევრობის განსაზღვრა
მე-2 ეტაპი	ინფორმაციის წყაროების შერჩევა და შეგროვება, ანალიზის ჩატარებისათვის ძირეული ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემატიზაცია
მე-3 ეტაპი	საქმიანობის განსაზღვრული მიმართულების კომპლექსური ანალიზის ჩატარება ან ცალკეული და სპეციალური მეთოდების გამოყენებით მაჩვენებელთა სისტემის გამოყენება, განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა. ფაქტორული მოდელების აგება, საწარმოო და საფინანსო მაჩვენებლების ზრდის რეზერვების გაანგარიშება
მე-4 ეტაპი	ანალიზის შედეგების განზოგადება, საქმიანობის ეფექტიანობის საერთო შეფასება, განვითარების პერსპექტივის პროგნოზირება
მე-5 ეტაპი	ანალიტიკური ინფორმაციის გაფორმება, ხელმძღვანელობის ან სხვა მომხმარებლების მხრიდან ანალიზის შედეგების მიმოხილვა. მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავება

საწარმოში (ფირმაში) ეკონომიკურ ანალიზის ორგანიზებას მართვის მიღებული სტრუქტურისა და დაკისრებული მოვალეობის მიხედვით ახორციელებს დირექტორის მოადგილე ეკონომიკურ საკითხებში, ფინანსური დირექტორი ან მთავარი ბუღალტერი.

თემა 2. ეკონომიკური ანალიზის ჩატარების ინფორმაციული ბაზა. საწარმოს ინფორმაციული მოთხოვნები

ეკონომიკური ანალიზი თავისი არსით ინფორმაციის შეგროვებისა და მართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს შორის შუალედურ რგოლს წარმოადგენს. სწორედ ინფორმაციის მოცულობა და ხარისხი ჰქმნის ეკონომიკური ანალიზის კომპლექსურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის პირობებს. ამასთან, ინფორმაცია ეკონომიკურ ანალიზს არა მხოლოდ მომხმარებლის რანგში წარმოადგენს, არამედ ასევე იგი შიდა და გარე მომხმარებლებთათვის ორგანიზატორის რანგში გამოდის. ამიტომაც ინფორმაცია მოვალეა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ამ სახის მომხმარებელთა მოთხოვნები.

ეკონომიკური ანალიზი სხვადასხვა სახის ინფორმაციას იყენებს, მაგრამ მას უმთავრესად ეკონომიკური რანგის და პროფილის სახის ინფორმაცია აინტერესებს; ამ სახის ინფორმაციის მოსარგებლენი კი სხვადასხვა რანგისა და დაინტერესების მქონე მომხმარებლები არიან: კერძოდ - პოტენციური ინვესტორები, აქციონერები, გამსესხებლები, ფირმის მუშაკები და საზოგადოება, მომწოდებლები და მომსმარებლები, სახელმწიფო ორგანოები - საგადასახადო სამსახური, სტატისტიკის დეპარტამენტი და სხვადასხვა სახის მარეგულირებელი კომისიები და ა.შ.

დღეს საბაზრო პროცესების გლობალიზაციის, სამეწარმეო საქმიანობის ყველა სფეროს ინფორმატიზაციისა და მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლების პირობებში ეკონომიკური ანალიზის განვითარების კონცეფცია განხილული უნდა იქნეს სწორედ ყველა მისი გამომყენებლის ანალიზის მიზნისა და ინფორმაციული მოთხოვნების ურთიერთკავშირის გადასახედიდან.

ეკონომიკური ანალიზის მსოფლიო პრაქტიკა ეფუძნება ისეთი სახის ტერმინებს, როგორიც "სიცოცხლისუნარიანობა",

"მომავალზე ორიენტაცია", "კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა". აღნიშნული გარემოებები მთლიანობაში უცილობლად მოითხოვს სამეწარმეო საქმიანობაში არსებული ან მოსალოდნელი საფრთხის გაცნობიერებას და მის პრევენციას. ამ მიმართულებით უცილობელი წაბიჯი კი სამეწარმეო რისკის ანალიზია.

2.1. სამეწარმეო რისკის ანალიზი

თანამედროვე ბაზარი გაურკვევლობის მნიშვნელოვანი დონით ხასიათდება. ამ სიტუაციაში სამეწარმეო საქმიანობა სავსებით კანონზომიერად რისკის არეალში ხვდება და იგი გარკვეული დონის საშიშროების ქვეშ ექცევა. ამ ფონზე, სხვა დანარ-ჩენი მნიშვნელოვანი გარემოებების გვერდით, საწარმოს მოგების ერთმნიშვნელოვნად დაგეგმვა საკმაოდ რთული პროცესს წარმოადგენს. ამდენად, დღეს ბიზნესის ნებისმიერ სფეროში უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს რისკის მინიმალურ დონემდე დაყვანა, ანუ რისკების მინიმალიზაცია.

საკითხის სირთულე სათავეს იღებს სამეწარმეო რისკის არსებობის ფაქტიდან. ამ პრობლემის ჩამოყალიბების და არსებობის ერთ-ერთი ასპექტია სამეწარმეო საქმიანობის შესახებ არსებული ინფორმაციის ასიმეტრიულობა; ინფორმაციის ასიმეტრიულობა გამოიხატება იმაში, რომ მაგალითად, ბაზრის ზოგიერთი მონაწილე (სხვებზე უფრო მეტ ინფორმაციას ფლობს. აღნიშნული სიტუაცია სრულად მოიცავს ურთიერთმიმართებების შემდეგი სახის არხებს: "მწარმოებელი-მომხმარებელი", "მწარმოებელი-მუამავალი", "მწარმოებელი-წედლეულის მომწოდებელი" და სხვ. მაგალითად, მწარმოებელი შეიმუშავებს ახალ პროდუქტს - ბაზარზე გაყიდვად საქონელთან შედარებით უკეთესი სამომხმარებლო მახასიათებლის მქონე ანალოგიურ

საქონელს. მაგრამ აღნიშნული ფაქტი მომხმარებლისთვის შესაძლოა სრულებით უცნობიც კი იყოს, რამდენადაც იგი რეკლამას არ ეწდობა. ინფორმაციის ასიმეტრიულობა გავლენა ახდენს ნედლეულის შეძენის, საქონლის გასაღების არხების საწარმოს მენეჯერთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზეც. ამ შემთხვევაში ინფორმაციის ასიმეტრიულობა მწარმოებ-ლისთვის რისკის წყარო ხდება და იგი გავლენას ახდენს მის მოგებაზე.

სამეწარმეო საქმიანობაში არსებობს კიდევ სხვა სახის რისკები, რომელნიც რეალურად არსებობს თვით საწარმოს როგორც საგარეო ურთიერთობებში, ისე თვით საწარმოს შიგნით არსებულ გარემოში; ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს საწარმოს მაჩვენებლების შართვის პროცესში, რათა დაძლეული იქნეს თვით რისკის ფაქტორი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში პრაქტიკულად ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობა გარკვეული დოზით გაურკვევლობის პირობებში ხორციელდება. საწარმოს აღნიშნული საქმიანობა ყალიბდება საგარეო ფაქტორების ცვლილებების ფონზე. სწორედ ამ მიმართებით არსებული გაურკვევლობა რისკის წყაროდ გვევლინება. ამასთანავე, რისკის წყაროს რანგს მიაკუთვნებენ უშუალო სამეურნეო საქმიანობას, თვით მეწარმის საქმიანობას, საგარეო გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სიმწირეს, რაც საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს სამეწარმეო საქმიანობის შედეგზე.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში რისკი განიმარტება როგორც საშიშროება, ზარალის ან ზიანის მიღების საფრთხე. თვით სამეწარმეო რისკის ქვეშ იგულისხმება ისეთი არასასურველი მოვლენების ალბათობა, რომელსაც შეუძლია საწარმო მიიყვანოს აქტივების დაკარგვამდე, შემოსავლების შემცირებამდე და ხარჯების დაუსაბუთებელ გაზრდამდე.

სამეწარმეო რისკების ანალიზის დანიშნულებაა სრული

წარმოდგენა მოგვცეს სამეწარმეო გადაწყვეტილებების რეალიზაციის შესაძლო ვარიანტებზე და შესაძლო ფინანსური დანაკარგების პრევენციის მიზნით შეიმუშაოს ადეკვატური ღონისძიებები.

ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია სამეწარმეო რისკების ანალიზის ზოგიერთი საერთო პრინციპი, პირველი, რისკების შესაძლო სახეებიდან გამომდინარე, დანაკარგები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებულად უნდა მივიჩნიოთ; მეორე, "პორტფელური რისკების" ერთ-ერთი მიმართულებიდან განცდილი დანაკარგები უცილობლად არ ზრდის სხვა მიმართულებებით დანაკარგების ალბათობას; მესამე, რისკებიდან მაქსიმალურად შესაძლო დანაკარგები არ უნდა აღემატებოდეს საწარმოს ფინანსურ რეზერვებს და თვით საწარმო არ უნდა დააყენოს გაკოტრების პირას.

ეკონომიურ ლიტერატურაში რისკები სხვადასხვა ნიშნულის მიხედვით არის სის-ტემატიზირებული:

- შედეგების მიხედვით ასხვავებენ არასისტემატურ (დივერსიფიცირებულ) რისკს და არადივერსიფიცირებულ რისკებს; არასისტემატური (დივერსიფიცირებული) რისკი დაკავშირებულია ფასებისა და შემოსავლების საერთო-საბაზრო რყევებთან. არადივერსიფიცირებული რისკი კი ახასიათებს შემოსავლებისა და ბიზნესის კონკრეტული მიმართულებების მიხედვით სხვა შემოსავლების, კონკრეტული სახის ფასიანი ქაღალდების არამდგრადობას.
- სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის ეკონომიკური საიმედოობის მიხედვით ასხვავებენ: ეკონომიკურ რისკს, მონეტარულ-ფისკალურ რიკს და სოციალურ-პოლიტიკურ რისკს. ეკონომიკური რისკი თავისი არსით არასასურველი მოვლენების ერთობლიობა, რომელიც მაკროეკონომიკური თანაფარდობის ფორმირების მიზნით

სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებების შემუშავების შედეგად წარმოიშობა; ფისკალურ-მონეტარული რისკი ესაა სახელმწიფო და საბიუჯეტო პოლიტიკის შედეგად წარმოშობილი რისკი; სოციალურ-პოლიტიკური რისკი კი არის სოციალური დაცვის ღონისძიებების რეალიზაციის შედეგად მოსახლეობის დასაქმების რეგულირების, შემოსავლების განაწილების პოლიტიკის შედეგად წარმოშობილი რისკი.
- ეკონომიკის იერარქიული დონეების მიხედვით ასხვავებენ მაკროეკონომიკურ რისკებს, მეზოდონის რისკებს და მიკროდონის რისკებს. მაკროეკონომიკური რისკები დამოკიდებულია ეკონომიკის საერთო რეგულაციებზე, ბაზრის კანონებზე, პოლიტიკურ სტაბილურობაზე; მეზოდონის რისკები განპირობებულია ცალკეული დარგების, რეგიონული ეკონომიკის განვითარების სპეციფიკური ნიშნებით; მიკროდონის რისკები ხასიათდება ცალკეული სამეურნეო სუბიექტების ფუნქციონირების თავისებურებებით, სამეურნეო სუბიექტების ფუნქციონირების საბაზრო სტრატეგიის არჩევით.

სამეურნეო საქმიანობის არსიდან გამომდინარე, ასხვავებენ ფინანსურ რისკებს და კომერციულ რისკებს: ფინანსური რისკი შესაძლოა არსებობდეს საკალკულატო რისკის სახით, როცა ვალუტის კურსის ცვლილებებთან დაკავშირებით შემოსავლების დაკარგვის ალბათობა არსებობს; ამავე რანგის რისკი არის საკრედიტო რისკი, როცა კაპიტალის, ლიზინგის პირობების ცვლილებების შედეგად მოსალოდნელია საწარმოს აქტივების დაკარგვის რისკი; და, ბოლოს, ფინანსური რისკის სახეა ე. წ. პორტფელური რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არასასურველ ცვლილებებთან, აქციებისა და ობლიგაციების შემოსავლიანობასთან და მათ საიმედოობასთან. რაც შეეხება კომერციულ რისკებს, იგი არსებობს მარკეტინგული

რისკის სახით, როცა პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებით არასასურველი მოვლენები წარმოიშობა, და საქმიანი რისკის სახით, რაც პროდუქციის წარმოებასთან არის დაკავშირებული.

წარმოდგენილი რისკების ნაირგვაროვნება სწორედ თვით სამეწარმეო რისკის ანალიზის შესაბამის მეთოდს მოითხოვს. ამ მიმართებით ერთგანზომილებიანი და ერთფეროვნად წარმოსახული მეთოდი არ არსებობს. აღნიშნულის გათვალისწინებით ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ ორ ურთიერთშემავსებელ მეთოდს:

1. რისკების ხარისხობრივი ანალიზი. ამ სახის ანალიზი თავის ამოცანად თვლის განსაზღვროს რისკის წყარო და იდენტიფიცირება გაუწიოს ყველა შესაძლო რისკებს, ასევე გაანალიზოს საწარმოს საქმიანობის მაჩვენებლებსა და რისკებს შორის შესაძლო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

2. რისკების თვისობრივი ანალიზი. ანალიზის ეს სახე მოვალეა უზრუნველყოს არასასურველი სარისკო მოვლენების სავარაუდოდ დადგომის რაოდენობრივი განსაზღვრულობა, საწარმოს საქმიანობის შედეგებზე მათი გავლენის ხარისხის გარკვევა, შესაძლო ეკონომიკური ზარალის საშიშროება.

სამეურნეო-ეკონომიკურ პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებულია რისკების რაოდენობრივი ანალიზის შემდეგი მეთოდები:

სტატისტიკური მეთოდი. ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დანაკარგის შესაძლო წარმოშობის გაანგარიშებისათვის აანალიზებენ საწარმოს მიერ სამეურნეო შედეგიანობის მიღების მიზნით მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკურ მონაცემებს.

სტატისტიკური მეთოდით სარგებლობისას გამოჰყოფენ სამეწარმეო საქმიანობის რისკის შემდეგ ზონებს:

- ურისკო სფერო (საანგარიშო მოგების მიღების გარანტია);
- მინიმალური რისკის სფერო (დანაკარგი არ შეიძლება წმინდა მოგების მოცულობას აღემატებოდეს);

- მომატებული რისკის სფერო (ზარალის რისკი);
- კრიტიკული რისკის სფერო (შესაძლოა საწარმოს აქტივების ნაწილობრივი დაკარგვა);
- დაუშვებელი რისკის სფერო (არალიკვიდური ბალანსი, გადახდისუუნარობა);

საწარმოს საქმიანობის ყველა ან ცალკეული მიმართულებით რისკის მაქსიმალური დონის მიღების მიზნით იყენებენ უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე განხორციელებული გარიგებების შესახებ არსებულ სტატისტიკურ ინფორმაციას.

ექსპერტული შეფასების მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს ანალოგიური მიმართულების საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს. ამ მეთოდის არსში ჩადებულია რისკების შემგროვებელ ექსპერტთა აზრები, რომელიც თვით ამ ექსპერტთა მიერ არის იდენტიფიცირებული.

ექსპერტული მეთოდით სარგებლობის დროს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ერთმანეთის გადამკვეთის არმქონე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მოვლენების რისკების სრული ჩამოწათვალის გაკეთება. შემდეგ გადმოიცემა შემდეგი მაჩვენებლების რაოდენობრივი საექსპერტო შეფასება: რისკების შეფასება ქულებში, ქულებში უპირატესობა.

ექსპერტული მეთოდის გამოყენების დროს ყურადღება ექცევა სამ პრიორიტეტს:

1. რისკს შეუძლია არსებითი ზემოქმედება მოახდინოს საწარმოს საქმიანობის საბოლოო მაჩვენებლებზე;
2. რისკი ზომიერ გავლენას ახდენს, რომელიც შესაძლოა არსებითად შემცირდეს მმართველობითი ზემოქმედებით;
3. რისკი გავლენას არ ახდენს საწარმოს მაჩვენებლებზე.

აღნიშნული 1-დან 3-მდე პრიორიტეტის შესაბამისი მთელის თანაფარდობა 10 ბალის ტოლია. რისკის წარმოშობის ალბათობას ექსპერტი განსაზღვრავს მითითებულ დიაპაზონში შედეგობრივი განსაზღვრით შემდეგი ფორმულის განზოგადებული შეფასებით.

$$P = \sum_{j=1}^{n} A_j P_j$$

სადაც


P = რისკის განზოგადებული შეფასება

A_j= მთელის რისკი ქულებში

P_j= რისკის სახის მაჩვენებელი

რამდენადაც საწარმოს საქმიანობა ასე თუ ისე დაკავშირებულია რისკთან, ამდენად საწარმოს ხელმძღვანელობის ამოცანას წარმოადგენს სწორედ რისკების შემცირება. ამ მიზნით სამეურნეო პრაქტიკაში გამოიყენება რისკების შემცირების სხვადასხვა მეთოდი (იხ. ცხრილი 2.1-1).

ცხრილი 2.1-1.



მოკლედ განვიხილოთ რისკების შემცირების ხერხების არსი:

დივერსიფიკაცია – ესაა კაპიტალდაბანდებების განაწილება საწარმოს საქმიანობის იმ სხვადასხვა სფეროებს შორის, რომელთა შედეგები ერთმანეთთან უშუალოდ კავშირში არ არიან. საწარმო, რომელიც საქმიანობის ერთ სახეში ზარალს ღებულობს, დივერსიფიკაციის მეშვეობით შესაძლოა სხვა სფეროში მიიღოს მოგება. ამდენად, დივესიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა სამეწარმეო სფეროში ცვლილებებთან კავშირში ამაღლდეს საწარმოს მდგრადობა.

დაზღვევა არის გარკვეული სახის რისკების გადაცემა სადაზღვევო კომპანიებზე. ამ შემთხვევაში რისკების ხარისხის შემცირებისთვის გამოიყენება ქონების დაზღვევა და უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა. პირველს შესაძლოა შემდეგი ფორმები ჰქონდეს: მოიჯარე მშენებლობის რისკის დაზღვევა, მოწყობილობის დაზღვევა, ტვირთების დაზღვევა და სხვა. მეორე კი მოიცავს საერთო პასუხისმგებლობის დაზღვევას და პროფესიულ დაზღვევას.

სამეწარმეო პრაქტიკაში ასევე ფართოდ გამოიყენება დაზღვევის ისეთი სახე, როგორიც არის ჰეჯირება – საქონლის ფასების დაზღვევა მწარმოებლისათვის ფასების არასასურველი დაცემის ან მომხმარებლისათვის არამომგებიანი გაზრდის რისკიდან გამომდინარე. ოპერაციის ჩატარების მიზნებისა და ტექნიკის მიხედვით გამოყოფენ: გაყიდვების ჰეჯირებას, ე.ი. მწარმოებელთან ან საქონლის მფლობელთან ფიუჩერსული კონტრაქტის დადებას მომავალი საქონლის გაყიდვის, ან უკვე რეალობაში არსებულის, ან ჯერ კიდევ არწარმოებული, მაგრამ გარკვეულ დროში აუცილებლად მიწოდებისთვის განსაზღვრული საქონლის ფასების შემცირების დაზღვევის მიზნით; შესყიდვების ჰეჯირებას, ე. ი. მომხმარებლის ან გამყიდველის მიერ ფიუჩერსული კონტრაქტის დადებას, რასაც მომავალში აუცილებელია საქონლის ყიდვისას ფასების გაზრდისგან დაზღვევისათვის.

ლიმიტირება გულისხმობს ხარჯების ჯამის, კრედიტით საქონლის გაყიდვის, კაპიტალის დაბანდების და სხვა ლიმიტის დაწესებას.

გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვის მიზნით დარეზერვება გულისხმობს პოტენციურ რისკებსა და ამ რისკების შედეგების დაძლევისთვის აუცილებელი ხარჯების ოდენობას შორის თანაფარდობის დადგენას. ასეთი წესი სასარგებლოა სხვადასხვა სახის პროექტების შესრულებისთვის. ზოგადად, რეზერვებს იყენებენ პროექტის განხორციელების პროცესში

წარმოშობილი დამატებითი სამუშაოს დაფინანსებისათვის, გაუთვალისწინებელი მატერიალური და შრომითი დანახარჯების, ზედნადები ხარჯებისა და სხვა ტიპის ხარჯების კომპენსაციისათვის.

რისკების განაწილება გულისხმობს პროექტის მონაწილეებს შორის მის დანაწილებას. ინვესტირების მოცულობის და ხანგრძლივობის ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საგარეო გარემოს დინამიკურობის ზრდა პროექტის რისკს ამაღლებს. რისკების დანაწილების საშუალებას წარმოადგენს ფაქტორინგის ოპერაცია. უცხოური ბანკების პრაქტიკაში ფაქტორინგული ოპერაციების განვითარება ძირითადად კავშირშია ცალკეული მომწოდებლების მოთხოვნასთან, რათა სწრაფად მიიღონ ის გადახდები, რომელნიც საეჭვოდ მიაჩნიათ. როგორც წესი, ასეთ სიტუაციაში გადამხდელის მხრიდან ადგილი აქვს საერთოდ გადაუხდელობის რისკს. ბანკი, რომელიც გამოისყიდის ასეთ პრეტენზიას, შესაძლოა ზარალში ჩავარდეს. ფაქტორინგული ოპერაციები მომატებული რისკის ოპერაციებს მიეკუთვნება. ამ შემთხვევაში საკომისიო ანაზღაურების სიდიდე დამოკიდებულია როგორც რისკის ხარისხზე (გამოსასყიდი ვალის "საეჭვობის" დონე), ასევე სახელშეკრულებო გადავადების ხანგრძლივობაზე. ზოგიერთ შემთხვევაში ამ მიმართებით გადასახდელი თანხის 20%-საც კი აღწევს.

ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილება მიიღება იმ პირობებში, როცა შედეგები განსაზღვრული არ არის და ინფორმაცია შეზღუდულია. შესაბამისად, რაც უფრო სრულია ინფორმაცია, მით მეტი არის საუკეთესო პროგნოზის გაკეთებისა და რისკის შემცირების საფუძველი. პრაქტიკაში სრული ინფორმაციის ღირებულებას ანგარიშობენ, როგორც სხვაობას სრული ინფორმაციის ქონის დროს რომელიღაც ღონისძიების (მაგ. პროექტის შეძენა) მოსალოდნელ ღირებულებასა და ინფორმაციის არქონისას მოსალოდნელ ღირებულებას შორის.

ყველა ზემოთაღნიშნულის შეჯამებით, შესაძლებელია დას-

კვნათ, რომ სამეურნეო პრაქტიკაში ერთგვაროვნად მოქმედებს რისკის შემცირების ორი ძირითადი პრინციპი:

- არ გარისკო უფრო მეტად, ვიდრე ამის საშუალებას საკუთარი კაპიტალი არ იძლევა;
- არ დაიფიქსოთ რისკის შედეგები.

აღნიშნული პრინციპების სრულად დაცვა და რეალიზაცია საბოლოო ჯამში ეკონომიკური ანალიზის წარმატებით განხორციელების მიზანს ამართლებს.

2.2. ეკონომიკური ანალიზის ჩატარების ინფორმაციული ბაზა

სამეწარმეო რისკის შეცნობის და ზოგადად ეკონომიკური ანალიზის ჩატარები-სათვის აუცილებელია ინფორმაცია; ინფორმაცია (ლათ. informatio – ახსნა, გადმოცემა) არის გარე სამყაროში და ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე პროცესებზე და მოვლენებზე მოწესრიგებული ცნობების, ცოდნისა და მოსაცემების ერთობლიობა. იგი საწარმოს მართვის პროცესების უწყვეტ ფუნქციონირების საშუალება და დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების გზაა.

ეკონომიკური ანალიზის ჩატარების უპირველესი და არსებითი ინფორმაციული ბაზაა ეკონომიკური ინფორმაცია. ეკონომიკური ინფორმაცია წარმოადგენს ბიზნესის სხვადასხვა სფეროს საწარმოს საწარმოო-გასაღებითი, მომარაგებითი, საფინანსო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის შესახებ მონაცემების ერთობლიობას და მოიცავს მათი სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარეს. ის თან სდევს მატერიალური დოვლათის და მომსახურების წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების პროცესებს. რამდენადაც კომპანიების საქმიანობა ინფორმაციის მატარებელი წყაროს მატარებელი მოვლენების ერთობლიობისგან ყალიბდება, ამდენად სწორედ აქ არის ეკო-

ნომიკური ინფორმაციის რეალური და არსებითი წყაროები.

ეკონომიკურ ანალიზში გამოყენებული ინფორმაციის წყაროები შემდეგ ჯგუფებს ქმნიან:

ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები ესაა კანონები, დადგენილებები, დებულებები, ბრძანებები, მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები, წერილები და მსგავსი დოკუმენტები. ანალიტიკური პროცედურების მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე, ანალიზში გამოყენებული დოკუმენტების ჩამონათვალი შესაძლოა შეიცვალოს, ამ სახის ინფორმაციული წყაროს ცოდნა და გამოყენება ანალიზის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რამდენადაც ანალიტიკოსის დასკვნები უნდა იყოს ობიექტური, ხარისხიანი და დასაბუთებული.

ორგანიზაციის შიდა ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც წარმოების, შრომის, ბუღალტრული აღრიცხვის და ა.შ. პროცესებს არეგულირებენ. მათ მიეკუთვნება: სადამფუძნებლო დოკუმენტები, ბიზნესს-გეგმები, კოლექტიური ხელშეკრულება, დე ბულება შრომის ანაზღაურებაზე, ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის მიზნისათვის შემუშავებული საღრიცხვო პოლიტიკა, ინსტრუქციები, წერილები, ხათაო (ძირითადი) ორგანიზაციის დებულებები, საგეგმო-ნორმატიული და საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია (ტექნიკური პასპორტი, ტექნოლოგიური რუკები და ა.შ.), ასევე, ინვესტორებთან, მომწოდებლებთან, მყიდველებთან, მსესხებლებთან, ემიტენტებთან და მეანაბრეებთან ურთიერთობის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტები.

პირველადი საღრიცხვო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სამეურნეო ოპერაციების შესრულებას. ეკონომიკური ანალიზის თითოეულ ეტაპზე კი ანალიტიკოსი დამოუკიდებლად განსაზღვრავს იმ პირველადი დოკუმენტების სახეს, რომელნიც მისთვის აუცილებელი იქნება სამუშაოს პროცესში.

ანალიტიკური და სინთეზური აღრიცხვის რეგისტრები შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს ბუღალტრული აღრიცხვის

ორგანიზაცია, გაანალიზდეს ეკონომიკური და საფინანსო პროცესები და ოპერაციები. ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკაში კონკრეტიზდება ანალიზის საგნისა და ბუღალტრული აღრიცხვის თითოეული ანგარიშის მიხედვით შედგენილი საღრიცხვო რეგისტრები. ფირმის სამეურნეო საქმიანობის ცალკეულ მონაკვეთებზე (უბნებზე) ჩატარებული ოპერატიული აღრიცხვა და ანგარიშგება უზრუნველყოფს აუცილებელი ინფორმაციის სწრაფად მიღებას და იგი ძალიან ღირებულია მიმდინარე ანალიზისათვის. მაგალითად, საქონლისმოძრაობის ანალიზის დროს შეუძლებელია გვერდი ავუაროთ გაყიდული საქონლის ყოველდღიური ამონაგების ოპერატიულ მონაცემებს.

ბუღალტრული, საგადასახადო და სტატისტიკური ანგარიშებები შეისწავლება როგორც საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, საგადასახადო ვალდებულების, კომპანიის ქონებისა და ვალდებულების ამსახველი ინფორმაციის წყარო. ბუღალტრული ანგარიშგების თავისდროული და სრული ანალიზი შესაძლებლობას იძლევა ფირმის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის მიღებული იქნეს ადეკვატური ღონისძიებები. საგადასახადო ანგარიშგების ანალიზი ხელს უწყობს საგადასახადო სამართალდარღვევის პრევენციას, შესაძლებლობას იძლევა შეამციროს საგადასახადო შემოწმებების რისკი. სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემებში ასახული მასობრივი საწარმოო-სამეურნეო მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი დახასიათება გამოიყენება ეკონომიკური კანონზომიერების გამოვლენისათვის, ეკონომიკური მოვლენების ურთიერთკავშირის სიღრმისეული შესწავლისა და გაანალიზებისათვის.

ინფორმაციის არასაღრიცხვო წყაროები მოიცავს იმ დოკუმენტებს, რომლებიც არეგულირებენ სამეურნეო საქმიანობას, კერძოდ:

- რევიზიის, აუდიტორული და საგადასახადო შემოწმების აქტები, კომერციული ბანკების, სასამართლო ორგანოების

დასკვნები, ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ბრძანებები და განკარგულებები;

- გასაანალიზებელი სუბიექტის პერსონალის პირადი მემადგენლობის, განსაკუთრებით კი მესაკუთრეთა და მენეჯერთა დახასიათების შემცველი მასალები;
- სამეურნეო-სამართლებრივი დოკუმენტები: ხელშეკრულებები, შეთანხმებები, არბიტრაჟის და სასამართლოს ორგანოების გადაწყვეტილებები, რეკლამაციები;
- ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან (რადიო, ტელევიზია, გაზეთები, საბირჟო ბიულეტენები, ინტერნეტი და ა.შ.) მოპოვებული მიწინაწე გამოცდილების შესწავლის მასალები;
- ცალკეულ სამუშაო ადგილებზე წარმოების მდგომარეობის სპეციალური გამოკვლევის მასალები (ქრონომეტრაჟი, ფოტოსურათი და ა.შ.);
- ზეპირი ინფორმაცია, რომელიც მიღებულია კოლექტივის წევრებთან ან სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს.

ინფორმაციის ამა თუ იმ წყაროს კომპლექსური კვლევა და ეკონომიკურ ანალიზში მისი მართებული შერწყმა შესაძლებლობას იძლევა ყოველმხრივად შეკისწავლოთ ორგანიზაციის მუშაობა და სრულად გამოვავლინოთ მისი ეკონომიკური და სოციალუ-რი განვითარების რეზერვები.

ინფორმაციის ამა თუ იმ კონკრეტულ წყაროზე მოთხოვნა თვით გასაანალიზებელ ობიექტზე, შესწავლის საგანზე, ანალიზის მიზანსა და ამოცანებზე და, ბოლოს, ანალიზის ჩატარების პერიოდზეა დამოკიდებული. გამოყენებული ინფორმაციის სისრულე და ნაირგვაროვნება, თავის მხრივ, ხელს უწყობს წარმოებისა და გაყიდვების ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით დასაბუთებული და არსებითი დასკვნების გამოტანას და წინადადების შემუშავებას.


2.3. ინფორმაციული ნაკადები და საწარმოო პროფესიონალიზმი განხილვა

სამეწარმეო რისკის სრულად გაცნობიერებისა და სამეწარმეო საქმიანობაში სხვადასხვა რანგის სირთულის თავიდან აცილების მიზნით ძალზე ღირებულია საწარმოს გარემომ არსებული ინფორმაციული ნაკადების შეცნობა. დღეს საწარმოს ინტერესთა ზონა მნიშვნელოვნად გაფართოვდა საბაზრო ეკონომიკა სულ მუდამ მოითხოვს რაოდენ უშუალოდ საწარმოდან წამოსული ინტერესების, ისე გარე ორგანიზაციების მხრიდან გამოხატული სწრაფვის შეცნობას.

აღნიშნული რეალობა შემდეგი წმინდა ეკონომიკური სახის გარემოებებით არის ზღვარდებული: ყოველდღიურად იზრდება ინფორმაციის ოდენობა გამოშვებული პროდუქციის მოთხოვნაზე, გარკვეული პირობებისა და მოთხოვნების დროს პროდუქციის გასაღების, წარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შესაძლებლობის შესახებ, პირითად წარმოებაზე, წარმოების ტექნიკურ მომზადებაზე, წარმოების ხარჯებზე და გარკვეული ნაკეთობების გამოშვების ეფექტიანობაზე და ა.შ. ამასთან საწარმოს მესაკუთრეებს, აქციონერებს, მომწოდებლებს, მყიდველებს, კრედიტორებს, საგადასახადო ორგანოებს აინტერესებთ სხვა ინფორმაციაც: ინფორმაცია საწარმოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ, ინვესტიციის ეფექტიანობის შესახებ, შემოსავლებისა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე და ა.შ. კონკრეტული სა-წარმოს მიმართებაში ეს ყოველივე შესაძლებელია ნაირგვარი ინფორმაციით წარმოსდგეს.

ამრიგად, ინფორმაციული ნაკადი რომელიც უშუალოდ საწარმოდან მოდის, ძალზე განსხვავებული და სხვადასხვა მიმართულებისაა; მათ, უბრალოდ, გარკვეული ნიშნით სისტემატიზირება სჭირდება, სხვა შემთხვევაში ანალიზის მიზანი მიუღწეველი დარჩება.

საწარმოთა უმრავლესობისათვის ზემოაღნიშნული მოთხოვნები დაახლოებით ერთნაირია და ისინი შეიძლება დაჯგუფებული იქნეს შემდეგი წესით (იხ. ნახ. 2.3-1).



ნახ. 2.3-1.

ინფორმაციული ნაკადი, რომელიც საწარმოდან მოდის და რომელიც საწარმოს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას თანმიმდევრულად და სრულად ასახავს, სხვა არაფერია, თუ არა ეკონომიკური ინფორმაცია. ამიტომაც ეკონომიკური ინფორმაციის არსში გარკვევის მიზნით საჭიროა მისი სახეების განხილვა და წარმოდგენა.

ეკონომიკური ინფორმაცია იყოფა შემდეგ სახეებად:

- გეგმური;
- საცნობარო-ნორმატიული;
- საანრიცხვო.

გეგმური ინფორმაცია მოიცავს იმ მოქმედების არჩევისთვის საჭირო მონაცემებს, რომელიც შესაძლოა მომავალში იქნეს გამოყენებული. ამ სახის ინფორმაციის ძირითად შინაარსს წარმოადგენს ტექნიკურ-ეკონომიკური და ოპერატიულ-საწარ-

მოო დაგეგმვა. გეგმით შესაძლოა მოცული იქნეს როგორც საწარმოს ნებისმიერი სრულტურული ქვედანაყოფი, ისე მთლიანად საწარმოს საქმიანობა.

ტექნიკურ ეკონომიკური დაგეგმვის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს კონკრეტული პერიოდისათვის საწარმოო სარჯთაღრიცხვის შედგენა. ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს საწარმოს ადმინისტრაციის მთავარი მიზანია საწარმოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ცალკეული გეგმების კოორდინაცია და მათი შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფა.

ოპერატიულ-საწარმოო დაგეგმვის არსი მოიცავს როგორც საწარმოს ცალკეული ქვედანაყოფების (სამუშაო ადგილების მიხედვით), ისე მთლიანად საწარმოს მასშტაბით დროის მოკლე მონაკვეთების (თვიდან ერთ საათამდე) მიხედვით საწარმოო პროგრამის მაჩვენებლების დაზუსტების, დეტალიზაციის და კონკრეტიზაციის მიმართულებით ჩასატარებელ გეგმურ სამუშაოებს. ოპერატიულ საწარმოო დაგეგმვა დაგეგმვის მთელი სისტემის დამამთავრებელი ეტაპია; მის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი აერთიანებს საწარმოს გეგმის ეკონომიკური ნორმატივებით დეტალურ დამუშავებას, ხოლო მათი დაბალანსება საწარმოო პროგრამის შესრულებას უშუალოდ აკონტროლებს.

გეგმის შემუშავება ყოველთვის არ იძლევა მისი შესრულების გარანტიას. ამიტომაც ქვედანაყოფის თითოეული ხელმძღვანელი მოვალეა მიმართოს გარკვეულ ქმედებას; კერძოდ, იგი ვალდებულია თვალყური ადევნოს გეგმის შესრულების მსვლელობას, დასახული გეგმიდან ნებისმიერი გადახრის გამოვლენის დროს ჩაერიოს პროცესებში, აუცილებლობიდან გამომდინარე ახალი პირობების (გარემოებების) გათვალისწინებით კი შეცვალოს ადრინდელი გეგმები.

ეკონომიკური ინფორმაციის დანარჩენ სახეებს შორის დამაკავშირებელი რგოლი არის საცნობარო-ნორმატიული

ინფორმაცია. ნორმატიულ-საცნობარო ინფორმაციის შემადგენლობა განისაზღვრება წარმოების ტიპით, გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურით და სირთულით, წარმოების ტექნოლოგიითა და ორგანიზაციით, შრომის შიდასაწარმოო დანაწილებით, შიდასამეურნეო კავშირების განვითარების დონით. აღნიშნული ნიშნები ტექნიკურ-ეკონომიკური და ოპერატიულ-საწარმოო დაგეგმვის, წარმოების აღრიცხვის მეთოდების, წარმოებაზე დანახარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების კალკულირების მეთოდების გამოყენებაში არსებითი და გან-მსაზღვრელი ფაქტორია.

საცნობარო-ნორმატიული საგეგმო ინფორმაციის ანალოგიურად სააღრიცხვო ინფორმაციას გააჩნია საერთო ნიშნები, პრინციპები და ობიექტები. ამასთან, სააღრიცხვო ინფორმაციული სისტემა მოიცავს პირველადი მონაცემების შეგროვების სტადიას და მათ მართვის აპარატში ოპერატიული დამუშავებისთვის გადაცემას, გარკვეული პრინციპებისა და ნაკადების მიხედვით მონაცემების თავმოყრას და დაჯგუფებას, კრებსითი ინფორმაციის ფორმირებას, ანალიტიკური და სინთეზური ანგარიშების წარმოებას, საწარმოს შიდა და გარე ანგარიშების შედგენას. ამ მიზნით აქ უშუალოდ გამოიყენება ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, სტატისტიკური აღრიცხვა და ანგარიშგება.

კვლევის ობიექტთან მიმართებაში ინფორმაციული ნაკადი არსებობს შიდა და გარე ინფორმაციული სისტემების სახით. შიდა ინფორმაციული სისტემა აერთიანებს სტატისტიკურ, ბუღალტრულ, ოპერატიული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემებს, გეგმურ მონაცემებს, საწარმოსთვის შემუშავებულ ნორმატიულ მონაცემებს და ა.შ. გარე ინფორმაციული სისტემა მოიცავს სტატისტიკური კრებულების, პერიოდული და სპეციალური გამოცემების, კონფერენციების, საქმიანი შეხვედრების, ოფიციალური, სამეურნეო-სამართლებრივი დოკუმენტების და ა.შ. მონაცემებს.

შესასწავლი საგნის ობიექტის უფრო სრულად დახასიათებიდან გამომდინარე ინფორმაციას ძირითად და დამხმარე ინფორმაციად ჰყოფენ. ინფორმაციის შემოსვლის პერიოდულობის მიხედვით კი ინფორმაციას რეგულარულ და ეპიზოდურ ინფორმაციად აჯგუფებენ. რეგულარულ ინფორმაციას მიეკუთვნება გეგმური და სააღრიცხვო მონაცემები; ეპიზოდური ინფორმაცია თავის არსით არ არის ისეთივე „მყარი", როგორც, მაგალითად, ძირითადი ინფორმაცია და, ამდენად, ის აუცილებლობიდან გამომდინარე ფორმირდება, მაგალითად, ახალი კონკურენტის მონაცემები. ამასთან, რეგულარული ინფორმაცია დამატებითი ნიშნების მატარებელია. იგი დაიყოფა მუდმივ ინფორმაციად, ანუ რომელიც თავის მნიშვნელობას დიდ ხანს ინარჩუნებს (კოდები, შტრიხები, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და ა.შ.), პირობით რეგულარულ ინფორმაციად, რომელიც თავის მნიშვნელობას ინახავს გარკვეული პერიოდის მანძილზე (გეგმის მაჩვენებლები, ნორმატივები), და ცვლადი, რომელიც ახასიათებს მოვლენათა ნაწილობრივ ცვლიანობას (გარკვეული პერიოდისათვის გასაანალიზებელი ობიექტის მდგომარეობის შესახებ საანგარიშგებო მონაცემები).

დამუშავების პროცესთან მიმართებაში ინფორმაცია შეიძლება იყოს პირველადი (პირველადი აღრიცხვის, ინვენტარიზაციის, გამოკვლევის ამსახველი ინფორმაცია) და მეორადი, ე.ი. ისეთი, რომელმაც დამუშავებისა და გარდაქმნის გარკვეული სტადია გაიარა (ანგარიშგება, კონიუნქტურული მიმოხილვა და ა.შ.). მათგან სწორედ პირველადი ინფორმაცია ამოსავალი დებულებებით უზრუნველყოფს ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვას.

მოქმედ საწარმოში, როგორც წესი, პირველადი ინფორმაცია საკმაოდ დიდი და ნაირგვარია. ამ სიტუაციაში მენეჯერს არ ეძლევა იმის საშუალება, რომ სრულად გააცნობიეროს, გააანალიზოს და გამოიყენოს არსებული ინფორმაცია თავის

მუშაობაში. თავისი მოვალეობის შესრულების დროს იგი მოვალე ხდება მოკლე მიმოხილვებით და სხვაგვარად დაჯგუფებული ინფორმაციით ოპერირებდეს. ამ სიტუაციაში მართვის სხვადასხვა დონის ხელმძღვანელისათვის სპეციალურად მომზადებულ საანრიცხვო ინფორმაციას მმართველობით საანრიცხვო ინფორმაციას უწოდებენ.

ანალიზის პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფის წარმართვის პროცესს მთელ რიგ პრაქტიკა მოთხოვნებს უყენებს. კერძოდ, ინფორმაცია უნდა იყოს ანალიტიკური, მას უნდა გააჩნდეს საიმედოობის, ოპერატიულობის, შესადარისობის, რაციონალურობის და სხვ. სახის ნიშნები.

ინფორმაციის ანალიტიკურობის მოთხოვნის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური ინფორმაციის მთელი სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ანალიზის მოთხოვნებს და ამოცანებს, ე.ი. უზრუნველყოს ისეთი მონაცემების მიღება, რომლებიც აუცილებელია ფაქტორების ღრმა შესწავლისთვის, რეზერვების გამოვლენისთვის და მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისათვის. ამასთან, ეკონომიკური ინფორმაცია უნდა იყოს სარწმუნო, ობიექტურად ასახავდეს გამოსაკვლევი მოვლენის და პროცესს. წინააღმდეგ შემთხვევაში ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები სინამდვილეს ამცდება, ხოლო ანალიტიკოსების მიერ შემუშავებული წინადადებები საწარმოს არ/ვერ მოუტანს სარგებელს და, შესაძლოა, რაღაც ეტაპზე მავნეც კი აღმოჩნდეს.

ინფორმაციის ოპერატიულობა უშუალოდ ანალიზის ოპერატიულობისა და რეალობის მოთხოვნიდან გამომდინარეობს. რაც უფრო სწრაფად შემოდის მომხდარი სამეურნეო პროცესების შესახებ ინფორმაცია, მით უფრო შესაძლებელია სწრაფად ჩატარდეს ანალიზი, გამოვლინდეს და აღმოიფხვრას ნაკლი, დაუდევრობა და დანაკარგი. თვით ინფორმაციის ოპერატიულობის ამაღლება მიიღწევა კავშირის უახლესი საშუალებების (მაგალითად, ინტერნეტის) დახმარებით. ამ

ფონზე ინფორმაციის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მოთხოვნაა კვლევის საგნისა და ობიექტის, დროის პერიოდის, მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესადარისობის უზრუნველყოფა.

და ბოლოს, ინფორმაციის სისტემა უნდა იყოს რაციონალური (ეფექტიანი), ე.ი. მონაცემების შეგროვებაზე, შენახვაზე და გამოყენებაზე ხარჯების მინიმუმი უნდა იყოს გაწეული. ამ მოთხოვნიდან გამომდინარეობს ინფორმაციის სარგებლიანობის შესწავლის აუცილებლობა და ამის საფუძველზე „ზედმეტი" მონაცემების თავიდან მოცილება და საჭირო მონაცემებით ინფორმაციული ნაკადების სრულყოფა.

ანალიზის ორგანიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი მომენტია ანალიზის მეთოდური უზრუნველყოფა. ამიტომაც ფაქტია, რომ ანალიზის შედეგიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ანალიზის როგორ მეთოდიკას იყენებს დაინტერესებული მხარე (მაგალითად, საწარმო). თვით ანალიზის მეთოდიკური უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სპეციალისტს, რომელიც საწარმოში ანალიტიკურ მუშაობას ხელმძღვანელობს. ამიტომაც იგი მოვალეა მუდმივად სრულყოს და დახვეწოს ანალიზის მეთოდი. ანალიზის სფეროში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების საფუძველზე იგი მოვალეა ისინი დანერგოს საწარმოს ყველა სეგმენტში, განახორციელოს ანალიზის საკითხებზე მომუშავე კადრების მომზადება-გადამზადება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მჭა კომპიუტერულ პროგრამებთან ანალიზის საკუთარი პროგრამის ადაპტირებას, რაც საბოლოო ჯამში სამეურნეო საქმიანობის შედეგების ოპერატიულად და კომპლექსურად გამოკვლევის საშუალებას იძლევა.

თანამედროვე საქმიან სამყაროში მრავალი საწარმოს ხელმძღვანელი იმ აზრამდე მიდის, რომ ბაზრის შესახებ გაჯერებული ინფორმაციის გარეშე სამეურნეო საქმიანობის წარმატებით გაძღოლა წარმოუდგენელია. საქმიანი აქტივობის

მონაწილეთა მიერ გენერირებული ინფორმაციული ნაკადების კვალიფიციური დამუშავების დროს დასკვნების ანალიზისა და სინთეზის საშუალებით მათ შეუძლიათ უზრუნველ-ყონ ფირმის კონკურენციული უპირატესობა ბაზარზე სხვა შეჯრნე სუბიექტებთან შედარებით.

მრავალი მეწარმე თვლის, რომ საინფორმაციო-ანალიტიკური მუშაობა მსხვილი კორპორაციებისათვის არის მიზანშეწონილი და მიღწევადი, რომ ყოველდღიური საქმიანი აქტივობა მცირე და საშუალო საწარმოებს საშუალებას არ აძლევს კუთვნილი დრო დაუთმოს ინფორმაციის ანალიზს. ამგვარი შეხედულება მცდარია, იმიტომ რომ მცირე და საშუალო საწარმოებში ინფორმაციის ანალიზი ასე თუ ისე მაინც ხორციელდება, მაგრამ როგორც წესი ამ სახის საწარმოთა ბიზნეს-პროცესში სრულად არ ჩაირთვება. აღნიშნული აზრის დამადასტურებელი არის ერთი მარტივი მაგალითი - გაზეთების და სპეციალური გამოცემების კითხვა და აქ მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზება. ძნელია მოიძებნოს საქმიანი ადამიანი, რომელიც სიახლეებს ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ ცოტანი თუ ხვდებიან, რომ მოცემული სახის „დასაქმება" საინფორმაციო-ანალიტიკური მუშაობის შემადგენელ ნაწილს შეადგენს.

საქმიანი პრესის სისტემატური გაცნობა ბიზნესის გაძღოლისათვის პრაქტიკული ფასეულობის მქონე მეტი ოდენობის ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა. საქმიანი პრესის გაცნობით საწარმოს ხელმძღვანელმა შეიძლება მიიღოს ბაზრის გარემოს მდგომარეობის შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაცემები. ესაა მონიშნულ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში საწარმოს მონიტორინგი.

მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით ხსენებული მონიტორინგი კომპანიას შესაძლებლობას აძლევს:

- ბაზრის რეაქციას შინაგანი და გარე მოვლენების გავლენებს თვალ-ყური მიადევნოს;

- ექსპერტული დასკვნები შეაგროვოს წარმოების პროცესზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის კუთხით;
- მოახდინოს კომპრომატირებადი აქციების დასაწყისი სათვის კონკურენტების მოქმედებაზე თვალყურის მიდევნება;

მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში კონკურენტებზე მონიშნებული მონიტორინგის განხორციელება საწარმოს ხელმძღვანელებს შესაძლებლობას აძლევს:

- თვალ-ყური მიადევნოს PR-კომპანიის დაწყებას და სეზონურობას;
- გამოავლინოს PR-არხები;
- მოახდინოს კონკურენტების PR-ბიუჯეტის პროგნოზირება;
- თვალ-ყური მიადევნოს საკადრო ცვლილებებს, ინოვაციებს მართვასა და ტექ-ნოლოგიებში;
- დააკვირდეს პოზიციირების მიდგომებში მიმდინარე ცვლილებებს;
- თვალ-ყური მიადევნოს უპირატესი მყიდველების ცვლილებებს.

აღნიშნული სახის ინფორმაცია მეწარმეს შეუძლია მიიღოს დამატებითი ინფორმაციის მოპოვების გარეშე; ამ ინფორმაციას ის იღებს საინფორმაციო პროდუქციის ბაზარზე არსებული მონაცემების სხვადასხვა ბაზიდან შემდეგი მიმართულებით:

- კონკურენტების მიერ პროდუქციის მიწოდებისა და შესყიდვების მოცულობის განსაზღვრით;
- სტრუქტურის აფილირების განსაზღვრით;
- გავლენის და ლობირების განსაზღვრით;
- ინფორმაციის გაჟონვის არხების განსაზღვრით;
- კომუნიკაციის არხების გამოვლენით.

ამგვარი ინფორმაციის ფლობის ფასი საკმაოდ მაღალია, რამდენადაც იგი საწარმოს მფლობელს, ხელმძღვანელს მძლავრ კონკურენციულ უპირატესობას ანიჭებს.

თემა 3. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი

3.1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა კომპლექსური ცნებაა, რომელიც საწარმოს ფინანსური რესურსების არსებობის, განლაგებისა და გამოყენების ამსახველ მაჩვენებელთა ერთობლიობით შეგვიძლია დავახასიათოთ.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ამოცანებია:

1. ფინანსური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და საწარმოს ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების მიზნით მიმართული კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება.
2. სამეურნეო საქმიანობის, საკუთარი და ნასესხები რესურსების არსებობიდან გამომდინარე ეკონომიკური რენტაბელობის შესაძლო ფინანსური შედეგების პროგნოზირება.
3. საწარმოს ფინანსურ საქმიანობაში წაკლოვანებების თავისდროული გამოვლენა და მათი დაძლევა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის არსებობს მაჩვენებელთა მთელი სისტემა, რომელიც ახასიათებს:

- კაპიტალის სიდიდეს და განლაგებას, კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობას;
- საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურების ოპტიმალურობას, საწარმოს ფინანსურ დამოუკიდებლობას;
- საწარმოს გადახდისუნარიანობას და საინვესტიციო მიმზიდველობას;
- საწარმოს გაკოტრების რიკს.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ძირითადად ხორციელდება შეფარდებითი მაჩვენებლების დახმარებით, რამდენადაც ინფლაციის პირობებში ძალიან რთული არის ბალანსის აბსოლუტური მაჩვენებლები შესადარისი სახით წარმოჩინდეს.

საწარმოს განკარგულებაში არსებული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლის მიზნით საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას აკვირდებიან არა მარტო საწარმოს ხელმძღვანელები და შესაბამისი სამსახურები, ასევე მისი დამფუძნებლები, ინვესტორები; ბანკები – დაკრედიტების პირობების შეფასებისა და რისკის ხარისხის განსაზღვრის მიზნით; მომწოდებლები – გადასახდელების თავისდროულად მიღების კუთხით; საგადასახადო სამსახურები კი ბიუჯეტში შემოსულობების მიღების გეგმის შესრულების მიზნით და ა.შ.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის ინფორმაციის ძირითადი წყაროს წარმოადგენს:

1. წლიური ბუღალტრული ანგარიშგება, რომელიც საწარმოს ბალანსისა და ბალანსის დანართის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი;
2. განმარტებითი ბარათი;
3. ბირჟელადი და ანალიტიკური ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები, რომლე-ბიც სრულად გაშიფრავენ და დეტალურად წარმოადგენენ საწარმოს ბალანსის ცალკეულ სტატიებს.

საწარმოს ქონების დინამიკის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გაკეთდეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი დასკვნები, რაც აუცილებელია როგორც მიმდინარე სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისათვის, ისე პერსპექტივაში მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. მაგალითად, საანგარიშგებო პერიოდში ბალანსის ვალუტის (აბსოლუტურ გამოხატულებაში) შემცირება ადასტურებს ორგანიზაციის მიერ სამეურნეო ბრუნვის შემცირებას, რამაც შესაძლოა საწარმოს გადახდისუუნაროება გამოიწვიოს. სამეურნეო საქმიანობის შემცირების (შეწყვეტის) ფაქტის დადგენა ამ ფაქტის გამომწვევი მიზეზების დადგენას და დეტალურ ანალიზს გულისხმობს; კერძოდ, რატომ მოხდა:

– საწარმოს საქონელზე, სამუშაოებზე, მომსახურებაზე გადახდისუნარიანი მო-თხოვნის შემცირება;
– ნედლეულის, მასალების და ა. შ. ბაზარზე შეღწევის შეზღუდვა.

ქონების მატების გაანალიზების დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ ძირითადი ფონდების გადაფასების პროცესის მიმდინარეობა. კიდევ უფრო რთულია ინფლაციის გაელენის გათვალისწინება. მაგრამ სპეციალური კორექტირების გარეშე გართულდება დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, ვალუტის ზრდა მზა პროდუქციის გაძვირების ლოგიკური შედეგია, ან თუ ეს პროცესი ინფლაციის ზეგავლენის ქვეშ მყოფი საქონელის, მომსახურების გაძვირების შედეგს წარმოადგენს, ის საშეურნეო საქმიანო-ბის არსებით გაფართოებას გვიჩვენებს.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურისა და დინამიკის კვლევა შედარებითი ანალიტიკური სალანსის დახმარებით უნდა განხორციელდეს (იხ. ცხრილი 3.1-1).

ცხრილი № 6

შედარებითი ანალიტიკური ბალანსი საანგარიშგებო პერიოდში

სტატიები ან აგრეგირებული მაჩვენებლები ბალანსის მიხედვით	აბსოლუტური სიდიდე, ათ. ლარში		ხვედრ. წონა %		ცვლილებები (+, -)			
	წლის დასაწ.	წლის ბოლო	წლის დასაწ.	წლის ბოლო	აბსოლუტ. სიდიდით	ხვედრ. წონ-ით	წლის დასაწყ. სიდიდის %	ბალანსის შეცვლა-ზეგავლენის ტიპი %
1	2	3	4	5	6	7	8	9
1.არამიმდინარე აქტივები								
2. საბრუნავი აქტივები, მათ შორის:								

- მარაგები								
- დებიტორული დავალიანება								
ფულადი სახ. და მოკლევადიანი ფინ. დაბანდება								
- სხვა საბრუნავი აქტივები								
ბალანსი								
3. კაპიტალი და რეზერვები								
4. გრძელვადიანი ვალდებულება								
5. მოკლევადიანი ვალდებულებები მათ შორის:								
- მოკლევადიანი კრედიტები								
კრედიტორული დავალიანება								
- მომავალი პერ. ის. შემოსავლები								
ბალანსი								

შედარებითი ბალანსი სასარგებლოა იმით, რომ მას ერთიანობაში მოჰყავს და სისტემატიზირებას უკეთებს იმ გაანგარიშებებს, რომლებსაც ბალანსის გაცნობის დროს ანალიზს უკეთებს ანალიტიკოსი. ანალიტიკური ბალანსის სქემით საწარმოს სტატიკური და დინამიკური ფინანსური მდგომარეობის მრავალი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არის მოცემული.

შედარებითი ბალანსი ფაქტიურად მოიცავს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ანალიზის მაჩვენებლებს. აბსოლუტური საბალანსო მაჩვენებლები და მათი ხვედრითი

სიდიდე ზრდის (შემცირების) შედარებითი ტემპებით ივსება. ბალანსში სტატიის ხვედრითი წონის დინამიკაში მოვემა შესაძლებლობას იძლევა თვალი მივადევნოთ და პროგნოზირება გაუკეთოთ სტრუქტურულ ცვლილებებს აქტივებისა და მათი დაფარვის წყაროების შემადგენლობაში.

შედარებითი ბალანსის მაჩვენებლები სამ ჯგუფად უნდა დაიყოს:

- სტრუქტურის მაჩვენებლები (გრაფა 2-5)
- დინამიკის მაჩვენებლები (გრაფა 6, 8)
- ბალანსის სტრუქტურული დინამიკის მაჩვენებლები (გრაფა 7, 9)

უკანასკნელი მოთხოვნა შესაძლებლობას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ ძირითადად რომელი წყაროებიდან მოხდა ახალი საშუალებების მოდინება და ეს საშუალებები ძირითადად რომელ აქტივებში იქნა დაბანდებული. ამისათვის კი ორი მაჩვენებლიდან პოულობენ სტრუქტურული ცვლილებების ზრდის ტემპის საშუალებათა წყაროებს (გრაფა № 9).

$$MAX\left\{\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ორგანიზაციის აქტივი}};\ \frac{\text{ნასესხები კაპიტალი}}{\text{ორგანიზაციის აქტივი}}\right\}.$$

შემდეგ ქონების (საბრუნავ და არასაბრუნავ საშუალებები) სახეს განსაზღვრავენ, რომელთა მატებაზე მეტწილად მიმართული იქნა წყაროების ზრდა. მაქსიმალურ მნიშვნელობას შემდეგი ფორმულით ითვლიან:

$$MAX\left\{\frac{\text{არასაბრუნავი აქტივი}}{\text{ორგანიზაციის აქტივი}};\ \frac{\text{საბრუნავი აქტივი}}{\text{ორგანიზაციის აქტივი}}\right\}.$$

შედარებითი ანალიტიური ბალანსის აგების შემდეგ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საერთო შეფასების მისაღებად ქონების ცვლილებას სამეურნეო საქმიანობის ფინანსური შედეგების ცვლილებასთან, კერძოდ, კი, მაგალითად, გაყიდვებიდან ამონაგებთან, გადასახადებით დაბეგვრამდე მოგებასთან ადარებენ.

ამ მაჩვენებლების დინამიკაში შეფასებით, აუცილებელია ერთმანეთს შეუდარდეს მათი ცვლილების ტემპები (ტ). ოპტიმალურს წარმოადგენს ტემპების შემდეგი თანაფარდობა, რომელიც მაჩვენებლების ურთიერთკავშირს ემყარება:

$$Т_{\text{მოგება}} > Т_{\text{ამონაგებიდან}} > Т_{\text{ქონებიდან}} > 100\%,$$

სადაც

$Т_{\text{მოგება}}$ – მოგების ზრდის ტემპი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე;

$Т_{\text{ამონაგებიდან}}$ – გაყიდვიდან ამონაგების მოცულობის ცვლილების ტემპი;

$Т_{\text{ქონებიდან}}$ – ქონების ცვლილების ტემპი.

წარმოდგენილი თანაფარდობა შეიძლება ნიშნავდეს, რომ:

1. საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი მცირდება (იზრდება);
2. საწარმოს რესურსები გამოიყენება ეფექტიანად (არაეფექტიანად);
3. საწარმო მუშაობს მომგებიანად(ზარალით), აღინიშნება წარმოების ხარჯების ზრდა (შემცირება).

შემდეგ ეტაპზე ხორციელდება საწარმოს აქტივებისა და პასივების ანალიზი.

ბალანსის აქტივის ანალიზი მოწოდებულია უპასუხოს კითხვას, რას ფლობს საწარმო, ასევე, გავერკვეთ იმ ცვლილებებში, რომელიც ქონების შემადგენლობაში და სტრუქტურაში მიმდინარეობს.

ბუღალტრული ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების, ასევე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბუღალტრული აღრიცხვის კონცეფციის თანახმად აქტივებად ითვლება ის სამეურნეო საშუალებები, რომელზეც ორგანიზაციამ კონტროლი განახორციელა მის მიერ შესრულებული სამეურნეო საქმიანობის შედეგად და რომელმაც მომავალში ეკონომიკური სარგებელი უნდა მოუტანოს მას.

საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული აქტივებში ფინანსური რესურსების დაბანდების მდგომარეობაზე. აქტივების ოპტიმალური შემადგენლობა და სტრუქტურა, ასევე, მართვის სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის არჩევა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ამასთან, მარაგების და ლიკვიდური საშუალებების შემცირებამ შეიძლება მიგვიყვანოს გადახდისუუნაროობის მაღალ რისკთან და საჭიროებრუნვის მოცულობის შემცირებისთან, ამიტომ მიმდინარე აქტივების მართვის ხარისხი იმაში მდგომარეობს, რომ საწარმოს გააჩნდეს მხოლოდ მინიმალურად აუცილებელი ოდენობის ნაღდი ფული, მატერიალური მარაგები და ფულადი საშუალებები საბანკო ანგარიშებზე.

ბალანსის აქტივი ასახავს საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკას, ე.ი. მისი ფინანსური რესურსების დაბანდების პოლიტიკას ძირითად საშუალებებში, მარაგებში, ფულად საშუალებებში და ა.შ. საინვესტიციო პოლიტიკა ბუღრად არის დამოკიდებულია საწარმოს დარგობრივ კუთვნილებაზე, საწარმოს საქმიანობის სახეზე, წარმოების მოცულობაზე და სხვა ფაქტორებზე. მაგალითად, მრეწველობის საწარმოებში ავანსირებული კაპიტალის 80% მოდის ძირითად საშუალებებზე, მომსახურების სფეროს საწარმოებში კი იგი 15-20 %-ს აღწევს. ზოგიერთი ეკონომისტი მობილურ და არამობილურ საშუალებებს შორის ოპტიმალური თანაფარდობად თვლის ისეთ თანაფარდობას, როცა ისინი დაახლოებით თანაბარია. საწარმოს დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით მობილური საშუალებების წილის ოპტიმალური მნიშვნელობა 40-60 %-ის დიაპაზონში იმყოფება. თვით თანაფარდობის დინამიკის შეფასების დროს დადებითად ითვლება იმობილიზებულ საშუალებებთან შედარებით მობილური საშუალებების უფრო სწრაფი ზრდა.

საწარმოს ბალანსის აქტივების შეფასებისათვის შეიძლება

გამოყიყენოთ რიგი ანალიტიკური ცხრილები, კერძოდ, სამეურნეო საშუალებების შემადგენლობის და სტრუქტურის ცხრილი და ქონების საერთო მოცულობის და დინამიკის ცხრილი. (იხ. ცხრილები 3.1.-2, 3.1-3).

ბალანსის სტრუქტურაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის მობილურ საშუალებებს; მათი ჩამოყალიბების წყაროს მიხედვით ისინი შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: ცვლადი ნაწილი, რომელიც მოკლევადიანი დავალიანების ხარჯზე ყალიბდება, და მუდმივი მინიმუმი (წმინდა მობილური საშუალებები), რომლებიც მუდმივი კაპიტალის, ე.ი. გრძელვადიანი ნასესხები კაპიტალის და საკუთარი კაპიტალის ნაწილი, ხარჯზე ყალიბდება.

სასურველად ითვლება, რომ მობილური საშუალებების ჯამი მინიმუმ ორჯერ მაინც აღემატებოდეს მოკლევადიან დავალიანებას.

მობილური საშუალებების არასაკმარისობამ შეიძლება მიმდინარე ოპერაციების მიხედვით გადახდების შეფერხებამდე მიგვიყვანოს და ამან, საბოლოო ჯამში, საწარმოს გადახდისუნარიანობის შემცირებაც კი განაპირობოს. ამასთან, მობილური საშუალებების სიჭარბის არსებობისას ისინი მცირე ეფექტით გამოიყენება. ამიტომაც საწარმოში მობილური საშუალებები ოპტიმალური მოთხოვნების ფარგლებში უნდა იყოს.

ცხრილი 3.1-2.

სამეურნეო საშუალებების შემადგენლობა და სტრუქტურა

მაჩვენებლები	წლის დასაწყის.	წლის ბოლოს	% წლის დასაწყის.
მთლიანად ქონება მათ შორის:			
I. არაბრუნვადი აქტივები ქონებასთან მიმართებაში მათ შორის:			

1.1. არამატერიალური აქტივი			
1.2. მირითადი საშუალებები			
საწარმოს ქონებასთან (%-ობით)			
საწარმოს არაბრუნვად აქტივებთან (%-ობით)			
1.3. გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებები			
- ქონებასთან (%-ობით)			
არაბრუნვად აქტივებთან (%-ობით)			
2. მატერიალური აქტივები			
- ქონებასთან (%-ობით)			
- საბრუნავ აქტივებთან (%-ობით)			
2.2.დებიტორული დავალიანება (12 თვეზე მეტი)			
-2.3.დებიტორული დავალიანება (12 თვემდე)			
- ქონებასთან (%-ობით)			
საბრუნავ აქტივებთან (%-ობით)			
2.4. ფულადი სამუალებები			
- ქონებასთან (%-ობით)			
- საბრუნავ აქტივებთან (%-ობით)			
სხვა საბრუნავი აქტივები			

საბრუნავი საშუალებების სტრუქტურის ოპტიმალური შეფასებისათვის (იხ. ცხრ. 3.1-3) შეიძლება ლიკვიდურობის კოეფიციენტის მონაცემებით ვისარგებლოთ.

ლიკვიდურების კოეფიციენტის ნორმატივებიდან გამომდინარე, ცალკეული საბრუნავი საშუალებების ხვედრითი წონა უნდა აღწევდეს:

- საბრუნავი სამუალებები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები - 10 %;
- დებიტორული დავალიანება - 22-25 %;
- მატერიალური მარაგები - 65-68 % (100-25 ან 100-32).

ცხრილი 3.1-3.

ქონების საერთო მოცულობის და დინამიკის ანალიზი

საანგარ. პერიოდი	ქონება მთლიანად ათას. ლარებში	მათ შორის				ზრდის საბაზისო ტემპები		
		არაბრუნვადი აქტივები		ბრუნვადი აქტივები		ქონება	არაბრუნვადი აქტივები	ბრუნვადი აქტივები
		ჯამი ათას. ლარში	ხვედრითი წონა %-ში	ჯამი ათას. ლარში	ხვედრითი წონა %-ში			

მრავალი ეკონომისტი თვლის, რომ ბუნებაში არ არსებობს საწარმოს საბრუნავი საშუალებების რაიმე სახის მქონე ოპტიმალური სტრუქტურა. ამდენად, საწარმოს საბრუნავი საშუალებების სტრუქტურა დამოკიდებულია არა მხოლოდ საწარმოს დარგობრივ კუთვნილებაზე, საწარმოს სპეციალიზაციაზე და სხვ. ფაქტორებზე, არამედ, ასევე საწარმოს საქმიანობის ამა თუ იმ პერიოდის კონკრეტულ პირობებზე.

ქონების ანალიზის დამამთავრებელ ეტაპზე ხორციელდება მათი განლაგების სიხშირის შეფასება. ამ მიზნით ამოწმებენ შემდეგ თანაფარდობის რეალობას:

არაბრუნვადი აქტივები = (საკ. კაპიტალი - საკ.საბრუნავი საშუალებები) + გრძელვადიანი აქტივები;

საბრუნავი კაპიტალი = საკუთარი საბრუნავი საშუალებები + + მოკლევადიანი აქტივები;

მატერიალური მარაგები = საკუთარი საბრ. საშუალებები +
+ კრედიტული დავალიანება + მოკლევადიანი ნასესხები
საშუალებები

აქტივების სტრუქტურის შეფასების გვერდით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის აუცილებელია საწარმოს ქონებაში დაბადებული საკუთარი და ნასესხები საშუალებების წყაროების გაანალიზება, კრედიტორებზე საწარმოს დამოუკიდებლობის ხარისხის და გარე ინვესტორების ანალიზი.

საშუალებების წყაროების სტრუქტურის შეფასებას ბუღალტრული ინფორმაციის როგორც მიდა, ისე გარე მომხმარებლები ახორციელებენ. ეს საშუალებას იძლევა უპასუხოთ კითხვას - სად ჩავდოთ რესურსები: პირიობად საშუალებებში და სხვა არაბრუნვად აქტივებში, თუ საბრუნავ საშუალებებში.

ისევე, როგორც ბალანსის აქტივების ანალიზის დროს, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია შევადგინოთ ბალანსის პასივების შეფასების ცხრილი (იხ. ცხრილი 3.1-4.)

ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობის ერთიანი ნორმატივი არ არსებობს, მაგრამ მრავალი მკვლევარი თვლის, რომ კაპიტალის საერთო მოცულობაში საკუთარი კაპიტალის წილი 60 % -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ნასესხები კაპიტალის შედარებით მაღალი დონე შესაძლოა ჰქონდეს საბრუნავი საშუალებების მაღალი ბრუნვადობის მქონე საწარმოებს.

სავაჭრო ორგანიზაციების აბსოლუტურ უმრავლესობაში ნასესხები საშუალებების წყაროებიდან უპირატესი არის კრედიტორული დავალიანება. საშუალებათა წყაროების ასეთი სტრუქტურა ტიპურია იმ საწარმოთათვის, რომელნიც სესხებზე მაღალი პროცენტის გადახდის ოავის არიდების მიზნით ბანკის სესხს არ იყენებენ.

ფინანსური რესურსების შემადგენლობა და სტრუქტურა, მათი მართვის სტრატეგიისა და ტაქტიკის მართებული შერჩევა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საწარმოს საკუთარი რესურსების და, უპირველეს ყოვლისა, მოგების ზრდა შესაძლებლობას იძლევა დაფინანსდეს როგორც მისი მიმდინარე საქმიანობა, ისე კაპიტალური დანახარჯები.

ცხრილი 3.1-4.

ქონების ფორმირების წყაროების შემადგენლობა და
სტრუქტურა

მაჩვენებლები, ათას ლარებში	წლის დასაწყ.	წლის ბოლოსთვის	გადახრა	ზრდის ტემპი, %
საშუალებათა წყაროები მთლიანად				
მათ შორის 1.საკუთარი				
- პროცენტულად ყველა წყაროსთან მათ შორის				
1.1. საწესდებო კაპიტალი				
- პროცენტულად ყველა წყაროსთან				
- პროცენტულად საკუთართან				
1.2. დამატებითი კაპიტალი				
- პროცენტულად ყველა წყაროსთან				
- პროცენტულად საკუთართან				
1.3. სარეზერვო კაპიტალი				
- პროცენტულად ყველა წყაროსთან				
- პროცენტულად საკუთართან				

გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)				
- პროცენტულად ყველა წყაროსთან				
- პროცენტულად საკუთარ წყაროსთან				
2. ნასესხები				
-პროცენტულად ყველა წყაროსთან				
მათ შორის 2.1. გრძელვადიანი ვალდებულება				
2.2. მოკლევადიანი კრედიტები				
2.3. საკრედიტო დავალიანება				
- პროცენტულად ყველა წყაროსთან				
- პროცენტულად ნასესხებთან				
2.4. მომავალი პერიოდის შემოსავლები				
- პროცენტულად ყველა წყაროსთან				
- პროცენტულად ნასესხებთან				

საწარმოს ბალანსის ლიკვიდურობის ანალიზის არსი პასივების ვალდებულებებთან ლიკვიდურობის ხარისხისა და გასვლის წესის თანმიმდევრობის მიხედვით დაჯგუფებული აქტივების საშუალებების შედარებით მათი დაფარვის ვადისა და ზრდის თანმიმდევრობის ვადების შედარებაში მდგომარეობს. თუ ასეთი შედარების დროს აქტივების ნაწილი იძლევა იმ რაოდენობის თანხას, რაც საკმარისია ვალდებულების დასაფარავად, მაშინ ბალანსი ითვლება ლიკვიდურად, საწარმო კი – გადახდისუნარიანად.

აქტივების ფულად საშუალებებში გარდაქმნის სისწრაფის მიხედვით საწარმოს ბალანსის მონაცემებს წინასწარ სხვადასხვა ჯგუფებად ჰყოფენ.

ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით საწარმოს აქტივები ოთხ ჯგუფად იყოფა (იხ. ცხრილი 3.1-5.).

ცხრილი 3.1-5.

საწარმოს აქტივების ჯგუფები ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით

აქტივების ჯგუფები	განმარტება	მონაცემების წყაროები
ა1 - ყველაზე ლიკვიდური აქტივები (მიმდინარე სარისხოვანი ლიკვიდური საშუალებები)	საწარმოს ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები	
ა2 - სწრაფად რეალიზებადი (ადვილად კორექტირებადი) აქტივები	დებიტორული დავალიანება და სხვა აქტივები. ჯგუფის შედგენა მარაგების, ფულადი საშუალებების და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებების შეორე განყოფილების შედეგებიდან, ასევე, დაფარვის 12 თვეზე ნაკლები ვადის მქონე დებიტორული დავალიანებიდან	
ა3 - საშუალოდ რეალიზებადი აქტივები (სუსტად) რეალიზებადი აქტივები	"მარაგების" სტრიქონი, "მომავალი პერიოდის ხარჯების" გამოკლებით, პლუს შეძენილ ფასეულობაზე დამატებული ღირებულების ჯამასთან და, პლუს ხანგრძლივი დროის შემდეგ დაფარვის ვადის 12 თვეზე მეტი მქონე დებიტორული დავალიანება.	
ა4 - ძნელად რეალიზებადი (არალიკვიდური, ფიქსირებული) აქტივები	I აქტივის განყოფილების შედეგი	

მაშასადამე, პირველი სამი ჯგუფი წარმოადგენს მიმდინარე აქტივებს, ხოლო მეოთხე - მუდმივ აქტივებს.

ბალანსის პასივები მათი ანაზღაურების ვადიდან გამომდინარე ასევე ოთხ ჯგუფად იყოფა (იხ. ცხრილი 3.1-6):

ცხრილი 3.1-6.

პასივების ჯგუფები მათი ანაზღაურების სისწრაფის მიხედვით

აქტივების ჯგუფი	განმარტება	მოწაცემების წყაროები
პ-1 ყველაზე სასწრაფო ვალდებულება	კრედიტორული დავალიანება და სხვა პასივები პასივის V განყოფილებიდან	
პ-2 მოკლევადიანი პასივები	მოკლევადიანი კრედიტები და სესხები	
პ-2 გრძელვადიანი პასივები	გრძელვადიანი კრედიტები და სესხები	
პ-4 მუდმივი პასივები	III პასივის განყოფილების შედეგი. ასევე პასივის V განყოფილების სტატიები	

ბალანსის ლიკვიდურობის განსაზღვრისათვის აქტივების ჯგუფის შედეგები შედარებული უნდა იქნეს პასივის ჯგუფის შედეგთან. ბალანსი აბსოლუტურად ლიკვიდურად ითვლება, თუ ადგილი აქვს შემდეგ თანაფარდობას:

$$А1 \leq П1$$

$$А2 \leq П2$$

$$А3 \leq П3$$

$$А4 \leq П4$$

თუ ერთ ან რამდენიმე უტოლობას ოპტიმალურ ვარიანტში

საპირისპირო ნიშანთან ნიშანი გააჩნია, მაშინ ბალანსის ლიკვიდურობა მეტ-ნაკლები ხარისხით განსხვავდება აბსოლუტურისგან.

ბალანსის ლიკვიდურობის შეფასების საკითხი, ლოგიკურია, შევსებული იქნეს ლიკვიდურობის კოეფიციენტის ანალიზით. ეკონომიკური აწალიზის თეორიაში და პრაქტიკაში ასხვავებენ აბსოლუტური ლიკვიდურობის, სწრაფი ლიკვიდურობის და მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტებს. ამასთან ყველა მათგანი შესაბამისი ხარისხით ასახავს სხვადასხვა ლიკვიდურობის აქტივებით მიმდინარე ვალდებულებების უზრუნველყოფას. (იხ. ცხრილი 3.1-7).

ცხრილი 3.1-7.

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

მაჩვენებლები	გაანგარიშების ფორმულა (შეფარდება)	მონაცემის წყაროები
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები მოკლევადიანი ვალდებულებები	
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	ფულადი საშუალებები, მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები და დებიტორული დავალიანება (12 თვის განმავლობაში) მოკლევადიანი ვალდებულებები	
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	საბრუნავი აქტივები მოკლევადიანი ვალდებულებები	

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ მოკლევადიანი დავალიანების რომელი ნაწილის დაფარვა შეუძლია საწარმოს უახლოეს პერიოდში. ყველაზე ლიკვიდურ აქტივებში მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების ჩართვა გულისხმობს, რომ ეს უკანასკნელი შესაძლოა სწრაფად და

დამატებითი ძალისხმევის გარეშე გადაიქცეს ფულად ანუ უკან მობრუნდეს. ამ მონაცემის ნორმალური შეზღუდვა 0,2-0,5 ფარგლებში მერყეობს.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი ასახავს დებიტორებთან თავისდროული გადახდის პირობის არსებობის დროს საწარმოს პროგნოზირებადი გადამხდელობის შესაძლებლობას. ამ კოეფიციენტის თეორიული მნიშვნელობა 0,7 – 0,8 დიაპაზონშია.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს არა მარტო დებიტორებთან თავისდროული ანგარიშსწორების და მზა პროდუქციის (საქონლის) ნორმალური რეალიზაციის პირობას, არამედ, ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში მატერიალური აქტივების სხვა ელემენტების გაყიდვით მის გადამხდელობის შესაძლებლობას. ამ კოეფიციენტისათვის ნორმალურად ითვლება 2,0-ის ტოლი მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ ლიკვიდურობის ყველა აღნიშნული კოეფიციენტიდან ოპ-ტიმალურად და მინიმალურად მისაღებად, უპირობო მნიშვნელობა მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტს გააჩნია; მისი მინიმალურად დასაშვები დონეა 1,0. როცა მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის სიდიდე 1-ზე ნაკლებია, ეს იმას ნიშნავს, რომ თავისი მიმდინარე ოპერაციებით საწარმო გადახდისუნარო არაა. თუ ის ჯერ არ გაკოტრებულა, ამ მდგომარეობას იგი უკვე უახლოვდება, რამდენადაც მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად იძულებულია გაყიდოს ძირითადი საშუალებები.

ზოგადად ლიკვიდურობის კოეფიციენტების მნიშვნელობა ერთხელ და სამუდამოდ უცვლელი არ არის; ამიტომაც ანალიზის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ საწარმოს ინდივიდუალური, დარგობრივი და გეოგრაფიული სპეციფიკიდან გამომდინარე ოპტიმალურად და მინიმალურად დაშვებული ლიკვიდურობის კოეფიციენტების მნიშვნელობა სწრაფად იცვლება. დაუშვათ, დაუმ-თავრებელი წარმოების

საბალანსო ნარჩენის ლიკვიდურობა ნიშნავს, რომ დაუმთავრებელი წარმოების მოცემული „შეკვრა" უახლოეს მომავალში მზა პროდუქციად წარმოსდგება, შემდგომ (გადატვირთვის ფაქტიდან გამომდინარე) დებიტორებთან ანგარიშსწორებაში აისახება და ბოლოს კი „ცოცხალ ფულად" გარდაიქმნება. ამიტომაც ფაქტია, რომ ოპტიმალურად და მინიმალურად დასაშვები ლიკვიდურობის კოეფიციენტების მნიშვნელობა დიდად არის დამოკიდებული კომპანიის საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლიობაზე. ასე მაგალითად, ხანგრძლივი ფინანსური ციკ-ლის დარგებში (მძიმე მანქანათმშენებლობა) მიმდინარე ლიკვიდურობის ოპტიმალური კოეფიციენტი, ბუნებრივია, მაღალი უნდა იყოს, ვიდრე, მაგალითად, საფეიქრო ან კვების მრეწველობის საწარმოებში, რამდენადაც რაც უფრო დიდია კაპიტალის წრებრუნვის პერიოდი, მით უფრო ხანგრძლივია „შუალედური" საბრუნავი აქტივების (წედლეულის და მასალების, დაუმთავრებელი წარმოების, მზა პროდუქციის, ანგარიშსწორებების) ფულად საშუალებებად გარდასახვა.

ასევე არანაკლები მნიშვნელობა გააჩნია საწარმოს სახელმწიფოებრივი კუთვნილების სპეციფიკას. მაგალითად, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სწრაფი ლიკვიდურობის მინიმალურად დასაშვებ მნიშვნელობად ითვლება 0,8. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (რუსეთი, ბელორუსი და ა.შ.) შედარებით დაბალი საგადასახადო დისციპლინის გამო დებიტორული დავალიანება უფრო ნაკლებადლიკვიდურია, ვიდრე დასავლეთის კომპანიებისათვის. მათთვის მთავარია - გაყიდონ, ბოლო ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში მთავარია გადატვირთულ საქონელზე ფულის მიღება. ამიტომაც დასავლეთთან შედარებით პოსტსაბჭოთა ქვეყნების საწარმოებში ფულად შემოსულობებში უმეტესი წილი წინასწარ გადახდაზე, ანუ ავანსირებაზე მოდის, ე.ი. აქტიური ანგარიშგების გვერდის ავლით მზა პროდუქციის ფულად საშუალებებში „კონვერტაციას" უჭირავს. ამიტომაც

სამართლიანია იმის მინიშნება, რომ ერთობლივ საბრუნავ აქტივებში დებიტორული დავალიანების უფრო დაბალი წილი სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტის მინიმალურად დასაშვები სიდიდის შედარებით დაბალ დონეს განსაზღვრავს.

აღნიშნულთან მიმართებაში საინტერესო სიტუაციაა საქართველოში: აქ თითქმის დაძლეულია დაბალი საგადასახადო დისციპლინა, ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად საბაზრო ეკონომიკის წესებს ემორჩილება და დებიტორული დავალიანება მეტად ლიკვიდურია. სწორედ ამის გამო, საბოლოო ჯამში, ვაწყდებით პარადოქსულ სიტუაციას - ლიკვიდურობის საკითხის რეალიზაციის და ან გაშლის პროცესი პოსტსაბჭოურ და დას. ევროპული მახასიათებლების დონეზე წარიმართება.

ამგვარად, ინდივიდუალური და დარგობრივი თავისებურებიდან გამომდინარე საწარმო თვითონ განსაზღვრავს ლიკვიდურობის კოეფიციენტების ოპტიმალურ (ნორმატიულ) მნიშვნელობას. ამ სიტუაციაში საწარმოს ფინანსური დეფიციტის დონე ლიკვიდურობის საანგარიშო კოეფიციენტის ნორმატიულ მნიშვნელობასთან შეპირისპირების გზით განისაზღვრება.

3.2. პოტენციური გაკოტრების შეფასება

საბჭოურ გეგმიან ეკონომიკაში ყველა სახის სამეურნეო-საფინანსო ხასიათის გადაწყვეტილება სახელმწიფო დონეზე განიხილებოდა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღებოდა; სამეურნეო ობიექტის ფინანსური არამდგრადობის დროს ფინანსური რესურსები ერთი სამეურნეო სუბიექტიდან მეორეზე უბრალოდ გადაინაწილდებოდა. დღეს, საბაზრო მეურნეობრიობის პირობებში, მეურნე სუბიექტები მოვალენი გახდნენ დამოუკიდებლად აგონ პასუხი თავიანთ ვალდებულებებზე.

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებამ საქონლის (მომსახურების) წარმოების, გასაღების და მოხმარების მარეგულირებელი პროცესების მექანიზმების წარმოშობა და ადეკვატური განვითარება გამოიწვია. ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების მოთხოვნებისა და გადახდისუნარიანი მოთხოვნის შესაბამისი წარმოების ოპტიმალური ინფრასტრუქტურის მიღწევა მოცემულ მომენტში ჩამოყალიბებული საბაზრო სიტუაციის მემვეობით ხორციელდება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის აზრი, რომ, ზოგადად, ეკონომიკის არათანაბარი განვითარება განიხილება როგორც ზოგადად კრიზისული სიტუაცია, მისი დაძლევა კი გაკოტრების მექანიზმის საშუალებით არის შესაძლებელი.

გაკოტრება წარმოადგენს კრიზისული მდგომარეობის უკიდურეს ფორმას, როცა საწარმოს არ ძალუძს შემოსავლების საკუთარი წყაროების ხარჯზე გადაიხადოს თავისი დავალიანება და გადახდისუნარიანი გახდეს (იყოს). ამდენად, თავისი არსით გაკოტრება საწარმოს კრიზისული მდგომარეობის შედეგის ამსახველია და კაპიტალის გადანაწილების საბაზრო ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ლიტერატურაში არსებობს გაკოტრების მრავალი განმარტება, რომელთაგანაც ყველაზე საინტერესოა შემდეგი:

გაკოტრება - სიტყვა-სიტყვით „გატეხილი მაგიდის“ ცნებას უკავშირდება. იგი ლათინური სიტყვების „bankus“ (მაგიდა) და „ruptus“ (გატეხილი) ლოგიკური ერთიანობაა. საინტერესოა თვით ამ ტერმინის წარმოშობის წინასისტორია: თავდაპირველად ბანკი ეწოდებოდა ხალხმრავალ ადგილებში დადგმულ მაგიდას, სადაც ფორმდებოდა გარიგებები და დოკუმენტები. არასასურველი შედეგის ან ზარალის მიღების შემთხვევაში ეს პირები უბრალოდ ამტვრევდნენ მაგიდას. ამრიგად „გაკოტრების“ ცნება „გატეხილი მაგიდის“ ცნებას უკავშირდება.

დღეს გაკოტრების ცნება დაზუსტებული და დაკანონებულია როგორც სამოქალაქო სამართალში, ისე ეკონომიურ ლიტერატურაში, ოღონდ აქ გარკვეული „შემოქმედებითი“ ინტერპრეტაციას აქვს ადგილი.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოების სამართალში გაკოტრება არის ფიზიკური ან იურიდიული პირის (კომპანიის, ფირმის) უარი – კრედიტორებს გადაუხადოს თავისი საკმარისი ვალდებულება საშუალებების არქონის მოტივით. ამასთან, საზღვარგარეთის ქვეყნების საბაროალში „გაკოტრების" ტერმინს ვიწრო, მკაცრად სპეციალური მნიშვნელობა გააჩნია; იგი სრულად აღწერს უუნაროობის კერძო შემთხვევებს, როცა გადახდისუუნარო მოვალე კრედიტორების ზარალისმომტან, დანაშაულებრივ (დასჯად) ქმედებას სჩადის.

ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ გაკოტრება ფორმალური წესით დადგენილი და აღიარებული ვალების და გადასახდელების გადახდის უუნაროობა. ამასთან, გაკოტრება არის ფულადი საშუალებების არქონის გამო მოვალის შეუძლებლობა, გადაიხადოს თავისი ვალდებულებები და დააბრუნოს ვალი. გაკოტრების განმარტება მორგებულად არის გადმოცემული რუსი ეკონომისტის ნ. ბრესლავცევის წიგნში – „ორგანიზაციის გაკოტრება: ძირითადი დებულებები, ბუღალტრული აღრიცხვა"; გაკოტრება არის კრედიტორსა და მოვალეს შორის წარმოშობილი კონფლიქტის გადაწყვეტის ცივილური ფორმა, რომელიც განსაზღვრული ზომით შესაძლებლობას იძლევა დაცული იქნეს ორივეს ინტერესი, რამდენადაც გაკოტრების პროცედურის დამთავრების შემდეგ ყოფილი მოვალე მისი ბიზნესის „ჩაბირვის" გამო ვალდებულებებისგან თავისუფლდება, და მას კვლავ უჩნდება მეწარმეობის შესაძლებლობა, ხოლო კრედიტორს, თავის მხრივ, დახარჯული საშუალებების ნაწილს ღებულობს.

საქართველოს კანონმდებლობაში გაკოტრება უუნაროობის სინონიმია. ჩვენს ქვეყანაში გაკოტრების საკითხი დღის წესრიგში 1992 წლიდან დადგა და სამეურნეო პრაქტიკაში მისი გამოყენების მცდელობა სათავეს სწორედ აქედან იღებს; ამ დროს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი

„საწარმოთა გაკოტრების შესახებ". 1996 წელს კი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ", რომელიც ძალაში 1997 წლის 1 იანვრიდან შევიდა და მიზნად გაკოტრების მექანიზმისა და შესაბამისი ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნას ისახავდა. აღნიშნულ კანონში 2001 წლის 10 აპრილიდან მეტანილ იქნა ცვლილებები – შეიცვალა გაკოტრების წარმოების პროცედურა, ფინანსური სიმნელეების მქონე ანუ წარუმატებელი საწარმოების რეგულირების მექანიზმი. აღნიშნული კანონის თანახმად საწარმოებს საშუალება ეძლევათ გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა მაშინაც კი, როცა მათ მიმართ გაკოტრების პროცე-დურა ხორციელდება.

ამრიგად, გაკოტრება მეურნეობრიობის ერთ-ერთი ელემენტია. მას, ისევე როგორც ყველა სხვა ეკონომიკურ მოვლენას, დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. ამასთან, თვით გაკოტრების დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა სახელმწიფოს, კრედიტორების და მოვალეების მხრიდან შესაძლებელი მოცემულობაა და, ამავე დროს, მთლიანობაში ძალზე ღირებულია.

გაკოტრების პროცესის დადებითი მხარე ნათლად ჩანს სახელმწიფოს გადასახე-დიდან: გაკოტრების შედეგად მოვალე საწარმოს ლიკვიდაციითა და კრედიტორებისათვის ვალის დაბრუნებით კრედიტორის საკითხი გადაწყდება (ან წყდება), იქმნება ახალი ბიზნესი, ხოლო თვით საწარმოს რესტრუქტურიზაციით და ფინანსური მდგრადობის აღდგენით კრედიტორები კმაყოფილი რჩებიან. გაკოტრების დადებით მომენტებად დამატებით შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამ დროს თავისი მოვალეობის (ვერ)შემსრულებლის ხელმძღვანელობა პროფესიონალური ხელმძღვანელებით იცვლება; ხდება უფრო საიმედო ხელში ბიზნესის გადაცემა და, პირიქით, აშკარაა გაკოტრების პროცესის უარყოფითი

მხარეც. გაკოტრების დროს მცირდება სამუშაო ადგილები და უარესდება მუშაკთა სოციალური ცხოვრება, კრედიტორებს ბიზნესის ნაწილი ეკარგებათ, ხოლო მოვალენი შემდეგი, ახალი გაკოტრების წარმოშობის წინაშე დგებიან. უარყოფით მომენტებს დამატებით მიეკუთვნება ახალი გაკოტრების წარმოშობის საშიშროება; სამომხმარებლო ბაზრის შეკვეცა; საკუთრების გადაცემასთან და ქონების განაწილებასთან, მათ შორის სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების საწარმოთა მნიშვნელოვანი წილის მქონე ორგანიზაციებთან დაკავშირებული კრიმინალური გაკოტრების ალბათობის წარმოშობის შესაძლებლობა.

ნებისმიერი საწარმოსათვის არასასურველი გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით იყენებენ ფინანსური ანალიზის მეთოდებს და წესებს, რომლებიც საშუალებას იძლევა თავისდროულად გამოავლინოს უუნარობის ნიშნები და შესაძლებლობის ფარგლებში პრევენცია გაუკეთოს მის ნეგატიურ შედეგებს. კომპანიის (ფირმის) ფინანსური მდგომარეობის შესწავლის პირველი ცდა ჯერ კიდევ XIX ს-ში ჩატარდა, როცა გამოყენებულ იქნა კრედიტუნარიანობის მაჩვენებელი. XX საუკუნიდან კი გამოყენებული იქნა ფინანსური კოეფიციენტი. დღეს აღნიშნული საკითხის შესწავლა ძალზე დაიხვეწა და საზღვარგარეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში მრავლად არის წარმოდგენილი საწარმოს სავარაუდო გაკოტრების რამდენიმე განსხვავებული მეთოდიკა და მათემატიკური მოდელი.

სავარაუდო გაკოტრების შეფასებისათვის საზღვარგარეთის კომპანიების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ყველაზე აღიარებული და მიღებულია ამერიკელი პროფესორების ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორის ე. ალტმანის და სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ვ. ბივერის მიერ შემუშავებული მოდელები.

კომპანიის (ფირმის) პოტენციური უუნარობის შეფასების

ალტმანის მოდელმა ასევე „ფორმულა Z-ანგარიში", ან „კრედიტუნარიანობის ინდექსის" სახელწოდება მიიძინა.

კომპანიის (ფირმის) გაკოტრების მოდელის აგებისას ე. ალტმანმა გამოიკვლია მრეწველობის 66 საწარმო, რომლის ნახევარი გაკოტრდა, მეორე ნახევარი კი წარმატებით მუშაობდა. მან შეიმუშავა შემდეგი გაანგარიშება

$$Z = 1{,}2K_{\text{საბრ.საქ.}} + 1{,}4\,K_{\text{გაუნაწილ.მოგ.}} + 3{,}3\,K_{\text{რენტ.}} + 0{,}6\,K_{\text{დაფარვ.}} + 1{,}0\,K_{\text{ეკონომ.}}$$

სადაც

$K_{\text{საბრ.საქ.}}$ არის საბრუნავის სამუალებების წილი აქტივებში (საკუთარი საბრუნავი საშუალებების (წმინდა საბრუნავი კაპიტალის) თანაფარდობა აქტივების ჯამთან);

$K_{\text{გაუნაწ.მოგ.}}$ – აქტივების რენტაბელობა, გაანგარიშებული გაუნაწილებელი მოგების მიხედვით ე.ი. გაუნაწილებელი მოგების შეფარდება აქტივების საერთო ჯამთან;

$K_{\text{რენტ.}}$ – აქტივების რენტაბელობა (აქტივების შემოსავლიანობის დონე, მოგების შეფარდება აქტივების ჯამთან);

$K_{\text{დაფარვ.}}$ – საკუთარი კაპიტალის დაფარვის კოეფიციენტი (საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი, ან აქციების საბაზრო ღირებულების შეფარდება ნასესხებ კაპიტალთან);

$K_{\text{ეკონომ.}}$ – ყველა აქტივების უკუგება (აქტივების ბრუნვადობა (ან ამონაგების თანაფარდობა აქტივების ჯამთან).

თუ გაანგარიშებების შემდეგ აღმოჩდება რომ „Z-ანგარიში" ტოლი ან ნაკლებია 1,8-ზე, მაშინ ამ საწარმოს გაკოტრების ალბათობა ძალიან მაღალია; „Z-ანგარიში"-ს 1,8-დან 2,7-მდე – ალბათობა მაღალია; 2,8-დან 2,9-მდე გაკოტრება შესაძლებელია; 3-დან და ზემოთ „Z-ანგარიში"-ს დროს გაკოტრების ალბათობა ძალიან დაბალი იქნება.

საწარმოს სავარაუდო გაკოტრების პროგნოზირების კოეფიციენტებთან შედარებით სტატისტიკური ხერხების უსარგებ-

ლობა პირველად უ. ბივერმა მიაღწია. მან ხუთწლიანი პერიოდის მანძილზე იმ კომპანიების ჯგუფისთვის, რომელთაგანაც ნახევარი გაკოტრებული იყო, 20 სხვადასხვა კოეფიციენტი გააანალიზა და 1966 წელს საზოგადოებას შესთავაზა სავარაუდო გაკოტრების შეფასების მოდელი, რაც ფირმის მომავალი სტატუსის შედარებით ზუსტი პროგნოზს იძლეოდა.

ბივერის მოდელი გამიზნული იყო ეჭვენებინა, თუ რომელი კოეფიციენტის გამოყენება შეიძლებოდა გაკოტრების პროგნოზირების შემთხვევაში და რამდენი წლით ადრე შეიძლებოდა პროგნოზირება. ბივერის სისტემა შემდეგ ინდიკატორებს მოიცავდა:

1. აქტივების რენტაბელობა;
2. წასესხები საშუალებების ხვედრითი წონა პასივებში;
3. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
4. წმინდა საბრუნავი კაპიტალის წილი აქტივებში;
5. ბივერის კოეფიციენტი (წასესხებ საშუალებებით წმინდა მოგების და ამორტიზაციის ჯამის შეფარდება).

ბივერის მოდელში ინდიკატორებისთვის გათვალისწინებული არ არის „წონიანი" კოეფიციენტები, იგი არც სავარაუდო გაკოტრების საბოლოო კოეფიციენტს ითვალისწინებს. ამ მოდელის მიხედვით, ბივერის მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების მნიშვნელობა შეუდარდება ფირმის სამი მდგომარეობის ნორმატიულ მნიშვნელობას მარჯვე და წარმატებული კომპანიისთვის, წლის განმავლობაში გაკოტრებული კომპანიისთვის და იმ კომპანიისთვის, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში გაკოტრდა. ბივერის მაჩვენებელთა სისტემა და გაკოტრებისათვის მათი მნიშვნელობა წარმოდგენილია ქვემოთ (იხ. ცხრილი 3.2-1).

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული მოდელები ხშირად გვხვდება და გაიხილება ეკონომიკურ ლიტერატურაში, იგი საქართველოს საწარმოების პოტენციური გაკოტრების

შეფასებისთვის ყოველთვის არ არის მისაღები. ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ აღნიშნულ მოდელებში გამოიყენება იმ ეკონომიკური პირობების შესაბამისი მუდმივი კოეფიციენტები, რომელნიც ჩამოყალიბდა აშშ-ში გასული საუკუნის 60-70 წლებში და მათში არ გაითვალისწინება ქვეყნის ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა.

ცხრილი 3.2-1.

გაკოტრების დიაგნოსტიკის უ. ბივერის მაჩვენებელთა სისტემა

მაჩვენებელი	გაანგარიშების ფორმულა	მაჩვენებელთა მნიშვნელობა		
		სასურველი	გაკოტრებამდე 5 წელი	გაკოტრებამდე 1 წელი
1.ბივერის კოეფიციენტი	წმინდა მოგება+ ამორტიზაცია / წასესხები საშუალებები	0,4 - 0,45	0,17	- 0,15
2. აქტივების რენტაბელობა (%)	მოგება/ზარალი / ბრუნვის დასაწყისიდან ბალანსის ვალუტა	6 - 8	4	- 22
3. ფინანსური ლევერიჯი (%)	წასესხები კაპიტალი / საკუთარი კაპიტალი	47 -ზე ნაკლები	50 - ზე ნაკლები	80 - ზე ნაკლები
4.საკუთარი საბრუნავი საშუალებებით საბრუნავი საშუალებების გადაფარვის კოეფიციენტი	საკუთარი საბრუნავი საშუალებები / საბრუნავი საშუალებების საერთო სიდიდე	0,4	0,3 - ზე ნაკლები	0,06 - ზე ნაკლები
5. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები / მოკლევადიანი ვალდებულებები	3,2 - ზე ნაკლები	2 - ზე ნაკლები	1 - ზე ნაკლები

ჩვენს ქვეყანაში XXI ს-ის დასაწყისში ჩამოყალიბებული და დღეს არსებული ფირმების (კომპანიების) დაკრედიტების პირობები და გადასახადებით მათი საქმიანობის დაბეგვრის სისტემა გაკოტრების საკითხის მიმართ რაღაც დოზით ლოიალურ დამოკიდებულებას ავლენს. გაკოტრების საკითხი როგორც თეორიული ისე პრაქტიკის კუთხით საქართველოში აუთვისებელია. აქ ამ მიმართულებით, მართალია, მიმდინარეობს გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოებია ჩასატარებელი. სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც შესაბამისი ინტერესით მიმდინარეობს ეკონომიკური სუბიექტების მეურნეობრიობის პირობების სავარაუდო უუნაროების შეფასების მოდელების შემუშავება.

გაკოტრების პროგნოზირების გზაზე პირველ საფეხურს წარმოადგენს ყველა საწარმოს დაჯგუფება კრედიტუნარიანობის კლასებად. ხოლო კრედიტუნარიანობის კლასებად გაანგარიშება წარმოებს მათი ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით. (იხ. ცხრილი 3.2-2).

ცხრილი 3.2-2.

კრედიტუნარიანობის კლასების მიხედვით საშრეწველო საწარმოების განაწილების კრიტერიუმების მნიშვნელობა

მაჩვენებლები	გაანგარიშების ფორმულა	მაჩვენებელთა მნიშვნელობა კლასების მიხედვით		
		1 კლასი	2 კლასი	3 კლასი
1. ნახესხები და საკუთარი სამუშაოების თანაფარდობა	ნასესხები საშუალებები/ საკუთარი საშუალებები	0,8-ზე ნაკლები	0,8-1,5	1,5-ზე მეტი
2. გაკოტრების ალბათობა (ალტმანის "Z-ანგარიში"	ნასესხები საშუალებები/ საკუთარი საშუალებები	3-ზე მეტი	1,5-3	1,5-ზე ნაკლები

3. დაფარვის საერთო კოეფიციენტი (მიმდინარე ლიკვიდურობა)	მიმდინარე აქტივები/ მოკლევადიანი ვალდებულება	2-ზე მეტი	1-2	1-ზე ნაკლები

- 1 კლასს მიეკუთვნება ის ფირმები, რომელთაც კარგი ფინანსური მდგომარეობა აქვთ. (ფინანსური მაჩვენებლები საშუალოდარგობრივზე მაღალია, კრედიტების დაუბრუნებადობის მინიმალური რისკი).
- 2 კლასს მიეკუთვნება დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობის საწარმოები. (მაჩვენებლები საშუალოდარგობრივ დონეზე არის, კრედიტების დაუბრუნებლობის ნორმალური რისკი).
- 3 კლასს მიეკუთვნება არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობის საწარმოები. (ფინანსური მაჩვენებლები საშუალოდარგობრივზე დაბალი არის, კრედიტების დაუბრუნებლობის მაღალი რისკი).

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ძალზე მიღებულია პოტენციური გაკოტრების საშიშარგარეთული მოდელებზე ადაპტაცია; შექმნილია გაკოტრების ექსპრესს-ანალიზის მოდელი, რომლის საფუძველშიც ჩადებულია რეიტინგული რიცხვის გაანგარიშება. რეიტინგულ რიცხვს ანგარიშობენ შემდეგი ფორმულით:

$$R = 2K_{ამუ} + K_{ბლ} + K_{ამი} + K_{ე} + K_{ბკრ}$$

სადაც

$K_{ამუ}$ საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტია;

$K_{ბლ}$ - მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი;

$K_{ამი}$ - ავანსირებული კაპიტალის ინტენსიობის კოეფიციენტი;

$K_{ე}$ - მენეჯმენტის კოეფიციენტი;

$K_{ბკრ}$ - საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი.

რეიტინგული რიცხვის ბაზაზე საწარმოს დიაგნოსტიკა სა-

მეალეებას არ იძლევა შეფასდეს გადახდისუუნაროობის ზონაში საწარმოს ჩავარდნის მიზეზები. ამას გარდა, რეიტინგული შეფასებისათვის გამოყენებული კოეფიციენტების ნორმატივები არ ითვალისწინებს საწარმოს დარგობრივ თავისებურებას.

საწარმოს შესაძლო გაკოტრების პროგნოზირებისათვის სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისთვის ხშირად გამოიყენება პირითად მაჩვენებელთა ერთობლიობა. მიღებულია, რომ გაანგარიშებული იქნეს: მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი, ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი, საწარმოს აქტივების საერთო ჯამში ვადაგასული ფინანსური ვალდებულებების წილი. შემდეგ უკვე ნორმატიულ მნიშვნელობებთან გაანგარიშებული მაჩვენებლების შედარებით აკეთებენ დასკვნას საწარმოს საქმიანობის, მათი ეფექტიანობასა და გამოსაკვლევი საწარმოს სავარაუდო გაკოტრების შესახებ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში რეკომენდებულია პოტენციური გაკოტრების შეფასების მეთოდად სკორინგული ანალიზის საფუძველზე ფინანსური მდგრადობის ინტეგრალური შეფასების გამოყენება. ამ მეთოდიკის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლის ფაქტიური დონისა და ექსპერტული შეფასების საფუძველზე გამოთვლილი რისკის ხარისხის მიხედვით საწარმოები კლასიფიცირდება ქულებში გამოხატული თითოეული მაჩვენებლის რეიტინგიდან გამომდინარე (იხ. ცხრილი 3.2-3).

ცხრილი 3.2-3.

საწარმოთა დაჯგუფება გადახდისუნარიანობის კლასის მიხედვით

მაჩვენებლები	გაანგარიშების ფორმულა ანას. ღირ.	გრიტერიუმის მიხედვით კლასების ზღვარი				
		1 კლასი	2 კლასი	3 კლასი	4 კლასი	5 კლასი
1. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მიმდ. აქტივები / მოკლევად. მოთხოვნა	2-30 -ზე ტოტი ქულა	1,98-1,7 -29,9-20 ქულა	1,69-1,4 – 19,9-10 ქულა	1,39-1,1 – 9,9-1 ქულ	1 - 0 ქულაზე ნაკლები
2. ფისანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	მიმდ. აქტივები / მოკლევად. მოთხოვნა	0,7-20 - -ზე მეტი ქულა	0,69-0,45 -19,9-10 ქულა	0,44 0,3 9,9-5 ქულა	0,29-0,2 – 4,9-1 ქულა	0,2 - 0 ქულაზე ნაკლები
3. პირობითი კაპიტალის რენტაბელობა, %	წმინდა მოგება / საკუთარი + ხანგრძლივი კაპიტალი	30 - 50 - -ზე მეტი ქულა	29,9-20 -49,9-35 ქულა	19,9-10 – 34,9-20 ქულა	9,9-1 – 19,9-5 ქულა	1 - 0 ქულაზე ნაკლები
კლასების ზღვრები		100 ქულა და მეტი	99 -დან 65-მდე ქულა	64-დან 35-მდე ქულა	34-დან 6-მდე ქულა	0 ქულა

წარმოდგენილი კლასების მიხედვით საწარმოები ხასიათდება:

- 1 კლასი - საწარმო ფინანსური აღრიცხვის კარგი უწარით, რაც საშუალებას იძლევა დარწმუნებული იყოს ნასესხები საშუალებების დაბრუნებაზე;
- მე-2 კლასს მიაკუთვნებენ იმ საწარმოს, რომელსაც დავალიანების რისკის გარკვეული დონე გააჩნია, მაგრამ ჯერ სარისკოდ არ განიხილავენ;
- მე-3 კლასის საწარმო არის პრობლემური საწარმო, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გაკოტრების ზღვარზე, მაგრამ განვითარების იმავე კურსის დროს გაკოტრება გარდაუვალია;
- მე-4 კლასის საწარმო არის ის, რომელიც ჩატარებული ფინანსური გაჯანსაღების შემდეგაც კი მაღალი რისკით ხასიათდება;

✦ მე-5 კლასის საწარმო უმაღლესი რისკის მქონე საწარმოა, რომელიც პრაქტიკულად უუნარობა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დამახასიათებელი მაჩვენებლების გაანგარიშების შემდეგ განსაზღვრავენ გადახდისუნარიანობის დონის იმ კლასს, რომელსაც საწარმო უნდა მიეკუთვნოს. შემდეგ აკეთებენ დასკვნას, იძლევიან ფინანსური მდგომარეობისა და გასაანალიზებელი პერიოდისათვის მისი ცვლილებების საერთო შეფასებას და არსებული არასასურველი ეკონომიკური სიტუაციიდან გამოსვლის რეკომენდაციებს.

პრაქტიკაში გამოიყენება საწარმოს პოტენციური გაკოტრების შეფასების სხვა სახის მეთოდიკაც, რომლის საფუძველში ჩადებულია „ბალანსის არადამაკმაყოფილებელი სტრუქტურა". ბალანსის არადამაკმაყოფილებელი სტრუქტურა არის მოვალის ქონებისა და ვალდებულებების მდგომარეობა, როცა მოვალის ქონების ლიკვიდურობის არასაკმარისობის დონის დროს კრედიტორების წინაშე ვალდებულებების თავისდროული შესრულება ქონების ხარჯზე შეუძლებელია. ამასთან, შესაძლოა ქონების საერთო ღირებულება მოვალის ვალდებულებების საერთო ჯამის ტოლი იყოს აწ მას აღემატებოდეს.

გადახდისუნარიანობის დონის მაჩვენებელი შედგება სამი ელემენტისაგან:

- მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი;
- გადახდისუნარიანობის აღდგენის (დაკარგვის) კოეფიციენტი.

ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ორგანიზაციის ბალანსის სტრუქტურა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევა, თვით ორგანიზაცია კი გადახდისუუნაროდ ჩაითვლება, როცა მასში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე ლიკვიდურობის დონე 2 - ზე დაბალია და საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი - 0,1 -ზე ნაკლები.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი K მლ ახასიათებს ორგანიზაციის ყველა საბრუნავი საშუალებით სასწრაფო ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტების და სესხების, ასევე კრედიტორული დავალიანების) ჯამის საერთო დაფარვის ხარისხს და განსაზღვრავს სამეურნეო საქმიანობის წარმართვისთვის და სწრაფი ვალდებულებების თავისდროული დაფარვისთვის საჭირო საბრუნავი საშუალებებით ორგანიზაციის საერთო უზრუნველყოფას.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც საბრუნავი საშუალების სახით ორგანიზაციაში სახეზე არსებული საწარმოო მარაგების, მზა პროდუქციის, ფულადი საშუალებების, დებიტორული დავალიანების და სხვა აქტივების თანაფარდობა მოკლევადიანი სესხებისა და სხვადასხვა კრედიტორული დავალიანების სახით არსებულ მის ყველაზე სწრაფ ვალდებულებებთან.

საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი K სსუ ორგანიზაციაში ფინანსური მდგომარეობისათვის აუცილებელად საჭირო საკუთარი საშუალებების არსებობას ახასიათებს. მას განსაზღვრავენ საკუთარი საშუალებების წყაროებისა და ძირითადი საშუალებებისა და სხვა არაბრუნვადი აქტივების ფაქტიური ღირებულების სხვაობის შეფარდებით საბრუნავი საშუალებების სახით წარმოდგენილი საწარმოო მარაგების, დაუმთავრებელი წარმოების, მზა პროდუქციის, ფულადი საშუალებების, დებიტორული დავალიანების და სხვა საბრუნავი საშუალებების სახეზე არსებულ ფაქტიურ ღირებულებასთან.

საწარმოს ბალანსის არადამაკმაყოფილებელი სტრუქტურის არსებობის დროს საწარმოს გადახდისუნარიანობის აღდგენის რეალური შესაძლებლობის შემოწმების მიზნით გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტი 6 თვის ვადით შემდეგი წესით გაიანგარიშება:

$$K_{\text{ორგან.}} = \frac{K_{\text{მიმდ. საანგ.პერიოდ ბოლოს}} + 6/д \times (K_{\text{მიმდ.საანგ.პერიოდ ბოლოს}} - K_{\text{მიმდ.საანგ.პერიოდ დასაწყისში}})}{2}$$

სადაც

$K_{\text{მიმდ. საანგ.პერიოდ ბოლოს}}$ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ფაქტიური მნიშვნელობაა;

$K_{\text{მიმდ.საანგ.პერიოდ დასწ}}$ – საანგარიშო პერიოდის დასაწყისში მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ფაქტიური მნიშვნელობა.

6 - გადახდისუნარიანობის აღდგენის პერიოდი თვეებში;

д - საანგარიშო დრო (პერიოდი) თვეებში;

2 - მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნელობა.

თუ გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, ორგანიზაციას უახლოეს 6 თვეში გადახდისუნარიანობის აღდგენის შესაძლებლობა არ გააჩნია; თუ გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტს 1-ზე მეტი მნიშვნელობა აქვს, ეს საწარმოს გადახდისუნარიანობის აღდგენის რეალურ შესაძლებლობას ადასტურებს.

ბალანსის სრულტურის შეფასებისთვის ეკონომიკურ ლიტერატურაში ძალზე ხშირად სარგებლობენ ქვემოთმოყვანილი ცხრილით (იხ. ცხრილი 3.2-4).

ცხრილი 3.2-4.

ბალანსის სრულტურის შეფასება (პირობითი)

მაჩვენებლები	წლის დასაწყის.	წლის ბოლოს	კოეფიციენტის ნორმა (K)	შესაძლო გადაწყვეტა (შეფასება)
1.მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (K)	-	1,174	>2	–
2.საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი (K)	0,148	0,146	>0,1	ბალანსის სტრუქტურა არადამაკმაყოფილებელია
ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტი (K)	–	0,58	> 1,0	ორგანიზაციას გადახდისუნარიანობის აღდგენის შესაძლებლობა უახლოეს დროში რეალურად არ გააჩნია
ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის დაკარგვის კოეფიციენტი (K)	–	–	–	

აღნიშნული სქემა – ცხრილი საწარმოს გაკოტრების მცდელობის გზაზე გარკვეულ ორიენტირს წარმოადგენს.

ბალანსის დამაკმაყოფილებელი სრტუქტურისას ($K_{\text{მლ}} > 2$ და $K_{\text{ჯსკ}} > 0,1$) ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის შემოწმების დროს ანგარიშობენ გადახდისუნარიანობის დაკარგვის კოეფიციენტს 3 თვის ვადით:

$$K_{\text{დაკარგ}} = \frac{K_{\text{მიმდ.საანგ.პერიოდ ბოლოს}} + 6/д\ (K_{\text{მიმდ.საანგ.პერიოდ ბოლოს}} - K_{\text{მიმდ.საანგ.პერიოდ დასაწყისში}})}{2}$$

სადაც 3 საანგარიშო პერიოდია თვეებში.

გადახდისუნარიანობის დაკარგვის კოეფიციენტის 1-ზე მეტობა ნიშნავს, რომ საწარმოს გააჩნია რეალური შესაძლებლობა არ დაკარგოს გადახდისუნარიანობა უახლოესი 3 თვეზე მეტ ვადაში.

თუ გადახდისუნარიანობას დაკარგვის კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, მაშინ ეს ადასტურებს იმას, რომ ორგანიზაციამ უახლოეს 3 თვეში შესაძლოა დაკარგოს გადახდისუნარიანობა.

3.3. ფინანსური პროგნოზირება

პროგნოზირება არსებული ტენდენციების საფუძველზე საწარმოს მომავალი მდგომარეობის განსაზღვრაა და ის განსხვავდება გეგმისაგან. გარესამყაროს ცვლილებების ტენდენციის გათვალისწინებით გადაწყვეტილებების (მოქმედებების) და საწარმოს მდგომარეობის შეფასება პროგნოზირების არსია; დაგეგმვის დროს არსებითად მხოლოდ იმ მიზნებით ხელმძღვანელობენ, რომელიც რეალიზაციას ექვემდებარება. პროგნოზირების შედეგი - მიზნის მიღწევის შესაძლო სარისხია, ამასთან, მასში მიღებული გადაწყვეტილების ან დაგეგმილი საკითხის სავარაუდო შედეგი აისახება.

საწარმოს საქმიანობის შედეგებისა და მისი ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირება ხორციელდება:

- დაგეგმვის პერიოდში საწარმოს საწარმოო-გასაღებითი საქმიანობისა და მისი დაფინანსების ძირითად შესაძლო ვარიანტების შეფასების მიზნისათვის;
- ამ საფუძველზე საწარმოს ხელმძღვანელობისათვის დასაბუთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების ფონზე რაციონალური სტრატეგიისა და ტაქტიკის შერჩევის მიზნით.

სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილების რიცხვში შესაძლოა იყოს დასაგეგმი პერიოდისათვის საწარმოს საწარმოო-გასაღებითი პროგრამა, აქტივების (მათ შორის საბრუნავი აქტივების) დაგეგმილი სტრუქტურა, აქტივების ფინანსირების პრინციპული სქემა და საქმიანობა, ამა თუ იმ სახის საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის შესაძლებლობა და ა.შ. მაშასადამე, საპროგნოზო შეფასებაში შესაძლოა მოხვდეს ფინანსური საშუალებების გამოყენების შესახებ პრინციპულად ყველა გადაწყვეტილება და საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ამ გადაწყვეტილებათა გავლენის შედეგები.

თავისი არსით ფინანსური პროგნოზირება ანტიკრიზისული მართვის აუცილებელ ელემენტს შეადგენს. ამიტომაც არასტაბილური მდგომარეობის დროს ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს საწარმოს მდგომარეობის ნორმალიზაციის შესაძლებლობის, ძირითადი პირობების და დროის შეფასება, ე.ი. მისი ფინანსური გაჯანსაღების შესაძლებლობისა და პირობების შეფასება.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო მეტ გავრცელებას პოულობს ფინანსების მართვის ფორმალიზებული მეთოდების გამოყენება. ამასთან, ფორმალიზაციის სარისხი (დონე) პირდაპირ კავშირშია საწარმოს მიცულობასთან; რაც უფრო მსხვილია ფირმა, მისმა ხელძღვანელობამ მით უფრო მეტად უნდა გამოიყენოს ფინანსური პოლიტიკისადმი ფორმალიზებული მიდგომა. დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ მსხვილი კომპანიების 50 %-ზე მეტი დაწვრილებით საშუალოფირმების დაახლოებით 18% ფინანსური რესურსების მართვაში და ფინანსური მდგომარეობის ანალიზში უპირატესად ფორმალიზებულ რაოდენობრივ მეთოდებზე ღებულობენ ორიენტაციას.

საწარმოს ფინანსური პროგნოზირების ყველა მეთოდი, მათი გამოყენების სახეებიდან გამომდინარე შესაძლებელია სამ დიდ ჯგუფად დაიყოს:

ექსპერტული შეფასების მეთოდები. აღნიშნული მეთოდები სპეციალური სქემების მიხედვით ექსპერტების მრავალსაფეხურიან გამოკითხვას და მიღებული შედეგების ეკონომიკური სტატისტიკის ინსტრუმენტების საშუალებით დამუშავებას გულისხმობს. თავისი არსით ეს მეთოდები ყველაზე მარტივი და საკმაოდ პოპულარულია და მათი გამოყენების ისტორია არაერთ ათასწლეულს ითვლის. პრაქტიკაში ამ მეთოდებით სარგებლობა სავაჭრო, საფინანსო და სამხედრო საწარმოთა ხელმძღვანელების გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენებას

ემყარება. როგორც წესი, ეს უზრუნველყოფს ყველაზე მარტივი და სწრაფი წესით გადაწყვეტილების მიღებას. ამასთან, აღნიშნულ მეთოდებს გააჩნიათ ნაკლი, რამდენადაც გაკეთებულ პროგნოზზე პერსონალური პასუხისმგებლობა მცირეა, ან საერთოდ არ არსებობს. ექსპერტული შეფასებები გამოიყენება როგორც მაჩვენებელთა მნიშვნელობების პროგნოზირების მიზნით, ასევე წონადი კოეფიციენტების მიჯნაზე მყოფი კოეფიციენტების შემუშავებისათვის.

სტოხასტიკური მეთოდები. ეს მეთოდები გულისხმობს როგორც პროგნოზის, ისე საკვლევ მაჩვენებლებს შორის კავშირის სავარაუდო ხასიათს. ზუსტი პროგნოზის მიღების ალბათობა იზრდება ემპირიული მონაცემების რიცხვის ზრდასთან ერთად. ფორმალიზებული პროგნოზირების პოზიციიდან ეს მეთოდები წამყვან ადგილს იჭერს და გამოყენებული ალგორითმის სირთულიდან გამომდინარე არსებითად იცვლება (ვარირებული ხდება). ამ მეთოდის პრაქტიკაში გამოყენების ყველაზე მარტივი მაგალითი არის რეალიზაციის ზრდის ტემპების ანალიზის მეშვეობით გაყიდვების მოცულობის ცვლილებების ტენდენციის კვლევა. სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით მიღებული პროგნოზირების შედეგები მონაცემების შემთხვევითი რხევების მიმართ ადვილად აღქმადი არის, ამდენად მას შეუძლია სერიოზულ შეცდომებთან მიგვიყვანოს, ამიტომაც ამ მიმართებით სტოხასტიკური მეთოდებს უპირატესობა ენიჭება.

სტოხასტიკური მეთოდები შეიძლება დაიყოს სამ ტიპურ ჯგუფად, ამა თუ იმ ჯგუფის არჩევა კი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

პირველი სიტუაცია - დროითი რიგის არსებობა - პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გვხვდება: ფინანსურ მენეჯერს ან ანალიტიკოსს აქვს მაჩვენებელთა დინამიკის შესახებ მონაცემები, რომელთა გამოყენების საფუძველზე საჭიროა პროგნოზის აგება. სხვა სიტყვებით, საუბარი მიდის ტრენდის

გამოყოფაზე. ეს შესაძლებელია სხვადასხვა ხერხით გაკეთდეს. მათთვის ძირითადია მარტივი დინამიკური ანალიზი და ავტორეგრესიული დამოკიდებულების დახმარებით ჩატარებული ანალიზი.

მეორე სიტუაცია - სივრცობრივი ერთობლიობის არსებობა; ამ სიტუაციას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა ზოგიერთი მიზეზის გამო მაჩვენებელზე სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს ანუ არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ მისი მნიშვნელობა რამდენიმე კატეგორიის გაცლენით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნეს მრავალფაქტორული რეგრესიული მეთოდი, რომელიც მრავალგანზომილებიანი შემთხვევის მარტივი დინამიკური ანალიზის შემთხვევას წარმოადგენს.

მესამე სიტუცია - სივრცობრივ-დროითი ერთობლიობის არსებობა; ამ გარემოებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა: ა) დინამიკის რიგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პროგნოზების აგებისათვის თავისი სიგრძის გამო არასაკმარისი არის; ბ) ანალიტიკოს გააჩნია აქვს პროგნოზში გაითვალისწინოს ეკონომიკური ბუნებით და დინამიკით განსხვავებული ფაქტორების გაცლენა. აქ ამოსავალ მონაცემებად გამოდის მაჩვენებელთა მატრიცა, სადაც თითოეული პერიოდისათვის ან სხვადასხვა თანმიმდევრობის თარიღისთვის ერთი და იმავე მაჩვენებელს წარმოადგენს.

დეტერმინირებული მეთოდები გულისხმობს ფუნქციონალურ ან მკაცრად დეტერმინირებულ კავშირებს, როცა თითოეული ფაქტორული ნიშნის მნიშვნელობას შედეგობრივი ნიშნის სრულიად განსაზღვრული არაშემთხვევითი მნიშვნელობა შეესაბამება. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ დამოკიდებულება, რომელიც რეალიზებულია ფირმა „დიუპონში" ფაქტორული ანალიზის ფარგლებში. ამ მოდელის გამოყენებით და მასში სხვადასხვა ფაქტორების პროგნოზული მნიშვნელო-

ბის წარმოდგენით, მაგალითად, რეალიზაციიდან ამონაგები, აქტივების ბრუნვადობა, ფინანსური დამოკიდებულების ხარისხი და სხვა, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებლის - საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტის საპროგნოზო მნიშვნელობა.

მარტივი დინამიური ანალიზი. დროითი რიგის თითოეული მნიშვნელობა შემდეგი შემადგენლობისაა: ტრენდი, ციკლური, სეზონური და შემთხვევითი რყევები. მარტივი დინამიკური ანალიზის მეთოდს იყენებენ არსებული ტრენდის განსაზღვრისთვის. მოცემული შემადგენლობა შეიძლება განვიხილოთ რიგის ან რიგის ძირითადი ტენდენციის ცვლილების საერთო მიმართულებად. ციკლურ რყევას უწოდებენ ერთ წელზე მეტი პერიოდისათვის ტრენდის შედარებითი ხაზის რყევას. რიგ ფინანსურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებში ასეთი რყევები ხშირად შეესაბამება საქმიანი აქტივობის ციკლებს: მკვეთრ ვარდნას, გამოცოცხლებას, გაცხოველებულ ზრდას და შეჩერებას. სეზონურ რყევების წლის განმავლობაში რიგის მნიშვნელობის პერიოდულ ცვლილებას უწოდებენ. ისინი შეიძლება გამოვაცალკევოთ ტრენდისა და ციკლური რყევების ანალიზის შემდეგ, და, ბოლოს შემთხვევითი რყევები ტრენდის მოხსნის გზით წარმოსახავენ მოცემული მნიმშვნელობისთვის ციკლურ და სეზონურ რყევებს. ამის შემდეგ დარჩენილი სიდიდე არის სწორედ უწესრიგო გადახრა, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს პროგნოზირების მისაღები მოდელის სავარაუდო სიზუსტის განსაზღვრისათვის.

მარტივი დინამიური ანალიზის მეთოდი იმ წინაპირობაზე დაფუძნებული, რომ პროგნოზირებადი მაჩვენებელი (Y) დროის მიმდინარეობის პირდაპირ (უკუ) პროპორციულად იცვლება. ამიტომ (Y) მაჩვენებლის პროგნოზირებადი მაჩვენებლის განსაზღვრისათვის ავიღებთ შემდეგი დამოკიდებულება:

$$Y_t = a + b_t$$

სადაც t პერიოდის რიგითი ნომერია;

a და b - რეგრესიის დონის პარამეტრები.

როგორც წესი, რეგრესიის დონის პარამეტრები (a, b) უმცირესი კვადრატის მეთოდით მოიძებნება. არსებობს, ასევე, ადეკვატურობის (დანაკარგის ფუნქციები) სხვა კრიტერიუმები, მაგალითად, უმცირესი მოდულების მეთოდი ან მინიმაქსის მეთოდი.

ავტორეგრესიული დამოკიდებულება. ამ მეთოდის საფუძველშია საკმაოდ ბუნებრივი წინაპირობა იმის შესახებ, რომ ეკონომიკურ პროცესებს გააჩნიათ განსაზღვრული სპეციფიკა. ეს პროცესები განსხვავდებიან, ჯერ ერთი, ურთიერთდამოკიდებულებით და, მეორე, გარკვეული ინერციულობით. ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი ეკონომიკური მაჩვენებლის მნიშვნელობა დროის t მომენტში გარკვეული წესით დამოკიდებულია განვლილ პერიოდში ამ მაჩვენებლის მდგომარეობაზე. ე.ი. წარსულ პერიოდებში პროგნოზირებადი მაჩვენებლის მნიშვნელობა უნდა განვიხილოთ როგორც ფაქტორული ნიშნულები. ავტორეგრესიული დამოკიდებულების თანაფარდობას ძალზე ზოგადად შემდეგი სახე აქვს:

$$Y_t = A_0 + A_1 Y_{t-1} + A_2 Y_{t-2} + \ldots + A_k Y_{t-k}$$

სადაც

Y_t დროის მომენტში Y მაჩვენებლის საპროგნოზო მაჩვენებელია;

Y_{t-k} - დროის მომენტში (t-1)Y მაჩვენებლის მნიშვნელობა;

A_i - რეგრესიის i -ური მაჩვენებელი.

საკმარისად ზუსტი საპროგნოზო მაჩვენებლები შესაძლოა მიღებული იქნეს იმ შემთხვევაში, როცა k=1. ანალიზის პრაქტიკაში, ასევე, არც თუ ისე იშვიათად გამოიყენება

ზემოთაღნიშნული ტოლობა, როცა მასში ფაქტორის სახით შეჰყავთ დროის პერიოდი t, ე.ი. ერთიანდება ავტორეგრესიისა და მარტივი დინამიკური ანალიზის მეთოდები. ამ შემთხვევაში რეგრესიის ტოლობა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$Y_t = A_0 + A_1 Y_{t-1} + Y_{2t}$$

მრავალფაქტორული რეგრესიული ანალიზი. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება წებისმიერი მაჩვენებლის აგების მიზნით; ამ მაჩვენებლის და სხვა მაჩვენებლების კავშირის გათვალისწინებით თავდაპირველად ხარისხობრივი ანალიზის საფუძველზე გამოყოფენ K ფაქტორებს (X_1, X_2 ..... X_k), რომელიც ანალიტიკოსის შეხედულებით პროგნოზირებადი მაჩვენებლის ცვლილებებზე ახდენს გავლენას. ამ შემთხვევაში ყველაზე ხშირად რეგრესიული დამოკიდებულების შემდეგი ტიპის ნწკრივს აგებენ.

$$Y_t = A_0 + A_1 X_1 + A_2 X_2 + ... + A_k X_{t-k}$$

სადაც A_i - რეგრესიის კოეფიციენტებია;
i = 1, 2, ..., k.

რეგრესიის კოეფიციენტის (A_0, A_1, A_2, ..., A_k) მნიშვნელობა სტანდარტული სტა ტისტიკური კომპიუტერული პროგრამის დახმარებით რთული მათემატიკური გათვლების შედეგად განისაზღვრება.

მოცემული მეთოდის გამოყენების დროს განმსაზღვრელ მნიშვნელობას ჰპოულობს ურთიერთდაკავშირებული ნიშნები, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მიმართულებები და იმ კავშირის სახე, რომელიც ყოველთვის არასწორხაზოვანია.

პროგნოზირება პროპორციული დამოკიდებულების საფუძველზე. მაჩვენებელთა პროპორციული დამოკიდებულების მეთოდის შემუშავების საფუძვლად ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ორი ძირითადი მახასიათებელი - ურთიერთკავშირი და ინერტიულობა გამოდის.

მოქმედი კომერციული ორგანიზაციის (ფირმის, კომპანიის) როგორც სისტემის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ბუნებრივი წესით მისი ცალკეული ელემენტების შეთანხმებული ურთიერთმოქმედება. ეს ნიშნავს, რომ მრავალი მაჩვენებლები, ისინიც კი რომელნიც ერთმანეთთან ფორმალური ალგორითმებითაც კი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, დინამიკაში შეთანხმებულად იცვლებიან. ბუნებრივია, თუ რომელიღაც სისტემა თანაფარდობის მდგომარეობაში იმყოფება, მაშინ მისი დაწარჩენი ელემენტები არ შეიძლება ქაოსურად მოქმედებდნენ, რადგან უკიდურეს შემთხვევაში მათი მოქმედების ცვალებადობას განმსაზღვრელი შეზღუდვები გააჩნია.

მოცემული მეთოდის პროცედურების თანმიმდევრობა შემდეგნაირია:

1. ახდენენ საბაზისო მაჩვენებლების (მაგალითად, რეალიზაციიდან ამონაგები) იდენტიფიცირებას.

2. განსაზღვრავენ წარმოებულ მაჩვენებლებს, რომელსაც პროგნოზირების ინტერესიც გააჩნიათ (ასეთ წარმოებულ მაჩვენებელს მიეკუთვნება ამა თუ იმ ნომენკლატურის სტატიის ბუღალტრული ანგარიშგების მაჩვენებლები. აქ ანგარიშგება სწორედ ფორმალიზებულ მოდელს წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, კომპანიის ეკონომიკურ პოტენციალის საკმაოდ ობიექტურ სურათს იძლევა, როგორც ზესი, ამა თუ იმ წარმოებული მაჩვენებლის გამოყოფის აუცილებლობა ანგარიშგებაში მის მნიშვნელობას განსაზღვრავს;

3. თითოეული P წარმოებული მაჩვენებლისათვის ადგენენ საბაზისო მაჩვენებელთან მისი დამოკიდებულების სახეს: P=f(B), უფრო ხშირად ირჩევენ ამ დამოკიდებუ-ლების წრფივ სახეს.

საპროგნოზო ანგარიშგების შემუშავების დროს, პირველყოვლისა, მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშის საპროგნოზო ვარიანტს ადგენენ, რამდენადაც ამ შემთხვევაში ანგარიშობენ

მოგებას, რომელიც შესამუშავებელი ბალანსის ამოსავალი მაჩვენებელია.

ბალანსის პროგნოზირებისათვის პირველ რიგში ანგარიშობენ მისი აქტიური მუხლების მოსალოდნელ შედეგებს. რაც შეეხება პასიურ მუხლებს, მათზე მუშაობა მთავრდება მაჩვენებელთა საბალანსო დაკავშირების მეთოდით, კერძოდ კი, უფრო ხშირად გამოავლენენ ფინანსირების საგარეო წყაროებზე მოთხოვნას.

პროგნოზირებას წესით ახორციელებენ იმიტაციური მოდელირების მსყლულობის დროს, როცა საბაზისო მაჩვენებლების ცვლილების ტემპით და დამოუკიდებელი ფაქტორებით ანგარიშგების ვარირებას ახდენენ, მის შედეგს კი წარმოდგენს საპროგნოზო ანგარიშგების რამდენიმე ვარიანტის აგება. მათგან ყველაზე საუკეთესოს არჩევას და შემდგომში მათი ორიენტირის სახით გამოყენებას არაფორმალიზებული კრიტერიუმის დახმარებით ანხორციელებენ.

საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის პროგნოზირების მოდელი. საწარმოს ბალანსი შესაძლოა აღწერილ იქნეს საწარმოს სხვადასხვა აქტივებისა და პასივებს შორის ურთიერთკავშირის ამსახველი სხვადასხვა საბალანსო თანაფარდობით. მათგან უმარტივესია ბირითადი საბალანსო თანაფარდობა:

აქტივი = საკუთარი კაპიტალი + ვალდებულება

ტოლობის მარცხენა მხარე საწარმოს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს ასახავს, მარჯვენა მხარე კი მისი წარმოშობის წყაროებს. სარესურსო პოტენციალის პროგნოზირებად ცვლილებებს უნდა თანხვდებოდეს:

1. რესურსების წყაროების ცვლილებებთან უცილობელი შესაბამისობა;
2. მათ თანაფარდობაში შესაძლო ცვლილება.

რამდენადაც აღნიშნული მეთოდი ადიტიურია, ამდენად,

ზრდის მაჩვენებლებს შორისაც ასეთივე ურთიერთკავშირია:

q აქტივი = q საკუთარი კაპიტალი + q ვალდებულება

პრაქტიკაში პროგნოზირებას ანხორციელებენ უფრო რთული საბალანსო ტოლობის გამოყენებით და პროგნოზირების სხვა მეთოდთან მოცემული მეთოდის შეთანხმებით.

ანგარიშგების ანალიტიკური ფორმები. უშუალოდ ბუღალტრული ანგარიშგების მიხედვით ანალიზის ჩატარება მისაღები გზაა დასახული მიზნის მისაღწევად, მაგრამ ბუღალტრული ანგარიშგების მოცულობა გარკვეულწილად თვით ანალიზის საქმის მომცველობას და ნაირგვაროვნებას განაპირობებს; იქ, სადაც ბუღალტრული ანგარიშგება ნაირგვარია (მაგალითად, რუსეთში) ანალიზი საკმაოდ შრომატევადია, ასევე არაეფექტიანია ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების მუხლების ტიპიურ ნომენკლატურაში პროგნოზირების გაკეთება. ამ შემთხვევაში ნეტო ბალანსის მისაღებად უწდა მოხდეს შემადგენლობის მიხედვით ერთიანი საბალანსო სტატიების აგრერირება. რაც უფრო მაღალია აგრერირება, ანალიზისათვის მით ნაკლებად სასარგებლოა ვრცელი ანგარიშგების ფორმები. კერძოდ, ბალანსის აქტივების მუხლები უნდა დაჯგუფდეს მათი ლიკვიდურობის ხარისხისა და მატერიალურ-ნივთობრივი ფორმის მიხედვით, პასივის მუხლები კი - ქონების ფორმირების საკუთარი და ნასესხები წყაროების მიხედვით, ხოლო უკანასკნელის ფარგლებში - მათი დაბრუნების ვადიანობის მიხედვით.

საქართველოში არ არის ამგვარი სიტუაცია. აქ ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები ვრცელი და სხვადასხვა მოთხოვნებით არაა გადატვირთული. სწორედ ამიტომაც ანალიზის ჩატარება საკმაოდ ეფექტიანია - იგი არ მოითხოვს ბუღალტრული ანგარიშგების ნაირგვარი ფორმების წარმოდგენას, ბალანსის აქტივების და პასივების მუხლების დაჯგუფებას და ა.შ. ამდენად, საქართველოში ანალიზის სირთულე სათავეს იღებს

მხოლოდ ერთი მარტივი პირობიდან - ანალიტიკოსების ცოდნის დონე და კვალიფიკაცია ანალიზის მოთხოვნის ადეკვატური არის თუ არა.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ორგანიზაციის ბალანსი წარმოსდგება აქტივების - „ფინანსური აქტივების და სხვა დებიტორული დავალიანების" და „არაფინანსური აქტივების" სახით და პასივის მხარეს კი „ვალდებულებების და კაპიტალის" სახით. „ფინანსური აქტივების და სხვა დებიტორული დავალიანების" სტრიქონი აერთიანებს მიმდინარე აქტივების „11"-იან, „12"-იან, „13-იან, „14"-იან ბუღალტრულ ანგარიშებს. „არაფინანსური აქტივების" სტრიქონში გაერთიანებულია გრძელვადიანი აქტივების „21"-იანი ბუღალტრული ანგარიშების „მიწის ნაკვეთი" - 2110, „დაუმთავრებელ მშენებლობა" - 2120, „შენობები" - 2130, „ნაგებობები" - 2140, „სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები" – 2150, 2160, 2170, 2180; ბუღალტრული ანგარიშები და ასევე „გრძელვადიანი მოთხოვნების" -„23"-იანის და „გრძელვადიანი ინვესტიციების" - „24"-იანის ბუღალტრული ანგარიშები.

ბალანსის პასივის მხარე, ანუ „ვალდებულებები და კაპიტალი" „ფინანსური ვალდებულებების და სხვა კრედიტორული დავალიანების" ამსახველ ბუღალტრულ ანგარიშებს აერთიანებს; ამდენად აქ თავმოყრილი არის „მიმდინარე ვალდებულებები" ანუ 3100-ის, 3200-ის ყველა ბუღალტრულ ანგარიშები და „საკუთარი კაპიტალის" ანუ 5000-ის „საწესდებო კაპიტალის" ამსახველ ანგარიშები - 5100 მთლიანად, და ასევე „მოგება/ზარალის" ამსახველი ანგარიშები: 5310 - „გაუნაწილებელი მოგება" და 5320 –"დაუფარავი ზარალი".

წარმოდგენილი ბალანსის მონაცემები შემდგომ სრულად გაიშლება თვით ბალანსის დანართების სახით; ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს რომ ბალანსს გააჩნია: დანართი N 2 „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფი-

კაციის მიხედვით", დანართი N 3 - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ", დანართი N 4 - „ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ", დანართი N 5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ", დანართი N 6 – ანგარიში „ავტომანქანის ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ".

წარმოდგენილი მოცემულობა ანალიტიკური ანგარიშგების სრულად წატარების წინაპირობას აყალიბებს; ამდენად ანალიტიკური ანგარიშგების საწყისების სახე შემთხვევით კი არ იქნა არჩეული, არამედ იგი განისაზღვრა იმით, რომ, ერთი მხრივ, სრულად გაგვაჩნდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ყველა ძირითადი მაჩვენებლის გათვლის შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული ფორმები კომბინირებული მეთოდის სახით საპროექტო ანგარიშგების დროს ეფექტიანად იქნეს გამოყენებული.

კომბინირებული მეთოდი. ზემოთ წარმოდგენილი მეთოდები ფინანსური პროგნოზირების ნებისმიერი მოდელის საფუძველს წამოადგენს, მაგრამ ისინი პრაქტიკაში „წმინდა" სახით იშვიათად გამოიყენება. უმრავლეს შემთხვევაში იყენებენ რომელიღაც სახის მჭონე კომბინირებულ მეთოდს, რომელიც თავის თავში რამდენიმე საბაზისო ხერხსა და ალგორითმს აერთიანებს. ეს განპირობებულია ცალკეული საბაზისო მეთოდისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებით და შეზღუდვებით, რომლებიც შემდგომში მათი კომპლექსური გამოყენების დროს ნეიტრალიზდება. კომბინირებული მეთოდების შემადგენლობაში მყოფი საბაზისო მეთოდები ერთმანეთს ავსებენ. ხშირად მათგან ერთ-ერთს განიხილავენ როგორც სხვა მეთოდებისგან მიღებული შედეგების დამატებითი კონტროლის ინსტრუმენტს.

კომბინირებული ის მეთოდია, რომელიც სტატიების გამსხვილებულ ნომენკლატურაში ანგარიშგების ფორმების პროგ-

ნოზირებას ახდენს. პროგნოზირებაში ითვალისწინებენ არა მხოლოდ სტატიების ინდივიდუალურ დინამიკას, არამედ, ასევე, ცალკეული სტატიების ურიერთკავშირს როგორც აწგარიშგების ერთი ფორმის შიგნით, ისე სხვადასხვა ფორმებს შორისაც. პროგნოზირების შედეგის რანგში მოსალოდნელი პერიოდისათვის გამსხვილებული ნომენკლატურის მუხლების საბით ღებულობენ ბალანსს და ანგარიშს მოგებასა და ზარალზე.

საპროგნოზო ანგარიშგების შედგენა საკუთარი კაპიტალის მოსალოდნელი სიდიდის განსაზღვრით იწყება. საწესდებო, დამატებითი და სარეზერვო კაპიტალი, ჩვეულებრივ, იშვიათად იცვლება (თუ საპროგნოზო პერიოდში არ იგეგმება აქციების ემისია). ამიტომ საპროგნოზო ბალანსში ისინი შეიძლება ჩავრთოთ იმ თანხით, რაც უკანასკნელ საანგარიშგებო ბალანსშია ასახული. ამრიგად, საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგება არის ის ძირითადი ელემენტი, რომლის ხარჯზეც ძირითადი კაპიტალის თანხა იცვლება. მოგების სიდიდე კი შეიძლება გავიანგარიშოთ პროპორციული დამოკიდებულების მეთოდის მიხედვით მომავალ პერიოდში გაყიდვების რენტაბელობის (გრ) კოეფიციენტის სიდიდიდან გამომდინარე. გაყიდვების რენტაბე-ლობა რეალიზაციიდან ამონაგებთან მოგების თანაფარდობით გამოიხატება:

$$\text{გაყიდვების რენტაბელობა} = \frac{\text{საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგება}}{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}}$$

მოცემული და რეალიზაციიდან საპროგნოზო შაჩვენებლის სიდიდე განვლილ პერიოდში მათი ინდივიდუალური დინამიკის საფუძველზე ავტორეგრესიის მეთოდით განისაზღვრება. საწარმოს ექსპერტების შეფასებით, რეალიზაციიდან ამონაგების სიდიდის უფრო საიმედო პროგნოზირება შესაძლებელია წარსული გაყიდვების მოცულობების, საბაზრო ნომენკლატურის, საწარმოო სიმძლავრის, ფასების პოლიტიკის და ა.შ.

მონაცემებზე დაყრდნობით. თუმცა, ამ სახის შეფასება, როგორც წესი, მიუღებელია გარედან მოწვეული ანალიტიკოსისათვის, რამდენადაც მათ მხოლოდ საწარმოს საჯარო ანგარიშგებები აქვთ ხელთ. ასე, რომ მომავალ პერიოდში საკუთარი კაპიტალის სიდიდეს განსაზღვრავენ როგორც უკანასკნელ საანგარიშგებო პერიოდში საპროგნოზო მოგების სიდიდით გაზრდილ მის სიდიდეს.

საკუთარი კაპიტალი საპროგნოზო პერიოდში	=	საკუთარი კაპიტალი უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში	+	საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგება

შემდეგ განსაზღვრავენ საკუთარ საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნას (მსსკ); იგი განისაზღვრება როგორც საკუთარი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მიმართულია საბრუნავი (მიმდინარე) აქტივების ფორმირებაზე.

$$\text{მსსკ} = \text{სკ} - \text{აა},$$

სადაც

სკ საკუთარი კაპიტალია;

აა - არაბრუნვადი აქტივები.

აღნიშნული ტოლობა საბალანსო თანაფარდობის კერძო შემთხვევაა. იგი ასახავს ტოლობას საკუთარ კაპიტალთან, როგორც საშუალებების ფორმირების წყაროსთან და აქტივების იმ სახეებთან, რომელთა ფორმირებაზეც ის წარიმართება. მაშასადამე, აქ გამოიყენება პროგნოზირების საბალანსო მეთოდი.

შემდეგი ნაბიჯი იქნება საპროგნოზო პერიოდში კრედიტორული დავალიანების სიდიდის (კდ$_{n+1}$) განსაზღვრა, რომელიც მსსკ-ს (მოთხოვნა საკუთარ საბრუნავ კაპიტალზე) სიდიდესთან არის დაკავშირებული. რეალურად, კრედიტორული დავალიანება საწარმოს მომწოდებელთა კრედიტს წარმოადგენს და ამიტომაც იგი ფინანსირების წყაროდ უნდა იქნეს განხილული. კრედიტორული დავალიანების და საბრუნავი კაპიტალის ზრუნვის ვადებს შორის გაწყვეტის შედეგად

წარმოიშობა დამატებითი დაფინანსების მოთხოვნა, ე.ი. მსსკ-ის აუცილებლობა.

ანალიზის დროს აუცილებელია კდ-სა და მსსკ-ს შორის დამოკიდებულების სახის განსაზღვრა; თუ ნასესხები საშუალებები კრედიტორული დავალიანების სახით წარმოგვიდგება უფრო ხანმოკლე სახით, ვიდრე საწარმოო-კომერციული ციკლი, მაშინ ვალდებულებებზე გადასახდელები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ პირობით, რომ საწარმო ფლობს საკმარის საბრუნავ საშუალებებს. ფინანსირების ამ სახის წყაროზე მოთხოვნის სიდიდეს განსაზღვრავენ მომწოდებლის კრედიტის გამოყენების დამთავრებასა და საწარმოო-კომერციული ციკლის დამთავრებას შორის არსებული დროით (მიმდინარე აქტივების ბრუნვის პერიოდი)

$$მ_{\text{მიმდინარე აქტ-ის ბრუნვ. ხანგრძლ.}} - მ_{\text{კრედიტორული დავალიანების დაფარვის საშ. ვადა}}$$

ასევე დროის ერთეულში დამდგარი გადასახდელების სიდიდით

$$\text{მსსკ} = მ_{\text{მიმდინარე აქტ-ის ბრუნ. ხანგრძლ.}} - მ_{\text{კრედიტ. დავალ-ების დაფარვის საშ. ვადა}} = \frac{\text{პროგნოზი}}{\text{ხანგრძლივობა}}$$

მაშასადამე, საკუთარ კაპიტალზე მოთხოვნა განისაზღვრება კრედიტორული დავალიანების სიდიდით, მიმდინარე აქტივებში ჩადებული კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივობით და კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადით. მსსკ-ის სიდიდე მცირდება მიმდინარე აქტივების ბრუნვის პერიოდის შემცირებით. თუ მიმდინარე აქტივების ბრუნვის ხანგრძლივობა კრედიტორული დავალიანების დაფარვის საშუალო დროზე ნაკლებია, მაშინ საბრუნავი საშუალებების ფორმირებისათვის საკუთარ კაპიტალზე მოთხოვნა არ არის.

ანალიზის კომბინირებული მეთოდის გამოყენების შემდეგი საფეხურია ბალანსის პასივში კრედიტორული დავალიანების და კრედიტების სიდიდის განსაზღვრა. ამ მიზნით განსაზღვრავენ

ბალანსის ვალუტის სიდიდეს. შემდეგ განიხილავენ კრედიტორული დავალიანების მაქსიმალურ სიდიდეს. მისი სიდიდიდან გამომდინარე, პროგნოზირება მთავრდება ორიდან ერთ-ერთი ვარიანტის გამოყენებით.

1. თუ კრედიტორული დავალიანების თანხა და საკუთარი კაპიტალის სიდიდე აღემატება ბალანსის ვალუტას, მაშინ კრედიტორული დავალიანების სიდიდე მცირდება და ბალანსის ვალუტასთან და საკუთარი კაპიტალის სიდიდეს შორის თანაბარი სხვაობით მიიღება. ამ შემთხვევაში საწარმოს ფინანსირებისათვის საკმარისი საკუთარი რესურსები გააჩნია. ამიტომაც მუხლში „კრედიტები და სესხები" ჩაისმება „0". აქ კვლავ გამოიყენება მაჩვენებელთა დაკავშირების საბაზო საბალანსო მეთოდი.

2. თუ ფინანსირების მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საკუთარი საშუალებები არასაკმარისი არის, კრედიტორების მიმართ მოთხოვნის დაფარვა შესაძლებელია მხოლოდ დამატებითი ფინანსური რესურსის - ბანკის კრედიტის მოზიდვის ხარჯზე. ეს ასახვას პოულობს საწარმოო-კომერციული ციკლის ხანგრძლივობაზე. ამასთან, თვითღირებულების ზრდის გამო საშუალებების ბრუნვადობა დამუხრუჭებას განიცდის, რამდენადაც თვითღირებულებაში უკვე ბანკის პროცენტები ჯდება. ყოველივე ამას მიმდინარე აქტივების ბრუნვის გადასა და კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდს შორის ინტერვალის გაზრდასთან მივყავართ.

კომბინირებული მეთოდი ანგარიშგების საპროგნოზო ფორმების აგების ერთ-ერთი მეთოდია. ბუნებრივია, ფინანსური პროგნოზირების სხვა მეთოდებთან შედარებით აქ მიღებული დასკვნები უნდა გაკეთდეს მიღებული პროგნოზების სიზუსტის შედარების საფუძველზე.

პროგნოზირების სიზუსტე. პროგნოზირებაში გამოყენებული მოდელების ეფექტიანობის შეფასების დროს ძირითად

კრიტერიუმად პროგნოზირების სიზუსტე და საწარმოს მომავალი პერიოდის ფინანსური მდგომარეობის წარმოდგენის სისრულე გამოდის. სწორედ ამ გადასახედიდან საყურადღებოა ის მეთოდები, რომლებიც ანგარიშგების პროგნოზირებადი ფორმების აგების საშუალებას იძლევა. ამ შემთხვევაში საწარმოს მომავალი მდგომარეობა შეიძლება გაანალიზოთ არანაკლებ დეტალურად, ვიდრე მისი რეალური მდგომარეობა. პროგნოზის სიზუსტის საკითხი რამდენადმე რთულია და იგი მეტ ყურადღებას მოითხოვს. პროგნოზის სიზუსტე ან შეცდომა, ე. ი. სხვაობა პროგნოზირებულ და ფაქტიურ მნიშვნელობებს შორის, თითოეულ კონკრეტულ მოდელში მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

პროგნოზირების სიზუსტის კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ე.წ. ისტორიული მონაცემები, რომელთა გამოყენებაც ხდება პროგნოზირების მოდელების შემუშავების დროს. იდეალურ შემთხვევაში სასურველია გაგვაჩნდეს დროის მნიშვნელოვანი პერიოდისათვის მონაცემების დიდი ოდენობა. ამის გარდა, გამოყენებული მონაცემები, სიტუაციიდან გამომდინარე, "ტიპური" უნდა იყოს. მათემატიკური სტატისტიკის აპარატის სტოხასტიკური მეთოდები ისტორიულ მონაცემებს სავსებით კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებენ, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში პროგ-ნოზირების სიზუსტე გარანტირებული არ/ვერ იქნება. ამიტომაც მონაცემები სარწმუნო, შესადარისი, კანონზომიერების გამოსავლენად საკმარისი, ერთგვაროვანი და მყარი უნდა იყოს.

პროგნოზირების სიზუსტე ერთმნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში პროგნოზირების მეთოდის არჩევის მართებულობაზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მისაღები არის მხოლოდ რომელიღაც ერთი მოდელი; სავსებით შესაძლებელია, რომ ზოგ შემთხვევაში რამდენიმე სხვადასხვა მოდელმა მოგვცეს

შედარებით საიმედო შეფასება. პროგნოზირების წებისმიერ მოდელში ძირითად ელემენტად გვევლინება ტრენდი ან რიგების ცვლილე-ბის ძირითადი ტენდენციის ხაზი. ამასთან, მრავალ მოდელში იგულისხმება, რომ ტრენდი ხაზოვნად წარმოგვიდგება. მაგრამ ამ სახის შეთავაზება ყოველთვის არ არის კანონზომიერი და შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს პროგნოზირების სიზუსტეზე. პროგნოზირების სიზუსტეზე, ასევე, გავლენას ახდენს ტრენდისგან სეზონური რყევების - ჩამოყალიბებული ან გამრავლებული გამოყოფის მეთოდი. რეგრესიის მეთოდის გამოყენების დროს ძალზე მნიშვნელოვანია გამოვყოთ სხვადასხვა ფაქტორებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ეს თანაფარდობები მოდელში იქნეს ჩადებული.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ანგარიშგების სტრიქონის შეცდომები და მისი შედეგობრივი მაჩვენებლების (ფინანსური კოეფიციენტების) განსაზღვრის შეცდომები უმრავლეს შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვევა. დაუშვათ რომელიღაც კოეფიციენტი F შემდეგი სახით განისაზღვრება

$$F = \frac{x + y}{z}$$

სადაც x, y, z - აღნიშვნები ბუღალტრული ან ანალიტიკური ბალანსის ზოგიერთი სტრიქონია.

მაშასადამე, ფინანსური კოეფიციენტების პროგნოზის სიზუსტე ყოველთვის დაბალია იმ სიზუსტესთან, რომლითაც განისაზღვრება ანგარიშგების სტრიქონის თვით პროგნოზირებადი მნიშვნელობა. ამიტომაც თუ ანალიტიკოსს ფინანსური კოეფიციენ-ტების გამოთვლის სიზუსტესთან განსაზღვრული მოთხოვნები გააჩნია, მაშინ საჭიროა ის მეთოდი იქნეს არჩეული, რომელიც ანგარიშგების სტრიქონის კიდევ უფრო მეტ სიზუსტეს უზრუნველყოფს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემოწმების მოდელის მიმართებაში ნათელი ხდება, რომ რამდენადაც არ უნდა შემცირდეს მოსალოდნელი შეცდომები, ჩვენ ვალდებულნი ვართ ცვლილებები შევიტანოთ უკვე არსებულ მოდელში. ასეთი ცვლილებები შეიტანება რეალურ ცხოვრებაში მოდელის გამოყენების მთელ პერიოდში. ცვლილებების უწყვეტი შეტანა შესაძლებელია იმ მოცემულობაში, რაც ეხება ტრენდს, სეზონურ და ციკლურ რყევების, ასევე, ნებისმიერ გამოყენებულ მიზეზ-შედეგობრივ თანაფარდობას. ეს ცვლილებები შემდეგ მოწმდება უკვე აღწერილი მეთოდების დახმარებით. მაშასადამე, გაფორმების პროცესის მოდელი თავისთავში მოიცავს რამდენიმე ეტაპს: მონაცემების შეგროვებას, ამოსავალი მოდელების შემუშავებას, შემოწმებას, დაზუსტებას და კვლავ თავიდან.

პროგნოზირების წებისმიერი მოდელის შემუშავების დროს იგულისხმება, რომ სიტუაცია მომავალში არ იქნება არსებულისგან განსხვავებული. სხვა სიტყვებით, ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი ან დაზუსტებული პროგნოზირების მოდელი, ან უცვლელნი არიან მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, სადაც იგი გამოიყენება. მაგრამ მოდელი ყოველთვის რეალური სიტუაციის გაუხეშებაა. აქ მოქმედი ფაქტორების უსასრულო რაოდენობიდან იმ ფაქტორების შერჩევა ხდება, რომლებიც კონკრეტული ანალიზის ჩატარების მიზნით ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება. ამგვარი სახის შერჩევის მართებულობა და დასაბუთებულობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია მოდელის აგების სიზუსტესა და ეფექტიანობასთან.

თავი 4. კაპიტალის განლაგების ანალიზი და საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასება

4.1. საბრუნავი კაპიტალის ანალიზი

საბრუნავი კაპიტალი შეიძლება განვმარტოთ როგორც მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელი ელემენტი. იგი მოიცავს მუდმივი კაპიტალის (ნედლეული, მასალები, სათბობი, დაუმთავრებელი წარმოება) ნაწილს და მთელ ცვალებად კაპიტალს. სხვა სიტყვებით, საბრუნავ კაპიტალში შედის შრომის საგნების ღირებულება (მუდმივი კაპიტალი) და სამუშაო ძალის შეძენაზე დახარჯული ცვალებადი კაპიტალი. ამასთან მუდმივ კაპიტალს გააჩნია თვითშრდის თვისება დამატებული ღირებულების მიღების ხარჯზე, ცვალებადს კი შეუძლია მხოლოდ თავდაპირველი ღირებულებით კვლავაწარმოოს.


მაშასადამე, საბრუნავი კაპიტალი არის ის სამუალება, რომელიც საქმიანობის პროცესს ემსახურება, და ერთდროულად მონაწილეობს როგორც პროდუქციის წარმოების, ისე რეალიზაციის პროცესში.

საბრუნაი კაპიტალის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი არც იხარჯება, არც მოიხმარება, არამედ მეურნე სუბიექტის სხვადასხვა სახის მიმდინარე ხარჯებში ავანსირებას განიცდის. ავანსირების მიზანს წარმოადგენს აუცილებელი მატერიალური მარაგების, დაუმთავრებელი წარმოების, მზა პროდუქციის და მისი რეალიზაციის პირობების შექმნა. მაშასადამე, საბრუნავი კაპიტალი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესის უწყვეტობისათვის არის გამიზნული. ის შეიძლება დავახასიათოთ როგორც ფულადი საშუალებების ერთობლიობა, ანუ იმ ფულადი სახსრების ნაკრები, რომელიც ავანსირებულია საბრუნავი საწარმოო ფონდებისა და მიმოქცევის ფონდების შექმნისა და გამოყენებისათვის.

ტრადიციულად, საწარმოს საბრუნავი კაპიტალის ანალიზს იწყებენ მისი სტრუქ-ტურის დინამიკის ანალიზით. ეს პროცესი ბალანსის „საბრუნავი აქტივების" მონაცემების საფუძველზე ტარდება. აქ დაჯგუფებულია საბრუნავი საშუალებების ძირითადი ფუნქციონალური ფორმები. ანალიზის პროცესში ატარებენ საბრუნავი კაპიტალის ცალკეული სრულყოფილი ელემენტების შედარებით შეფასებას, ანგარიშობენ რიგ ანალიტიკურ მაჩვენებლებს.

საბრუნავი კაპიტალის ანალიზის განხორციელებას დროს აუცილებელია გამოვყოთ მისი შემადგენელი ნაწილები: საბრუნავი კაპიტალი წარმოების სფეროში და საბრუნავი კაპიტალი მიმოქცევის სფეროში. პირველს მიეკუთვნება შრომის საგნები, მეორეს კი - მზა პროდუქცია და ფინანსური აქტივები.

საბრუნავი კაპიტალის ანალიზის ჩატარების სქემას შემდეგი სახე აქვს (იხ. ცხრ.№ 17)



ნახ. 4.1-1.

დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანალიზის პრაქტიკაში საბრუნავი საშუალებები შემდეგი ნიშნების მიხედვით ჯგუფდება (იხ. ცხრილი 4.1-1.)

ცხრილი 4.1-1.

საწარმოს საბრუნავი საშუალებების კლასიფიკაცია	
დასახელება	კლასიფიკაცია
წარმოების პროცესში ფუნქციონალური როლის მიხედვით	– მიმოქცევის ფონდები – საბრუნავი საწარმოო ფონდები
მატერიალურ-ნივთობრივი შემადგენლობის მიხედვით	– საწარმოო მარაგები – მზა პროდუქცია – ფულადი საშუალებები
დაგეგმვისა და კონტროლის პრაქტიკაში	– ნორმირებული – არანორმირებული
ფორმირების წყაროს მიხედვით	– საკუთარი – ჩასესხები – მოზიდული
ლიკვიდურობის მიხედვით	– ყველაზე უფრო ლიკვიდური – სწრაფადრეალიზებადი – ძნელადრეალიზებადი
კაპიტალის დაბანდების რისკის ხარისხის მიხედვით	– დაბანდების მინიმალური რისკის მქონე საბრუნავი საშუ-ალებები (ფულადი საშუალებები, მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები) – დაბანდების დაბალი რისკის მქონე საბრუნავი საშუალებები (მზა პროდუქციის ნარჩენი, საეჭვო სახის მჭიდრო, მოთხოვნის არმქონის გამოკლებით) – დაბანდების მაღალი რისკის მქონე საბრუნავი საშუალებები (საეჭვო დებიტორული დავალიანება, ჩაწოლილი საწარმოო მარაგები, ზენორმატიული დაუმთავრებელი წარმოება)

ლიკვიდურობის ხარისხისა და ფინანსური რისკების მიხედვით საბრუნავი სამუ-ალებების კლასიფიკაცია ბრუნვაში მყოფი საწარმოს სამუალებების ხარისხს ახასიათებს. აღნიშნული კლასიფიკაციის ამოცანა იმ სახის მომდინარე აქტივების გამოცლენაში მდგომარეობს, რომელთა რეალიზაცია ნაკლებად სავარაუდოა.

საბრუნავი საშუალებების შემადგენლობისა და სრუქტურის მიხედვით შეფასებისათვის აუცილებელია აღნიშნული სამუალებები გაანალიზდეს თითოეული სახეობის ცვლილებისა და დინამიკაში ბოედრითი წონის მიხედვით.

საბრუნავი საშუალებების ფორმირების სისტემა გავლენას ახდენს მათ ბრუნვის ხარისხზე და გამოყენების ეფექტიანობაზე. საბრუნავი საშუალებების სიჭარბე ჩიშნავს, რომ საწარმოს კაპიტალის ნაწილი უმოქმედოა და მას მოგება არ მოაქვს. ამასთან, საბრუნავი საშუალებების სიმცირე (უკმარისობა) წარმოებისა და რეალიზაციის პროცესის მსვლელობას ამუხრუჭებს და საწარმოს საბრუნავი საშუალებების ბრუნვის სიჩქარეს ამცირებს.

საბრუნავი სამუალებების ფორმირების წყაროების საკითხი კიდევ ერთი რამით არის მნიშვნელოვანი; ბაზრის კონიუნქტურა მუდმივად იცვლება, ამიტომ საბრუნავ საშუალებებზე საწარმოს მოთხოვნები არასტაბილურია. ამ მოთხოვნების მხოლოდ საკუთარი წყაროების ხარჯზე დაფარვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ საბრუნავი საშუალებების ფორმირების პროცესის ძირითად ამოცანას ნასესხები საშუალებების მოზიდვის ეფექტიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საბრუნავი საშუალებების ფორმირების წყაროებია:

1. საკუთარი თანხა;
2. ნასესხები თანხა (გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტები და სესხები, კომერციული კრედიტი, ინვესტიციური და საგადასახადო კრედიტი);

3. მოზიდული თანხა (კრედიტორული დავალიანება და მოხმარების ფონდები, მომავალში გადასახდელი ხარჯებისა და გადასახდელების რეზერვები, საეჭვო ვალის მიხედვით რეზერვები, საქველმოქმედო შემოსულობანი).

როგორც წესი, საბრუნავ საშუალებებზე საწარმოს მინიმალური მოთხოვნა საკუთარი წყაროების ხარჯზე იფარება. მაგრამ მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო (მაგალითად, ინფლაცია, წარმოების ზრდა, კლიენტთა ანგარიშების გადაუხდელობა) საწარმოებს დამატებით საბრუნავ სამუალებებზე დროებითი, დამატებითი მოთხოვნები წარმოეშვება. ამ შემთხვევაში საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ფინანსურ უზრუნველყოფას თან სდევს ნასესხები წყაროების გამოყენება.

საბრუნავი საშუალებების ჩამოყალიბების საკუთარ, ნასესხებ და მოზიდულ წყაროებს შორის სწორი თანაფარდობის მიღწევა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებაში.

ანალიზის პროცესში აფასებენ საბრუნავი საშუალებებზე საწარმოს მოთხოვნას და შემდეგ მას ადარებენ არსებულ ფინანსური წყაროების სიდიდეს. საბრუნავი საშუალებების ფორმირების წყაროს ანალიზი მოიცავს არა მარტო მათი ფორმირების დინამიკის შეფასებას, არამედ, ასევე, როგორც მთლიანად წყაროების, ისე მათი სტრუქტურისა და კომპონენტების მიხედვით შეფასებას, ცალკეული წყაროების შინაგანი სრუქტურის დეტალიზაციას.

ამა თუ იმ წყაროს მოზიდვის მიზანშეწონილობის განსაზღვრა ხორციელდება მოცემული წყაროს ღირებულებით (ფასის) მაჩვენებელთან მოცემული სახის დაბანდების რენტაბელობის მაჩვენებლის შედარებით.

საბრუნავი საშუალების ბრუნვადობის შეფასებისათვის გამოიყენება ბრუნვადობის მაჩვენებელი; იგი გვიჩვენებს განსაზღვრულ პერიოდში საბრუნავი კაპიტალის მიერ შესრულებული

ბრუნვის რაოდენობას და ახასიათებს საბრუნავ კაპიტალში ჩადებულ 1 ლარზე რეალიზებული პროდუქციის მოცულობას:

$$K_{\text{ბრუნვადობა}} = \frac{\text{ამონაგები გაყიდვიდან}}{\text{საბრუნავი აქტივების საშუალო ნაშთი}}$$

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის კოეფიციენტის საპირისპირო მაჩვენებელი არის საბრუნავი საშუალებების დატვირთვის კოეფიციენტი. იგი თითოეული ლარის რეალიზებულ პროდუქციაზე დახარჯული საბრუნავი საშუალებების სიდიდეს გვიჩვენებს:

$$K_{\text{დატვირთვა}} = \frac{\text{საბრუნავი საშუალებების სიდიდე}}{\text{რეალიზებული პროდუქცია}} = \frac{1}{K_{\text{ბრუნვ.}}}$$

ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა (მიმოქცევის დრო)

$$K_{\text{ხანგრძლივობა}} = \frac{\text{საანგარიშო პერიოდი დღეებში}}{K_{\text{ბრუნვ.}}}$$

საბრუნავი საშუალებების დამაგრების კოეფიციენტი

$$K_{\text{დამაგრება}} = \frac{\text{საბრუნავი აქტივების საშუალო ნაშთი}}{\text{ამონაგები გაყიდვიდან}}$$

საბრუნავი საშუალებების რენტაბელობის მაჩვენებელი

$$K_{\text{რენტაბელობა}} = \frac{\text{პროდუქცია}}{\text{საბრუნავი აქტივების საშუალო ნაშთი}}$$

კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარება ხელს უწყობს საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნის შემცირებას და პროდუქციის მოცულობის ზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, მისაღები მოგების გაზრდას გულისხმობს. ყოველივე ამის შედეგად მტკიცდება საწარმოს გადახდისუნარიანობა და მისი ფინანსური მდგომარეობა.

საბრუნავი საშუალებების ბრუნვის სიჩქარეზე გავლენას ახდენს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- ორგანიზაციის საქმიანობის მასშტაბი;
- ინფლაცია;
- ანგარიშგების სისტემა;
- პროდუქციის მომხმარებლისა და მომწოდებლის გეოგრაფია;
- საქმიანობის ხასიათი (დარგობრივი მიკუთვნება);
- საგადასახადო პოლიტიკა;
- საბანკო მომსახურეობის ხარისხი;
- საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა.

საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანი გამოყენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბრუნავი საშუალებების შედარებითი გამოთავისუფლების გაანგარიშებას, რადგან კაპიტალის გამოთავისუფლება თავისი არსით საბრუნავი კაპიტალის შედარებით ეკონომიას იძლევა.

საბრუნავი კაპიტალის შედარებითი ეკონომიის სიდიდე შეიძლება შემდეგი ფორმულით გამოვთვალოთ:

$$\text{გამოთავისუფლებული საშუალება} = \text{საანგარიშგებო და საბაზისო პერიოდში ბრუნვის ხანგრძლივობა} \times \text{დღიური ამონაგები}$$

კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა კაპიტალის შემოსავლიანობით ანუ მისი რენტაბელობით ხასიათდება. თვით კაპიტალის ინტენსიური გამოყენების დახასიათების მიზნით ანგარიშობენ მისი ბრუნვადობის კოეფიციენტებს. რენტაბელობის მაჩვენებლები ძალიან მრავალფეროვანია:

გაყიდვების რენტაბელობა. იგი გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის მოგება მოდის ერთეულ რეალიზებულ პროდუქციაზე. მას ანგარიშობენ გაყიდვიდან მიღებული მოგების შეფარდებით გაყიდვიდან შემოსულ ამონაგებთან;

ძირითადი საქმიანობის რენტაბელობა. ის გვიჩვენებს, თუ რა ოდენობის მოგება მოდის ერთი ლარის დანახარჯზე და გამოიანგარიშება გაყიდვიდან მიღებული მოგების სრულ თვითღირებულებასთან შეფარდებით;

4. მთელი კაპიტალის საერთო რენტაბელობა. იგი გამოსახავს მთელი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობას. ამ შემთხვევაში საბალანსო (წმინდა) მოგება იყოფა კაპიტალის საშუალო სიდიდეზე.
5. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა. ის გამოხატავს საკუთარის კაპიტალის გამოყენების რენტაბელობას; ამ შემთხვევაში საბალანსო (წმინდა) მოგება იყოფა საკუთარი კაპიტალის საშუალო მოცულობაზე.
6. საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვის დრო. იგი გვიჩვენებს, თუ რამდენ წელში გამოისყიდის მესაკუთრე თავის დაბანდებას შემოსავლიანობის არსებული დონის დროს. ამ შემთხვევაში საკუთარი კაპიტალის საშუალო სიდიდე უნდა გაიყოს წმინდა მოგებაზე.
7. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ფირმის საქმიანობაში ჩადებული კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობას. ამ შემთხვევაში საბალანსო (წმინდა) მოგება უნდა გაიყოს საკუთარი კაპიტალის საშუალო ღირებულებასა და გრძელვადიან ვალდებულებაზე.
8. ფონდრენტაბელობა. იგი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებებისა და სხვა არაბრუნვადი აქტივების გამოყენების ეფექტიანობას. ამ მიზნით საბალანსო (წმინდა) მოგება არაბრუნვადი აქტივების საშუალო ღირებულებაზე უნდა გაიყოს.

რენტაბელობის ანალიზი კაპიტალის ბრუნვადობის სხვადასხვა საფინანსო კოეფიციენტების დონისა და დინამიკის გამოკვლევაში მდგომარეობს.

უფრო დეტალური ანალიზისათვის განსაზღვრავენ ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლებს, ე.ი. საბრუნავი აქტივების მთლიანი ჯამის ნაცვლად იყენებენ ცალკეულ ელემენტებს. ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლები შეიძლება გავიანგარიშოთ განსაკუთრებული ბრუნვის მიხედვით, რომლის რანგში იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს:

- მატერიალური მარაგებისთვის - წარმოებაზე მათი ხარჯვის სიდიდე;
- დაუმთავრებული წარმოებისათვის - საქონლის მიწოდება საწყობში;
- მზა პროდუქციისთვის - გადატვირთვა;
- ფულადი სამუალებებისათვის - ფულადი სამუალებების ბრუნვასა და კრედიტი აწგარიში;

საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანი გამოყენება დიდ როლს თამაშობს საწარმოს მუშაობის ნორმალიზაციის უზრუნველყოფაში, წარმოების რენტაბელობის დონის ამაღლებაში და იგი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. თანამედროვე პირობებში საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობისა და მათი ბრუნვადობის შემცირების ცვლილებებზე უდიდეს ნეგატიურ გავლენას შემდეგი ფაქტორები ახდენენ: სახელშეკრულებო და საგადასახადო-საანგარიშო დისციპლინის დარღვევა, საგადასახადო ტვირთის მაღალი დონე, მაღალი საბანკო პროცენტი და საბანკო კრედიტები.

ჩამოთვლილი ფაქტორები ობიექტურია. ისინი მუდამ თან სდევს ფირმის საქმიანობას და სერიოზულ გავლენას ახდენს საწარმოს საბრუნავი კაპიტალის გამოყენებაზე.

4.2. კაპიტალის მოზიდვის პოლიტიკის ანალიზი

კაპიტალის მოზიდვა საერთო საფინანსო პოლიტიკის ნაწილს წამოადგენს; მისი დანიშნულებაა უზრუნველყოს წარმოების განვითარების მოთხოვნასთან სხვადასხვა წყაროებიდან მოზიდული კაპიტალის ყველაზე ეფექტიანი ფორმებისა და პირობების შესაბამისობა.

პრაქტიკაში ცნობილია საწარმოს საშუალებების შევსების, ანუ, როგორც ამბობენ, ფინანსირების, ორი სახის წყარო:

1. შინაგანი (შიდა) - გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე;
2. საგარეო სესხებით და აქციების ემისიით; ანუ, ნასესხები საშუალებების მოზიდვა სესხის, კრედიტის სახით და აქციაზე ხელმოწერის, ობლიგაციის ემისიის ხარჯზე.

საწარმოს შინაგანი და საგარეო ფინანსირების სახეები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული; მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ურთიერთშემცვლელები არიან. მაგალითად, საგარეო სასესხო ფინანსირებამ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა შეცვალოს საკუთარი საშუალებების მოზიდვისა და გამოყენების საკითხი. მხოლოდ აუცილებელი და საკმარისი მოცულობის საკუთარ საშუალებებს შეუძლია უზრუნველყოს საწარმოს განვითარება და განამტკიცოს მისი დამოუკიდებლობა, დაადასტუროს აქციონერთა სწრაფვა გაიზიარონ საწარმოსთან დაკავშირებული რისკები და ამით პარტნიორების, მომწოდებლების, კლიენტებისა და კრედიტორების ნდობა გაზარდონ.

საწარმოს მიერ ნასესხები საშუალებების მოზიდვის პოლიტიკის ფორმირების პროცესი შემდეგ ძირითად ეტაპებს მოიცავს:

განვიხილოთ ამ ეტაპებიდან თითოეული მათგანი:

1. მომავალ პერიოდში ნასესხები საშუალებების მოზიდვის და გამოყენების ანალიზი. ასეთი ანალიზის მიზანია საწარმოს მიერ ნასესხები საშუალებების მოზიდვის მოცულობის, შემადგენლობის და ფორმის გამოვლენა, ასევე, მათი გამოყენების ეფექტიანობის შეფასება.

ანალიზის პირველ ეტაპზე სწავლობენ განსახილველ პერიოდში მოსაზიდი სასესხო საშუალებების საერთო მოცულობის დინამიკას, რომლის ტემპები საკუთარი ფინანსური რესურსების საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობის მოცულობისა და საწარმოს აქტივების მთლიანი ჯამის ზრდის ტემპებთან შედარდება.

ანალიზის მეორე ეტაპზე განსაზღვრავენ სასესხო საშუალებების მოზიდვის ძირითად ფორმებს, დინამიკაში აანა-

ლიზებენ ფორმირებული ფინანსური კრედიტის, სასაქონლო კრედიტის და შიდა საკრედიტო დავალიანების ხვედრით წონას საწარმოს მიერ გამოყენებული ნასესხები საშუალებების მთლიან ჯამში.

ანალიზის მესამე ეტაპზე განსაზღვრავენ საწარმოს მიერ გამოყენებული ნასესხები საშუალებების თანაფარდობას მათი მოზიდვის პერიოდისათვის. ამ მიზნით ახორციელებენ გამოყენებული ნასესხები კაპიტალის სათანადოდ დაჯგუფებას, სწავლობენ საწარმოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნასესხები საშუალებების დინამიკას და მათ შესაბამისობას გამოყენებული საბრუნავი და არასაბრუნავი აქტივების მოცულობასთან.

ანალიზის მეოთხე ეტაპზე სწავლობენ საწარმოს კონკრეტული კრედიტების შემადგენლობას და მათთვის ფინანსური და სხვადასხვა ფორმის სასაქონლო (კომერციული) კრედიტების მიღების პირობებს. ეს პირობები გვიჩვენებენ საფინანსო და სასაქონლო ბაზრების კონიუქტურასთან მათი შესაბამისობის პოზიციას.

ანალიზის მეხუთე ეტაპზე სწავლობენ საწარმოში ნასესხები საშუალებების ეფექტიანობას მთლიანობაში და მათ ცალკეული ფორმების მიხედვით ამ მიზნით იყენებენ ნასესხები კაპიტალის ბრუნვადობისა და რენტაბელობის მაჩვენებლებს.

ჩატარებული ანალიზის შედეგები საწარმოს მიერ ნასესხები საშუალებების ჩამოყალიბებული მოცულობებისა და ცალკეულ ფორმებში მათი გამოყენების მიზანდასახულობის შეფასების საფუძვლად გვევლინება.

2. მიმდინარე პერიოდში ნასესხები საშუალებების მოზიდვის მიზნების განსაზღვრა.

საწარმოს მიერ სასესხო საშუალებების მოზიდვის ძირითად მიზანს წარმოადგენს:

✦ საბრუნავი აქტივების მუდმივი ნაწილის აუცილებელი

მოცულობის შეფასება. დღეს საწარმოო საქმიანობის განმახორციელებელ საწარმოთა უმრავლესობას არ გააჩნია შესაძლებლობა საკუთარი კაპიტალის ხარჯზე სრულად დააფინანსოს საბრუნავი სამუალებების ეს ნაწილი. აღნიშნული სახის ფინანსირების მნიშვნელოვანი ნაწილი ნასესხები საშუალებების ხარჯზე ხორციელდება.

- არასაკმარისი მოცულობის საინვესტიციო რესურსების შევსება. ამ შემთხვევაში ნასესხები საშუალებების მოზიდვის მიზანია საწარმოს ცალკეული რეალური პროექტების (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია) დაჩქარება და ძირითადი საშუალებების განახლება.
- მუშაკების სოციალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნების უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში ნასესხები საშუალებები საწარმოს სხვადასხვა სახის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნების (მაგალითად, დასაქმებული მუშაკთათვის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წარმოების მიზნით სესხის აღება) დაკმა-ყოფილებისკენ წარიმართება.
- სხვა დროებითი საჭიროებები. ნასესხები საშუალებების მიზნობრივი მოზიდვის პრინციპი ამ შემთხვევაშიც დაცულია, მაგრამ ამ სახის მოზიდვა, ჩვეულებრივ, ხორციელდება მოკლე ხნით და მცირე მოცულობით.

3. ნასესხები საშუალებების მოზიდვის ზღვრული მოცულობის განსაზღვრა. ამ სა-ხის მოზიდვის მაქსიმალური მოცულობა ნაკარნახევი არის ორი ძირითადი პირობით:

ა) ფინანსური ლევერიჯის ზღვრული ეფექტით. რამდენადაც საკუთარი ფინანსური რესურსების მოცულობა წინა ეტაპზე ყალიბდება, ამდენად გამოყენებული საკუთარი კაპიტალის საერთო მოცულობა შესაძლოა წინასწარ იქნეს განსაზღვრული. მის მიმართ ანგარიშობენ ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტს (დაფინანსების კოეფიციენტი), რომლის დროსაც მისი ეფექტი მაქსიმალური იქნება. მომავალ პერიოდში საკუთარი კაპიტალის

სიდიდის და გაანგარიშებული ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტის გათვალისწინებით ანგარიშობენ საკუთარი კაპიტალის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველმყოფი ნასესხები საშუალებების ზღვრული მოცულობას.

ბ) საწარმოს საკმარისი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფით. იგი არა მხოლოდ თვით საწარმოს პოზიციიდან, არამედ მისი შესაძლო კრედიტორების პოზიციიდანაც უნდა შეფასდეს, რაც საბოლოო ჯამში მოზიდული სასესხო საშუალებების ღირებულების შემცირებას უზრუნველყოფს.

ამ მოთხოვნების გათვალისწინებით საწარმო თავის სამეურნეო საქმიანობაში ნასესხები საშუალებების გამოყენების ლიმიტს აწესებს.

4. სხვადასხვა წყაროდან ნასესხები კაპიტალის მოზიდვის ღირებულების შეფასება. ასეთ შეფასებას ატარებენ საწარმოს მიერ გარე და შიდა წყაროებიდან მოზიდული სასესხო კაპიტალის სხვადასხვა ფორმების ჭრილში. ამგვარი შეფასების შედეგები სასესხო კაპიტალზე საწარმოს მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სახსრების მოზიდვის ალტერნატიული წყაროების არჩევის მიზნით მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავების საფუძველს წარმოადგენს.

5. მოკლევადიან და გრძელვადიან საფუძველზე მოზიდული სასესხო საშუალებების მოცულობის თანაფარდობის განსაზღვრა. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასესხო საშუალებების მოცულობაზე მოთხოვნის გაანგარიშება მომავალ პერიოდში მათი გამოყენების მიზნით ხდება. ხანგრძლივი ვადისათვის (1 წელზე მეტი ხნით) საშუ-ალებები, როგორც წესი, მოიზიდება საკუთარი ძირითადი საშუალებების მოცულობის გაფართოებისათვის და საინვესტიციო რესურსების არასაკმარისი მოცულობის დაფარვისთვის. მოკლევადიანი პერიოდისათვის სასესხო საშუალებების მოზიდვა ხდება მათი გამოყენების ყველა დანარჩენი მიზნებისათვის.

თითოეული პერიოდის ფარგლებში საჭირო სასესხო საშუალებების გაანგარიშება მათი შემდგომი გამოყენების თითოეული მიზნობრივი მიმართულების ჭრილში ხორციელდება. ამ გაანგარიშების მიზანია დააწესოს მოზიდული ნასესხები საშუალებების გამოყენების დრო მათი მოკლე- და გრძელვადიანი სახეების თანაფარდობის ოპტიმაზაციის მიზნით. ამ სახის გაანგარიშების პროცესში განსაზღვრავენ ნასესხები საშუალებების გამოყენების სრულ და სამუალო ვადას.

ნასესხები საშუალების გამოყენების სრული ვადა წარმოადგენს მათი შემოსვლის დასაწყისიდან მთელი თანხის საბოლოოდ დაფარვამდე პერიოდს. ის კი სამ დროით პერიოდს მოიცავს:

1. სასარგებლო გამოყენების ვადას. ეს ის პერიოდია, რომლის განმავლობაში საწარმო უშუალოდ იყენებს მიღებულ ნასესხებ საშუალებებს თავის სამეურნეო საქმიანობაში.
2. შეღავათიანი პერიოდი - ნასესხები საშუალებების სასარგებლო გამოყენების ის პერიოდი, რომელიც სესხის მიღებიდან ვალის დაფარვის დამთავრებამდე არსებულ პერიოდს მოიცავს.
3. დაფარვის ვადა. ეს არის ის პერიოდი, რომლის განმავლობაში გამოყენებული ნასესხები საშუალებების ძირითადი ვალის და მასზე პროცენტების სრულად დაფარვა ხდება. ამ მაჩვენებელს იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა ძირითადი ვალის და პროცენტის გადახდა ხორციელდება ნასესხები საშუალებების გამოყენების ვადის დამთავრების შემდეგ არა მომენტალურად, არამედ ნაწილნაწილ, გრაფიკით გათვალისწინებული განსაზღვრული პერიოდის მანძილზე.

ნასესხები საშუალებების გამოყენების სრული ვადის გაანგარიშება ხორციელდება ჩამოთვლილი ელემენტების ჭრილში გამოყენების მიზნიდან და ფინანსურ ბაზარზე პრაქტიკით

ჩამოყალიბებული საშუალავათო პერიოდისა და დაფარვის ვადიდან გამომდინარე.

ნასესხები საშუალებების გამოყენების საშუალო ვადა წარმოადგენს საშუალო საანგარიშო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მათ იყენებენ.

$$\text{ნასესხები საშ. გამოყენების ვადა} = \frac{\text{ნასესხები საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა}}{2} \times \text{საშუალავათო პერიოდი} + \frac{\text{დაფარვის დრო}}{2}$$

ნასესხები საშუალებების გამოყენების საშუალო ვადა განსაზღვრავს ამ საშუალებების თითოეული მოზიდვის დანიშნულებას, მათი მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოზიდვის მოცულობას, მთლიანობაში ნასესხები საშუალებების სასურველ თანხას.

მოკლევადიან და გრძელვადიან საფუძველზე ნასესხები საშუალებების თანაფარდობა შეიძლება ოპტიმიზირებული იქნეს მოზიდვის ღირებულებასთან შესაბამისობაში.

6. ნასესხები საშუალებების მოზიდვის ფორმების განსაზღვრა. აღნიშნული მოზიდვის ფორმები დიფერენცირებულია ფინანსური კრედიტის, სასაქონლო (კომერციული) კრედიტის და სხვა ფორმების ჭრილში. სასესხო საშუალებების მოზიდვის ფორმების არჩევას საწარმო თავისი სამეურნეო საქმიანობის მიზნებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე ახორციელებს.

7. ძირითადი კრედიტორების შემადგენლობის განსაზღვრა. ძირითადი კრედიტორების შემადგენლობა სასესხო საშუალებების მოზიდვის ფორმიდან გამომდინარე განისაზღვრება. საწარმოს ძირითად კრედიტორებად ჩვეულებრივ პრაქტიკაში გვევლინებიან მისი მუდმივი ის მომწოდებლები, ვისთანაც საწარმოს ხანგრძლივი კომერციული კავშირები აქვს დამყარებული და ის კომერციული ბანკი, რომელიც ახორციელებს მის საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურეობას.

8. კრედიტის მოზიდვის ეფექტიანი პირობების ფორმირება. აღნიშნული პირობებიდან მნიშვნელოვანია:

– კრედიტის მიღების ვადა;

– კრედიტზე საპროცენტო განაკვეთი;

პროცენტის თანხის გადახდის პირობები;

ძირითადი ვალის თანხის გადახდის პირობები;

კრედიტის მიღებასთან დაკავშირებული სხვა პირობები.

კრედიტის მიღების ვადა მისი მოზიდვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაა. პრაქტიკაში ოპტიმალურად თვლიან კრედიტის მიღების იმ ვადას, რომლის განმავლობაშიც სრულად რეალიზდება კრედიტის მოზიდვის მიზანი.

კრედიტზე პროცენტის განაკვეთის სიდიდე მისი ღირებულების შეფასების განმსაზღვრელი პირობაა. სასაქონლო კრედიტისათვის ის გამოიყენება გამყიდველის ფასდათმობის სიდიდის შეფასების წლიურ გაანგარიშებაში მოწოდებული საქონლის ღირებულების დაუყოვნებლივ ანაზღაურებისთვის.

პროცენტის თანხის გადახდის პირობები ხასიათდება ამ თანხის გადახდის წესით, რაც დაიყვანება შემდეგ სამ ვარიანტზე:

პროცენტის მთელი თანხის გადახდა კრედიტის მიღების მომენტში;

პროცენტის თანხის გადახდა თანაბარ ნაწილებად;

პროცენტის მთელი თანხის გადახდა ძირითადი ვალის თანხის გადახდის მომენტში.

სხვა თანაბარი პირობებში უპირატესობას მესამე ვარიანტს ანიჭებენ.

ძირითადი ვალის თანხის გადახდის პირობები ხასიათდება მისი დაბრუნების გათვალისწინებული პერიოდებით. ეს პირობები დაიყვანება სამ ვარიანტზე:

კრედიტით სარგებლობის მთელიანი პერიოდის განმავლობაში ძირითადი ვალის თანხის ნაწილობრივ დაფარვა;

კრედიტის გამოყენების ვადის გასვლისთვის ვალის მთელი თანხის სრულ დაბრუნება;

შეძლოთავაზებული შესაღავათო პერიოდისათვის ვალის ძირითადი თანხის ან ნაწილის დაბრუნებისათვის კრედიტის სასარგებლო გამოყენების ვადის ამოწურვასთან;

სხვა თანაბარ პირობებში წარმოდგენილი ვარიანტებიდან საწარმოსათვის უპირატესია მესამე ვარიანტი.

კრედიტის მიღებასთან დაკავშირებული სხვა პირობები შეიძლება ითვალისწინებდეს მისი დაზღვევის აუცილებლობას, ბანკისთვის დამატებითი საკომისიო ანაზღაურების გადახდას, კრედიტის მოცულობის სხვადასხვა დონეს გარანტიის ან გირაოს თანხასთან მიმართებაში და ა.შ.

9. კრედიტის ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა. ამ დროს კრიტერიუმად გამოდის ნასესხები კაპიტალის ბრუნვადობა და რენტაბელობა.

10. მიღებულ კრედიტზე თავისდროული გადახდების უზრუნველყოფა. ამ მიზნით ყველაზე მსხვილ კრედიტებზე შეიძლება წინასწარ დარეზერვდეს სპეციალური ფონდი. ამ დროს კრედიტზე მომსახურეობისათვის გადასახდელებს საგადასახადო კალენდარში რთავენ და მათ მიმდინარე ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის პროცესში აკონტროლებენ.

მაშასადამე, საწარმოს მდგრადი განვითარების წინაპირობას წარმოადგენს მისი საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების გრძელვადიანი წყაროების არსებობა. დაფინანსების მოზიდვის პირობების რაციონალიზაციის აუცილებლობა საწარმოებს აიძულებს მუდმივად შეამცირონ მოზიდული ფინანსური რესურსების ღირებულება (ფასი).

თემა 5. საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი

5.1. საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის ანალიზი

საინვესტიციო პოლიტიკა საწარმოს საერთო ფინანსური სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს. იგი განსაზღვრავს ფირმის განვითარების ყველაზე რაციონალური გზების არჩევის და მისი კვლავწარმოებითი პოტენციალის გაფართოების წესებს. იმისათვის, რომ საწარმომ უფრო დეტალურად ჩამოაყალიბოს საინვესტიციო პოლიტიკა, იგი ამ მიზნით საინვესტიციო პროექტების ბიზნესს-გეგმას ადგენს. საწარმოს ინვესტიციის ფარგლებში გამოყოფენ რეალური ინვესტიციის ექვს ფორმას, რომლებიც დაიყვანება სამ მირითად მიმართულებაზე: კაპიტალური დაბანდებები, ინოვაციური ინვესტირება და საბრუნავი საშუალებების ზრდის ინვესტირება.

საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების დროს აუცილებელია გათვა-ლისწინებულ იქნეს საწარმოს ფუნქციონირების რიგი არსებითი ასპექტები. კერძოდ, აუცილებელი ეფექტის მიღწევა, მოგების მაქსიმიზაცია ხარჯების მინიმიზაციის ხარ-ჯზე, სუბსიდიებისა და შეღავათიანი კრედიტების მოზიდვა, ინვესტიციების ლიკვიდურობის უზრუნველყოფა, საინვესტიციო რისკის მინიმიზაცია, ინვესტსაქმიანობის რეგულირების ნაწილში კანონდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

საინვესტიციო პოლიტიკის ანალიზის ფარგლებში საინვესტიციო პოლიტიკის შეფასების დროს ყველაზე მნიშვნელოვანია ნასესხები საშუალებების დასაშვები სიდიდის და ფინანსირების წყაროების არჩევა. ამასთან, საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების დროს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს კაპიტალის სტრუქტურის ანალიზი. საინვესტიციო პროექტის შეფასების აზრი იმაში მდგომარეობს,

რომ გადაწყვეტილების მიმღებ პირს მიეწოდოს ყველა ინფორმაცია იმ ფორმით, რომ მას იწვესტიციის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება (დასკვნა).

ამ მიზნით პრაქტიკაში იყენებენ საინვესტიციო პოლიტიკის წმინდა მიმდინარე ღირებულების განსაზღვრის მეთოდს (წმღ). ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ განისაზღვრება დანახარჯების მიმდინარე ღირებულება, ე.ი. რა რაოდენობის სამუალება უნდა დარეზერვდეს პროექტის შექმნის მიზნით.

აღნიშნული მეთოდის მოთხოვნის ფორმულარულ აპარატში გადაყვანის გზაზე საინვესტიციო პროექტის ღირებულება აღვნიშნოთ როგორც „ღ" ასოთი. შემდეგ უნდა გავიანგარიშოთ მომავალში პროექტიდან მოსალოდნელი ფულადი შემოსავლების მიმდინარე ღირებულება. ამისათვის მიმდინარე თარიღისთვის გამოიყვანება თითოეული წლის შემოსავალი. თითოეული მომავალი წლისთვის შემოსავლების მიმდინარე ღირებულების დაჯამებით მივიღებთ პროექტისგან შემოსავლების საერთო მიმდინარე ღირებულებას და იგი აღვნიშნოთ „ი" ასოთი. ამის შემდეგ დანახარჯების მიმდინარე ღირებულება „ღ" უნდა შევადაროთ შემოსავლების მიმდინარე ღირებულებას „ი". ამ შემთხვევაში წმინდა მიმდინარე ღირებულება წარმოადგენს ამ სიდიდეებს შორის სხვაობას. თუ „წმღ" > 0, მაშინ შემოსავლების მიმდინარე ღირებულება დანახარ-ჯების მიმდინარე ღირებულებას აჭარბებს. ეს ნიშნავს რომ პროექტი მოიტანს კაპიტალის ღირებულებაზე წამეტ შემოსავალს. თუ „წმღ"<0, მაშინ დივიდენდური უკუგების ტოლი შემოსავლის განაკვეთის დროს აუცილებელია მომავალი ფულადი სამუალებების მიღებისთვის მეტი საშუალებები ჩაიდოს მოცემულ პროექტში, ვიდრე სხვა ასეთივე შემოსავლის მომცემ პროექტებში. მოცემული პროექტი კაპიტალის ღირებულებაზე ნაკლებია და ამიტომაც იგი არამომგებიანია.

საინვესტიციო პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება

განპირობებულია იმ მიზნებით, რომელსაც თავის თავს უყენებს საწარმო. ამ შემთხვევაში საწარმოს მიზნებია:

- ფირმის მაღალი რეპუტაციის შენარჩუნება მომხმარებლებს შორის, როგორც ბაზრის კონტროლირებადი წილის შენარჩუნების შედეგი;
- საინვესტიციო ღონისძიებების მომგებიანობა;
- ფირმის სავაჭრო ბრუნვისა და მის მიერ კონტროლირებადი წილის ზრდა;
- მაღალი შრომის ნაყოფიერების მიღწევა;
- ახალი პროდუქციის წარმოება.

მთლიანობაში საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას ეფუძნება. ეკონომიკურ ლიტერატურაში და პრაქტიკაში ცნობილია მთელი რიგი ფორმალიზებული მეთოდები, რომელთა დახმარებით გაკეთებული გაანგარიშებები საინვესტიციო პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების მიღება საფუძვლად ედება.

საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი პარამეტრებია: ინვესტიციის საერთო სიდიდე, ინვესტირების საკუთარი და ნასესხები წყაროების თანაფარდობა და სხვა. ამასთან ზოგიერთი ინვესტიციის პროგრამის შეფასების ძირითად მეთოდად გვევლინება ამოწაგების მეთოდი, დაბანდებული კაპიტალის უკუგების ანგარიშის მეთოდი და ფულადი შემოსავლების დისკონტირების მეთოდი.

ამონაგების მეთოდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთელ ფულად ნაკადებს, რომელიც პირველ წლებშია გენერირებული. ამონაგების პერიოდი არის დროის იმ მონაკვეთის ხანგრძლივობა, რომლის ბოლოს პროექტის რეალიზაციიდან მოდინებული ფულადი საშუალებების თანხა პირველსაწყისი ფულადი ხარჯების თანხის ტოლია. მაშასადამე, დროის მონაკვეთის ეს ხანგრძლიობა აუცილებელია იმისათვის, რომ ინვესტიციამ თავისი თავი გამოისყიდოს.

დაბანდებული კაპიტალის უკუგების ანგარიშის მეთოდი. აღნიშნული მეთოდით შესაძლებელია საინვესტიციო პროექტის შეფასება. აღნიშნული მეთოდი რეალიზდება ინვესტიციის შემოსავლიანობის განსაზღვრის ან დაბანდებული კაპიტალის უკუგების გზით და ამ მაჩვენებლის წინასწარ დადგენილი გეგმურ დონესთან შედარებით.

დაბანდებული კაპიტალის უკუგების გაანგარიშებისათვის პრაქტიკაში იყენებენ შემდეგ ფორმულას:

$$\text{დაბანდებულ კაპიტალის უკუგება} = \frac{\text{მოსალოდნელი საშუალო მოგება}}{\text{ინვესტიციიდან მოსალოდნელი საშ. მოგება}} \times 100\%$$

ამ ფორმულაში შესაძლოა სხვადასხვა სახის კომბინაციები და ცვლილებები, მაგალითად, შეიძლება გამოყენებული იქნეს ჯაჭვური მოგება მრიცხველში ან ინვესტიციის თავდაპირველი სიდიდე მნიშვნელში.

პრაქტიკაში თვლიან, რომ მეცნიერული კუთხით ზუსტი და საიმედო არის კაპიტალდაბანდების შეფასება ფულადი შემოსულობების დისკონტირების (ფშდ) მეთოდით. ამ მეთოდით განსაზღვრავენ ფულსა და დროს შორის ზოგიერთი სახის ურთიერთკავშირს.

როგორც წესი ფული იხარჯება მოგების მიღების მიზნით, ამიტომ, ბუნებრივია, რომ კაპიტალდაბანდებებმა უნდა მოგვცეს დამატებითი მოგება ან ეკონომია, რათა გაწეული ხარჯები გამართლებული იქნეს. ამასთან, მოგების ან შემოსავლის სიდიდე უნდა იყოს საკმაოდ მაღალი იმისათვის, რომ კაპიტალდაბანდება გამოსყიდული იქნეს. კაპიტალდაბანდება შეიძლება ჩაითვალოს ეფექტიანად თუ ის როგორც მინიმუმი იძლევა მოგებას ან შემოსავალს, რომელთა დონე ინვესტორს იმ დროის მონაკვეთის ხანგრძლიობას კომპენსირებას უკეთებს, რომლის პერიოდში იგი მოვალეა დაელოდოს ამ შემოსავლის მიღებას.

მასასადამე, საინვესტიციო პროგრამის შეფასების პროცესში

აუცილებელია დადგინდეს, რამდენად მოუვიდეს ინვესტიცია საკმარისი ოდენობის მოგებას მათი თანაბარზომიერების გათვალისწინებით. „ფშდ"-ის მეთოდი - ეს არის შეფასების მეთოდი, რომელიც გაანგარიშებაში დროის განმავლობაში ფულის ღირებულების ცვლი-ლებას იყენებს. დისკონტირებული ფულადი შემოსულობების გაანგარიშების დროს იყენებენ რთული პროცენტის პრინციპს.

დისკონტირების მეთოდის გამოყენებით განსაზღვრავენ ღირებულებას, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ინვესტიციას გარკვეული წლების შემდეგ, რათა ინვესტიციის ღირებულება დაფიქსირებული იქნეს პროცენტის მოცემული განაკვეთის ამ სიდიდემდე.

კონკრეტული პროექტის მიხედვით ფულადი შემოსულობები დისკონტირებული უნდა იქნეს იმ განაკვეთით, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალის უკუგების დივიდენდს, ასევე ნასესხებ სამუალებებზე საპროცენტო განაკვეთს.

კაპიტალის დივიდენდური უკუგება (კდუ) შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$\text{კდუ} = \frac{\text{საგარაუდო დივიდენდი+საბოლოო დივიდენდი}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \times 100\%$$

როგორც წესი, პრაქტიკაში იყენებენ კიდევ უფრო რთულ გაანგარიშებას, რომელიც საშუალო-შეწონილი დივიდენდის უკუგების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ამ სახის გაანგარიშებაში ითვალისწინებენ პროცენტიდან ჩაგადასახადო შეღავათს და ანალო-გიურ კაპიტალებზე შემოსავლიანობის საბაზრო მოჩაცემების საფუძველზე აკეთებენ ვარაუდს დივიდენდის უკუგების თაობაზე.

პროექტის ეფექტიანობის შეფასებას პროექტამდე არსებული სიტუაციის და პროექტის შემდეგ შექმნილი სიტუაციის შედარების გზით კი არ ახორციელებენ, არამედ პროექტით და პროექტის გარეშე სიტუაციების შედარებით ახდენენ

შედეგიანობის დადგენას. ამ მიდგომისას წარმოშობილ სხვაობას იქითკენ მივყვართ, რომ წარმოების პროცესში არსებითი ცვლილება კაპიტალდაბანდების სრუქტურაში და სიდიდეში ხდება, რაც ყველაზე მარტივი გაანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება, ამას კი მივყვართ პროექტს მიკუთვნებული სარგებლის და დანახარჯების გაანგარიშებების დამახინჯებისაკენ.

მაშასადამე, საწარმოსათვის აუცილებელი ეფექტის, მაგალითად ეკონომიკური, სამეცნიერო ტექნიკური და სოციალური ეფექტის მიღწევა, დამოკიდებულია ორგანიზაციაში გატარებულ კონკრეტულ ღონისძიებებზე. ინვესტირების თითოეული ობიექტისათვის იყენებენ ეფექტიანობის შეფასების სპეციფიკურ მეთოდებს, შემდეგ კი ირჩევენ იმ საინვესტიციო პროექტებს, რომელიც სხვა თანაბარ პირობებში საწარმოს მაქსიმალურ ეფექტიანობას უზრუნველყოფს.

5.2. საწარმოს საბაზრო ფასის ანალიზი

შეფასებით საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საწარმოს (კომპანიის) საბაზრო ფასით შეფასება, რომელიც მისი საქმიანობის შედეგების ობიექტური მაჩვენებელია.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება მოიცავს ყველა აქტივის - უძრავი ქონების, მანქანებისა და მოწყობილობების, სასაწყობო მარაგების, ფინანსური დაბანდებების, არამატერიალური აქტივების შეფასებას. ამას გარდა, ცალკე აფასებენ კომ-პანიის მუშაობის ეფექტიანობას, მის მიმდინარე და მომავალ შემოსავლებს, ბიზნესის განვითარების პერსპექტივებს და მოცემულ ბაზარზე კონკურენტულ გარემოს, შემდეგ კი შესაფასებელ კომპანიას ანალოგიურ საწარმოსთან ადარებენ. ამდენად, საწარმოს ღირე-ბულების შეფასება საწარმოში

მიმდინარე ფინანსურ, ორგანიზაციულ და ტექნოლო-გიურ ანალიზს და პერსპექტივებს მოიცავს.

თანამედროვე საწარმო საკმაოდ რთული სრუქტურაა. იგი სხვადასხვა ბუნების მქონე საკმაოდ დიდი რაოდენობის აქტივებს აერთიანებს: უძრავი ქონებიდან დაწყებული საწარმოს საქმიანი რეპუტაციით დამთავრებული. ამიტომ საწარმოს საბაზრო ფასის ანალიზი აუცილებელია განხორციელდეს შეფასების არსებული მიდგომების პოზიციიდან:

- ხარჯვითი კუთხით;
- შედარებითი კუთხით.

აღნიშნული მიდგომები ურთიერთშევსებულად არ გამოიყენება, პირიქით ისინი ერთმანეთს ავსებენ, ე.ი. საწარმოს ღირებულების შეფასებისათვის ცდილობენ ერთდროულად გამოიყენონ სხვადასხვა მიდგომის ალტერნატიული შესაბამისი მეთოდები. ამასთან თითოეული მეთოდი ემყარება საწარმოს განსაზღვრულ თვისებებს, რომლებიც ამა თუ ზომით გავლენას ახდენენ მის ღირებულებაზე.

ხარჯვითი მიდგომის პოზიციიდან საწარმოს ფასის ანალიზის დროს პირველ რიგში იყენებენ საწარმოს ქონების (მატერიალური და არამატერიალური აქტივების ერთობლიობის) ღირებულებას. ეს მეთოდი მყიდველის ტიპური მოტივაციას და წარმოდგენებს ემყარება, რამდენადაც იგი საწარმოსთვის არ გადაიხდის იმაზე მეტს, ვიდრე მისი ყველა აქტივის ფასია.

შემოსავლითი კუთხით მიდგომის პოზიციიდან გააწარიშების საფუძვლად გამოდის ის შემოსავალი, რომელსაც შესაძლოა მომაყალში ადგილი ჰქონდეს საწარმოში. ეს მიდგომა ემყარება იდეესტორთა მოლოდინს, რომელიც განსაზღვრავს საწარმოს მიმდინარე ღირებულებას და, ისინი ძირითადად ხელმძღვანელობენ საწარმოდან მოსალოდნელი შემოსავლის სიდიდით და არა საწარმოში ამა თუ იმ აქტივის არსებობის ფაქტით.

საწარმოს ღირებულების შედარებითი მეთოდის გამოყენების დროს საწარმოს ფასის ანალიზში მთავარია თავისუფალი ბაზრის აზრი, რომელიც გამოიხატება აჩალოგიური საწარმოს მიერ განხორციელებული ყიდვა გაყიდვის გარიგებების ან მისი აქციების (წილის) ფასებში. შედარებითი მეთოდი ემყარება შეცვლადობის ფაქტორს, რომელიც გულისხმობს, რომ პოტენციური მყიდველისათვის მოცემული საწარმოს ფასი არ შეიძლება ძლიერ განსხვავდებოდეს სხვა საწარმოს ფასისგან.

საწარმოს ღირებულების შეფასების სამივე მიდგომას გააჩნია როგორც უპირატესობა, ისე ნაკლი და გამოყენების უპირატესი სფეროები; იგი მოიცავს სხვადასხვა სახის მეთოდს, რომელთა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე შემფასებელი თვითონ ირჩევს ყველაზე უკეთ შესაფერ შესაფასებელ კონკრეტულ საწარმოს.

საწარმოს ფასის ანალიზის საგანი შეიძლება საფონდო ბირჟისათვისაც საინტერესო იყოს. აქ მთლიანად კომპანიის ქონებრივი კომპლექსის ან მის ცალკეული სახის პროდუქციის გამოშვებისა და გაყიდვების შეფასება ხდება.

საწარმოს ღირებულების შეფასება შემდეგი მიზნით ტარდება:

- ყიდვა-გაყიდვის გარიგების ჩატარების მომზადების შემთხვევაში ფირმის ფასიანი ქაღალდების (აქციების ან მონაწილეობის წილის) ღირებულების განსაზღვრა. დასაბუთებული საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია შეფასდეს საწარმოს საკუთრება და იმ საკუთრების წილი, რომელიც შეძენილი აქციების პაკეტზე მოდის, ასევე ამ საწარმოს ბიზნესიდან მომავალი შემოსავლების შესაძლებლობა;
- აქციონერთა მოთხოვნის შესაბამისად საზოგადოების მიერ აქციების შესყიდვა;
- საინვესტიციო პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;

- ბანკში ან საინვესტიციო ფონდში დაკრედიტების პროცესის უზრუნველყოფა, დავების გადაწყვეტა;
- საწარმოს რეორგანიზაციის (შერწყმა, „შთანთქმა", გამოყოფა) შეფასება;
- საზოგადოებაში შესვლა არაფულადი (ქონებრივი) შენატანით, აქციის, სხვა ფასიანი ქაღალდის ან ქონებრივი კომპლექსით;
- საგადასახადო ვალდებულებების (დებიტორული დავალიანების) შესრულების მოთხოვნის უფლების შეფასება მესამე პირებზე დათმობის დროს;
- აუქციონზე (კონკურსზე) გამოტანილი საწარმოს გაყიდვისათვის მომზადება;
- საპრივატიზაციო საწარმოების გაყიდვისათვის მომზადება;
- სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა გაკოტრების თავიდან ასაცილებლად ანტიკრიზისული პოლიტიკის ფორმირებისა და ჩატარების დროს არშემდგარი მიზეზებისა და პროცესების ეკონომიკური ანალიზი და საბაზრო ღირებულებითი შეფასება როგორც ნესი, საწარმოს საბაზრო ღირებულება ზოგჯერ შეუძლებელია ობიექტურად შეფასდეს, რამდენადაც საუბარია ბიზნესით გენერირებული შემოსავლების მომავალ მოდინებაზე (ანუ გაუთვალისწინებელ, ზუსტად უცნობი მრავალ საგარეო და საშინაო ფაქტორზე დამოკიდებულ გარემოებებზე) და სხვადასხვა განაკვეთებით მათ დისკონტირებაზე.

საწარმო წარმოადგენს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური (ადამიანური კაპიტალის ჩათვლით) აქტივების უნიკალურ ერთობლიობას, რომელსაც შეუძლია კვაზირენტის გენერირება. მიღებულია რომ კვაზირენტას უწოდებენ ამა თუ იმ რესურსის გამოყენებიდან მიღებული სარგებლის (მოგების) გადამეტებას მის ალტერნატიულ ღირებულებაზე. ამდენად,

კვაზირენტა არის ის, რასაც ფირმა ოპერაციების შეწყვეტის მოცემულობიდან ინარჩუნებს. კვაზირენტის არარსებობის დროს ფირმა არსებობას წყვეტს.

ეკონომიკური კუთხით საწარმო შეიძლება წარმოვიდგინოთ ბალანსის სახით, სადაც ერთ მხარეს არის აქტივები, მეორე მხარეს კი ამ აქტივებზე მოთხოვნაა (იხ. ცხრილი 5.1-1).

ცხრილი 5.1-1.

საწარმო როგორც აქტივების ერთობლიობა

საბრუნავი კაპიტალი და არაბრუნვადი აქტივები (არამატერიალური აქტივების - რეპუტაცია, სავაჭრო ნიშანი და ა.შ. ჩათვლით)	მესაკუთრენი
სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი სიკეთისა და მომსახურეობის შესაძლებლობები (მათ შორის საკუთრების გარანტია და დაცვა, ცალკეულ ბიზნესთან ან რესურსებთან წვდომის უზრუნველყოფა, საქმიანობის ამა თუ იმ სახეებზე მონოპოლიური უფლება	მენეჯერები, საწარმოს მუშაკები, სახელმწიფო
ადამიანური კაპიტალი	კრედიტორები
მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან გრძელვადიან ურთიერთობებში განხორციელებული სპეციფიკური ინვესტიციები	მომწოდებლები და მომხმარებლები

პრაქტიკაში საწარმოს ფასის დადგენის მიმართ სხვა მიდგომაც არსებობს, კერძოდ, დაინტერესებულ მხარეებს შორის კონტრაქტების ერთობლიობა. ეს კონტრაქტები ობიექტურად არასრული არის, ე.ი. ისინი ზუსტად ვერ განსაზღვრავენ, თუ როგორ იქნება თვითოეულ შესაძლო სიტუაციაში სარგებელი

დაყოფილი. ეს კი ნიშნავს, რომ სარგებლის (შემოსავლები, ფულადი წყარო) იმათ მიერ იქნება განსაზღვრული, რომელთაც ძალაუფლების უფლებამოსილება გააჩნიათ.

კლასიკური ეკონომიკის თანახმად, სახელისუფლებო უფლებამოსილება უნდა გააჩნდეს მესაკუთრეებს, რამდენადაც ისინი კომპანიის აქტივების მიმართ ნარჩენ მოთხოვნებს ფლობენ, ე.ი. მათ შეუძლიათ მიიღონ რაღაც მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაკმაყოფილებული იქნება კრედიტორების, მენეჯერების, საწარმოს მუშაკების, სახელმწიფოს და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნები. მესაკუთრეებს ფორმალურად გააჩნიათ კომპანიის მართვის უფლებამოსილება (ძალაუფლება), რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი უფრო რთულადაა: რეალური სახელისუფლებო უფლებამოსილება შეიძლება გადანაწილებული იქნეს ზემოაღნიშნული ცხრილის მხარეებს შორის. თითოეული დაინტერესებული მხარის მიერ მიღებული მოგების სიდიდე (შესაბამისად, მისი მოთხოვნის ღირებულება) დამოკიდებულია სახელისუფლებო უფლებამოსილების ფაქტიურ განაწილებაზე.

მოცემულ შემთხვევაში კონფლიქტიდან თავის აცილების ყველაზე მარტივი წესია კომპანიის აქტივებზე ყველა მოთხოვნის მაქსიმალურად ერთ ხელში თავმოყრა, მაგრამ ესეც შესაძლოა არაეფექტიანი იყოს. რიგ შემთხვევაში კომპანიის მართვის სქემა საკუთრების კონცენტრაციას გულისხმობს (რაც თავის მხრივ მენეჯმენტზე სრულ კონტროლს, ე. ი. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესაძლებლობას ნიშნავს); გარედან ფინანსირების გამორიცხვის ფაქტს აფიქსირებს (და თუ კრედიტები გამოიყენება, ეს ხდება „წათესაობრივ" კონტროლს დაქვემდებარებული ბანკებიდან); მომხმარებელთაგან და მომწოდებლისაგან დამოკიდებულება მცირდება ერთ ხელში საკუთრების თავმოყრით და კომპანიის ვერტიკალური ინტეგრირებული კონგლომერატების აგების გზით; და, ბოლოს,

ხელისუფლებისაკენ აქტიური მოძრაობით სახელმწიფოსგან დამოკიდებულება ნეიტრალიზდება. აქ პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ თუ ერთ ხელში საწარმოს აქტივების მიმართ ყველა მოთხოვნის თავმოყრის შანსი მიღწეული იქნა, მაშინ ბიზნესის ყველა რისკიც ერთ ხელში იქნება თავმოყრილი. ამ შემთხვევაში ეფექტიანი, მაგრამ სარისკო გადაწყვეტილებების მიღების მოტივაცია მკვეთრად მცირდება, რაც უეჭველად ამცირებს ბიზნესის ღირებულებას.

საწარმოს საბაზრო ღირებულება ყველაზე ზუსტი მაჩვენებელია თუ რამდენი ღირს კომპანია. სხვა საკითხებთან ერთად ფინანსური თეორიის ღირებულება იმაშიც მდგომარეობს, რომ მას შეუძლია საკმაოდ ზუსტად მიუთითოს იმაზე, თუ, კერძოდ, რომელი პირობების შესრულების დროს იქნება მიღებული ესა თუ ის შედეგი.

საწარმოს საბაზრო ფასის ამაღლება მენეჯმენტის მთავარი მიზანი უნდა იყოს. მენეჯერის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა რაციონალური ეკონომიკური სუბიექტის, მიზანია საკუთარი სარგებლის მაქსიმიზაცია. ამ მიმართულებით მესაკუთრეთა და მენეჯერების ურთიერთობა - მოტივაციისა და ინტერესთა შეთანხმების კლასიკური პრობლემის მაგალითი არის. აქ კი ერთგვაროვანი გადაწყვეტილების არმქონე ძალიან ბევრი პრობლემები გვხვდება, კერძოდ:

- რომელი მაჩვენებლებით უნდა შეფასდეს მენეჯერის საქმიანობა;
- როგორ უნდა გაიზომოს ეს მაჩვენებლები;
- რამდენად არის დამოკიდებული ეს მაჩვენებელი მენეჯერის ძალისხმევაზე;
- როგორია შეცდომის სიდიდე და სხვ.

საწარმოს მესაკუთრენი ყოველთვის დაინტერესებულნი არიან მათი კუთვნილი ბიზნესის ღირებულების გაზრდით, მესაკუთრენიც და მენეჯერებიც საკუთარი სარგებლის მიღე-

ბისკენ ისწრაფვიან. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მესაკუთრეთათვის კომპანიის გრძელვადიან პერსპექტივასთან დაკავშირებული სარგებელი შესაძლოა არავითარ მნიშვნელოვან ღირებულებას არ წარმოადგენდეს.

ინტერესების გაერთიანება, ე. ი. მესაკუთრეთა ქცევის მოტივების ცვლილება, შეუძლია სრულყოფილ საფინანსო ბაზარს, რომელიც რეალობაში არ არსებობს. ადამიანები, რომლებიც „ეფექტურ მესაკუთრეზე" საუბრობენ, უფრო მეტად თეორეტიკოსები არიან, ვიდრე კაბინეტის სწავლულები. „ეფექტიანი მესაკუთრე" წარმოიშობა მაშინ როცა კომპანიასთან დაკავშირებული ყველა მხარის ინტერესების შეთანხმების შესაძლობები და ეფექტიანი მექანიზმები არსებობს. თუ ასეთი მექანიზმები მოქმედებენ, მაშინ სავსებით კანონზომიერად მესაკუთრე ცდილობს ან გამოვიდეს ინვესტიციიდან, ან იგი ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დახარჯავს რესურსებს (პირველ რიგში, კომპანიის რესურსებს) და ეცდება გაზარდოს თავისი წილი, მეორე მხარის საზიანოდ და თვით ბიზნესის ღირებულების საზიანოდ.

როგორც წესი, საწარმო ყოველთვის ისწრაფვის ბაზარზე მონოპოლიური ბატონობისათვის, რამდენადაც ეს ზრდის მოგებას და თვით საწარმოს ღირებულებას. ამის გვერდით საწარმოს საქმიანობას შეიძლება შეექმნას გარეშე ეფექტები, მაგალითად როცა იგი საფასურის გადაუხდელ, მუქთად მიღებულ რესურსებს (მაგალითად, გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული ხარჯები) იყენებს; ამის მსგავსია საგადასახადო გადახდა-ბის შემცირება, რომელიც საბოლოო ჯამში ზრდის კომპანიის ღირებულებას, მაგრამ ეს ყოველივე არც თუ ისე შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს.

საწარმოს საბაზრო ღირებულებას ცნებას შეიძლება პრაქტიკული სარგებლიანობა ჰქონდეს ორი მიზეზითაც: პირველი, როგორც ინტერესთა შეთანხმების საშუალება და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების ძირითადი კრიტერიუმი; მეორე,

ბიზნესის გონივრული შეფასება კონკრეტული გარიგებების (მაგალითად, შერწყმა და „შთანთქმა") მიღწევისა და მხარეთა შორის შეთანხმების ეფექტიანობის ამაღლების მიზნითაა მნიშვნელოვანი.

საწარმოს ღირებულების კონცეფციის ყველა ნაკლის მიუხედავად ძნელია დავასახელოთ უფრო ობიექტური სხვა კრიტერიუმები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემდა ადეკვატურად შეფასებულიყო ბიზნესის მართვის გადაწყვეტილება, განსაკუთრებით კი სტრატეგიული გადაწყვეტილების ეფექტიანობა. თუ მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილება ბიზნესის ღირებულებაზე მცირე გავლენის კუთხით გაანალიზდება, ეს შესაძლებლობას მოგვცემს მივიღოთ ინტეგრირებული ღირებულებითი შეფასება როგორც ახლო, ისე უფრო შორს მყოფი პერიოდისათვის გავითვალისწინოთ ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებაზე მათი გავლენა და ა. შ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ბიზნესის ღირებულება შეიძლება იქცეს იმ ორიენტირად, რომლის გარშემოც შესაძლებელია სხვადასხვა ჯგუფების ინტერესთა შეთანხმება. ამისათვის აუცილებელია, რომ ბიზნესის ღირებულების გაზრდა მომგებიანი იყოს არა მარტო მესაკუთრეებისათვის, არამედ ასევე მენეჯერებისათვის, კრედიტორებისათვის და სახელმწიფოსათვის. წარმატებულ კომპანიებს, როგორც წესი, წარმოადგენენ ის კომპანიები, სადაც სწორედ ინტერესთა შეთანხმების ეფექტიანი მექანიზმებია ნაპოვნი.

საწარმოს საბაზრო ღირებულების ანალიზის აუცილებლობა წარმოიშვება მრავალი პრაქტიკული გადაწყვეტილებების მისაღებად. როგორია ფასების ზედა ზღვარი, რომლის მიხედვით მომგებიანია ბიზნესის შეძენა? ნასესხები კაპიტალის გაზრდის როგორი წესი უფრო მიმზიდველია კომპანიისათვის? ყველა ეს გარიგების კონკრეტული ხერხებია, სადაც საწარმოს ფასად მისი საბაზრო ღირებულება გამოდის. მარტივი დაკვირვებით

კონკრეტული შეთანხმებისათვის ბიზნესის შეფასების საკითხების გან-სჯის აუცილებლობა გამოწვეულია უამრავი რაოდენობის არაეფექტურ გარიგებების არსებობით (ან პირიქით, გარიგების არარსებობით, იქ სადაც ეს ორივე მხარისათვის პოტენციურად მომგებიანია). პრაქტიკაში ხშირად ზოგადი მსჯელობიდან კონკრეტულ ამოცანებზე გადასვლის დროს აღმოჩნდება, რომ პრობლემები არც თუ იმდენად რთულია გადაჭრადი და მათი მარტივად გადაჭრა შესაძლებელია.

5.3. საწარმოს ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების და საგარეო მაჩვენებლის ანალიზი

საქართველოს საწარმოების საშეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა. წინათ, ეკონომიკის ადმინისტრაციულ-ბრძანებითი სისტემის დროს ეკონომიკა მთლიანად დახურულ სისტემას წარმოადგენდა. ამ დროს ხელისუფლების ორგანოები ავტოარატიის პოლიტიკას ატარებდნენ, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკურ და ტექნიკურ პროგრესს ამუხრუჭებდა. ასეთ პოლიტეკონომიკურ სიტუაციაში საწარმოები უბრალოდ არ საჭიროებდნენ საგარეო ბაზარზე გასვლას, ხოლო თვით საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა მათთვის ინტერესს არ წარმოადგენდა. „რკინის ფარდის" დანგრევის შემდეგ საწარმოებს წარმოეშვათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ საგარეო-ეკონომიკური კავშირების უპირატესობები, ასევე ინტეგრაციისა და წარმოების კოოპერაციის მსოფლიო პროცესში ჩართვის გარემოება.

ყოველივე ამის შედეგად წარმოიშვა საწარმოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის შესწავლის ობიექტური აუცილებლობა. ამასთან უდიდეს ინტერესს წარმოადგენს სავალუტო ოპერაციები, რომელიც ეხლა მიღწევადია არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ, ასევე, მეწარმე სუბიექტებისათვის, რომლებიც საქონლის, სამუშაოს და მომსახურეობის ბაზარზე საქმიანობენ. ამდენად, საწარმოს ეკონომიკური ანალიზის ერთიან პროცესში შესაბამისი ადგილი უჭირავს ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების ანალიზს.

უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს გააჩნიათ გარიგების ორი ფორმა: ნაღდი (სპოტ) და სასწრაფო (ფორვარდული). „სპოტ"-ი წარმოადგენს ისეთ გარიგებას რომლის დროს ვალუტის გაცვლა დაუყოვნებლივ ხორციელდება, როგორც წესი, ორი სამუშაო დღის განმავლობაში გარიგების დღის ჩათვლის გარეშე. ვალუტის მიმდინარე კურსს „სპოტ კურს"-ს უწოდებენ. „სპოტ" გარიგების ძირითადი კურსი არის ტელეგრაფული გადარიცხვების კურსი.

სასწრაფო, ანუ ფორვარდული ოპერაცია არის გარიგება, რომლის დროსაც დადგენილ ვადაში (ერთი კვირიდან ხუთ წლამდე ვადაში) გადახდები ხორციელდება იმ კურსით, რაც დაფიქსირებულია კონტრაქტის დადების დროს.

ვალუტის ფორვარდული კურსი სპოტ კურსისგან ფორვარდული მარჟის სიდიდით განსხვავდება. მარჟა შეიძლება იყოს პრემიის სახით, როცა „ფორვარდის" კურსი „სპოტ"-ის კურსზე მაღალი ან დისკონტის (დათმობის) სახით, როცა „ფორვარდ" კურსი „სპოტ" კურსთან შედარებით დაბალია. ფორვარდული სავალუტო გარიგება ძირითადად გამოიყენება გადახდების დაზღვევისათვის.

ერთი ვალუტის გაცვლა მეორეზე მოქმედი კურსის მიხედვით არის ვალუტის კონვერსია. საკურსო სხვაობები ჰფლობელის ხარჯებს მიეკუთვნება. აქ ადგილი აქვს ისეთ სავალუტო-ეკონომიკურ ფაქტს, როგორიცაა სავალუტო კურსი. სავალუტო კურსი არის ერთი ვალუტის ფასი მეორე ვალუტის ან საერთაშორისო საგადასახდელო საშუალებების მიმართ. სავალუტო კურსი დგინდება ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდების გათვალისწინებით და ძალიან მოძრავია. მასზე გავლენას ახდენს საგადამხდელო

ბალანსი, ინფლაციის დონე, თითოეულ ვალუტაზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობა და სხვ. ფაქტორებით.

საქართველოში ლარის სავალუტო კურსი ეროვნული ბანკის მიერ დგინდება და სწორედ ეროვნული ბანკის კოტირებული ლარის კურსი მის ოფიციალურ კურსს წარმოადგენს. ის მეურნე სუბიექტები, რომლებიც ანხორციელებენ სავალუტო ოპერაციებს, თავიანთ სავალუტო ანგარიშზე ერთდროულად ახდენენ ვალუტაში და ლარებში აღრიცხვა, ე.ი. სამეურნეო-საწარმოო ოპერაციის განხორციელების დღეს ლარზე არსებული კურსით ვალუტის გადაანგარიშებას. ბალანსის შედგენის დროს სავალუტო ანგარიშზე მასში აისახება საკურსო სხვაობები; ან ვალუტის გაცვლის შედეგად გამოვლენილი დადებითი საკურსო სხვაობა სამეურნეო სუბიექტის შემოსავალია უარყოფითი სხვაობა კი - მისი ხარჯები.

ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების ანალიზის დროს უნდა შევეხოთ საგარეო-სავაჭრო ოპერაციებს, რამდენადაც ისინი ურთიერთკავშირში არიან ერთმანეთთან; ამიტომაც აუცილებელია მათი ანალიზი ჩატარდეს ერთიანობაში იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც ერთდროულად ახდენენ გავლენას ვალუტასთან დაკავშირებულ ოპერაციებზეც და საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებზეც.

საგარეო-სავაჭრო საქმიანობა წარმოადგენს საქონელბრუნვასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების გაცვლას. საგარეო-სავაჭრო საქმიანობის საფუძველში ჩადებულია საგარეო-სავაჭრო ოპერაციები. საგარეო-სავაჭრო ოპერაციები არის საგარეო-სავაჭრო ოპერაციების უცხოელ პარტნიორებთან მოქმედების კომპლექსი, რომელიც მიმართულია სასაქონლო გაცვლის სრულყოფაზე და მისი უზრუნველყოფელია. საგარეო-სავაჭრო ოპერაციების მთელ კომპლექსში შეიძლება შედიდეს: კონკრეტული საქონლის ბაზრის შესწავლა, მისი რეკლამა, გასაღების ქსელის შექმნა, კომერციული წინადადების დამუშავება, მოლაპარაკების ჩატარება, კონტრაქტების

გაფორმება და შესრულება. საერთაშორისი ვაჭრობაში გამოყოფენ საგარეო-სავაჭრო ოპერაციების ოთხ ძირითად სახეებს:

1. საექსპორტო ოპერაციები – უცხოელ კონტრაგენტზე საქონლის გაყიდვა ქვეყნის გარეთ მისი გატანით;
2. საიმპორტო ოპერაციები – უცხოელი კონტრაგენტებისგან საქონლის შეძენა ქვეყანაში მისი შემოტანით;
3. რეექსპორტული ოპერაციები – ადრე იმპორტირებული, მაგრამ გადამუშავებას არ დაქვემდებარებული საქონლის ქვეყნის გარეთ გატანით ვაჭრობა;
4. რეიმპორტული ოპერაციები – საზღვარგარეთ შეძენილი ექსპორტირებული და იქ დამუშავებაში არყოფილი საქონელი;

საწარმო საგარეო-სავაჭრო საქმიანობას სხვადასხვა მიზეზებით ეწევა. მაგალითად, ამა თუ იმ მიზეზით შესაძლოა საჭირო იყოს ნედლეულის ან საქონლის საზღვარგარეთ შეძენა, რამდენადაც არ არის მოცემული საქონლის შეძენის შესაძლებლობა სამამულო მწარმოებლისგან. ასეთ სიტუაციაში წარმოიშობა იმპორტის აუცილებლობა. შესაძლებელია, ასევე, ადგილი ჰქონდეს უკუსიტუაციას – როცა ფირმას გააჩნია საქონელი, რომლის საზღვარგარეთ გაყიდვა უფრო მომგებიანია, ვიდრე თავის ქვეყანაში. ამ შემთხვევაში წარმოიშობა ექსპორტზე მოთხოვნა.

საწარმოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის წარმმძღვრად და უცილობელ პირობად გვევლინება გამყიდველიდან მომხმარებლამდე საქონლის გადაადგილების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მთელი რიგი ოპერაციების შესრულება. ამ სახის ოპერაციებს მიეკუთვნება როგორც სატრანსპორტო, სადაზღვევო ოპერაციები, ისე ის ოპერაციები, რომელიც საერთაშორისო ანგარიშსწორების წარმართვასთან არის დაკავშირებული. მაშასადამე, საგარეო-საფინანსო ოპერაციები მოიცავს ეკონომიკური, სავალუტო-საფინანსო და სამართლებრივი ხასიათის საკითხების ფართო კომპლექსს.

საგარეო-სავაჭრო ოპერაციები ხორციელდება დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების ქვეშ იგულისხმება სხვადასხვა ქვეყნებში მყოფ ორ ან რამდენიმე ფირმას შორის ხელშეკრულება საქონლის მიწოდებაზე ან/და შეთანხმებული პირობების მიხედვით მომსახურების გაწევაზე.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება არ ჩაითვლება საერთაშორისოდ, თუ ის გაფორმებულია სხვადასხვა სახელმწიფოებრივი კუთვნილების მხარეებს შორის, რომელთა ფირმები ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებიან; ამავე დროს ის ხელშეკრულება ითვლება საერთაშორისოდ, რომელიც ერთი სახელმწიფოებრივი კუთვნილების იმ მხარეებს შორის არის დადებული, რომელთა კომერციული ფირმები სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფებიან.

მაშასადამე, საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი ნიშანია გამყიდველი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთა საქონლის მიერ თუ ის მატერიალური ობიექტია. საერთაშორისო სავაჭრო გარიგებას უცხოური ვალუტის გადახდასთან ერთ ან ორივე მხარესთან თან-ხვედრობა ახასიათებს. აღნიშნული პრინციპი შესაძლოა დაცული არ იქნეს, მაგალითად, როცა ადგილი აქვს ფირმებს (კომპანიებს) შორის საქონელგაცვლითი გარიგებებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნულ პროცესს ადგილი არა აქვს.

საგარეო-სავაჭრო ოპერაციების ანალიზის დროს არ ითვლიან სპეციფიკურ მაჩვენებლებს. აქ ანალიზი ემყარება ისეთ ცნობილ და საყოველთაოდ მიღებულ მაჩვენებლებს, როგორიცაა ზრდის ტემპები, ხვედრითი წონა, ამა თუ იმ ოპერაციის ან მთლიანად საგარეო-სავაჭრო საქმიანობის მომგებიანობა და რენტაბელობა, საქონლის მრუხვის სიჩქარე კონკრეტულ უცხოელ მომწოდებელთან ან მყიდველთან მიმართებაში და ა.შ. ამასთან, დინამიკის ყველაზე არსებით მაჩვენებლად ითვლება: საზღვარგარეთ რეალიზებული მოცულობის და

იმპორტირებული საქონლის მოცულობის ცვლილება, საგარეო-სავაჭრო ოპერაციების განხორციელების დროს სატრანსპორტო დანახარჯების მოცულობების ცვლილება, იმპორტიორ ქვეყანაში წარმოშობილი ეკონომიკური სიტუაციის შედეგად შემოტანილი საქონლის ფასების ცვლილება და ა.შ. სტრუქტურის შესწავლის დროს მნიშვნელოვანია გაანგარიშებულ იქნეს: ტრანსპორტირებაზე დანახარჯის ხვედრითი წონა საერთო თვითღირებულებაში, როგორც ქვეყანაში შემოტანილ (იმპორტირებულ), ისე ქვეყნიდან გასატან (საექსპორტო) საქონელზე, საგარეო-სავაჭრო საქმიანობიდან წმინდა მოგების ხვედრითი წონა საზღვარგარეთ რეალიზებული საქონლის ამონაგებში და ა.შ.

თავი 6. მარკეტინგული და ინოვაციური ანალიზი

6.1. ანალიზი მარკეტინგის სისტემაში

საწარმოს მარკეტინგული საქმიანობა წარმოადგენს იმ სახის საქმიანობას, რომელიც მოგების მიღებისა და სხვა საწარმოებთან კონკურენტული უპირატესობების მიღწევის მიზნით საბაზრო შესაძლებლობათა მეთანხმებისკენ არის მიმართული. მარკეტინგული საქმიანობის შედეგიანობა მარკეტინგული კვლევების ხარისხზეა დამოკიდებული.

თავისი არსით და დანიშნულებით მარკეტინგული ანალიზი ორიენტირებულია ჩამოყალიბებული საბაზრო სიტუაციის შესწავლაზე და მის შეფასებაზე; სწორედ ამ პროცესში ფორმირდება ის ინფორმაციული ბაზა, რომელიც მარკეტინგის სისტემაში მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს.

მარკეტინგული ანალიზის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- პროდუქციაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის, მისი გასაღების ბაზრების შესწავლა და მისაბამისი მოცულობის და ასორტიმენტის საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმის დასაბუთება;
- პროდუქციაზე მოთხოვნის ელასტიკურობის ჩამომყალიბებელი ფაქტორების ანალიზი, და არამოთხოვნადი პროდუქციის რისკის ხარისხის შეფასება;
- პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფასება და მისი დონის ამაღლების რეზერვების მოძიება;
- მოთხოვნის ფორმირების სტრატეგიის, ტაქტიკის, მეთოდებისა და საშუალებების შემუშავება და პროდუქციის გასაღების სტიმულირება;
- პროდუქციის წარმოებისა და გასაღების ეფექტიანობის შეფასება.

მარკეტინგული კვლევის პროცესში ანალიზის მეთოდებისა

და ხერხების ფართო სპექტრი გამოიყენება; აქ იყენებენ ტრადიციულ მეთოდს (ანალიტიკური მაჩვენებლების სისტემას, ფაქტორული მოდელირებას, შედარების მეთოდს და ა. შ.); ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდს; ევრისტიკულ (ექსპერტული შეფასების მეთოდს) და მატრიცულ მეთოდებს.

მარკეტინგული ანალიზის ძირითადი მიზანია პროდუქციაზე მოთხოვნის შესწავლა და შეკვეთების პორტფელის ფორმირება. სწორედ შეკვეთების პორტფელზეა დამოკიდებული საწარმოს საწარმოო სიმძლავრე და მისი გამოყენების ხარისხი. თუ პროდუქციაზე ამა თუ იმ მიზეზის გამო მოთხოვნა ეცემა, მაშინ შესაბამისად მცირდება შეკვეთების პოტრფელი, მოსალოდნელი არის წარმოების დაცემა, იზრდება პროდუქციის გაუთვითრებულება და ზარალი, მატულობს გაკოტრების რისკი. ამიტომ ფირმისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პორტფელურ პროდუქციაზე მოთხოვნის ანალიზს. მოთხოვნა როგორც ეკონომიკური კატეგორია საქონლის იმ მოცულობას ახასიათებს, რომელიც მომხმარებელს სურს და მას შეუძლია გარკვეულ ფასად იგი შეიძინოს გარკვეულ ბაზარზე განსაზღვრული პერიოდის მანძილზე.

მოთხოვნის დონეზე გავლენას მრავალი ფაქტორები ახდენს; ამ სახის ფაქტორებია - შეთავაზებულ საქონელზე ფასები, მისი ხარისხი, მყიდველთა შემოსავალი, მომხმარებელთა უპირატესობანი, თანხვედრ (ან ურთიერთშენაცვლად) საქონელზე ფასები, შემოსავლებზე და საქონელზე ფასების ცვლილების მოლოდინი, ბაზრების გაჯერება, ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთები და ა. შ.

რამდენადაც მარკეტინგული ანალიზის ძირეული მიზანი პროდუქციაზე მოთხოვნის შესწავლაა, მიზანშეწონილია ამ მოთხოვნის ამსახველი იმ რამდენიმე ეკონომიკური მაჩვენებლის განხილვა-გაანალიზება, რომელნიც სრულად ასახავენ დასმული საკითხის არსს:

1. მოთხოვნისა და ფასის დამოკიდებულების საკითხის გარკვევის მიზნით

ანალიზის პროცესში აუცილებელი არის დადგინდეს ფასების ცვლილების მიმართ მოთხოვნის მგრძნობიარობის ხარისხი. იგი საფასო ელასტიურობის კოეფიციენტის დახმარებით (ემ) ახასიათებს:

$$ემ = \frac{\text{X საქონლის რაოდენობის პროცენტული ცვლილება}}{\text{საქონელზე ფასების პროცენტული ცვლილება}}$$

შემოსავლის მიმართ მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტი (ეშ) საქონელზე მოთხოვნის მგრძნობიარობას მოიხმარებელთა შემოსავლების ცვლილების მიმართ ახასიათებს:

$$ეშ = \frac{\text{X საქონლის მოთხოვნის პროცენტული ცვლილება}}{\text{მყიდველთა შემოსავლების პროცენტული ცვლილება}}$$

მოთხოვნა ელასტიკურია, თუ ამ კოეფიციენტების სიდიდე ერთზე მეტია, პირიქით ელასტიკურობის კოეფიციენტის ნულის ტოლობის შემთხვევაში მოთხოვნა აბსოლუტურად არაელასტიკურია. ფასების არაწაიარ ცვლილებას მოთხოვნის ცვლილება არ მოჰყვება. თუ ელასტიკურობის კოეფიციენტი ერთის ტოლია, მაშინ მოთხოვნის ზრდის ტემპი ფასების შემცირების ტემპის თანაბარია. ამასთან ერთად მოთხოვნა აბსოლუტურად ელასტიკურიც არის, ანუ როცა ფასების უცვლელობის დროს ან მისი ზრდის დროს პროდუქციაზე მოთხოვნა იზრდება მყიდველთა შესაძლებლობების სრულ ზღვრამდე, რაც ყველაზე ხშირად ინფლაციის პირობებში არსებობს.

მოთხოვნის შესწავლა მჭიდროდაა დაკავშირებული იმ არამოთხოვნადი პროდუქციის რისკის შეფასებასთან, რომელიც წარმოიშობა მომხმარებლის უარით შეიძინოს ამ სახის პროდუქცია. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული დანაკარგი ან მოხდეს დანაკარგის მინიმიზაცია, აუცილებელია არამოთხოვნადი პროდუქციის წარმოშობის რისკის მიზეზების შესწავლა.

მსგავსი სიტუაციის მინაგანი მიზეზები შესაძლოა იყოს:

- მმართველობითი პერსონალის მიერ პროდუქციაზე მოთხოვნის არამართებულად შედგენილი პროგნოზი;
- გასაღების ბაზარზე არამართებული საფასო პოლიტიკა;
- ნედლეულის, მოწყობილობის, ჩამორჩენილი ტექნოლოგიის, პერსონალის დაბალი კვალიფიკაციის შედეგად პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაცემა;
- პროდუქციის გასაღებისა და რეკლამის პროცესის არაეფექტიანად ორგანიზაცია;
- მყიდველთა გადახდისუუნაროზა;
- ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთების ამაღლება;
- დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები.

არამოთხოვნადი პროდუქციის გამოვლენის რისკის დროს მმართველობითი გადაწყვეტილება შესაძლოა სხვადასხვა იყოს. პირველ ეტაპზე შესაძლოა არ შეუდგეთ მოცემული სახის პროდუქციის წარმოებას, იგი შევცალოთ სხვა სახით. შემდეგ პერიოდში, ჯერ კიდევ შესაძლებელია დიზაინში, კონსტრუქციაში, ნაკეთობის ფასში არსებითი ცვლილებების შეტანა და ყოველივე ამის საფუძველზე ეს საქონელი ბაზარზე მისი დაბრუნება. თუ რისკი აღმოჩენილი იქნა პროდუქციის დამზადების შემდეგ, მაშინ აუცილებელია შეფასდეს გაკოტრების რისკი ან ფირმის შესაძლო ზარალი. ამიტომ თითოეული საქონელი წარმოებული უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა მასზე არის განაცხადებით და ხელშეკრულებებით განმტკიცებული გადახდისუნარიანი მოთხოვნა.

გასაღების ბაზრის და შემოსავლების დინამიკის გამოკვლევა მარკეტინგული გამოკვლევის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ გასაღების ბაზრებზეა დამოკიდებული გაყიდვების მოცულობა, ფასების სამუალო დონე, პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები, მიღებული მოგების თანხა და ა. შ.

ანალიზის პროცესში ასევე აუცილებელია გამოვლინდეს რეალური და პოტენციური კონკურენტები, გაკეთდეს მათი საქმიანობის მაჩვენებელთა ანალიზი, განისაზღვროს მათი ბიზნესის სუსტი და ძლიერი მხარეები, ფინანსური შესაძლებლობები, ბაზარზე ექსპანსიის სფეროში კონკურენტების მიზნები და სტრატეგია, წარმოების ტექნოლოგია, პროდუქციის ხარისხი და საფასო პოლიტიკა.

მარკეტინგული ანალიზის ერთ-ერთ ყველაზე არსებით მიმართულებას წარმოადგენს სასაქონლო ბაზარზე ორგანიზაციის საფასო პოლიტიკა. ფასები ფირმას უზრუნველყოფს დაგეგმილი მოგებით, განაპირობებს პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და მასზე მოთხოვნას. ფასების მეშვეობით რეალიზდება ფირმის კომერციული მიზნები და განისაზღვრება ორგანიზაციის ყველა საწარმოო-გასაღებითი რგოლის საქმიანობის ეფექტიანობა.

ორგანიზაციის საფასო პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იმ დონეზე აწესებს ფასს და ბაზარზე არსებული სიტუაციდან გამომდინარე დამოკიდებულებაში ისე განსაზღვრავს მას, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები (ბაზრის განსაზღვრული წილის მოპოვება, ბაზარზე ლიდერობის მოპოვება, დაგეგმილი მოგების მიღება, მოგების მაქსიმალიზაცია, ფირმის გადარჩენა და ა.შ.).

პროდუქციაზე ფასების დასაბუთებულობის ანალიზის დროს განიხილება შემდეგი საკითხები:

- ხარჯების დონეზე ფასების გაანგარიშება;
- გამოიყენება კი მასტიმულირებელი ფასების პოლიტიკა;
- კონკურენტების ფასებთან შედარებით ფირმის ფასების მიმზიდველობა;
- რით განსხვავდება მოცემულ საწარმოში ფასწარმოქმნის პოლიტიკა კონკურენტების საფასო პოლიტიკისგან;
- როგორ მოქმედებს ორგანიზაცია კონკურენტი ფირმების მიერ ფასების ცვლილების დროს;

- როგორია ფასწარმოქმნის სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკა ანალოგიურ საქონელზე.

საფასო პოლიტიკის ფორმირების პროცესში, ისევე როგორც რეალიზაციის სფეროში, გათვალისწინებული უნდა იქნეს პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის სტადია. გაყიდვების დაწყების სტადიაზე, ბაზარზე დაწერგილი ფასები აჭარბებს თვითღირებულებას, რეალიზაციის ზრდის სტადიაზე ფასები მაღლდება მათი შემცირების ორიენტაციით, სიმწიფის სტადიაზე ფასების სტაბილიზაცია ხდება, დაცემის სტადიაზე კი მათი შემცირება.

საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შეფასებითი მაჩვენებლების სისტემაში ცენტრალურ ადგილი **პროდუქციის კონკურენტუნარიანობას** უჭირავს და იგი მომხმარებელთა მოთხოვნებისა და ბაზრის მოთხოვნის გამოკვლევებს ეყრდნობა.

იმისათვის რომ საქონელმა მყიდველთა მოთხოვნები დააკმაყოფილოს, იგი შემდეგ ქვემოთ მოყვანილ პარამეტრებს უნდა შეესაბამებოდეს:

- ტექნიკურს (საქონლის თვისება, მისი გამოყენების სფერო და დანიშნულება);
- ერგონომიკურს (საქონლის შესაბამისობა ადამიანის ორგანიზმის თვისებებთან);
- ესთეტიკურს (საქონლის იერსახე);
- ნორმატიულს (საქონლის შესაბამისობა მოქმედ ნორმებთან და სტანდარტებთან);
- ეკონომიკურს (ფასების დონე საქონელზე, მისი სერვისული მომსახურეობა;

კონკურენტუნარიანობის ანალიზი უნდა ჩატარდეს განუწყვეტლივ და სისტემატურად პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა გაანსაზღვროს ის მომენტი, როცა გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა დაიწყებს დაცემას (შემცირებას); ამ

დროს უნდა მოხდეს სასაქონლო ასორტიმენტის ოპტიმალური ცვლილებების, ახალი ბაზრების მოძიების აუცილებლობის, ახალი და მოდერნიზებული ნაკეთობის შემუშავების, წარმოების და საწარმოო სიმძლავრეების გაფართოება - შექმნის ოპობაზე გადაწყვეტილება მიღება.

6.2. საქონლის ფაქტიურ ანალიზი. წარმოების ფაქტორების ფაქტიური ანალიზი

ანალიტიკური მუშაობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს საქონლის ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით გეგმის შესრულების ანალიზი.

პროდუქციის ნომენკლატურა არის ნაკეთობათა დასახელების ჩამონათვალი და მათზე ეგროკლასიფიკატორის მიერ დადგენილი შესაბამისი კოდების სია (რეესტრი).

ასორტიმენტი პროდუქციის დასახელებათა ჩამონათვალი თითოეული სახის მიმართ მისი გამოშვების მოცულობის მიწიშნებით. პრაქტიკაში ასხვავებენ სრულ (ყველა სახისა და ნაირსახეობის), ჯგუფურ (მონათესავე ჯგუფების) და შიდაჯგუფურ ასორტიმენტს.

ნომენკლატურის მიხედვით გეგმის შესრულების შეფასება ეყრდნობა მირითადი სახეების მიხედვით ნომენკლატურაში ჩართული პროდუქციის გეგმური და ფაქტიური გამოშვებების შეპირისპირებას.

გეგმის ზეცით გამოშვებული ან გეგმით გაუთვალისწინებელი ნაკეთობის ასორტიმენტის მიხედვით გეგმის შესრულება გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება. ასორტიმენტის მიხედვით გეგმა შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა სახის ნაკეთობის მიხედვით დავალება შესრულებულია. პროდუქციის ასორტიმენტის მი-

ხედვით გეგმის შეუსრულებლობის მაგალითები შეიძლება იყოს როგორც საგარეო (ბაზრის კონიუნქტურის, ცალკეული სახის პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილება, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო საწარმოს საწარმოო სიმძლავრეების მოქმედებაში არათავისდროული შესვლა), ისე შინაგანი (წარმოების ორგანიზაციისა და მართვის სისტემაში არსებული ნაკლოვანებები, მოწყობილობების ცუდი ტექნიკური მდგომარეობა და სხვ.) სახის გარემოებები.

პროდუქციის სტრუქტურის ანალიზი

პროდუქციის სტრუქტურა წარმოადგენს ცალკეული სახის ნაკეთობის თანაფარდობას მისი გამოშვების საერთო მოცულობასთან. სტრუქტურის მიხედვით გეგმის შესრულება გულისხმობს პროდუქციის ფაქტიურ გამოშვებაში მისი ცალკეული სახეების დაგეგმილი თანაფარდობის შენარჩუნებას. ცალკეული ნაკეთობის მიხედვით გეგმის არათანაბარზომიერ შესრულებას პროდუქციის გეგმიური სტრუქტურიდან გადახრისაკენ მივყავართ, რის შედეგადაც ყველა ეკონომიკური მაჩვენებლის ურთიერთშესადარისობის პრინციპი ირღვევა.

სტრუქტურული ძვრების გავლენის გაანგარიშებისათვის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე მათი გავლენის აღმოფხვრის მიზნით იყენებენ ყველა ნაკეთობის მიხედვით პირდაპირი გაანგარიშების მეთოდს, საშუალო ფასების მეთოდს და სხვ.

ყველა სახის ნაკეთობის მიხედვით პირდაპირი გაანგარიშება წარმოებს შემდეგი ფორმულით:

$$\text{პგ}_{\text{სტრ}} = \text{პგ}_1 - \text{პგ}_{1,0},$$

სადაც

$\text{პგ}_{\text{სტრ}}$ - სტრუქტურის ხარჯზე პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილებაა;

პგ_1 - ფაქტიური სტრუქტურის მიხედვით პროდუქციის გამოშვებაა;

$პგ_{ა}$ - გეგმიური სტრუქტურის პროდუქციის გამოშვება;

გეგმიური სტრუქტურის მიხედვით პროდუქციის ფაქტიური გამოშვება გაიანგარიშება თითოეული ნაკეთობის გეგმური გამოშვების გამრავლებით პროდუქციის გამოშვების მიხედვით გეგმის შესრულების საშუალო პროცენტზე ან ფაქტიური გამოშვების საერთო ჯამის გამრავლებით თითოეული ნაკეთობის გეგმიურ სცედრით წილზე. ამის გარდა, პროდუქციის ხარისხის მიხედვით გეგმის შესრულების შეფასება შეიძლება მოხდეს საერთო პროდუქციაში დაწუნებული ან/და რეკლამაციას დაქვემდებარებული პროდუქციის ხვედრითი წონის მიხედვით.

პროდუქციის ხარისხი წარმოადგენს იმ პარამეტრს, რომელიც გავლენას ახდენს საწარმოს მუშაობის ისეთ ღირებულებით მაჩვენებლებზე, როგორიცაა პროდუქციის გამოშვება (პგ), რეალიზაციიდან ამონაგები (რა) და მოგება (მ).

ხარისხის ცვლილება პირველ რიგში ეხება პროდუქციის თვითღირებულებასა და ფასს, გაანგარიშებებს შემდეგი სახე აქვსთ:

$$პგ = (ფ_1 - ფ_0)\, V_{ჯ}$$

$$პგ = (ფ_1 - ფ_0)\, რპ_{ხ}$$

$$მ = (ფ_1 - ფ_0)\, V_{ჯ} - (თ_1 - თ_0)\, რპ_{ხ},$$

სადაც

$ფ_1$ ($ფ_0$) - ნაკეთობის ფასია ხარისხის შეცვლამდე (შეცვლის შემდეგ);

$V_{ჯ}$ - მაღალი ხარისხის წარმოებული პროდუქციის რაოდენობა;

$რპ_{ხ}$ - მაღალი ხარისხის რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა;

პროდუქციის ხარისხის ირიბ მაჩვენებლად გამოდის წუნი, ის გამოსწორებად და გამოუსწორებელ, შინაგან (საწარმოში გამოვლენილი) და გარეგან (მომხმარებელთან) სახეებად იყოფა. ზოგადად, წუნის გამოშვება პროდუქციის თვითღირებულების ზრდასთან და სასაქონლო პროდუქციის მოცულობის შემცირებას, საწარმოს მოგებისა და რენტაბელობის შემცირებას იწვევს.

ანალიზის პროცესში სწავლობენ წუნის დინამიკას აბსოლუტურს ჯამში და გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წონის მიხედვით, განსაზღვრავენ წუნით წარმოშობილ დანაკარგებს და პროდუქციის დანაკარგებს. ამის შემდეგ სწავლობენ ხარისხის შემცირებისა და წუნის წარმოშობის ადგილის მიხედვით დაშვებული პროდუქციის წუნის პასუხისმგებლობის ცენტრებს და სახავენ მათი აღმოფხვრის ღონისძიებებს.

პროდუქციის ხარისხის შემცირების ძირითად მიზეზებს წარმოადგენს:

- წედლეულის დაბალი ხარისხი;
- ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის დაბალი დონე;
- მუშაკთა კვალიფიკაციის და მოწყობილობების ტექნიკურად დაბალი დონე;
- წარმოების არითმულობა;

საქონლის მარკეტინგული ანალიზის გზაზე აუცილებელია გავერკვეთ მოკლედ თვით მარკეტინგის არსში. ეკონომიკურ ლიტერატურაში და პრაქტიკაში გამოყოფენ ორი სახის მარკეტინგს:

სტრატეგიულ მარკეტინგს, სადაც მიმდინარეობს ანალიზის პროცესი და **ოპერატიულ მარკეტინგს**, რომელიც წარმოადგენს აქტიურ პროცესს.

სტრატეგიული მარკეტინგის ჩატარების დროს ხდება მოხმოვნების ანალიზი, კერძოდ, განისაზღვრება საბაზისო ბაზარი, ბაზრის მიკრო- და მაკროსეგმენტაცია, ტარდება პოტენციური ბაზრის მიმზიდველობის ანალიზი და ხორციელდება განვითარების სტრატეგიის შერჩევა.

ოპერაციული მარკეტინგის დროს აქტიურად ხდება მიზნობრივი სეგმენტის შერჩევა, ხორციელდება საქონლით, განაღებით, ფასით, კომუნიკაციით კომპლექსური მარკეტინგული

დაწოლა, ხოლო თვით პოტენციური ბაზრის მიმზიდველობის დასადგენად დგება მარკეტინგის ბიუჯეტი, მუშავდება რეალიზაციის გეგმა და ტარდება კონტროლი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ფირმის მიერ მისაღები ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება უნდა იყოს იმ ბაზრის განსაზღვრა, სადაც მოცემულ საწარმოს სურვილი აქვს გააჩალოს კონკურენტული ბრძოლა. ასეთი ბაზრის (საბაზისო ბაზრის) არჩევა გულისხმობს მთლიანი ბაზრის ნაწილებად, ანუ სეგმენტებად დაყოფას. თითოეულ სეგმენტში მომხმარებლებს მსგავსი მოთხოვნები, ანალოგიური მოტივაცია და ერთნაირი ქცევები გააჩნიათ. თვით საბაზისო ბაზრის დაყოფის პროცესი მოიცავს მაკროსეგმენტაციას და მიკროსეგმენტაციას.

მაკროსეგმენტაციის ანალიზი


ყველა მომხმარებლის დაკმაყოფილება ერთი საქონლის დახმარებით შეუძლებელია, რამდენადაც სხვადასხვა მომხმარებელი სხვადასხვა ინტერესები და უპირატესობები აქვთ. მომხმარებელთა ჯგუფების იდენტიფიკაცია წარმოადგენს სეგმენტაციის პროცესს, რომლის ფარგლებშიც საბაზისო ბაზარი იყოფა ისეთ ნაწილებად, რომელნიც ერთგვაროვანია მყიდველის მოთხოვნის ნების თვალსაზრისით.

ბაზრის სეგმენტაციის პროცესს ფირმისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია, რამდენადაც სწორედ ბაზრის სეგმენტი აყალიბებს საწარმოს საქმიანობის სფეროს. სეგმენტაციის სტრატეგიის მნიშვნელობა იწყება ფირმის მისიის (დანიშნულების) განსაზღვრით. ამ დროს ხელმძღვანელობენ შემდეგი პრინციპებით:

- მყიდველისთვის საქონელი მნიშვნელოვანია იმ სარგებლიანობის კუთხით, რომელიც მას მოაქვს;
- არავინ ყიდულობს საქონელს უბრალოდ ყიდვისთვის, აქ აუცილებელი და საჭიროა მომსახურების გაწევა ან პრობლემის გადაწყვეტა;

- ერთსა და იმავე საბიეზო საკითხზე შესაბამის გადაწყვეტილება სხვადასხვა ტექნოლოგიებს შეუძლია მოგვცეს;
- ტექნოლოგიები სწრაფად იცვლებიან, ხოლო საბაზისო მოთხოვნები სტაბილურნი რჩებიან.

საბაზისო ბაზრის სეგმენტაციისათვის იყენებენ გრაფიკულ ანალიზს, რომელიც ქვემოთაა მოცემული ნახ. 6.2-1.



ნახ. 6.2-1. მიკროსეგმენტაციის ანალიზი

მიკროსეგმენტაციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საქონლის შიდა ბაზარზე მოთხოვნების ნაირგვაროვნების უფრო დეტალური ანალიზი. მიკროსეგმენტაციის ფარგლებში ჩანს სწორედ მოთხოვნების ნაირგვაროვნება. სამეურნეო პრაქტიკაში და შესაბამისად ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ

მიკროსეგმენტაციის შემდეგ ეტაპებს:

- სეგმენტაციის ანალიზი (საქონლის ბაზარი დაიყოფა საქონლის სასურველი თვისების კუთხით ერთგვაროვან სეგმენტებად);
- მიზნობრივი სეგმენტების არჩევა (ფირმის ამოცანებიდან და მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეირჩევა სეგმენტები);
- პოზიციონირების შერჩევა (ცალკეულ სეგმენტში ძომხმარებლის მოლოდინის მიმართებაში და კონკურენტების პოზიციის გათვალისწინებით შეირჩევა ცალკეული პოზიცია);
- ერთიანი მარკეტინგული პროგრამის შემუშავება (მარკეტინგის პროგრამა, რომელიც ადაპტირებული იქნება საწარმოს მიერ შემუშავებული მიზნობრივი სეგმენტების ხასიათიდან გამომდინარე).

ბაზრის სეგმენტებად დანაწილება სორციელდება შემდეგი საშუალებებით:

1. სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების საფუძველზე. სოციალურ დემოგრაფიული სეგმენტაციის ნიშნებს წარმოადგენს სქესი, ასაკი, წლოვანება, შემოსავლის დონე, სოციალური კლასი და ა. შ.
2. იმ სარგებლის საფუძველზე, რომელსაც პოტენციური მყიდველი ეძებს საქონელში (სარგებლიანობის მიხედვით სეგმენტაცია ემყარება სხვადასხვა მომხმარებლის ფასეულობათა განსხვავებებს)
3. ყიდვის დროს მომხმარებლის ქცევის საფუძველზე. ამ შემთხვევაში ანალიზი შეიძლება ჩატარდეს შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) მოსარგებლის სტატუსი (აქ ასხვავებენ პოტენციურ მომხმარებლებს (მოსარგებლეებს), არამოსარგებლეებს, რომლებიც პირველად გახდნენ მოსარგებლენი, რეგულარულ და არარეგულარულ მოსარგებლეებს);

ბ) საქონლის სარგებლიანობის დონე (ფირმას შეუძლია თავისი საქონლის ადაპტირება წვრილი, საშუალო და მსხვილი მოსარგებლეების შესაბამისად);

გ) მარკეტინგის ფაქტორებისადმი მგრძნობიარობა (ფასი, სპეც. შეთავაზება);

დ) ცხოვრების სტილის საფუძველზე (აქ მიმდინარეობს სოციალურ-კულტურული სეგმენტაცია).

წარმოების ფაქტორების მარკეტინგული ანალიზი.

წარმოების პროცესში სხვადასხვა ფაქტორი იზოლირებულად კი არა, არამედ ურთიერთმოქმედებაში იმყოფება. სწორედ ამ ფაქტორების შერწყმის უმუალო დამოკიდებულებაში იმყოფება საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა. თავის მხრივ წარმოების ფუნქციები განსაზღვრავენ წარმოების ფაქტორებისა და ამ ფაქტორების დახმარებით მისაღები პროდუქციის მოცულობას შორის ტექნოლოგიურ ურთიერთკავშირს. ასეთი ტექნოლოგიური კავშირები არსებობს ტექნიკის განვითარების დონის განსაზღვრისათვის. თუ გამოჩნდება ახალი ტექნიკა ან შემუშავებული იქნა ახალი ტექნოლოგიური პროცესი, ეს იმ წამსვე გავლენას ახდენს წარმოების ფუნქციაზე. სხვა სიტყვებით, მაქსიმალური მოცულობით პროდუქციის გამოშვების დროს არსებული ფაქტორების მოცულობა უნდა გაიზარდოს. ამიტომ როცა დაწაბარკეებზე საუბრობენ, იგულისხმება, რომ წარმოების ფაქტორები, ტექნიკის დონე და წარმოების ტექნოლოგიური ორგანიზაცია უცვლელია.

წარმოების ფაქტორების მარკეტინგული ანალიზის ობიექტს წარმოადგენს ყოველი საბაზრო სუბიექტისათვის გაყიდვების მოცულობის და პროგნოზირების, სასიცოცხლო ციკლის და პოტენციური მოგების გაზომვა და პროგნოზირება. ბაზრის პოტენციალის ცვლილების ეს პროგნოზები და შედეგები ინვეს-

ტიციის მოცულობისა და საწარმოო სიმძლავრეების მოცულობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად პირეულ ინფორმაციას წარმოადგენს. ამდენად, სავსებით მარკეტინგული ანალიზის საფუძველში მოთხოვნის ანალიზი ძევს.

ზოგადად მოთხოვნა - არის მოცემულ პერიოდში მოცემულ რეგიონში საქონლისა და მომსახურეობის გაყიდვების მოცულობა. პირველადი მოთხოვნის სტრუქტურა დამოკიდებულია იმაზე, საქონელი სამრეწველო დანიშნულებისაა თუ სამომხმარებლო, ასევე იმაზე, ეს საქონელი გრძელვადიან თუ მოკლევადიანი სარგებლობის საქონელს მიეკუთვნება.

მოთხოვნის შეფასების სხვადასხვა მეთოდები ორ ფაქტორს ეყრდნობიან:

მოხმარებადი ერთეულის რაოდენობას (n);

მოხმარებული საქონლის ან მომსახურეობის რაოდენობა (q);

პირველადი მოთხოვნა ნატურალურ განზომილებაში განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$Q = n\,q$$

სადაც Q - პირველადი მოთხოვნაა ნატურალურ გამოხატულებაში.

პირველადი მოთხოვნა ღირებულებით განზომილებაში შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$Q = n\,q\,P_s$$

სადაც


Q - არის საქონელბრუნვა;

P_s - არის ერთეულ საქონელზე საშუალო ფასი;

მოთხოვნის პროგნოზირების ჩამოყალიბებული მეთოდები ქვემოთ მოცემულ ცხრილშია მოყვანილი (იხ. ნახ. 6.2-2).

წარმოების ფაქტორების მარკეტინგული ანალიზის ერთერთ მიმართულებას წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის ანალიზი. მისი მიზანია დაადგინოს ის თუ რა უპირატესობის მოპოვების სურვილი აქვს ფირმას და როგორია მისი უპირატესობის ხარისხი კონკურენტუნარიანობის კონკრეტული სიტუ-

მოთხოვნის პროგნოზირების მეთოდები



ნახ. 6.2-2.

აციის დაცვის შესაძლებლობის დროს.

იმისათვის რომ ბაზარზე მიღწეული იქნეს მყარი პოზიცია აუცილებელია გამოყენებული იქნეს ჩარჯების მიხედვით შრომის ნაყოფიერებისა და ხარჯების მართვის უპირატესობა. იმ დარგებში, სადაც ხელით შრომის მეტი წილია, არსებობს საქონლის წარმოებაში დაგროვილ გამოცდილებაზე დაყ-


რდნობით ხარჯების შემცირების შესაძლებლობა. ხარჯების ასეთი შემცირება განპირობებულია იმით, რომ მუშაკების აუმჯობესებულ თავისი მუშაობის ხერხებს, ფირმა ითვისებს საწარმოო სიმძლავრეებს და სრულყოფს საქონლის კონცეფციას. ასეთ მოძღვრებას **გამოცდილების კანონს** უწოდებენ. ამ კანონის სტრატეგიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი მეშვეობით შეიძლება ვიფიქრათ ხარჯების ევოლუციაზე არა მარტო საკუთარი სიახლეების მიმართ, არამედ კონკურენტების საქონლის მიმართაც. ამ კანონის ფარგლებში საუბარი მიდის იმ ხარჯებზე, რომლებიც დაკავშირებულია დამატებული ღირებულების მიღებასთან, ე. ი. იმ ხარჯებთან, რომლებიც ფირმის კონტროლის ქვეშ იმყოფება (გადამუშავების, აწყობის, გასაღების ხარჯები და ა. შ.).

გამოცდილების კანონის ეფექტის წყაროებად გვევლინება ხელით შრომის, სპეციალიზაციის, ახალი საწარმოო ტექნოლოგიების ეფექტიანობა, მოწყობილობის გამოყენების ეფექტიანობა, რესურსების გამოყენების ეფექტიანობა (მათ შორის - უფრო იაფი რესურსები), საქონლის ახალი კონცეფცია. აქ ჩამოთვლილი ფაქტორები ფირმის კონტროლის ქვეშ იმყოფება. საწარმოს მუშაობაში ამ ფაქტორების გამოყენება მწარმოებლურობის ამაღლების საერთო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს; ყველა ამ ფუნქციის მიზანია იმავე საქონლის გამოშვება, მაგრამ მცირე დანახარჯებით ან იმავე საქონლის გამოშვება ეკვივალენტური დანახარჯებით.

გამოცდილების ეფექტი გრაფიკულად შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ (ნახ. 6.2-3).

ანალიზის მოცემული სახე აუცილებელია ჩატარდეს ხარჯების თითოეული შემადგენლის მიმართ, რათა გამოყოფილი/დადგენილი იქნეს მათგან ის გარემოებები, რომლებიც სხვადასხვა სისწრაფით იცვლებიან: თუ გამომშვებული ჯამური სუბიექტი შემცირებისკენ მიდის და თუ ფირმას შეუძლია

გამოცდილების მრუდი



ნახ. 6.2-3.

ბაზარზე მოცემული უპირატესი გამოცდილება დაიცვას, მაშინ გამოცდილების ეფექტს მივყავართ მოცემულ ბაზარზე სხვა ფირმების შესვლისა და ხარჯების მიხედვით ბარიერის შექმნამდე.

თუ ფირმა ბაზრის მცირე წილს ფლობს და თან მაღალი ხარჯები აქვს, მაშინ იგი დანაკარგს მიიღებს ბაზრის ლიდერის ფასის თანაბარი ფასის დაწესების დროს. პირიქით, ფირმას, რომელსაც ბაზარზე დიდი წილი გააჩნია, ის მეტ ფინანსურ საშუალებებს მოიპოვებს (შეიძენს) ახალ მოწყობილობაში ან ტექნოლოგიებში ინვესტირებისათვის, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მის უპირატესობას ხარჯების მხრივ.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული დარგისათვის წარმოების ფაქტორები სხვადასხვა არის, ყველა ისინი ფლობენ ორ საერთო თვისებას. პირველი, წარმოების მოცულობის გაზრდისათვის ყოველთვის არსებობს ზღვარი, რომელიც

მიიღწევა წარმოების ყველა ფაქტორიდან ერთ-ერთის გაზრდის მეშვეობით, ამიტომ, არ შეიძლება უსასრულოდ გაფართოვდეს პროდუქციის გამოშვების მოცულობა ან მუშახთა რიცხვის ზრდა მოხდეს; ასევე არ შეიძლება იმდენად გაიზარდოს მასალებისა და მოწყობილობის რაოდენობა, რომ მათი გამოყენებისათვის შეშაკები საკმარისი აღარ იყოს; მეორე - წარმოების ფაქტორები ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ წარმოების მოცულობის შემცირების გარეშე შესაძლებელია ერთი ფაქტორის მეორით შეუნაცვლება. ამიტომ არანაკლები მნიშვნელობა გააჩნია წარმოების ყველა ფაქტორის მარკეტინგული გამოკვლევების გონივრულ ორგანიზაციას, რაც ხელს შეუწყობს ეფექტიან დაგეგმვას და სამეურნეო საქმიანობას.

6.3. ინოვაციებზე ანალიზი

ეკონომიკის სტრუქტურულ მაკროეკონომიკურ დინამიკაში XIX ს-ის დასაწყისისათვის მნიშვნელოვან ობიექტურ მსოფლიო ტენდენციას მეცნიერებათმტევადი წარმოების მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ ტიპზე გადასვლა წამოადგენს.

ინოვაცია წარმოადგენს საზოგადოებრივი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში ინტელექტუალური შრომის, ტექნოლოგიური მიღწევების შედეგების გამოყენების პროცესს. ამდენად, «ინოვაციის» ტერმინის მნიშვნელობა დამოკიდებულია ობიექტის გამოკვლევის, გაზომვის ანალიზის კონკრეტულ მიზნებზე.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დღეს არსებობენ ინოვაციის ხუთ ტიპს:

1. ახალი პროდუქციის შემოტანა (შემოღება) ანუ სასაქონლო ინოვაცია;
2. წარმოების ახალი მეთოდების შემოღება ანუ ტექნოლოგიური ინოვაცია;

3. საქონლის ან მოსახურების ინოვაცია - საბაზრო ინოვაცია;
4. ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატების მიწოდების ახალი წყაროს ათვისება - მარკეტინგული ინოვაცია;
5. მართვის სტრუქტურული რეორგანიზაცია - მმართველობითი ინოვაცია.

ინოვაციური პროცესი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მოვლენათა განვითარების თანმიმდევრული ჯაჭვი, რომელიც იწყება იდეიდან კონკრეტულ პროექტამდე მწიფდება, ხოლო ტექნოლოგიები, სტრუქტურები ან მომსახურება სამეურნეო პრაქტიკაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში ვრცელდება.

ინოვაციური ანალიზის მიზანს წარმოადგენს ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციულ-მმართველობითი, ეკონომიკური და სოციალური სიახლეების ანალიზისა და მეთოდების შესწავლა, ასევე ინოვაციური შეკანიზმის შესწავლა და ჩადებული ინვესტიციების უკუგების განსაზღვრა. სწორედ აღნიშნული მიზნიდან გამომდინარეობს მთელი რიგი ამოცანები, რომელნიც აუცილებლად უნდა გადაწყდეს ინოვაციური ანალიზის რეალიზაციის დროს; ამდენად, შესაძლებელია წარმოვადგინოთ ინოვაციური ანალიზის ძირითადი ამოცანები. (იხ. ცხრილი 6.3-1).


ზოგადად, საკითხისა და მოვლენისადმი ინოვაციური მიდგომა უფრო უპირატესი აღმოჩნდება, რამდენადაც ძიების, სამეცნიერო ცოდნის დაგროვება და ფიზიკურ რეალობად მისი გარდაქმნა თავისი არსით უსაზღვროა. ამასთან მსხვილ საწარმოებს მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ ინოვაციური მიდგომების განხორციელებისათვის და მანამ სანამ დამტკიცდება და რეალიზებული იქნება ინოვაციური პროექტი, საწარმოს ხელმძღვანელობას მოეთხოვება დაწვრილებით გაანალიზოს ასეთი სახის პროექტი.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზის შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. პრობლემის გამოვლენა, ანალიზის მიზნისა და ამოცანების

ფორმულირება;

2. **ანალიზის ჩატარებისთვის დროებითი შემოქმედებითი ჯგუფის ჩამოყალიბება;**
3. ანალიზის პროექტის შემუშავება;



ნახ 6.3-1.

4. სამუშაოს შესრულების მეთოდების შერჩევა;
5. აუცილებელი ინფორმაციის, დოკუმენტების და ა. შ. შეგროვება და დამუშავება;
6. ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების და მაჩვენებლების სისტემის ანალიზი;
7. ჩატარებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მომზადება, შეთანხმება და დამტკიცება;
8. ანალიზის შედეგებზე ღონისძიებების მიღება.

ინოვაციური ანალიზის ფარგლებში გამოყოფენ ოთხ ძირითად ეტაპს:

1. **ფუნდამენტური გამოკვლევა.** ამ სახის კვლევას ეწევიან და ახორციელებენ აკადემიურ ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში და დარგობრივ სპეციალიზებულ ინსტიტუტებში, ლაბორატორიებში. ამ ეტაპზე დიდი ალბათობით მოსალოდნელია კვლევის უარყოფითი შედეგი, ამიტომაც მსოფლიოში ფუნდამენტური გამოკვლევების ფინანსირება ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება.
2. **გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევები.** მათ ახორციელებენ ყველა სახის სამეცნიერო დაწესებულებებში და აფინანსებენ როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სახელმწიფო სამეცნიერო პროგრამების ან საკონკურსო პროგრამების ფარგლებში), ისე არასახელმწიფო დაკვეთების ხარჯზე. მხოლოდ ამ ეტაპზე ინვესტორის რანგში შეიძლება გამოვიდეს კერძო ფირმები. რამდენადაც გამოყენებითი გამოკვლევების შედეგები წინასწარ არ არის დათქმული, და მას თან ახლავს გაურკვევლობის დიდი ალბათობა; ამ ეტაპზე ასევე დიდი არის უარყოფითი შედეგის მიღების ალბათობა.
3. **საცდელ-საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტული დამუშავება.** ამ სახის სამუშაოებს სპეციალიზებულ ლაბორატორიებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში, საცდელ

საწარმოებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, ასევე, მსხვილი სამრეწველო საწარმოების სამეცნიერო-საწარმოო ქვედანაყოფებში ატარებენ. აქ გამოიყენება იგივე დაფინანსების წყაროები, რაც მცირე ეტაპზე. ამასთან, მას შეიძლება დაემატოს ორგანიზაციის საკუთარი სამუალებები.

ახალი პროექტის კომერციალიზაცია. ამ ეტაპის შინაარსი წარმოებაში პროექტის გაშვების, ბაზარზე გასვლის უზრუნველყოფისა და შემდეგ კი სასიცოცხლო ციკლის ძირითადი ეტაპების მიხედვით მოძრაობაში მოყვანაში მდგომარეობს. როგორც წესი, მესამე ეტაპის ზღვარზე და ბაზარზე გასვლის წინ წარმოებაში საჭიროა დიდი ინვესტიციები, საწარმოო სიმძლავრეების შექმნისთვის (გაფართოებისათვის), ტექნოლოგიური პროცესებისა და პერსონალის მომზადებისათვის, სარეკლამო საქმიანობისათვის და სხვ. აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად. ეკონომიკური მეცნიერების თანახმად დროის თითოეულ მონაკვეთში საწარმო რომელიც სპეციალიზდება პროდუქციის გამოშვებაზე, მუშაობს საქონელზე, რომელიც ძირითადად ტექნიკის სამ თაობას მიეკუთვნება:

I - წარმავალი

II - გაბატონებული

III - წარმოშობილი (პერსპექტიული)

მაგალითი: ფირმა t_1-დან t_3 დროის მონაკვეთში მუშაობს სამი თაობის ტექნიკით: A, B C, რომლებიც თანმიმდევრულად სცვლიან ერთმანეთს.

პროდუქციის გამოშვების დაწყების სტადიაზე (აღვნიშნოთ დროის მომენტი t_1-ით) მის წარმოებაზე დანახარჯები ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია, ხოლო მოცემულ პროდუქტზე მოთხოვნა - დაბალი და გამოშვების მოცულობაც მცირეა. ამ მომენტში პროდუქტის (წინა თაობის) გამოშვების მოცულობა საკმაოდ მაღალი არის, ხოლო C პროდუქტის გამოშვება ჯერ არ დაწყებულა. B პროდუქტის გამოშვების სტაბილიზაციის

სტადიაზე (t_2 დროის მონაკვეთი) მისი წარმოების ტექნოლოგია სრულად არის ათვისებული და B პროდუქტზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. t_2 მომენტი B პროდუქტის მაქსიმალური მოცულობა წარმოებისა და მეტი მომგებიანობის პერიოდია. დროთა განმავლობაში ახლი თაობის ტექნიკის (C პროდუქტი) გამოჩენის და განვითარების გამო A პროდუქტის გამოშვება მცირდება, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს იმ ფუნქციების შესრულებას, ვიდრე ამას A და B პროდუქტები ახდენდნენ. ამის შედეგად დაიწყება B პროდუქტზე (t_3 მომენტი) მოთხოვნის დაცემა. ამ პერიოდში B პროდუქტის წარმოების მოცულობა და მისაღები მოგება მცირდება, ხოლო A ტექნიკის თაობა საერთოდ არ იწარმოება.

მაშასადამე, ფირმის სამაზრო პოზიციის გათვალისწინებით ხდება ინოვაციური სტრატეგიის არჩევა. აქ არსებობს და მოქმედებს სხვადასხვა რანგის ფაქტორები და სხვადასხვა მიმართულებები. (იხ. ცხრილი 6.3-1)

ცხრილი 6.3-1.

საწარმოს ინოვაციური სტრატეგიის არჩევის მიმართულებები

სამაზრო პოზიცია	ტექნოლოგიური პოზიცია		
	სუსტი	გამყარებული	ძლიერი
სუსტი	სხვა ფირმების შეძენა	ლიდერის გაყოლის სტრატეგია	ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები
გამყარებული	რეორგანიზაცია	ახალი სახის პროდუქციის გამოშვება	ტექნოლოგიის გამოყენების მომგებიანი სფეროების ძიება
ძლიერი	ბიზნესის ლიკვიდაცია	რეორგანიზაცია	სარისკო პროექტების ორგანიზაცია

დღეს, საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაში მრეწველობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად, ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მიზნით შემდეგი სახის მაჩვენებლებს იყენებენ:

- დისკონტირებული წმინდა მოგება;
- მოგების შიდა ნორმა (ან დისკონტირების კოეფიციენტი);
- მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი და ა. შ.

ორგანიზაციის ინოვაციური ეფექტიანობის დამახასიათებელი ინტეგრალური მაჩვენებლის რანგში იყენებენ მუშაობის შედეგიანობის კოეფიციენტს.

აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია გამოვყოთ ინოვაციური პროექტების ეფექტიანობის განსაზღვრის ოთხი ძირითადი მეთოდი:

1. **ინოვაციაზე მოგების საშუალო ნორმის განსაზღვრის მეთოდი;** მისი განსაზღვრის მიზნით გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$\frac{\text{საშუალო წლიური მოგება დაბეგვრის შემდეგ}}{\text{ინვესტიციის საშუალო სიდიდე წელიწადში}}$$

აღნიშნულ მეთოდს გააჩნია როგორც უპირატესობები, ისე ნაკლოვანებები, მისი უპირატესობაა გამოყენებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სიმარტივე. ხოლო ნაკლი - შემოსავლის განსაზღვრის წესი, რამდენადაც პრაქტიკულად არ ითვალისწინებენ ინფორმაციას მოგების ერთგვაროვანი შეფასების პროექტის რეალიზაციის პირველი და უკანასკნელ წლებში.

2. **ამონაგების ხანგრძლივობის მიხედვით ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდი.** მისი გაანგარიშების ფორმულაა:

$$\frac{\text{ფიქსირებული დანახარჯები}}{\text{აღდგენის პერიოდის მანძილზე წლიური მოდინების ოდენობა}}$$

ამ მეთოდის უპირატესობაა გაანგარიშების სიმარტივე, ხოლო ნაკლოვანებად ითვლება ის, რომ იგი არ იძლევა რენტაბელობის გაზომვის შესაძლებლობას.

3. **მოგების შიდა ნორმის განსაზღვრის მეთოდი.** ამ მეთოდის დახმარებით ინოვაციური პროექტის ეფექტურობა შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$n = P_n(1+r)$$

სადაც P_n ინვესტიციის თავდაპირველი თანხაა;

r - საპროცენტო განაკვეთი;

n - საანგარიშო პერიოდში წლების რაოდენობა.

აღნიშნული მეთოდის უპირატესობა არის ის, რომ იგი გვიჩვენებს თუ რა რაოდენობის საშუალებათა დაბანდებაა საჭირო ჩაიდოს წარმოებაში ახლა. ნაკლია ის, რომ ხელიდანაა გაშვებული შესაძლებლობების ალტერნატივა.

4. **წმინდა მიმდინარე ღირებულების განსაზღვრის მეთოდი.** იგი გაიანგარიშება როგორც სხვაობა შემოსულობის მიმდინარე ღირებულებასა და ხარჯების მიმდინარე ღირებულებას შორის. მისი უპირატესობაა ინოვაციურ პროექტთან კაპიტალის შედარების შესაძლებლობა, ხოლო, ნაკლია ის, რომ იგი არ ითვალისწინებს საგარეო ფაქტორებს.

კაპიტალის უკუგების პერიოდი - არის დროის ის მონაკვეთი, რომლის დროს არადისკონტირებული პროგნოზირებადი შემოსული ფულადი საშუალება აღემატება ინვესტიციის არადისკონტირებულ თანხებს.

საინვესტიციო პროექტის უკუგების პერიოდი იმ წლების რაოდენობაა, რომელიც აუცილებელია საწყისი საინვესტიციო პროექტების აღდგენისათვის. იგი აღდგენის პერიოდის მაძიებელზე ამოსავალი ფიქსირებული ხარჯების წლიურ შემოსავალთან ფარდობის ტოლია.

დისკონტირების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ფირმისთვის უპირატესი არის ფული მიიღოს დღეს და არა ხვალ, რამდენადაც მომავალში ინოვაციურ პროექტებში ინვესტირებული თანხა სწორედ ხვალ მოიტანს განსაზღვრულ შემოსავალს.

რამდენიმე წლის მანძილზე ინვესტირებული თანხის ღირებულება რთული პროცენტის გამოყენებით შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$S = P_n(1+r)$$

სადაც

S არის n წლის განმავლობაში ინვესტიციის მომავალი ღირე-

ბულება;

P_0 - ინვესტიციის თავდაპირველი თანხა;

r – საპროცენტო განაკვეთი;

n - საანგარიშო პერიოდში წლების რაოდენობა.

დისკონტირება რთული პროცენტის „უკუგაანგარიშებაა", რომელიც შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$P_{\text{ინვეს.}} = \frac{S}{(1+r)n}$$

სხვა სიტყვებით, ფულადი შემოსულობების დისკონტირებას იყენებენ ინვესტიციის იმ თანხის განსაზღვრისათვის, რომელიც აუცილებელია ახლა ჩაიდოს წარმოებაში, რათა მისი ღირებულება პროცენტის მოცემული განაკვეთის დროს მიყვანილი იქნეს მათ ღირებულებამდე.

მოგების შიდა ნორმა არის დისკონტირების კოეფიციენტი, რომელიც შემოსული ფულადი საშუალებების ნაკადების ღირებულებას უპირისპირებენ ინოვაციური პროექტების რეალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული მათი გასავლების მიმდინარე ღირებულებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა მივანიშნოთ: თუ პროექტის მიმდინარე ღირებულება 0-ზე მეტია, მაშინ მას იმაზე მეტი შემოსავალი მოაქვს, ვიდრე კაპიტალის ღირებულებაა; თუ წმინდა მიმდინარე ღირებულება 0-ზე ნაკლებია, თანაბარი საპროცენტო შემოსავლების განაკვეთების არსებობის დროს ინვესტორებმა მოცემულ პროექტში მეტი საშუალება უნდა ჩადონ, ვიდრე შემოსავლის მომცემ სხვა პროექტებში. ამდენად, პროექტს უფრო დაბალი შემოსავლიანობა ექნება, ვიდრე კაპიტალის ღირებულება არის, და ამიტომაც იგი არამომგებიანია.

ინოვაციურ პროექტებზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საერთო წესები შემდეგია: ინოვაცია უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი შემოსავლის დონე ბანკის საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე არანაკლებია (ან მისი ტოლია).

ინოვაციის ეფექტიანობის საერთო მაჩვენებლად გვევლინება ეფექტურობის კოეფიციენტი (ეფ. კ.)

$$\text{ეფ.კ} = \frac{\text{პროექტის რეალიზებიდან მიღებული ეფექტი (შედეგი)}}{\text{პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები}}$$

ან

$$\text{ეფ.კ} = \frac{\text{პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები}}{\text{პროექტის რეალიზაციიდან მიღებული ეფექტი (შედეგი)}}$$

ინოვაციური პროექტების შერჩევის დროს ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს მოყვანილი ხარჯების მინიმუმი, რომელსაც ანგარიშობენ შემდეგი ფორმულით:

$$ხ_{\text{მოყვანილი}} = წ.ხ./თვითღირ. + ეფექტ.ნორ. \times ინვესტ.მოც.ვარიანტზე = \min$$

სადაც

$ხ_{\text{მოყვანილი}}$ მოყვანილი ხარჯებია;

წ.ხ./თვითღირ - წარმოების ხარჯები, ან თვითღირებულება;

ეფექტ.ნორ - კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის კოეფიციენტი;

ინვესტ.მოც.ვარიანტზე - ინვესტიცია მოცემულ ვარიანტზე.

საბაზრო ეკონომიკის დროს საწარმოები დამოუკიდებლად აწესებენ საპროცენტო განაკვეთის დონეზე **კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის კოეფიციენტს** (კაპ.დაბანდების კოეფ.), ან როგორც ნორმატიული **რენტაბელობის კოეფიციენტს**.

დღეს სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის მიზანია: სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარება, რაციონალური განლაგება და ეფექტიანად გამოყენება, მისი სტრუქტურის ფორმირება; ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მეცნიერებისა და ტექნიკის წილის გაზრდა, მატერიალური წარმოების სფეროში პროგრესული სტრუქტურული გარდაქმნების უზრუნველყოფა, წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება და, ბოლოს, ქვეყნის, საზოგადოების და პიროვნების უსაფრთხოების დაცვა.

თემა 7. საწარმოს მოგების გამოყენების ანალიზი

7.1. კაპიტალის რენტაბელობის პოლიტიკის ანალიზი

საანგარიშგებო პერიოდის მოგების გამოყენების გამოყენების გამარტივებული სქემა შეიძლება შემდეგი სახით წარმოდგინდეს: მოგების ნაწილით გადაიხდება დივიდენდი, დანარჩენი ნაწილი კი საწარმოს აქტივებში რეინვესტირდება. მოგების რეინვესტირებული ნაწილი წარმოადგენს საწარმოს საქმიანობის ფინანსირების წყაროს, ამიტომაც ბუნებრივია, რომ სწორედ საინვესტიციო პოლიტიკა განსაზღვრავს საწარმოს მიერ ფინანსირების საგარეო მიზიდვების ზომას.

მოგების რეინვესტირება წარმოების გაფართოების ძირითად საწარმოს ფინანსირების ყველაზე მისაღები და მედარებით იაფი ფორმაა. სწორედ ამიტომ არის ის იმის მიზეზი, რომ იგი ფართოდაა გამოყენებული; ასე მაგალითად, ბრიტანელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა ლონდონის ბირჟაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დარეგისტრირებული 402 წარმოების, ვაჭრობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის კომპანიების გამოკვლევების მიხედვით, აჩვენა რომ ახალი საინვესტიციო პოლიტიკის 91% მოგების რეინვესტირების ხარჯზე განხორციელდა.

საწარმოს სადივიდენდო პოლიტიკა ხასიათდება ისეთი მაჩვენებლის დახმარებით, როგორიცაა **რეინვესტირების კოეფიციენტი**. იგი გვიჩვენებს თუ დაბეგვრის შემდეგ წმინდა მოგების რა ნაწილი ფირმის მიერ ამოიღება მიმოქცევიდან გადასახდელი დივიდენდების სახით და რომლის რეინვესტირებას მოახდენს იგი წარმოებაში.

ნებისმიერი კომპანიის მიზანია მიაღწიოს სწრაფად მზარდი მომგებიანი ბაზრის მეტი წილის დაუფლებას. ამგვარი ბაზრის პოლიტიკა გულისხმობს მოგების 100% იან რეინვესტირებას.

იგი ამ შემთხვევაში 1 ის ტოლი რეინვესტირების მაჩვენებლის მნიშვნელობის მიღწევას გულისხმობს:

$$\text{კოეფ. რენტაბელობა} = \frac{\text{რეინვესტირებული მოგება}}{\text{წმინდამოგება დაბეგვრის შემდეგ}}$$

თუ აღნიშნულ კოეფიციენტს საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებელზე გავამრავლებთ, მაშინ მივიღებთ შემდეგი სახის ფორმულას:

$$\frac{\text{წმ. მოგება გადასახ. გადახდის შემდეგ}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} - \frac{\text{რეინვესტირებული მოგება}}{\text{წმ. მოგება გადასახ. გადახდის შემდეგ}} = \frac{\text{რეინვესტირებული მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

მოგების რეინვესტირება შესაძლებლობას აძლევს საწარმოს თავი აარიდოს დამატებით ხარჯებს, რომელიც შეიძლება მას წარმოიშვას, მაგალითად ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯების ან ბანკის სესხის ხარჯების მიზეზით; სხვა არსებითი უპირატესობა ისაა, რომ ამ შემთხვევაში ხდება საწარმოს საქმიანობაზე ჩამოყალიბებული კონტროლის სისტემის შენარჩუნება, რამდენადაც ამ სიტუაციაში აქციონერთა რაოდენობა არ იცვლება.

დივიდენდის პოლიტიკის თეორიაში ორი სახის მიდგომა არსებობს:

1 მიდგომა - «ნარჩენი პრინციპის მიხედვით დივიდენდის დარიცხვის თეორია». ამ თეორიის მიმდევრები სთვლიან, რომ დივიდენდის სიდიდე გავლენას არ ახდენს აქციონერთა სიმდიდრის ცვლილებებზე, ამიტომაც სადივიდენდო პოლიტიკაში ოპტიმალური სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ დივიდენდები დაერიცხებათ მას შემდეგ, როცა მოგების ეფექტიანად რეინვესტირებისათვის ყველა შესაძლებლობები გაანალიზდება. მაშასადამე, დივიდენდი გადაიხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოგების ხარჯზე დაფინანსებული არის ყველა მისაღები საინვესტიციო პროექტები; და, თუ მიზანშეწონი-

ლი არის რომ მთელი მოგება რეინვესტირებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, მაშინ დივიდენდი საერთოდ არ გადაიხდება; პირიქით, თუ საწარმოს არა აქვს საინვესტიციო პროექტები, მოგება მთელი მოცულობით დივიდენდის გადასახადზე მიემართება.

ამ თეორიის ძირითადი საფუძვლები დამუშავებული იქნა ფრანკო მოდილიანის და მარტინ მილერის მიერ 1961 წელს. მათ ჩამოაყალიბეს ე. წ. კლიენტების არსებობის შესახებ იდეა. ამ შეხედულებების მიხედვით აქციონერები უმეტეს წილად უპირატესობას ანიჭებდნენ სადივიდენდო პოლიტიკის სტაბილურობას, ვიდრე რაღაც ექსტრაორდინალური შემოსავლების მიღებას. ამასთან ისინი სთვლიან, რომ გადახდილი დივიდენდების ჯამი დაახლოებით იმ ხარჯების ტოლია, რომელიც ამ შემოხვევაში აუცილებელია გაღებული იქნეს ფინანსირების დამატებითი წყაროს მოზიდვისათვის. ამასთან ავტორები აღიარებენ სადივიდენდო პოლიტიკის გარკვეულ გავლენას აქციონერული კაპიტალის ფასზე, მაგრამ მას დივიდენდის სიდიდეზე არა საკუთრივ გავლენის, არამედ ინფორმაციული ეფექტის სახით განიხილავდნენ.

ინფორმაცია დივიდენდის ზრდაზე აქციის ფასის ზრდის შესახებ აქციონერების პროვოცირებას ახდენს; ამიტომ ამ მეცნიერთა ძირითადი დასკვნა შემდეგში მდგომარეობს: სადივიდენდო პოლიტიკა საჭირო არ არის.

II მიდგომა - დივიდენდის დარიცხვა მიმდინარე შედეგის პრინციპის მიხედვით. მოდელიან-მილერის თეორიის ოპონენტები თვლიან, რომ სადივიდენდო პოლიტიკა გავლენას ახდენს აქციონერების საერთო რაოდენობაზე. სადივიდენდო პოლიტიკის პრობლემისადმი მეორე მიდგომის ძირითადი იდეოლოგია მ. გორდონი. მისი ძირითადი არგუმენტი გამოიხატება შემდეგ ფრაზაში - «დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამს»; და ამ თეორიის ძირითადი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ რისკის მინიმალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე ინვესტორები ყოველთვის უპირატესობას ანიჭებენ მიმდინარე დივიდენდებს, ვიდრე მომავლის შემოსავალს, და, ასევე, ანალოგიურად მსჯელობენ საკუთრივ კაპიტალის ზრდის შესახებ. მისი აზრით, მიმდინარე დივიდენდების გადახდები ამცირებს ინვესტორების გაურკვეველობის დონეს მოცემულ საწარმოში ინვესტირებისა და მომგებიანობასთან მიმართებაში; ამასთან მათ აკმაყოფილებს ინვესტირებულ კაპიტალზე შემოსავლის დაბალი ნორმა, ამას კი მივყავართ აქციონერული კაპიტალის საბაზრო ღირებულების გაზრდისკენ. პირიქით, თუ დივიდენდის გადახდა არ ხდება, გაურკვეველობა იზრდება, ასევე იზრდება აქციონერებისთვის შემოსავლის ნორმა, რასაც მივყავართ აქციონერული კაპიტალის საბაზრო ღირებულების შემცირებისაკენ.

აღნიშნული მიდგომებიდან დღეს უფრო გავრცელებულია მეორე მიდგომა; ამასთან, აღიარებენ რაღაც ერთიანად ფორმალიზებული ალგორითმი დივიდენდის პოლიტიკის შემუშავებაში არ არსებობს - იგი მრავალი ფაქტორებით, მაგალითად, მნელად ფორმალიზებული, კერძოდ კი ფსიქოლოგიური ფაქტორით განისაზღვრება. ამიტომაც, თითოეულმა საწარმომ პირველ რიგში მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან გამომდინარე უნდა აირჩიოს თავისი სუბიექტური პოლიტიკა.

დივიდენდის პოლიტიკა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

1. **შეზღუდული სამართლებრივი ხასიათი.** საწარმოს საკუთარი კაპიტალი სამი ელემენტისაგან შედგება: აქციონერული კაპიტალი, საემისიო შემოსავალი და გაუნაწილებელი მოგება. ქვეყნების უმრავლესობაში კანონმდებლობით დაშვებულია ორი სქემიდან ერთი: დივიდენდის გადასახდელად შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ მოგება (საანგარიშგებო პერიოდის მოგება და გასული პერიოდების გაუნაწილებელი მოგება) ან მოგება და საემისიო შემოსავალი. ამ სახის შეზღუდვას ადგილი აქვს რუსეთის კანონმდებლობაში; კერძოდ, თუ საწარმო გადახდისუუნარობა ან გამოცხადებულია გაკოტრებულად, ფუ-

ლადი სახით დივიდენდის გაცემა, როგორც წესი, აკრძალულია. გადასახადით იბეგრება მხოლოდ აქციონერების მიერ მიღებული დივიდენდები, ხოლო გადასახდელად გაუთვალისწინებელი დივიდენდები (გაუნაწილებელი მოგება) გადასახადით არ იბეგრება. საწარმოები აქციონერებს არც თუ იშვიათად არ უხდიან დივიდენდებს, რათა გვერდი აუარონ გადასახადებს. ამ შემთხვევაში ადგილობრივი საგადასახადო ორგანოების შეხედულების მიხედვით, დაწესებულ ნორმატივზე (მაგ. აშშ-ში 250 ათასი დოლარის ტოლია) მეტი გაუნაწილებელი მოგება გადასახადით იბეგრება.

საქართველოს კანონმდებლობაში დივიდენდთან დაკავშირებული საკითხი იმ სახით და იმ ფარგლებშია დარეგულირებული, რომ მეწარმე სუბიექტი თავს დაცულად გრძნობს; იგი ხელგახსნილი არის დივიდენდის გადახდა-არგადახდის საკითხში; არსებული რეალობის გათვალისწინებით მის სურვილზეა დამოკიდებული დივიდენდის გადახდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ან მომდევნო წლისათვის. საგადასახადო ორგანოები არ ერევიან ამ საქმეში. ისინი მხოლოდ საგადასახადო ვალდებულების შესრულების პროცესს აკონტროლებს (საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დივიდენდებზე გადასახადი შეადგენს 5%) და სხვა არავითარი ჩარევის ქმედებას ახორციელებს.

საკონტრაქტო ხასიათის შეზღუდვები. მრავალ ქვეყანაში გადასახდელი დივიდენდის სიდიდე დარეგულირებულია სპეციალური კონტრაქტების მიხედვით, თუ საწარმოს გრძელვადიანი სესხის მიღება სურს. ამ სახის სესხის მომსახურეობის უზრუნველყოფისათვის როგორც წესი კონტრაქტში აღინიშნება ზღვარი, რომლის ქვეცით არ შეიძლება დაეშვას გაუნაწილებელი მოგების სიდიდე, ან რეინვესტირებული მოგების მინიმალური პროცენტი.

არასაკმარის ლიკვიდურობასთან კავშირში მყოფი შეზღუდვები. დივიდენდი ფულადი ფორმით შეიძლება გადახდილი

იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს ანგარიშსწორების ანგარიშზე ფული ან გადახდისათვის საკმარისი ფული ანუ ფულადი ეკვივალენტები გააჩნია. თეორიულად საწარმოს შეუძლია დივიდენდის გადასახდელად აიღოს კრედიტი, მაგრამ დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამგვარად, საწარმო შეიძლება მომგებიანი იყოს, მაგრამ რეალური ფულადი სამუალებების არარსებობის გამო იგი მზად არ იყოს დივიდენდის გადახდისათვის.

წარმოების გაფართოებასთან დაკავშირებული შეზღუდვები. მრავალი, განსაკუთრებით კი ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფი საწარმო საწარმოო სიმძლავრეების გაფართოების დროს ფინანსური წყაროების მოძიების პრობლემას აწყდება. ფინანსური რესურსების დამატებითი წყაროები ჭირდებათ როგორც იმ საწარმოებს, რომლებიც წარმოების მოცულობას მაღალი ტემპით აფართოებენ (დამატებითი ძირითადი სამუალებების შესაძენად), ისე, იმ საწარმოებსაც, რომელნიც წარმოების ზრდის დაბალი ტემპით ხასიათდებიან, მაგრამ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება სურთ. ასეთ შემთხვევაში ხშირად მიმართავენ დივიდენდის გადახდის შეზღუდვების პრაქტიკას. პრაქტიკაში ცნობილია იმ სახის რეალობა, როცა სადამფუძნებლო დოკუმენტებში მიუთითებენ რეინვესტირებისათვის აუცილებელი მიმდინარე მოგების მინიმალურ წილს.

საწარმოს ფინანსური ზრდის ფაქტორები ორი სახისაა – გარე და შიდა;

ფინანსური ზრდის გარე ფაქტორებია: სოციალურ-ეკონომიკური პირობები, საგარეო-ეკონომიკური კაშირების განვითარების დონე, საწარმოო რესურსებზე ფასები, სატრანსპორტო პირობები, ბუნებრივი პირობები; შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება წარმოების ძირითადი ფაქტორები (გაყიდვების მოცულობა, პროდუქციის თვითღირებულება, პროდუქციის და დანახარჯების სტრუქტურა, პროდუქციის ფასი) და არაძირითადი ფაქ-

ტორები, სამეურნეო და ფინანსური დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტორები (საფასო დარღვევები, შრომის პირობების დარღვევა, პროდუქციის ხარისხის მოთხოვნიდან გადახრა და ა. შ.).

კომპანიის ეკონომიკური ზრდის სისწრაფის, ბრუნვის გაზრდის შესაძლებლობის დახასიათებისათვის იყენებენ **ზრდის დონის მიღწევის მაჩვენებელს (SGR)**. იგი გამოიხატება საანალიზო პერიოდის მანძილზე ამონაგების(ბრუნვის) მატების შეფარდებით გასული პერიოდის ამონაგების სიდიდესთან.

$$SGR = \frac{DS}{S_1}$$

სადაც

DS - ამონაგების (ბრუნვის) მატება საანალიზო პერიოდისათვის;

S_1 - ამონაგების სიდიდე განვლილი პერიოდისათვის.

კომპანიის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელის (SG) არსი იმ მოგების ოდენობაში აისახება, რომელიც ერთი კალენდარული წლის მანძილზე საწარმოს მიერ რეინვესტირდება როგორც პროცენტი წლის დასაწყისში საწარმოს კუთვნილი საკუთარი კაპიტალის მიმართ:

$$SG = \frac{\text{რმ}}{\text{სკ}_{\text{პერიოდ. დასაწ.}}}$$

სადაც

რმ - არის რეინვესტირებული მოგება

$\text{სკ}_{\text{პერიოდ. დასაწ.}}$ - საკუთარი კაპიტალის სიდიდე პერიოდის დასაწყისისათვის.

საწარმოს ეკონომიკური ზრდა - არის გაყიდვების რაოდენობის მაქსიმალური ზრდა, რომელსაც საწარმომ თავისი ფინანსური მდგომარეობის პროპორციის შენარჩუნების დროს შეიძლება მიაღწიოს.

$$SGR = \frac{DS}{S_1} = \frac{\text{სკ}_{\text{პერიოდის}}}{\text{სკ}_{\text{პერიოდ. დასაწ.}}} = S$$

ამ მაჩვენებლის მთავარ ღირსებას წარმოადგენს მისი

კომპლექსურობა, რამდენადაც მისი შემადგენელი ფაქტორები შესაძლებლობას იძლევა თვალი მივადევნოთ კომპანიის მთელ საქმიანობას. მოცემული მაჩვენებლების დახმარებით შეიძლება შევაფასოთ პროდუქტის ბაზარი, თვით პროდუქტები, ასევე საწარმოს ფინანსური მდგომარეობა; შეიძლება შევამოწმოთ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა თუ რამდენად კარგად ანხორციელებს იგი საწარმოო და მარკეტინგულ გეგმებს; და თუ ზრდის პოტენციალი არასაკმარისია, მაშინ რენტაბელობის ცვლილების, წმინდა აქტივების ბრუნვადობის, ფინანსური ბერკეტების, რეინვესტირების კოეფიციენტის ცვლილებების შესახებ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება.

7.2. საწარმოს საბაზისო ხარჯების ანალიზი

გადასახადი სავალდებულო, ინდივიდუალური, უსასყიდლო გადახდის სახეა, რომელიც უპირობო წესით ამოიღება სახელმწიფო ორგანოების მიერ სხვადასხვა დონის/რანგის ორგანიზაციებისგან და ფიზიკური პირებისაგან.

საგადასახადო ხარჯები ეს არის საგადასახადო (საანგარიშგებო) პერიოდისათვის ბიუჯეტში გადახდისათვის დარიცხული თანხების ჯამი. აქედან გამომდინარე საგადასახადო დაგეგმვა, სხვა არაფერია თუ არა საგადასახადო ხარჯების განსაზღვრა და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მისი შემცირება.

საგადასახადო დაგეგმვა აყენებს მთელ რიგ მიზნებს და მათი მიღწევის ამოცანებს.

საგადასახადო დაგეგმვის ამოცანებია:

1. საწარმოს საგადასახდო ტვირთის განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა სტადიებზე საგადასახადო ხარჯების განსაზღვრა.

ამ ამოცანის მიზანია გადასახადების დარიცხვის, გადახდის და ოპტიმიზაციის საგადასახადო რისკების შემცირება ან აღმოფხვრა.

2. კანონიერ საფუძველზე საგადასახადო ხარჯების შემცირება და საგადასახადო (საანგარიშგებო) პერიოდის ფარგლებში საგადასახადო ხარჯების ოპტიმიზაცია (გადავადება).

საგადასახადო დაგეგმვა არის მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში საგადასახადო ხარჯების შემცირების მიზნით იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც კომპანიის ფულადი ნაკადების შემოდინების გაზრდის მიზნით საქმიანობის დროის, ადგილისა და სახის არჩევასთან, უფრო ეფექტიანი სქემებისა და სახელშეკრულებო ურთიერთობის შექმნასთან და თანხვედრასთანაა დაკავშირებული.

საგადასახადო დაგეგმვის არსია მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზისა და საწარმოს განვითარების სტრატეგიის შესაბამისობაში საგადასახადო პორტფელის ოპტიმიზაცია. ამასთან, უნდა გვახსოვდეს საგადასახადო დაგეგმვას როგორც საგადასახადო მენეჯმენტის ერთ-ერთი ელემენტის ურთიერთკავშირია მის რგოლებთან: საგადასახადო კონტროლთან და რეგულირებასთან. მხოლოდ მყარი პირდაპირი და უკუკავშირი დაწესების დროს არის შესაძლებელი საგადასახადო პროცესის გამოსწორება, საწარმოს სტრატეგიული და ეფექტიანი მართვა.

საგადასახადო დაგეგმვის რეალიზაციისათვის აუცილებელია გარკვეული პირობების არსებობა:

1. დასანერგი სქემის ღირებულება < შესამცირებელი გადასახადების თანხა;
2. სქემა ლეგიტიმური უნდა იყოს საგადასახადო კანონმდებლობასთან;
3. ოპტიმიზაციის შესახებ ინფორმაციასთან წვდომა შეზღუდული უნდა იყოს;
4. გადასახადებით დაბეგვრის ოპტიმიზაციისკენ მიმართული მოქმედება გარე ფაქტორებზე რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული;

5. ქვეკონტროლის პრინციპი;
6. ფორმისა და შინაარსის შერწყმა;
7. დივერსიფიკაციის პრინციპი;
8. ავტონომიურობის პრინციპი.

გადასახადებით დაბეგვრის ოპტიმიზაციისა და მისი მომსახურების სქემაზე გაწეული დანახარჯების საგადასახადო ხარჯების ეკონომიის თანხასთან თანაფარდობას გააჩნია თავისი ზღვარი; ის შესაძლოა სხვადასხვა ფაქტორებზე იყოს დამოკიდებული. ჩვეულებრივ ასეთი ზღვარი შემცირებული გადასახადების 20-80 %-ს შეადგენს; მაგალითად, თუ სქემის ღირებულება 15%-ის ტოლია, ხოლო საგადასახადო ხარჯები 20%-ს შეადგენს, ამ შემთხვევაში ბევრნი ამჯობინებენ უარი თქვან ამ ღონისძიებების ჩატარებაზე.

არასასურველია ოპტიმიზაციის ისეთი სქემის აგება, რომელიც ნორმატიულ აქტებში არსებულ «ხარვეზებზე» იქნება დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებლობის ცალკეული დებულებები სადავო არის და შესაძლებელია ისინი როგორც გადასახადის გადამხდელის ისე სახელმწიფოს სასარგებლოდ იქნება გაგებული. ეს იგი შესაძლოა მომავალში სასამართლო განხილვების საქმედ იქცეს. საგადასახადო ოპტიმიზაციაში ძონაწილე ცალკეულ შემსრულებლებს მხოლოდ ლოკალური ხასიათის მქონე განსაზღვრული ინსტრუქციებით შეუძლიათ იხელმძღვანელონ, მაგრამ მათ თავიანთთვის სრული და მისაღები სურათის წარმოსახვა უნდა მოახდინონ.

საგადასახადო გადასახდელების ოპტიმიზაციის პროცესი გამიზნული უნდა იყოს მაქსიმალური ავტონომიურობის მიღწევისაკენ და თავისთავში მოიცავს მათი რეალიზაციის მწიმნელოვან მეთოდებსა და წესებს; ამიტომაც საგადასახადო ოპტიმიზაციის მეთოდებია:

1. საწარმოს ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება და საგადასახადო შეღავათების გამოყენება. აქ საგადასახადო ოპტიმიზაციის წესი კი კანონმდებლობის მოწი-

ტორინგის და ხელშეკრულების საგადასახადო ექსპერტიზაში მდგომარეობს;

2. ხელშეკრულების მეშვეობით საგადასახადო ოპტიმიზაცია და სპეციალური მეთოდების გამოყენება. ამ შემთხვევაში საგადასახადო ოპტიმიზაციის ხორცშესხმა «საგადასახადო სქემის» წესის გამოყენებაში და ბიზნესის სტრუქტურის შეცვლაში მდგომარეობს.

საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი სახეა საგადასახადო გადარიცხვების ოპტიმიზაცია, რაც მატერიალური ფასეულობების მოძრაობასთან და შენახვასთანაა დაკავშირებული და კავშირშია არასასურველი ხასიათის სხვადასხვა საგარეო ფაქტორებთან. ეს შეიძლება იყოს ცვლილებები კანონმდებლობაში, გარღვევები გეგმაში, ფორსმაჟორული გარემოება.

საგადასახადო გადახდების ოპტიმიზაციის სქემის გამოყენებისგან სასურველი შედეგის მიღწევა დამოკიდებულია კარგად მოფიქრებულ კონტროლზე და თვით შემსრულებელზე, ასევე ყველა ეტაპზე ზემოქმედების რეალური ბერკეტების არსებობაზე. ამ შემთხვევაში არსებითია კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა. ასეთ სიტუაციაში თავის დაღწევის მიზნით შესაძლებელია წინასწარ, თავისდროულად გაფორმდეს ყველა აუცილებელი ოპერაციების დამამტკიცებელი ერთ ეგზემპლიარად შედგენილი დოკუმენტები.

გადასახადების ოპტიმიზაციის სტრუქტურათა უმრავლესობისათვის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს პროცესის შიდა მონაწილეთა ურთიერთობების იმ უფლებებისა და ვალდებულებების არაფორმალურობა, რომელიც სხვადასხვა კონტრაგენტებთან სახელშეკრულებო კავშირში წარმოიშობა. მოცემულ პირობებში საგადასახადო უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტა შესაძლოა აგებული იქნეს იმ სახელშეკრულებო ურთიერთობების სინქრონიზაციაზე, რომელიც დე-ფაქტოდ წარმოიშობა, და იმათთან, რომელებიც დე იურე ფორმირდება.

ის საწარმოები, რომლებსაც ბალანსზე არ გააჩნიათ ან არენდით არა აქვთ არავითარი ძირითადი ფონდები და მხოლოდ შტატში დირექტორს ინახავენ, «ახერხებენ» განახორციელონ სატრანსპორტო, პოლიგრაფიული და სხვა მომსახურეობები. ამასთან დამკვეთები არც თუ ხშირად დაინტერესებულნი არიან იმით, რომ გაარკვიონ ხელმოწერილი შეთანხმების შესრულებისათვის შემსრულებლის მიერ საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განკარგვის ან ფლობის საკითხი. მათ უფრო მეტად აინტერესებთ «აწგარიშგების წესი» და სხვა პირობები.

ამის გარდა, მნიშვნელოვანი არის იურიდიული და ფაქტიური ზოქმედებების სინქრონიზაცია არამხოლოდ პროცესში «არაკეთილსინდისიერი» მონაწილეთაგან დაცვის ნაწილში, არამედ შემმოწმებლების მხრიდან უნდობლობის დონის შემცირება. ეს დაკავშირებულია, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსში ისეთი ცნებების არსებობასთან, როგორიცაა «ყალბი გარიგება», «მოჩვენებითი გარიგება», «ცრუ გარიგება» და ა.შ.

საგადასახადო ხარჯების ოპტიმიზაცია აუცილებელია წარმოებდეს მხოლოდ თავისი საგადასახადო გადახდების ხარჯზე, და არა პარტნიორებთან ჩარიცხვების ხარჯზე. ცალკეული საგადასახადო გადახდები ხომ გამაერთიანებელი კაპილარების პრინციპით არის აგებული: ერთ მონაწილესთან გადახდების გაზრდას მივყავართ გადახდების შემცირებასთან მეორესთან, და პირიქით, ერთ კონტრაგენტთან საგადასახადო ბაზის შემცირებას მივყავართ მეორესთან მის გაზრდასთან. ამიტომაც აუცილებელია საქმიანი პარტნიორების ინტერესების გათვალისწინება.

მაშასადამე, გადასახადებით დაბეგვრის სქემის ოპტიმიზაცია სამეურნეო ურთიერთობის რამდენიმე სუბიექტს შორის ურთიერთობის განსაზღვრული წესია. იგი მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში საბიუჯეტო გადასახდელების შემცირებისკენაა მიმართული.

თემა 8. ეკონომიკური მმართველობითი ანალიზი

8.1. ეკონომიკური მმართველობითი ანალიზის შედარებითი ანალიზის მიზანი და ამოცანები

ეკონომიკური მმართველობითი ანალიზი ტარდება კონტროლინგის ფარგლებში. თავდაპირველად კონტროლინგის ფარგლებში იგულისხმებოდა იმ ამოცანათა ერთობლიობა, რომლებიც აღრიცხვისა და ფინანსების სფეროში წყდებოდა, ხოლო კონტროლიორად გამოდიოდა მთავარი ბუღალტერი.

შემდგომში ეს ცნება გამარტივებულ იქნა: კონტროლინგის ფუნქციებს მიეკუთვნა საწარმოს საქმიანობის საბოლოო მიზნებისა და შედეგების მიღწევისათვის ფინანსური საშუალებების და წყაროების გამოყენების ოპტიმიზაცია. (ეკონომიკური აზრით კონტროლინგი არის საწარმოს მიერ მოგების მართვის სისტემა). შესაბამისად, კონტროლინგი ეკონომიკურ ლექსიკონებში წარმოდგენილი იქნა როგორც ინფორმაციის და მართვის კონცეფცია. ყველაზე სრულად კონტროლინგის სისტემა პირველად აღწერილი და გამოყენებული იქნა აშშ-ში; ამიტომაც არის რომ ტერმინი «კონტროლიორი - კონტროლინგის სამსახურის ხელმძღვანელი» წარმოიშვა ინგლისური სიტყვიდან «controlling».

ფართო გაგებით სიტყვა **კონტროლინგი** არის სააღრიცხვო-ანალიტიკური სპეციალისტების მიერ მართვის სისტემა.

სიტყვა «კონტროლინგი» ასოცირდება სიტყვა «კონტროლთან», მაგრამ ეს ცნებები სხვადასხვა და საპირისპიროც კი არიან. კონტროლი მიმართულია წარსულზე, შეცდომების და გათვლების დროის გარკვევაზე, ხოლო კონტროლინგი არის საწარმოს და მისი სტრუქტურული ერთეულების ხანგრძლივი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით მომავალში მართვა.

თავისი არსით კონტროლინგი არის საწარმოს საფინანსო-

სამეურნეო საქმიანობის მართვის თეორიასა და პრაქტიკის სფეროში ინტენსიურად განვითარებადი მიმართულება.

დიდი ხნის მანძილზე კონტროლინგი ხარჯების ოპერატიულ აღრიცხვასთან, კალკულირებასთან და თვითღირებულების გაანგარიშებასთან ასოცირდებოდა. მას იყენებდნენ იგი ისეთი საკითხების გადაწყვეტაში როგორიცაა სარეალიზაციო ფასების დაწესება (ისე რომ პროდუქციის ფაქტიური ღირებულებას არ არკვევდა); კონკურენტებთან ფასების ომში საწარმოს მოგების საიმედოობის ხარისხი; როგორ გადაურჩეს საწარმო ჯარიმებს თვითღირებულებაზე დაბალი ფასებით რეალიზაციისას და ა. შ. ფასწარმოქმნის ასეთი ტიპიური ამოცანების გადაწყვეტა წინათაც და ახლაც კონტროლინგის შესახებ პროექტის დაწყებისთვის ძლიერ მოტივს წარმოადგენს.

დროთა განმავლობაში გამოვლინდა, რომ კონტროლინგი არა მხოლოდ დაგეგმვის, ხარჯების აღრიცხვისა და ანალიზის მიმართულებით მოქმედებს, არამედ იგი საწარმოს საქმიანობის შედეგების აღრიცხვისათვის, რენტაბელობის ანალიზისათვის და მოგების მართვისკენაც არის გამიზნული.

კონტროლინგზე წარმოდგენის განვითარების სტიმულად გამოვიდა მსოფლიოს კონსალტინგური ფირმების მიერ ბიუჯეტირების შესახებ ინიცირებული პროექტები. შეიძლება ითქვას, რომ იმატა ბიუჯეტირების პოპულარობამ და იგი მთელს მსოფლიოში კომპანიების ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალური დაბანდებების გაზრდის, პირდაპირი ინვესტიციების მატების ფონზე სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის კუთხით გავრცელდა. ამდენად, ინოვაციის, ფინანსების კონტროლინგი, სტრატეგიული კონტროლინგი და კონტროლინგის სფეროები აუცილებელია წარმატებით განვითარებადმა საწარმომ აუცილებლად უნდა განახორციელოს. ამ ფონზე კონტროლინგი მენეჯმენტის ერთ-ერთ ტექნოლოგიად წარმოგვიდგა.

თავისი დანიშნულებით კონტროლინგის სისტემა ისწრაფვის იქეთკენ, თუ როგორ მართოს საწარმომ გეგმური და ფაქტიური მაჩვენებლების მიმდინარე პროცესები, რათა თავიდან აიცილოს იქნეს შეცდომები და გადახრები როგორც მიმდინარე ისე მომავალ პერიოდში. ამასთან კონტროლინგის სისტემა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს მართვის ფუნქციები დაკისრებული აქვს განყოფილებებს და სამსახურებს. კონტროლინგის დანერგვის საწყის ეტაპზე იგი გამოდის როგორც სისტემა, რომელიც ატყობინებს ფირმა მის საქმიანობაში ნეგატიური გადახრების წარმოშობას და შემდგომში მათი თავიდან აცილების მიზნით დროული ღონისძიებების მიღების აუცილებლობას.

ამდენად, საბოლოო ჯამში თანამედროვე საწარმოს სამეურნეო-საწარმოო საქმიანობაში კონტროლი და მართვა თავის ადგილს უთმობს თვითკონტროლს და თვითმმართველობას.

ფირმის საქმიანობაში კონტროლინგი საწარმოს მართვის ერთიანი კონცეფციაა, რომელიც მოგების მიღებასთან დაკავშირებული შანსებისა და რისკების გამოვლენისკენაა მიმართული.

კონტროლინგის თავისებურებებია:

- ოპერატიული საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშებებისა და სტრატეგიული გადაწყვეტილების დაკავშირება;
- ეკონომიკურად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაზე საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშებების ორიენტაცია;
- ახალი შინაარსის დაგეგმვის, კონტროლის ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- საგეგმო-ეკონომიკური სამსახურების ახალი ტექნოლოგიური როლი.

კონტროლინგი საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ფუნქციონალურად გამოცალკევებული მიმართულებაა, და იგი

მენეჯმენტში საფინანსო-ეკონომიკური კონტროლირებადი ფუნქციების რეალიზაციასთან, ოპერატიული და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებასთან არის დაკავშირებული.

კონტროლინგი უზრუნველყოფს შემდეგი ფუნქციების შესრულებას:

- სერვისული ფუნქცია (მართვისათვის აუცილებელი ფუნქციების წარდგენა);
- გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია (მმართველობითი ფუნქცია);
- საწარმოზე შიდა კონტროლი.

თავისი შინაარსით სერვისული ფუნქცია კონტროლინგის ინფორმაციული მომსახურეობაა; იგი დაგეგმვის, ნორმირების, აღრიცხვის და კონტროლის სისტემის დახმარებით უზრუნველყოფილი ხდება.

ყველა ეს სისტემა საწარმოს საქმიანობის მიზნებზე და საბოლოო შედეგზეა ორიენტირებული. ამ შემთხვევაში ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მიცემულს (გეგმიური, ნორმატიული) და ფაქტიურ მათ შორის - აღრიცხვის დროს გამოვლენილი გადახრების შესახებ მონაცემების ამსახველ მაჩვენებლებს.

კონტროლინგის მმართველობითი ფუნქცია რეალიზდება გადახრების ანალიზის, მათი დაფარვისა და საწარმოს საქმიანობის საერთო შედეგების მონაცემების გამოყენებით. აღნიშნული ინფორმაცია აუცილებელია ტაქტიკური (ოპერატიული) და სტრატეგიული მონაცემების მისაღებად.

შიდა კონტროლის ფუნქცია საწარმოს როგორც ერთი მთლიანობის, ისე მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ეკონომიკური სამუშაოს კონტროლზე დაიყვანება.

რევიზიისაგან განსხვავებით კონტროლინგი საწარმოს საქმიანობის მიმდინარე და მომავალ შედეგებზეა ორიენტირებული და ის დაკავშირებული არ არის ადგილზე საბეურნეო ოპერაციების შესრულების შემოწმებასთან.

კონტროლინგური საქმიანობის რეალიზაცია ემყარება შემდეგ ოთხ პრინციპს: მოპრაობა და შეფერხება; თავისდროულობა; სტრატეგიული შეცნობა; დოკუმენტირება.

ამგვარად, კონტროლინგის დანიშნულება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ როგორც კრიზისული სიტუაციების წარმოშობის პრევენციის ქმედება. თუ საწარმოს შიგნით სიტუაციის ანალიზის დროს წარმოშობილი შეცდომები და პრობლემები თავისდროულად არ იქნა გამოსწორებული, მაშინ იგი გარემომცველი გარემოს მომავალი პირობების შეფასების შეცდომებში გადაიზრდება. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ მიღებული გადაწყვეტილებები მცდარ წანამძღვრებს არ უნდა ემყარებოდეს, რამდენადაც მისაღები გადაწყვეტილება დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

კონტროლინგის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს საწარმოს საქმიანობაში პრობლემების გამოვლენა და მისი საქმიანობის კორექტირება იმ ზღვრამდე, სანამ ეს პრობლემა კრიზისში არ გადაიზარდა. ამ ამოცანის გადაწყვეტა კავშირშია:

- ორგანიზაციისა და მისი სტრუქტურული ერთეულების ფაქტიური მდგომარეობის გარდაქმნასთან;
- დროის მომავალი პერიოდისათვის ორგანიზაციის ეკონომიკის მდგომარეობისა და ქცევის პროგნოზირებასთან;
- როგორც მთლიანად ორგანიზაციის, ისე მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ამსახველი მაჩვენებლიდან გადახრის ადგილისა და მიზეზების თავისდროული განსაზღვრასთან;
- მაჩვენებლების ზღვრული მნიშვნელობის დადგომის (მიღწევის) დროს ორგანიზაციის მყარი საწარმოო-ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფა;
- საწარმოს საქმიანობაში სუსტი და ვიწრო ადგილების გამოვლენა.

საწარმოში გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტის

შედეგიანობა ბევრად არის განსაზღვრული იმით, თუ რამდენად კარგად არის კოორდინირებული მართვის სხვადასხვა დონის მიზეზები, მათი რეალიზაციის საშუალებები და მეთოდები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონტროლინგის შემდეგ ამოცანას წარმოადგენს კონტროლის და რეგულირების ამოცანა, რომელიც დაგეგმვის პროცესის ინფორმაციული თანმხლებაშია. ამ ამოცანის გადაწყვეტა კი კავშირშია:

- დაგეგმვის მეთოდიკის შემუშავებასთან;
- გეგმის შედგენისათვის ინფორმაციის წარმოდგენასთან;
- გადახრების დასაშვები საზღვრების დაწესებასთან;
- გადახრების შემცირებისათვის მიზეზების ანალიზთან და წინადადების შემუშავებასთან;
- ხარჯებისა დაშედეგების აღრიცხვასთან და კონტროლთან;
- დაგეგმვის სტიმულირებასთან.

საწარმოში კონტროლინგის დანიშნულება კრიზისული სიტუაციების პრევენცია. ამიტომაც, ამ მიზნით უნდა გადაწყდეს შემდეგი სამი ძირითადი ამოცანა:

I ამოცანა - **პრობლემების გამოვლენა და საქმიანობის ადეკვატური კორექტირება;**

ამ მიზნით უნდა მოხდეს ორგანიზაციის ფაქტიური მდგომარეობის განსაზღვრა, მდგომარეობის პროგნოზირება მომავლის მოცემულ მომენტში, ორგანიზაციის მდგრადი მდგომარეობის უზრუნველყოფა, ორგანიზაციის საქმიანობაში სუსტი და ვიწრო ადგილების ძიება.

II ამოცანა - **საწარმოში მიმდინარე ყველა პროცესის კონტროლი და რეგულირება;**

III ამოცანა - **დაგეგმვის პროცესის საინფორმაციო თანხვედრა;** ამ მიზნით საჭიროა განხორციელდეს დაგეგმვის მეთოდიკის შემუშავება, გეგმის შედგენისათვის ინფორმაციის წარდგენა, დაჩაბარჯებისა და შედეგების აღრიცხვა და კონტროლი, დაგეგმვის სტიმულირება.

სწორედ აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა იძლევა მომავალი კეთილსასურველი საფუძვლის მომზადების შესაძლებლობის საშუალებას. ასევე, გაირკვევა მომავალში მოსალოდნელი პრობლემები, რაც გარე პირობების უეცარი ცვლილებების მიმართულებით ღონისძიებებს მოამზადებს, ორგანიზაციაში მოქმედებების კოორდინაციას გააუმჯობესებს და ამით საბოლოო ჯამში საწარმოს და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების წარმატებით ფუნქციონირებას ხელს შეუწყობს.

8.2. საწარმოო პოტენციალის ფორმირებისა და საწარმოო პროგრამის ანალიზი

ეკონომიკის სრულყოფაში საწარმოო პოტენციალის დიდი როლი წინასწარ განსაზღვრავს მისი გამოყენების მართვის აუცილებლობას, პოტენციალის დატვირთვის ეფექტიან შეფასებას.

საწარმოო პოტენციალი გამოყენების ეფექტიანობის დონე მაჩვენებელთა ერთობლიობით ხასიათდება, რამდენადაც იგი რთული სისტემაა. მათ შორის არის პოტენციალის დატვირთვის მაჩვენებლები, რომლებიც მთელი პოტენციალის განვითარების განსაზღვრულ ფონს შეადგენს.

მაჩვენებელთა განსაზღვრის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს შედეგის თანაფარდობა ამ შედეგის მიღწევის მიზნით გამოყენებული რესურსების მასასთან. საწარმოს საწარმოო პოტენციალის ანალიზის ძირითად მიმართულებას ძირითადი ფონდების მაჩვენებელთა ანალიზი წარმოადგენს. ძირითადი ფონდების ანალიზის პროცესში სწავლობენ მათ შემადგენლობას, სტრუქტურას, ტექნიკურ მდგომარეობას, დინამიკას, განახლების და გამოყენების დონეს (ხარისხს).

1. ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ ძირითადი ფონდების რიგ რაოდენობრივ მაჩვენებლებს:

2. ძირითადი ფონდების მოცულობა, რეალურად მათი ხახეზე არსებობა;
3. ძირითადი ფონდების ტექნიკური მდგომარეობა და რემონტი;
4. ძირითადი ფონდების ცვლილების დინამიკა და განახლების ხარისხი;
5. საწარმოო სიმძლავრეებისა და საწარმოო მოედნის არსებობა.

საწარმოს ძირითადი საწარმოო ფონდები არაერთგვაროვანია. შესრულებული ფუნქციებისა და მიზნობრივი სხვადასხვაობით ძირითადი ფონდები სამ ჯგუფად იყოფა:

1. უმეტესად იმ დარგის ძირითადი ფონდები, რომელშიც მოცემული ორგანიზაცია საქმიანობს;
2. სხვადასხვა დარგის საწარმოო ფონდები;
3. არასაწარმოო ფონდები.

საწარმოს საწარმოო ფონდები იმ სახის ფონდებია, რომლებიც პროდუქციის გამოშვების დროს ძირითადია და შემდგომში კი ფინანსური შედეგის მიღებას უწყობენ ხელს.

საწარმოს არასაწარმოო ფონდები არის ის ფონდები, რომელნიც პროდუქციას არ ქმნიან და ფინანსურ შედეგს არ იძლევიან.

ანალიზის დროს აუცილებელია გამოვავლინოთ ძირითადი ფონდების სტრუქტურა და მათი ცვლილებების არსებითი მიზეზების აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდე. ამასთან, თითოეული ჯგუფისთვის ცალ-ცალკე და მთლიანად მთელი ძირითადი ფონდების მიხედვით განსაზღვრავენ მიმდინარე პროცესების ინტენსიობას. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძირითადი ფონდების ჯგუფების შესწავლას. საქართველოში აღრიცხვის წესის თანახმად ძირითად ფონდებს შემდეგი სახის ჯგუფებად ყოფენ:

- მიწის ნაკვეთები;

- შენობა-ნაგებობები;
- მანქანა-დანადგარები;
- სატრანსპორტო საშუალებები;
- ავეჯი და მოწყობილობა;
- ოფისის აღჭურვილობა.

ანალიზის დროს აუცილებელია ამ ჯგუფების მიხედვით ზრდის ტემპების შეფასება.

საწარმოს ფონდების ზრდის ტემპების ბაზაზე ანგარიშობენ სპეციალურ კოეფიციენტს, რომელსაც **გასწრების კოეფიციენტს** (K გასწრების) უწოდებენ; აქ საუბარია საწარმოს ფარგლებში ძირითადი საწარმოო ფონდებისა და ძირითადი არასაწარმოო ფონდების თანაფარდობის საკითხზე ზოგადად:

$$K_{\text{გასწრ.}} = \frac{Ტ_{\text{ძირ.საწ.ფონდ.}}}{Ტ_{\text{ძირ.არასაწ.ფონდ.}}}$$

სადაც

$Ტ_{\text{ძირ.საწ.ფონდ.}}$ – ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდის ტემპი

$Ტ_{\text{ძირ.არასაწ.ფონდ.}}$ – ძირითადი არასანარმოო ფონდების ზრდის ტემპი.

აღიარებულია, რომ საწარმოსათვის სასურველად ითვლება იმგვარი სიტუაცია, როცა K გასწრების > 1.

საწარმოს ძირითადი ფონდების ყველა ჯგუფის შესწავლის შემდეგ აუცილებელია ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად გაანალიზდეს თითოეული ეს ჯგუფი; უფრო რაციონალურია შესწავლა დაწყებული იქნეს უფრო მნიშვნელოვანი ჯგუფიდან - სამრეწველო-საწარმოო დანიშნულების ჯგუფიდან. აქ აუცილებელია განხილული იქნეს ძირითადი საწარმოო ჯგუფების შემადგენელი ბაზა:

- დადგინდეს ძირითადი საწარმოო ფონდების სახეობრივი სტრუქტურა;
- გაირკვეს საწარმოს ფარგლებში საწარმოო ფონდების თითოეული ელემენტის მიხედვით აბსოლუტური ცვლილება, გამოვლინდეს ამ ცვლილების დინამიკა.

ამ მიზნით ასევე მიზანშეწონილია საწარმოს სტრუქტურულ ჭრილში სამუალოწლიური მაჩვენებლის მიხედვით გაირკვეს სამრეწველო-საწარმოო ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის სტრუქტურა.

საწარმოო ფონდების შესწავლის პროცესში აუცილებელია გაანალიზდეს ძირითადი ფონდების მოძრაობის (განახლების) პროცესი. ეს კი შემდეგი სპეციალური მაჩვენებლის დახმარებით განხორციელდება:

- ფონდების მოქმედებაში შესვლის (განახლების) კოეფიციენტი;
- ფონდების მოქმედებიდან გამოსვლის კოეფიციენტი.

ფონდების მოქმედებაში შესვლის (განახლების) კოეფიციენტი ასახავს ძირითადი ფონდების განახლების ინტენსიობას და იგი გაიანგარიშება როგორც საანგარიშგებო პერიოდისათვის წარმოებაში ახლადშესული ძირითადი ფონდების დირებულების ამავე პერიოდის ბოლოს მათ დირებულებასთან შეფარდებით:

$$K_{\text{ახლად}} = \frac{\text{ძირ.ფონდ.ახლად შემოსული}}{\text{ძირ.ფონდ.წლის ბოლოს}}$$

ფონდების მოქმედებაში შესვლის (განახლების) კოეფიციენტი მიზანშეწონილია გაანგარიშებული იქნეს მთელი ძირითადი ფონდების, მათი აქტიური ნაწილის, სამრეწველო-საწარმოო ძირითადი ფონდების ცალკეული ჯგუფების მიხედვით და მოწყობილობების ძირითადი ჯგუფების მიხედვით. აღნიშნული მისწრება ძირითადი ფონდების მომსახურების (კვლავწარმოების პერიოდი) სხვადასხვა ვადასთან (მაგ. შენობები ემსახურება 100 წლამდე, მოწყობილობები კი - 10 წლამდე) არის დაკავშირებული.

ფონდების მოქმედებიდან გამოსვლის კოეფიციენტი ახასიათებს წარმოების სფეროდან მათი გამოსვლის ინტენსიობის დონეს და საანგარიშგებო პერიოდისათვის ძირითადი ფონ-

დების ღირებულების ამავე პერიოდის დასაწყისისათვის მათ ღირებულებასთან თანაფარდობით გაინგარიშება.

$$K_{\text{ცვეთა}} = \frac{\text{ძირ.ფონდ.გამოსვლა}}{\text{ძირ.ფონდ.წლის დასაწყისში}}$$

ძირითადი საწარმოო ფონდების შესწავლის დროს აუცილებელია გაირკვეს საწარმო ძირითადი ფონდების კვლავწარმოების დროს განახლების როგორ მეთოდს გამოიყენებს. ამ მიმართებით გამოყოფენ ოთხ მეთოდს:

- ახალი მშენებლობა;
- გაფართოება;
- რეკონსტრუქცია;
- ტექნიკური გადაიარაღება.

იმ მიზნით რომ განისაზღვროს თუ რომელი მეთოდი მიესადაგება კონკრეტულ საწარმოს რაოდენობრივად, პრაქტიკაში იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს:

1. აქტიური ნაწილის და პასიური ნაწილის მიხედვით განახლების კოეფიციენტი;
2. აქტიური ნაწილისა და პასიური ნაწილის მიხედვით მოხმარებიდან გამოსვლის კოეფიციენტი;
3. საწარმოო მოედნის გაზრდა-გაფართოების კოეფიციენტი; მას ანგარიშობენ შემდეგი ფორმულით

$$K = \frac{\text{მოედნის ზრდა კვ. მ.}}{\text{საერთო მოედანი კვ. მ.}}$$

დღეს ძირითადი ფონდების კვლავწარმოების ყველაზე პროგრესულ მეთოდს წარმოადგენს რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება, რამდენადაც ფინანსირების ყველაზე მეტი ნაწილი მოწყობილობის, ტექნიკის სრულყოფაზე მიდის; ეს კი საშუალებას იძლევა ნაკლები დანახარჯებით გამომუშავებული იქნეს უფრო ხარისხიანი პროდუქცია, რაც საბოლოო ჯამში ნიშნავს რომ მოკლევადიან პერიოდში საწარმომ დანახარჯების ამოგება განახორციელოს.

ძირითადი საწარმოო ფონდების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლას იწყებენ განმაზოგადოებელი მაჩვენებლების გაანგარიშებით; ამ რანგის მაჩვენებლები არის:

1. ცვეთის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება ცვეთის მოცულობის თანაფარდობით ძირითადი ფონდების პირველსაწყის ღირებულებასთან:

$$K_{\text{ცვეთა}} = \frac{\text{ცვეთა}}{\text{ძირ.საწარმოო ფონდ. თავდაპირველ საწყ.ღირებულება}}$$

2. ვარგისიანობის კოეფიციენტი - ეს არის ძირითადი ფონდების ნარჩენი ღირებულე-ბის მის თავდაპირველ ღირებულებასთან თანაფარდობა; ეს მაჩვენებელი გამოიანგარი-შება შემდეგი ფორმულით;

$$K_{\text{ვარგ}} = \frac{\text{ნარჩენი ღირებულება}}{\text{ძირ. ფონდის თავდაპირველი ღირებულება}} = 1 - K_{\text{ცვეთა}}$$

ძირითადი ფონდების ცვეთის კოეფიციენტი და ვარგისიანობის კოეფიციენტი ნებისთ გაინგარიშება როგორც წლის დასაწყისისათვის ისე წლის ბოლოსთვის. ამ მაჩვენებელების ანალიზი ჩატარებული უნდა იყოს ძირითადი საწარმოო ფონდების ცალკეული სახეების მიხედვით, მაჩვენებლის სიდიდეები კი უნდა გაანგარიშდეს რიგი პერიოდების მიხედვით, ცალკეული ქვედანაყოფებისათვის, სახეების ჭრილში. ძირითადი საწარმოო ფონდების სახეების მიხედვით გაანგარიშება საშუალებას იძლევა გავიგოთ, თუ როგორ ფიზიკურ და მორალურ მდგომარეობაში იმყოფება მათი ელემენტები. მოცემული მაჩვენებლების დინამიკაში შესწავლა შესაძლებლობას იძლევა კვლავწარმოების დროს დავინახოთ, თუ რომელ ელემენტზე უნდა მივაქციოთ ყურადღება. სახეების და ადგილის მიხედვით შესწავლა ასევე შესაძლებლობას იძლევა დავინახოთ, რომელ ქვედანაყოფში იმყოფება უფრო მეტად ჯაცვეთილი ძირითადი ფონდები და რომელი სახეების მიხედვით.

რაც უფრო დაბალია ძირითადი ფონდის ცვეთის კოეფიციენტი (მაღალია ვარგისიანობის კოეფიციენტი), მით უკეთესია ძირითადი ფონდების ტექნიკური მდგომარეობა.

ასევე აუცილებელია ჩატარდეს მოწყობილობების ასაკობრივი სტრუქტურის სპეციალური ანალიზი. ამ დროს განისაზღვრება მოწყობილობის საშუალო ასაკი.

$$\text{საშუალო ასაკი} = \frac{\text{ცალკეული პერიოდის მიხედვით საშ. ასაკობრივი ინტერვალი}}{\text{მოც. ასაკობრ. ინტერვალში მყოფი მოწყობ. რ-ბა}} = \frac{X_i}{Q_i}$$

სადაც

X_i - ცალკეული პერიოდების მიხედვით საშუალო ასაკობრივი ინტერვალი

Q_i - მოცემულ ასაკობრივ ინტერვალში მყოფი მოწყობილობის რაოდენობა.

ძირითადი საწარმოო საშუალებების ანალიზის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს საწარმოში ძირითადი ფონდების რემონტის ორგანიზაციის შესწავლა. მოცემულ ეტაპზე სწავლობენ რამდენიმე პერიოდისათვის საწარმოს მიერ განხორციელებული რემონტის ძირითადი სახეების მიხედვით სარემონტო სამუშაოების სახეების მოცულობას და სტრუქტურას. ანალიზის მსვლელობის დროს ავლენენ თითოეული რემონტის დინამიკას, თითოეული პერიოდისათვის აბსოლუტურ და შეფარდებით გადახრებს, არკვევენ ამ პროცესების მიზეზებს.

სარემონტო სამუშაოების შესწავლის დროს ასევე აუცილებელია ყურადღება მიექცეს გეგმურ-გამაფრთხილებელი სამუშაოების შესრულების გრაფიკს, უნდა გაანალიზდეს ცალკეული სახის შეწობების, მოწყობილობების, ტექნიკის რემონტის დავალებების (შესრულების ვადა, სარემონტო სამუშაოების შესრულების მოცულობა და სირთულე) შესრულება.

ძირითადი ფონდების გამოყენების ანალიზი ემყარება რიგი ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლას; ამ სახის მაჩვენებლებია:

ფონდუკუგება (ფუ) - ის ძირითადი ფონდების გამოყენების შეფასების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია არის. მისი ეკონომიკური აზრი მდგომარეობს იმაში, რომ იგი გვიჩვენებს თუ რამდენი ლარის პროდუქცია შეიძლება მივიღოთ წარმოებაში ჩადებული 1 ლარის ძირითადი ფონდიდან.

$$\text{ფონდუკუგება} = \frac{\text{გამოშვ. პროდუქცია ღირებულებით გამოხატულებაში}}{\text{ძირ. ფონდის საშუალოწლიური ღირებულება}}$$

მოცემული მაჩვენებლის ზომვის ერთეულია ლარი/ლარზე. ეკონომიკური კუთხით სასურველია, როცა ფუ>1.

ფონდტევადობა - ფონდუკუგების უკუმაჩვენებელია. ამ მაჩვენებლის ეკონომიკური აზრი იმაში მდგომარეობს, თუ ძირითადი ფონდების რამდენი ლარი შეიძლება ჩაიდოს საწარმოში 1 ლარის პროდუქციის მისაღებად.

$$\text{ფონდტევადობა} = \frac{\text{ფონდუკუგება}}{\text{ძირითადი ფონდების საშ. წლიური ღირებულება}} = \frac{1}{\text{ფუ}}$$

ფონდტევადობის გაზომვის ერთეულია ლარი/ლარი, ხოლო თვით მაჩვენებლის მნიშვნელობა 1-ზე ნაკლები უნდა იყოს.

ფონდშეიარაღება - არის ის მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ძირითადი საშუალებებით საწარმოს მუშაკების უზრუნველყოფას.

$$\text{ფონდშეიარაღება} = \frac{\text{ძირ. ფონდების საშ. წლიური ღირებულება}}{\text{საწარმოს მუშაკთა რაოდენობა}}$$

ფონდშეიარაღების საზომია ათასი ლარი/ადამიანი; საწარმოსათვის კარგის ამ მაჩვენებლის ზრდა.

შრომის ტექნიკური შეიარაღება - აღნიშნული მაჩვენებელი ახასიათებს ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილით საწარმოს მუშაკების უზრუნველყოფას.

$$\text{შრომის ტექ. შეიარაღება} = \frac{\text{აქტ. ძირ. ფონდების საშ. წლიური ღირებულება}}{\text{საწარმოს მუშაკთა რაოდენობა}}$$

ისევე როგორც ფონდშეიარაღება, შრომის ტექნიკური შეიარაღების მაჩვენებელი იზომება ათასი ლარი/ადამიანი; ანალოგიურად, საწარმოსათვის ამ მაჩვენებლის დადებით მიმართულებას წარმოადგენს მოცემული მაჩვენებლის გაზრდა.

ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია **ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ხვედრითი წონის** განსაზღვრა მათ საერთო ღირებულებაში.

$$N_{\text{აქტიური}} = \frac{\text{აქტიური ძირითადი ფონდი}}{\text{მთლიანად ძირითადი ფონდი}}$$

ამ მაჩვენებლების დინამიკის გამოვლენისათვის აუცილებელია გავიანგარიშოთ აბსოლუტური და შეფარდებითი გადახრები.

ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების შემდგომ შეფასებაში ყურადღება უნდა მიექცეს უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის - ფონდუკუგების მაჩვენებლის ანალიზი. როგორც წესი, ამ მაჩვენებლის შეფასება ორი მიმართულებით წარმოებს:

- იმ ფაქტორების შესწავლა, რომელიც გავლენას ახდენდა ამ მაჩვენებლის ცვლილებებზე;
- იმის შესწავლა, თუ როგორ გავლენას ახდენს ფონდტევადობის ცვლილება საწარმოს მუშაობის სხვა მაჩვენებლებზე.

ფონდუკუგების ამაღლების ძირითად რეზერვს წარმოადგენს მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესება. ეს კი გულისხმობს შემდეგი მაჩვენებლების შესწავლას:

- სახეზე მყოფი მოწყობილობის გამოყენების კოეფიციენტი (K სახეზე);
- წარმოებაში დადგმული (წარმოებაში გაშვებული) მოწყობილობის გამოყენების კოეფიციენტი (K დაყენება).

საწარმოში სახეზე მყოფი მოწყობილობის გამოყენების კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც დადგმული მოწყობილობის რაოდენობის თანაფარდობა სახეზე მყოფ მოწყობილობის რაოდენობასთან.

$$N_{\text{სახეზე}} = \frac{\text{ძირითადი ფონდი დადგმული}}{\text{ძირითადი ფონდი სახეზე}}$$

დადგმული მოწყობილობის გამოყენების კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის საჭიროა მოქმედი მოწყობილობის რაოდენობის შეფარდება დადგმულ ძირითად ფონდებთან:

$$N_{\text{დადგმული}} = \frac{\text{ძირითადი ფონდი მოქმედი}}{\text{ძირითადი ფონდი დადგმული}}$$

საწარმოში მოწყობილობის გამოყენების ანალიზი ასევე გულისხმობს მოქმედი მოწყობილობის დროში გამოყენების შესწავლას. ასეთი ანალიზი ტარდება ცვლიანობის კოეფიციენტის გაანგარიშების დახმარებით.

$$K_{\text{ცვლიანობა}} = \frac{\text{გამოშვებულ ჩარხ-ცვლათა საერთო რაოდენობა}}{\text{ცვლაში მომუშავე ჩარხების რაოდენობა}}$$

მოცემული კოეფიციენტი გვიჩვენებს მუშაობის თუ რამდენი გამომუშავებული ცვლა მოდის არსებული მოწყობილობის ერთეულზე. ამასთან მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ მოცემული კოეფიციენტი არ შეიძლება გავამრავლოთ 100%-ზე.

ანალიზის პროცესში საჭიროა მოწყობილობის ინტენსიური და ექსტენსიური გამოყენების გზებზე და შესაბამის მაჩვენებლებზე მინიშნება.

მოწყობილობის ექსტენსიური გამოყენების კოეფიციენტი გამოიხატება:

$$K_{\text{ექსტ}} = \frac{\text{მოწყობილობის ფაქტიური გამოყენების დრო}}{\text{მოწყობილობის მუშაობის გეგმური (კალენდარული) დრო}}$$

ამ მაჩვენებელში გამოყენებული მოწყობილობის მუშაობის გეგმური დრო შესაძლოა განსხვავებული იქნეს როგორც კალენდარული დრო, ე. ი. 24 საათი დღე-ღამეში და თვის (წლის)

ყველა კალენდარული დღეები, ან მოწყობილობის მუშაობის დრო როგორც საწარმოს მუშაობის რეჟიმის შესაბამისად.

მწარმოებლურობის მიხედვით მოწყობილობის გამოყენების ანალიზის განხორციელებისათვის იყენებენ მოწყობილობის ინტენსიური გამოყენების კოეფიციენტს:

$$K_{\text{ინტ}} = \frac{\text{მოწყობილობის ფაქტიური გამომუშავება}}{\text{მოწყობილობის ნორმატიული გამომუშავება}}$$

საწარმოში მოწყობილობა შეიძლება არასრულად იყოს დატვირთული, მან შეიძლება ფუჭად იმუშაოს და ამ დროს არ აწარმოოს პროდუქცია, ასევე შეიძლება იმუშაოს და გამოუშვას წუნიანი პროდუქცია და ეს დრო საბოლოო ჯამში არაწარმოებით დროს ჩაითვლება. ძირითადი საწარმოო ფონდების ინტენსიური გამოყენების კოეფიციენტი სწორედ მათი სიმძლავრის (მწარმოებლურობის) მიხედვით გამოყენების დონეს ასახავს.

საწარმოში მოწყობილობის გამოყენების კომპლექსური შეფასება გულისხმობს **მოწყობილობის გამოყენების ინტეგრალური კოეფიციენტით** სარგებლობას:

$$K_{\text{ინტეგრალური}} = K_{\text{დრ}} \times K_{\text{სიმ}}$$

მოწყობილობის გამოყენების ინტეგრალური კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოში მოწყობილობის გამოყენების დონეს როგორც დროში, ისე სიმძლავრის მიხედვით.

ძირითადი საწარმოო ფონდების ანალიზისას აუცილებელია შევისწავლოთ საწარმოს საწარმოო სიმძლავრე და საწარმოს საწარმოო ძალები. ამასთან შეისწავლება საწარმოო სიმძლავრეების ორი სიდიდე: გეგმური და ფაქტიური. ამ სიდიდეების ჩაჩაზე ანდენენ გაიანგარიშებენ საწარმოო სიმძლავრის ზრდის საშუალო ტემპების შედარებას ცვლად და მუდმივ ბაზისთან, განსაზღვრავენ საწარმოო სიმძლავრეების ცვლილების აბსოლუტურ სიდიდეებს და განსაზღვრავენ დაგეგმილისგან

ფაქტიური სიდიდეების გადახრას; ესაა არის საწარმოო სიმძლავრის რაოდენობრივი შეფასება.

საწარმოო სიმძლავრის გამოყენების ეფექტიანობის შეფასებისათვის გაინგარიშებენ სიმძლავრის გამოყენებას გეგმიური და ფაქტიური კოეფიციენტების სახით.

$$K_{\text{სიმძლავრე}} = \frac{\text{პროდუქციის მოცულობა გეგმიური (ფაქტიური)}}{\text{საწარმოო სიმძლავრე გეგმური (ფაქტიური)}}$$

საწარმოო სიმძლავრის შესწავლის დროს ანალიზებენ ნატურალურ და ღირებულებით ფორმაში მისი სიდიდის ცვლილებას პერიოდების მიხედვით. განიხილება მის სტრუქტურა, ე. ი. განისაზღვრება თუ რა ნაწილი იმყოფება ძირითადი წარმოების ქვეშ და რომელია დამხმარე, სასაწყობო ნაგებობის ქვეშ და ა. შ.

საწარმოს ძირითადი ფონდების ანალიზისას ტექნოლოგიის დამახასიათებელ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს წარმოების **ტექნოლოგიის ეფექტურობის** კოეფიციენტი. ეს არის საწარმოს პოტენციალის ფუნქციონირების საბოლოო შედეგის ურთიერთობა ტექნოლოგიურ შემადგენელთან: იგი გვიჩვენებს შედეგს, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს საწარმოს ტექნოლოგიის განვითარებაში ჩადებულ 1 ლარზე.

$$K_{\text{ტექნ-ეფ}} = \frac{\text{პოტენციალის ფუნქციონირების საბოლოო შედეგი}}{\text{ტექნოლოგიური შემადგენლობის ღირებულება}}$$

ტექნოლოგიური ელემენტის გამოყენების დონის შეფასებისა'ა შესაძლებელია სხვა მაჩვენებლის - **წარმოების ტექნოლოგიური აღჭურვის მაჩვენებლის** გამოყენება. ეს მაჩვენებელი წარმოების ტექნოლოგიის ეფექტიანობის უკუმაჩვენებელია: იგი გვიჩვენებს საწარმოო პოტენციალის ფუნქციონირების საბოლოო შედეგის ურთიერთობას აუცილებელი ტექნოლოგიის განვითარებაზე დანახარჯს.

$$\text{ტექნ.}_{\text{საწარმო}} = \frac{\text{ტექნოლოგიური შემადგენლობის ღირებულება}}{\text{პოტენციალის ფუნქციონირების საბ. შედეგი}} = \frac{1}{\text{ეფექტ. ტექნოლ.}}$$

გარდა აღნიშნული განმაზოგადოებელი მაჩვენებლისა, ტექნოლოგიის გამოყენების ეფექტიანობის გაზომვის დროს შესაძლოა სასარგებლო იყოს კერძო მაჩვენებელი - საწარმოს მიერ გამოშვებულ მთელ პროდუქციაში პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონა; ის შეიძლება გავიანგარიშოთ ფორმულით:

$$\text{ტ} = \frac{\text{პროგრ.ტექნოლოგიის დახმ. წარმ.პროდ. მოცულობა (გამოშვება)}}{\text{მთლიანად წარმოებული პროდუქცია}}$$

თანამედროვე მაღალგანვითარებულ საწარმოებში საწარმოო პროცესის სრულად ანალიზისათვის, კერძოდ კი - საწარმოო პოტენციალის გამოყენების გზაზე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინფორმაციას - წარმოების ინფორმაციულ უზრუნველყოფას.

საწარმოს ინფორმაციული რესურსები საწარმოს პოტენციალის შემადგენელი ნაწილია. ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოში ძირეული ტექნოლოგიის გაჩენოყენების და დატვირთვის ხარისხს, რამდენადაც წარმოების ტემპებზე და ხარისხზე ყველა ტექნოლოგიური პროცესი სრულფასოვან გავლენას არ ახდენს. ამდენად ანალიზისას მხედველობაში უნდა მივიღოთ წარმოების ინფორმაციული უზრუნველყოფის მხოლოდ «ღირებული» რესურსები და დავიწახოთ მათი გამოყენების ანალიზის მნიშვნელობა საწარმოს პოტენციალის ანალიზის ერთიან პროცესში.

საწარმოო პოტენციალის შემადგენლობაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ინფორმაცია:

1. ორგანიზაციის მართვის სრულყოფასთან დაკავშირებული;
2. შრომის ორგანიზაციის სრულყოფასთან დაკავშირებული;

3. წარმოების ორგანიზაციის სრულყოფასთან დაკავშირებული;
4. შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებასთან დაკავშირებული;
5. ინფორმაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული.

ამდენად, საწარმოს ეკონომიკური ანალიზის პროცესი სავსებით კანონზომიერად მოიცავს ისეთ საკითხს, როგორიცაა **ინფორმაციული რესურსების უკუგება**; იგი გვიჩვენებს წარმოებაში ინფორმაციული რესურსების გამოყენების ეფექტიანობას, კერძოდ, მოხმარებული ინფორმაციული რესურსების 1 ლარის ღირებულებაზე მიღებულ საბოლოო შედეგს.

$$\text{უკუგება}_{\text{ინფ. რესურსი}} = \frac{\text{ინფორმაციული რესურსის საბოლოო შედეგი}}{\text{პერიოდის განმავლ. გამოყ. ინფორმ. რესურსების ღირებულება}}$$

წარმოებაში ინფორმაციული რესურსების გამოყენების მეორე მაჩვენებელია ინფორმაციული რესურსების ეფექტურობა, რამდენადაც იგი გვიჩვენებს აღნიშნული რესურსების გამოყენების ხარჯზე საგეგმო პერიოდში წარმოების ხარჯების შემცირების შესაძლებლობა.

$$\text{ეფექტ.}_{\text{ინფ. რესურსი}} = \frac{\text{ინფორ. რესურსების გამოყენებიდან მიღებული ეკ. ეფექტი}}{\text{წარმოების ხარჯები (თვითღირებულება)}}$$

საწარმოს საწარმოო პროგრამა - ესაა წარმოების მოცულობისა და პროდუქციის რეალიზაციის გეგმიური დავალება, რომელიც გულისხმობს შემდეგი მაჩვენებლის განსაზღვრას:

1. საერთო ბრუნვა - წლის განმავლობაში საწარმოს ყველა ქვედანაყოფის საერთო პროდუქციის საერთო მოცულობა;
2. შიდა ბრუნვა - პროდუქციის მოცულობა, რომელიც საწარმოში იქნა წარმოებული;
3. საერთო პროდუქცია - პროდუქცია რომელიც რეალიზა

ციისთვის იქნა წარმოებული. ის განისაზღვრება როგორც სხვაობა საერთო ბრუნვასა და შიდაბრუნვას შორის;

4. სასაქონლო პროდუქცია - პროდუქცია, რომელიც მზადაა რეალიზაციისათვის. ის განსაზღვრება როგორც სხვაობა საერთო პროდუქციასა და დაუმთავრებელ წარმოებას შორის.
5. რეალიზებული პროდუქცია - მომხმარებლისათვის გადატვირთული და მის მიერ გადახდილი თანხის მოცულობა;
6. წმინდა პროდუქცია - სხვაობა სასაქონლო პროდუქციასა და მატერიალურ დანახარჯებს შორის.

საწარმოო პოტენციალის ამსახველი ძირითადი ელემენტების გამოყენების ეფექტიანობის შეფასების განხილული მაჩვენებლები შესაძლებლობას იძლევა გადავწყვიტოთ ანალიზის პროცესის ცალკეული ამოცანები. პროდუქციის გამოშვებისას, სამუშაოს შესრულებისას, მომსახურების გაწევისას მოცემული მაჩვენებლები ერთდროულად გამოიყენება და უშუალოდ ერთმანეთს ავსებს; ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან, მაგრამ ხშირად ისინი ერთი და იმავე მოქმედებენ.

საწარმოო პოტენციალის ანალიზისათვის თითოეულ ზემოთ აღნიშნულ მაჩვენებელს გააჩნია გარკვეული მნიშვნელობა. მხოლოდ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ერთობლივად გამოყენება იძლევა სრულ წარმოდგენას წარმოების პოტენციალის შესახებ, რაც შემდგომში საწარმოო რესურსების ეფექტური სარგებლობის ორიენტირია. ამიტომ აუცილებელია საშეურნეო სისტემის უკუგების ინტეგრალურ მაჩვენებლად გამოყენებული სიდიდის საწარმოო რესურსების ეფექტიანობის შეფასება.

8.3. მარჟინალური ანალიზი

რატომ არის აუცილებელი მარჟინალური ანალიზი?

ბიზნესში მმართველობითი გადაწყვეტილებების დასაბუთების პროცესში დიდ როლს თამაშობს მარჟინალური ანალიზი. ამ სახის ანალიზის მეთოდიკა ემყარება მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლის სამ ჯგუფს, კერძოდ ხარჯებს, პროდუქციის წარმოების (რეალიზაციის) მოცულობასა და მოგებას შორის თანაფარდობის დადგენას.

საწარმოს საქმიანობაში ყოველთვის არსებობს ისეთი სიტუაცია, რომელიც მარჟინალური ანალიზის ჩატარების აუცილებლობას იწვევს. ეს ხდება შემდეგი პირობების დროს:

1. საწარმოს საბრუნავი საშუალებები შეზღუდულია, ამიტომ საჭირო და აუცილებელია რომ საბრუნავი საშუალებები ყველაზე უკეთ განაწილდეს;
2. შეზღუდულია საწარმოო სიმძლავრეები, ამიტომ აუცილებელია განისაზღვროს წარმოებისათვის უფრო მომგებიანი პროდუქციის სახეების წარმოება.
3. არსებობს ეჭვი საწარმოს ქვედანაყოფების არაეფექტიანი საქმიანობის შესახებ;
4. კორპორატიულ ფასების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საჭიროა დასაბუთდეს ფასების პოლიტიკა.

ამდენად, რეალურად სახეზე გვაქვს მარჟინალური ანალიზის ჩატარების როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული აუცილებლობა.

მარჟინალური ანალიზის ჩატარების ძირითადი ტერმინალიტიკოსს შეუძლია უპასუხოს მთელ რიგ კითხვებს, რომელიც მნიშვნელოვანია მართვის სხვადასხვა დონის მენეჯერისათვის, ხოლო შემდეგ პოტენციური ინვესტორებისათვის და სამეურნეო სუბიექტის მესაკუთრეთათვის (საანგარიშგებო და ანალიტიკური ინფორმაციის წარსადგენად). ამ რანგის საკი-

ხებია მაგალითად, როგორ ზემოქმედებას მოახდენს საწარმოს მოგებაზე რეალიზაციის ფასების შემცირება ან დიდი ოდენობით პროდუქციის რეალიზაცია, რა ოდენობის რეალიზაციის მოცულობა არის საჭირო სარეკლამო აქციის ჩატარების დროს დამატებითი ხარჯების დასაფარავად და ა. შ.

აღნიშნულის გარდა, მარჟინალური ანალიზის ჩატარების აუცილებლობა იმაში მდგომარეობს რომ, მისი განხორციელებით გამოვლინდება ამონაგების დამოკიდებულება რეალიზაციაზე, საერთო ხარჯებისა და მოგების დამოკიდებულება საქმიანობის დონეზე ან წარმოების მოცულობაზე. გარდა ამისა იგი საწარმოს ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს განსაზღვროს პროდუქციის გამოშვების კრიტიკული რიცხვის დროსაც არ იქნება არც მოგება, არც ზარალი(ე.ი. განსაზღვროს არაშემოსავლიანობის წერტილი).

მარჟინალური ანალიზი აგებულია ხარჯების ქცევის შესწავლაზე და ანალიზზე. ამდენად მის საფუძველში ჩადებულია ხარჯების, ამონაგების(შემოსავლის), წარმოების მოცულობის და მოგების ურთიერთკავშირი. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში შეიძლება შევხვდეთ მარჟინალური ანალიზის ანალოგის ტერმინს «CVP-ანალიზი», რომელიც თავისი არსით მმართველობითი დაგეგმვისა და კონტროლის ინსტრუმენტს წარმოადგენს. მისი დახმარებით ხდება განაწილების მიმართულების დადგენის, ხელშეკრულების დადების, გაყიდვის ხარჯების განსაზღვრისა და ფასწარმოქმნის საკითხებზე მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილების მიღება. იგი უზრუნველყოფს დაგეგმილი მოგების მიმართ ხარჯებისა და ამონაგების ქცევაზე დაკვირვებას, რამაც საბოლოო ჯამში შესაძლოა მმართველობითი სტრატეგიის ცვლილებასთან მიგვიყვანოს.

მარჟინალური ანალიზი ასევე წარმოადგენს «დირექტ-კოსტინგის» (მარჟინალური აწგარიში) მეთოდის მიხედვით

ფინანსურ შედეგებზე ანგარიშგების შედგენის ტრანსფორმაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. ამ სახის ანალიზის მონაცემების დახმარებით მარტივი არის გავთვალოთ საწარმოო პროგრამის ვარიანტები იმ დროს, როცა იცვლება მაგალითად, ხარჯები რეკლამაზე, პროდუქციაზე ან მოწოდებულ მასალებზე ფასები, წარმოების სტრუქტურა.

მარჟინალური ანალიზის თეორიული მოდელი სამ ძირითად პოსტულატს ემყარება:

1. საწარმოს გაყიდვების ფიზიკური მოცულობის უკუპროპორციული დამოკიდებულება რეალური (სეგმენტირებული) ბაზრისათვის დაწესებული მზა პროდუქციის სარეალიზაციო ფასების დონესთან;

2. გაყიდვების ფიზიკური მოცულობის სიდიდიდან გამომდინარე ცვლადი ხარჯების და მუდმივი (პერიოდული) ხარჯების ფიქსირებულ სიდიდესთან გრძივი დამოკიდებულება;

3. მოცემული სახის პროდუქციის გაყიდვებიდან შემოსავლის მიზნობრივი ფუნქცია, რომლის მაქსიმიზაცია «ხარჯები-მოცულობა-მოგება» ანალიზის ჩატარების კრიტერიუმად წარმოგვიდგება.

მაშასადამე, ბიზნესში მმართველობითი გადაწყვეტილების დასაბუთებაში დიდ როლს თამაშობს მარჟინალური ანალიზი, რომლის მეთოდიკა სამი ჯგუფის მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებლებს - ხარჯებს, პროდუქციის წარმოების (რეალიზაციის) მოცულობისა და მოგებას შორის - ურთიერთობის შესწავლას ემყარება.

საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის დროს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა (ხელმძღვანელობამ) უნდა გაითვალისწინოს წარმოების მოცულობის ცვლილების დროს ხარჯების ქცევა, ამის მიღწევის მიზნით ხარჯები უნდა დაიყოს ორ ძირითად სახედ: მუდმივ და ცვალებად ხარჯებად.

ამ კლასიფიკაციის თანახმად, ხარჯების დაყოფის მთავარ ნიშნულად რომელიმე საბაზისო მაჩვენებლების ცვლილებასთან

ხარჯების ცვლილების კავშირის სახე გამოდის. ჩვეულებრივ პრაქტიკაში ამისათვის გაყიდული საქონლის მოცულობას იყენებენ.

ცვალებადია ისეთი ხარჯები, რომლებიც წარმოების მოცულობის გაზრდის ან შემცირების პირდაპირპროპორციულად (მიახლოებით) იცვლება. მათ მიეკუთვნება დანახარჯები მასალებზე და ნედლეულზე, ენერგიაზე და წარმოების პროცესში გამოყენებული კომუნალურ მომსახურებაზე, გაყიდვიდან საკომისიოები, მუშაკთა ხელფასი. ისინი წარმოების მოცულობის გაზრდის ან შემცირების კვალობაზე იზრდება ან მცირდება.

მუდმივს მიეკუთვნება ის ხარჯები, რომელნიც წარმოების მოცულობისა და პროდუქციის გასაღების ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელნი არიან. ამ ფიქსირებული ხარჯების კონკრეტული სახეებია შეწირვების და მოწყობილობების ამორტიზაციაზე დანახარჯები, არენდისა და ლიზინგის ხარჯები (რომლებიც წარმოების მოცულობის და გაყიდვების მოცულობის ცვლილებების დროს არ იცვლება), კრედიტის პროცენტები, მომსახურეთა, მმართველთა, კონტროლიორთა ხელფასი, საერთო ადმინისტრაციული ხარჯები.

მუდმივი და ცვალებადი ხარჯების ჯამი საწარმოს საერთო ხარჯებს იძლევა; ობიექტური კანონზომიერების თანახმად საწარმოს საერთო ხარჯები საქონლის (მომსახურების) გაყიდვის ხარჯზე უნდა დაიფაროს.

ზემოთ აღნიშნული ხარჯების სახეებიდან ზოგიერთი, მაგალითად, ხელფასი ან საერთო ადმინისტრაციული ხარჯები, სავსებით შესაძლებელია, წარმოების მოცულობის ცვლილების არაპირდაპირპროპორციულად შეიცვალოს და, ამავე დროს, ის მუდმივი ხარჯი არ იყოს. ამდენად, ისინი შეიძლება აღვნიშნოთ როგორც შერეული (ნახევრადცვლადი) ხარჯი. ასეთი ხარჯები შეიძლება დავყოთ ცვალებად და მუდმივ კომპონენტებად და ისინი ცალ-ცალკე განვიხილოთ.

ნებისმიერი სახის ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი ფორმულით:

$$Y = A + BX$$

სადაც

Y - ერთობლივი დანახარჯი ლარში

A – ხარჯების მუდმივი ნაწილი, რომელიც წარმოების მოცულობაზე არ არის დამოკიდებული;

B – ცვლადი ხარჯები ერთეულ პროდუქციაზე გადაანგარიშებით;

X – საწარმოს საქმიანი აქტივობის (პროდუქციის წარმოების, გაწეული მომსახურების მოცულობა, საქონელბრუნვა და ა.შ.) ნატურალურ ერთეულებში გაზომვის მაჩვენებელი.

რამდენადაც ტერმინი "წარმოების მოცულობა" გასაგებია, განვიხილოთ ცნება "მოგება" და "მარჟინალური შემოსავალი". «CVP"-ანალიზის ჩატარების დროს გაანგარიშებისათვის გამოიყენება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რეალიზაციიდან ამონაგები.

მარჟინალური მოგება არის გაყიდვების მოცემულ სიდიდესთან დაკავშირებულ ყველა ცვალებად დანახარჯზე ამონაგების გადაჭარბება; სხვა სიტყვებით, მარჟინალური მოგება სხვაობაა რეალიზაციიდან ამონაგებსა და ცვალებად ხარჯებს შორის.

მარჟინალურ შემოსავალს ზოგჯერ ასევე დაფარვის თანხასაც უწოდებენ, რაც უფრო მაღალია მარჟინალური მოგების დონე, მით უფრო სწრაფად აღდგება მუდმივი ხარჯები და ორგანიზაციას გააჩნია შესაძლებლობა მიიღოს მოგება.

მარჟინალური ანალიზის ძირითადი ეტაპებია:

1. ანალიზის ჩატარებისათვის აუცილებელი ამოსავალი ინფორმაციის შეგროვება, მომზადება და დამუშავება;

2. პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული მუდმივი და ცვალებადი ხარჯების ჯამის განსაზღვრა;

3. გამოსაკვლევი მაჩვენებლის სიდიდის გაანგარიშება;

4. გამოსაკვლევი მაჩვენებლის დონის შედარებითი ანალიზი;

გამოსაკვლევი მაჩვენებლის დონის ცვლილების ფაქტორული ანალიზი;

მათი სიდიდის პროგნოზირება ცვალებად გარემოში.

წარმოების მოცულობის, ხარჯებისა და წმინდა მოგების ცვლილებებს შორის ურთიერთობის შესწავლის მიზნით არაწამგებიანობის ანალიზს ახორციელებენ; შესაბამის ლიტერატურაში არაწამგებიანობის ანალიზს განმარტავენ როგორც კრიტიკული წერტილის ანალიზს (არაწამგებიანობის წერტილი ან რენტაბელობის ზღურბლი). ეკონომიკური პოზიციებიდან გადასახედიდან კრიტიკულად თვლიან გაყიდვების მოცულობის ისეთ სიდიდეს, რომლის დროსაც საწარმოს მთელი პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების ტოლი დანახარჯები აქვს, ე.ი. ჯერ კიდევ არ გააჩნია მოგება, მაგრამ ამავე დროს არც ზარალი აქვს მიღებული. ამდენად, საწარმოს კრიტიკული წერტილის ანუ არაწამგებიანობის წერტილის ანალიზი სრულად ექვემდებარება როგორც გრაფიკულ მოდელირებას ისე ფორმულით წარმოსახვას. ორივე შემთხვევაში საწარმოს კრიტიკული წერტილისა და საწარმოს არაწამგებიანობის წერტილის არსი სხვა არაფერია, თუ არა პირდაპირი დანახარჯების და რეალიზაციიდან პირდაპირი ამონაგების გადაკვეთის წერტილი.

საწარმოს ხელმძღვანელობისათვის არაწამგებიანობის წერტილი ანალიზის პროცესში მთავარ ორიენტირს წარმოადგენს, რამდენადაც იგი გვიჩვენებს გაყიდვების იმ დონეს, რომლის ქვემოთაც საწარმო ზარალს მიიღებს; ამ მიზეზის გამო იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც პროდუქციის ან მომსახურების გაყიდვების მინიმალურად მისაღები დონე.

კრიტიკული წერტილის განსაზღვრისათვის იყენებენ **გათანაბრების მეთოდს** და **მარჟინალურ მოგებას.**

გათანაბრების მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ სტრუქტურული ბრების გავლენის ანალიზის დროს. ამ შემთხვევაში

რეალიზაციას განიხილავენ როგორც ამონაგებისა და ერთობლივი დანახარჯების შეფარდებითი წილის ნაკრებს. მოგების ან ზარალის მოცულობა გარკვეული ზომით ფიქსირებულია. არაწამგებიანობის წერტილში საწარმოს მიერ მიღებული ამონაგები მისი ერთობლივი ხარჯების თანატოლია, მოგება -წულის ტოლი. არაწამგებიანობის წერტილის შესაბამის ამონაგებს ზღვრულ ამონაგებს უწოდებენ. არაწამგებიანობის წერტილში წარმოების (გაყიდვების) მოცულობას წარმოების (გაყიდვების) ზღვრულ მოცულობას უწოდებენ. თუ საწარმო გაყიდვების ზღვრულ მოცულობაზე ნაკლების პროდუქციის რეალიზაციას ახდენს, მაშინ იგი ზარალს განიცდის, ხოლო თუ ის მეტი ოდენობის პროდუქციის რეალიზაციას მოახდენს - მაშინ ის მოგებას მიიღებს.

გათანაბრების მეთოდი ემყარება მოგების ეკონომიკური მნიშვნელობით გააზგარიშების შემდეგ ფორმულას:

$$მ = (რა)_{\text{პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები}} - ხ_{\text{ცვალებადი}} - ხ_{\text{მუდმივი}}$$

სადაც

რა - პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები;

$ხ_{\text{ცვალებადი}}$ - ამავე მოცულობის პროდუქციაზე ცვალადი დანახარჯები;

$ხ_{\text{მუდმივი}}$ - განსაზღვრული პერიოდისათვის საწარმოს ყველა მუდმივი დანახარჯები;

პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები (რა) თავის მხრივ განისაზღვრება:

$$რა = \text{გაყიდვების მოცულობა} \times \text{ერთეული პროდუქციის რეალიზაციის ფასი}$$

თუ საწარმო რენტაბელობის ზღვარზე ანუ კრიტიკულ წერტილში იმყოფება, მაშინ მისი მოგება წულის ტოლი არის და ამ შემთხვევაში სამართლიანია შემდეგი სახის ტოლობა:

$$რა = ხ_{\text{ცვალებადი}} + ხ_{\text{მუდმივი}}$$

ან კიდევ რომ

გაყიდვების მოცულობა = ერთეული პროდუქციის რეალიზაციის ფასზე × გაყიდვების მოცულობა − ერთეულ პროდუქციაზე ცვალებადი ხარჯი × $b_{ზოგადი}$

აღნიშნული ფორმულის ტრანსფორმირებით და გაყიდვების მოცულობის რეალიზაციის მოცულობის კრიტიკულ (ზღვრულ) მოცულობად აღქმით, ვღებულობთ შემდეგ ფორმულას:

გაყიდვების კრიტიკული მოცულობა = $\frac{b_{ზოგადი}}{\text{ერთ. პროდუქც. რეალიზ.ფასი-ერთ. პროდ.ცვალებადი ხარჯები}}$

კრიტიკული წერტილი გვიჩვენებს, თუ რა სახის ზღვრამდე შეიძლება დაეცეს ამონაგები, ისე რომ საწარმო ზარალიანი არ იყოს.

თითოეული კონკრეტული სახის პროდუქციისათვის ხვედრითი მარჟინალური შემოსავლების ნაკლოვანი მნიშვნელობები საწარმოს მენეჯერისათვის მნიშვნელოვანია . თუ ეს მაჩვენებელი უარყოფითია, პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები ცვალებად ხარჯებსაც კი ვერ დაფარავს, პროდუქციის ყოველი შემდგომი წარმოება ორგანიზაციის საერთო ზარალს ზრდის. თუ ცვალებადი დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირების შესაძლებლობები ძლიერ შეზღუდულია, მაშინ მენეჯერი მოვალეა განიხილოს საერთო ასორტიმენტიდან მოცემული საქონლის ამოღების საკითხი.

სამეურნეო-საწარმოო პრაქტიკაში ცვლადი საწარმოო, საერთო-საწარმოო, საერთო-სამეურნეო და სხვა ხარჯების ჯგუფების მიხედვით ცვალებადი დანახარჯების უფრო ღრმა დეტალიზაციას ახორციელებენ. სწორედ აქედან გამომდინარეობს მარჟინალური შემოსავლის რამდენიმე მაჩვენებლის გაანგარიშების აუცილებლობა; მათ ანალიზზე დაყრდნობით გამოაქვთ გადაწყვეტილება თუ სარჯების რომელ ჯგუფებზე

ზემოქმედებას შეუძლია უფრო მნიშვნელოვნად ასახოს საბოლოო ფინანსური შედეგის სიდიდე.

მუდმივ და ცვალებად დანახარჯებად ხარჯების დაყოფა და მარჟინალური მოგების გაანგარიშება შესაძლებლობას იძლევა განვსაზღვროთ წარმოებისა და მომსახურეობის მოცულობის გავლენა პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული მოგების სიდიდეზე და გაყიდვების ის მოცულობა, რომლისგანაც საწარმო მოგებას იღებს. არანამგებიანობის მოდელის (სისტემის «ხარჯები-წარმოების მოცულობა-მოგება») ანალიზის საფუძველზე ასრულებენ დანაწევრებას.

კრიტიკული წერტილის განსაზღვრის მეორე წესი იყენებს მარჟინალური მოგების (საერთო მარჟა) კონცეფციას.

მარჟინალური მოგების მეთოდი ეწყარება შემდეგი სახის ფორმულას:

პროდუქციის მარჟინალური მოგება = რა − $b_{ცვალებადი}$

ამშემთხვევაშიცვალებადიხარჯებიაღებაიმავემოცულობის პროდუქციაზე, რაც ამონაგები არის.

რეალიზაციის კრიტიკული მოცულობა შეიძლება განისაზღვროს როგორც რეალიზაციის მოცულობა, რომლის დროსაც მარჟინალური მოგება ბუდმივი დანახარჯების ტოლია. მარჟინალური მიდგომის დროს ერთეული პროდუქციის ტერმინებში კრიტიკული წერტილის ტოლობა გათანაბრება შემდეგნაირია:

კრიტიკული წერტილი ერთეულ გაყიდვებში = $\frac{b_{ზოგად.}}{\text{მინიმალური მოგება ერთეულზე}}$

კრიტიკული წერტილის ანალიზი შეიძლება გამოყენებული იქნეს საწარმოს მომგებიანობის შეფასების საფუძვლად. წარმოების სხვადასხვა ალტერნატიული გეგმებისათვის შეიძლება გავიანგარიშოთ შესაძლო მოგების შესაბამისი სიდიდე. ამ შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი თანაფარდობა:

$$\text{რა} = \text{ხ}_{\text{ცვალებადი}} + \text{ხ}_{\text{მუდმივი}} + \text{მოგება}_{\text{(მიზნობრივი სიდიდე)}}$$

მაშასადამე, მიზნობრივი მოგების სიდიდის უზრუნველმყოფელი რეალიზაციის მოცულობა შესაძლებელია გაანგარიშებული იქნეს შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{გაყიდვების მიზნობრივი მოცულობა ერთეულებში}}{} = \frac{\text{ხ}_{\text{საერთო}} + \text{მიზნობრივი მოგება}}{\text{ერთეული პროდუქციის ფასი} + \text{ხ}_{\text{ერთ.ზე}}}$$

მარჟინალური მიდგომის გამოყენების დროს მოცემულ ტოლობას შემდეგი სახე ექნება:

$$\frac{\text{გაყიდვების მიზნობრივი მოცულობა ერთეულებში}}{} = \frac{\text{ხ}_{\text{საერთო}} + \text{მიზნობრივი მოგება}}{\text{მარჟინალური მოგება ერთეულზე}}$$

მაშასადამე, მარჟინალური მიდგომის დროს მენეჯმენტი ღებულობს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- მუდმივი ხარჯების აღდგენადობის შესახებ;
- თითოეული სახის პროდუქციიდან მარჟინალური მოგების სიდიდის შესახებ.

მარჟინალური მოგების ანალიზი იმ მმართველობითი გადაწყვეტილებების საფუძველში ძევს, რომელიც ფასებისა და ასორტიმენტის ცვლილებასთან, პრემიის მოცულობის დადგენასთან, ასევე, მარკეტინგული ოპერაციების ჩატარებასთან არის კავშირში.

მარჟინალური ანალიზის ჩატარებით მენეჯერ-ანალიტიკოსმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ პროდუქციის გამოშვების გაგრძელებაზე, მუდმივი და ცვალებადი ხარჯების შესაძლო შემცირებაზე და ამ მიზნით ახალი ტექნოლოგიის დანერგვაზე. ამრიგად, იგი აკეთებს დასკვნას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს საწარმოს მომავალში გაზარდოს მოგება. ამ მიზნით იგი იყენებს საწარმოო ლევერიჯს.

წარმოებითი ლევერიჯი არის საწარმოს საერთო მოგებაზე საკუთარი სტრუქტურისა და პროდუქციის მოცულობის ცვლილების გზით გავლენის მოხდენის შესაძლებლობის ოპერაციული ბერკეტი და პოტენციური შესაძლებლობა. ოპერაციული ბერკეტის (ლევერიჯის) მოქმედება გამოვლინდება იმაში, რომ პროდუქციის გაყიდვიდან ამონაგების ნებისმიერი ცვლილება ყოველთვის წარმოშობს მოგების მნიშვნელოვან ცვალებადობას. ამ ეფექტს განაპირობებს სამეწარმეო რისკის ცვლილებების დროს ფინანსური შედეგების ფორმირებაზე მუდმივი და ცვალებადი ხარჯების დინამიკის სხვადასხვა ხარისხის გავლენით.

ოპერაციული ლევერიჯის შეფასებისათვის იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს:

1) ოპერაციული ლევერიჯის კოეფიციენტი

$$\text{K}_{\text{ოპ.ლევ.}} = \frac{\text{ხ}_{\text{მუდმივი}}}{\text{საერთო ხარჯები}} \times 100\%$$

2) ოპერაციული ლევერიჯის ეფექტი (ოლე)

$$\frac{\text{ოპერაც.ლევერიჯის ეფექტი}}{} = \frac{\text{ხ}_{\text{საერთო}} + \text{წარმოება}}{\text{წარმოება}} \times 100\%$$

თავისი შინაარსობრივი დატვირთვით ოპერაციული ბერკეტი:

- გვიჩვენებს, თუ რამდენი პროცენტით შეიცვალა მოგება ამონაგების 1%-ით ცვლილების დროს;
- რა კავშირშია სამეწარმეო რისკის დონესთან: რაც უფრო მაღალია ოპერაციული ბერკეტი, მით მაღალი არის რისკი; ხოლო რაც მაღალია რისკი, მით მეტად შესაძლებელია სარგებელი (ასევე შესაძლო დანაკარგი). მაღალი მნიშვნელობის ოპერაციული ბერკეტის მქონე პროდუქციისათვის არაწამგებიანობის წერტილის ქვევით მდგომარეობა დიდ დანაკარგებთანაა კავშირში; სწრაფად მზარდი რისკის ქვეშ არაწამგებიანობის დონის მიღწევა ანაზღაურდება მოგებით;
- არაწამგებიანობის წერტილთან გაყიდვების მოცულობის მიახლოების დროს მაღლდება თვით ოპერაციული ბერკეტი, რაც მაღალ რისკთან არის კავშირში.

საწარმოს ოპერაციული ბერკეტის დონე დამოკიდებულია მის დარგობრივ კუთვნილებაზე; აღნიშნული ბერკეტის მაღალი დონე ფიქსირდება ეკონომიკის ფონდტევად დარგებში (მანქანათმშენებლობა, მშენებლობა, გემთმშენებლობა), ხოლო ის დაბალია კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში, ვაჭრობაში.

ოპერაციული ლევერიჯი კავშირშია თვითღირებულების სტრუქტურასთან და, კერძოდ მუდმივი და ცვალებადი ხარჯების შორის თანაფარდობასთან; ამ ასპექტში თვითღირებულების სტრუქტურის განხილვა შესაძლებლობას იძლევა, ჯერ-ერთი გადავწყვიტოთ გაყიდვების ფიზიკური მოცულობის ზრდის დროს მოგების მაქსიმიზაციის ამოცანა ამა თუ იმ ხარჯების შეფარდებითი შემცირებით; მეორე, ხარჯების პირობით-მუდმივ და პირობით-ცვლად ხარჯებად დაყოფა შესაძლებლობას გვაძლევს შევგუასოთ ხარჯების ამოგება და, ასევე, გავიანგარიშოთ საწარმოს ფინანსური სიმტკიცის დონე ბაზარზე არსებული სიტუაციის არსებობის დროს; და, მესამე, იგი შესაძლებლობას იძლევა გაანგარიშებული იქნეს გაყიდვების კრიტიკული მოცულობა, რომელიც დაფარავს ხარჯებს და საწარმოს არაწამგებიან საქმიანობას უზრუნველყოფს.

ამრიგად, ოპერაციული ბერკეტების შექანიზმის როგორც მარჟინალური ანალიზის ერთ-ერთი ხერხის გამოყენება, მუდმივი და ცვალებადი ხარჯების მიზანმიმართული მართვა და მეურნეობრიობის ცვალებადი პირობების დროს მათი თანაფარდობის ცვლილება საწარმოს მოგების გაზრდის შესაძლებლობას იძლევა, ე. ი. შესაძლებლობას იძლევა გადაწყვიტოთ ფუნქციონირებადი საწარმოს წინაშე წარმოშობილი მთავარი პრობლემა.

თემა 9. პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) თვითღირებულების ანალიზი

9.1. შრომის მწარმოებლურობის ანალიზი

საწარმოს პერსონალი მოვალეა არა მარტო ფლობდეს სხვადასხვა სახის უნარს და შესაძლებლობებს, არამედ მას უშუალოდ იყენებდეს შრომის პროცესში; ამ დროს წარმოიშობა პერსონალის საქმიანობის შედეგიანობის გაზომვის აუცილებლობა, რაც პრობლემის გადაჭრა შეიძლება შრომის ნაყოფიერების გაზომვით.

შრომის ნაყოფიერება რთულ და წინააღმდეგობრივ კატეგორიას წარმოადგენს; იგი შრომითი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია და უშუალოდ გამოყენებულ წარმოების საშუალებებთან პირველ რიგში კი შრომის იარაღებთან არის კავშირში.

წარმოების მართვის პროცესში შრომის მწარმოებლურობის ანალიზისათვის სხვადასხვა შეფარდებით მაჩვენებლებს აწარმოებენ:

შრომის ხარისხის შეფარდებითი მაჩვენებელი. ეს მაჩვენებელი წარმოების რიტმულობის მაჩვენებელთანაა კავშირში; საწარმოს ხელმძღვანელის, სპეციალისტის შრომის ხარისხი დამოკიდებულია იმ ქვედანაყოფის მუშაობის რიტმულობაზე, რომლის მუშაობაზეც ის პასუხს აგებს და მთლიანობაში მისი როლიც მოსჩანს.

შრომის ხარისხის შეფასებითი მაჩვენებელი მთელი ნომენკლატურის მიხედვით გამომუშავებული პროდუქციის ოპერატიულ-კალენდარული გეგმიდან (გრაფიკიდან) და ქვედანაყოფის შიგნით დაუმთავრებელი წარმოების დაგეგმილი მდგომარეობის გადახრიდან განისაზღვრება. ამასთან, გაითვალისწინება წარმოების ყველა რგოლი და პროდუქციის ნომენკლატურა,

რომლის დროსაც ორგანიზებულია ოპერატიულ-კალენდარული დაგეგმვა, აღრიცხვა, კონტროლი და პროდუქციის გამოშვების რეგულირება.

შეფარდებითი მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის ამოსავალი ინფორმაციაა: პროდუქციის გამოშვების ოპერატიულ-კალენდარული გეგმიდან და დაუმთავრებელი წარმოების ნორმატივებიდან გადახრის სიდიდე და წარმოშობილ გადახრებში ხელმძღვანელის, სპეციალისტის ბრალის წილი.

ამ მაჩვენებლის გაანგარიშების დროს პირველ რიგში აუცილებელია გავითვალისწინოთ გადახრა, რომელიც საგანგაშო სიტუაციამდე გაიზარდა, და რომლის დროსაც ამ ფაქტის (პროცესის) გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისთვის და აღნიშნული გადახრის სალიკვიდაციო ღონისძიებების მისაღებად უფრო მაღალი რანგის სპეციალისტის ჩარევა არის საჭირო.

საწარმოს ხელმძღვანელის, წარმოების ოპერატიული მართვის სპეციალისტის შრომის შეფასება გათვალისწინებული უნდა იქნეს მატერიალური და მორალური სტიმულირების სისტემაში საგეგმო-საანგარიშგებო პერიოდისათვის.

შრომის ნაყოფიერება ახასიათებს საწარმოს შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობას. იგი განისაზღვრება სამუშაო დროის ერთეულში წარმოებული პროდუქციის რაოდენობით ან ერთეულ პროდუქციაზე (შესრულებულ სამუშაოზე) შრომის დანახარჯებით.

საბაზრო ურთიერთობის პირობებში შრომის ნაყოფიერება საწარმოს ადმინისტრაციასა და მის შრომით კოლექტივს შორის სპეციფიკური ან კოლექტიური ხელშეკრულების ფარგლებში მოლაპარაკებისა და შესაბამისი ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს.

საწარმოს დონეზე შრომის ნაყოფიერების ძირითად მაჩვენებლად გვევლინება პროდუქციის გამომუშავება(გ.პროდ) და შრომატევადობა(შტ). მათ შორის არსებობს შემდეგი სახის ურთიერთკავშირი:

$$\text{გ.პროდ} = \frac{1}{\text{შტ}}$$

შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები შეიძლება გაანგარიშებული იქნეს გამოშვებული პროდუქციის მოცულობასთან დამოკიდებულებაში:

1. ერთ მუშაკზე გაანგარიშებით:

$$\text{გ.პროდ} = \frac{\text{გამოშვებული პროდუქცია}}{\text{მომუშავის საშუალო სიითმრიცხო რიცხვი}}$$

2. სამუშაო დროის ერთეულზე:

$$\text{გ.პროდ} = \frac{\text{გამოშვებული პროდუქცია}}{\text{პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული დრო (ნორმა სთ.)}}$$

შრომის ნაყოფიერების ყველაზე გავრცელებულ და უნივერსალურ მაჩვენებელს წარმოადგენს პროდუქციის გამოშვება. სამრეწველო საწარმოებში წარმოების მოცულობის გაზომვის ერთეულთან დამოკიდებულებაში განასხვავებენ პროდუქციის გამოშვების განსაზღვრის სამ მეთოდს: ნატურალურ, ღირებულებით და ნორმირებული სამუშაო დროის მეთოდს.

შრომის ნაყოფიერებას ყველაზე ნათლად ახასიათებს ნატურალურ გამოხატულებაში - კერძოდ, ტონაში, მეტრებში და ა. შ. გამომუშავების მაჩვენებელი. თუ საწარმო რამდენიმე სახის ერთგვაროვან პროდუქციას უშვებს, მაშინ გამომუშავება შეიძლება გაზომილ-ნატურალურ ერთეულებში.

გამოშვების განსაზღვრის დროს ნატურალური მაჩვენებლები გამოიყენება ისეთი დარგის საწარმოებში, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, პირობით-ნატურალური მაჩვენებელი კი -ცემენტის ან მეტალურგიულ საწარმოებში.

თავისი შინაარსით ნატურალური და ნატურალურ-პირობითი მაჩვენებლები ყველაზე ობიექტურად შრომის მწარმოებლურობას (გამომუშავებას) ასახავენ, მაგრამ მათი

გამოყენება შეზღუდულია მხოლოდ იმ საწარმოებით, რომელნიც ერთგვაროვან პროდუქციას აწარმოებენ; იმ საწარმოებში, სადაც სხვადასხვა სახის პროდუქციას აწარმოებენ, გამომუშავების მაჩვენებლები შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს მხოლოდ დირებულებით გამოხატულებაში -საერთო, სასაქონლო, რეალიზებული და წმინდა პროდუქციის მაჩვენებლების სახით.

ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელ სამუშაო ადგილებზე, ბრიგადებში, საამქროებში, სადაც შეუძლებელია პროდუქციის როგორც ნატურალურ, ისე ღირებულებით ერთეულებში გაზომვა, გამომუშავების მაჩვენებელს ნორმა-საათებში განსაზღვრავენ.

გამომუშავება შეიძლება განისაზღვროს ერთ კაც-საათზე (საათობრივი გამომუშავება), ერთ კაც-დღეზე გაანგარიშებით (დღიური გამომუშავება) და წელიწადში, კვარტალში, ან თვეში ერთ საშუალო-სიობრივ მუშაკზე გამომუშავებით (წლიური, კვარტალური ან თვიური გამომუშავება). ეკონომიკაში გვხვდება საწარმოები, სადაც შეუძლებელია გამომუშავების ნატურალურ და ღირებულებით ერთეულებში გაზომვა - მათ პირველ რიგში მიეკუთვნება სამშენებლო საწარმოები.

პროდუქციის შრომატევადობა წარმოადგენს გამოშვებული პროდუქციის და მომსახურების მთელი ნომენკლატურის მიხედვით ერთეული პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯს სამუშაო დროის ნატურალურ გამოხატულებაში.

გამოშვებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნომენკლატურის დროს შრომატევადობას, ჩვეულებრივ წარსადგენი ნაკეთობის მიხედვით განსაზღვრავენ, რომლის მიმართ ყველა დანარჩენი პროდუქციის ჩართვას ახორციელებენ. და იმ ნაკეთობის მიხედვით, რომლებიც პროდუქციის ჯამობრივ გამომუშავებაში უფრო მეტ ხვედრით წონას იჭერს.

გამომუშავების მაჩვენებელთან შედარებით შრომატევადობის მაჩვენებელს გააჩნია ზოგიერთი უპირატესობა: ჯერ-

ერთი, იგი წარმოების მოცულობასა და შრომადანახარჯს შორის პირდაპირ კავშირს ასახავს; მეორე, შრომატევადობის კოეფიციენტის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა შრომის ნაყოფიერების გაზომვის პრობლემა დავაკავშიროთ მისი ზრდის ფაქტორებთან და რეზერვებთან; მესამე, იგი შესაძლებლობას აძლევს ერთმანეთს შევუთანადოთ საწარმოს სხვადასხვა საამქროს და უბნების ერთგვაროვან ნაკეთობაზე გაწეული შრომის დანახარჯები.

პროდუქციის შრომატევადობის მაჩვენებლის შემადგენლობაში დანახარჯების სტრუქტურასთან დამოკიდებულებაში გამოყოფენ ტექნოლოგიურ, საწარმოო და სრულ შრომატევადობას, წარმოების მომსახურების შრომატევადობას და წარმოების მართვის შრომატევადობას.

ტექნოლოგიური შრომატევადობა ასახავს ძირითადი მუშა-მონარდეების და დროითი მომუშავეების შრომის ყველა დანახარჯს. საწარმოო შრომატევადობა მოიცავს ძირითადი და დამხმარე მუშების ყველა დანახარჯებს.

სრული შრომატევადობის შემადგენლობაში აისახება საწარმოს ყველა კატეგორიის სამრეწველო-საწარმოო პერსონალის შრომითი დანახარჯები.

დამხმარე მუშების შორის შრომის დანახარჯები ასახავს წარმოების მომსახურების შრომატევადობას, ხოლო მოსამსახურეთა შრომის დანახარჯები წარმოების მართვის შრომატევადობას.

გარკვეული პერიოდისათვის საწარმოს შრომის ნაყოფიერება მრავალი მიზეზის ზემოქმედების შედეგად იცვლება; ყველა ის ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს თვით შრომის ნაყოფიერების ცვლილებაზე და საწარმოს მუშაკთა რაოდენობაზე, ასევე გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების ცვლილებაზეც.

შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედი ფაქტორებია ის მიზეზები,

რომელნიც მისი დონის ცვლილებას განაპირობებს. შრომის ნაყოფიერების ცვლილების ყველა ფაქტორი დაგეგმვისა და აღრიცხვის პრაქტიკაში შემდეგი ნიშნების მიხედვით კლასიფიცირდება:

- წარმოების ტექნოლოგიური დონის ცვლილება;
- მართვის, წარმოების ორგანიზაციისა და შრომის სრულყოფა;
- წარმოების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილება;
- სხვა ფაქტორები.

საწარმოში შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვებად მოიაზრება შრომითი რესურსების ეკონომიის ჯერ კიდევ არსებული შესაძლებლობები და გზები. შიდასაწარმოო რეზერვები განპირობებულია მოწყობილობებისა და სამუშაო ძალის სრულყოფით და უფრო ეფექტიანად გამოყენებით, ასევე, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებით, წედლეულის, მასალის, კაპიტალის და სხვა სახის რესურსების ეკონომიით.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ცნებები «ფაქტორები» და «რეზერვები». ფაქტორებია რაღაც მოვლენის განხორციელების შესაძლებლობის მიზეზები, ხოლო რეზერვი - კონკრეტულ შემთხვევაში არარეალური შესაძლებლობა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის შიდასაწარმოო რეზერვები იყოფა შრომატევადობის შემცირების, სამუშაო დროის გამოყენების გაუმჯობესების, მატერიალური რესურსებისა და შრომის იარაღების ეკონომიის რეზერვებად.

შრომის ნაყოფიერების ზრდის შიდასაწარმოო რეზერვები უშუალოდ საწარმოში ვლინდება და რეალიზდება. მათ მიეკუთვნება:

- პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიური, საწარმოო და სრული შრომატევადობის შემცირება;
- სამუშაო დროის გამოყენების გაუმჯობესება, კერძოდ, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, დისციპლინის განმტკიცება, კადრების დეწადობის შემცირება,

მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენება, სანიტარიისა და შრომის დაცვის გაუმჯობესება, საწარმოო წუნის ლიკვიდაცია და სხვა;

- სტრუქტურის გაუმჯობესების, კადრების კომპლექტაციის ამაღლებისა და სამუშაო ძალის უკეთ გამოყენების რეზერვები (მექანიზაცია და დამხმარე მუშაკების უფრო ეფექტიანად გამოყენება, დასაქმებულ მუშაკთა შეფარდებითი გამოთავისუფლება, შრომითი კოლექტივის საერთო მასაში ადმინისტრაციულ-მმართველობითი პერსონალის ხვედრითი წონის შემცირება, კოლექტივში ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესება).

შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვებს გამოყენების დროის მიხედვით მიმდინარე და პერსპექტიულ რეზერვებად ჰყოფენ.

მიმდინარე რეზერვები შესაძლებელია რეალიზებული იქნეს უახლოეს პერიოდში. ისინი, როგორც წესი არ მოითხოვს მნიშვნელოვან ერთჯერად დანახარჯებს. მათ შეიძლება მიეკუთვნება მოწყობილობის უკეთ გამოყენება, წუნის ლიკვიდაცია ან შემცირება, შრომის ანაზღაურების უფრო რაციონალური და ეფექტური სისტემის გამოყენება, შრომის ორგანიზაციის სრულყოფა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის პერსპექტიული რეზერვები ჩვეულებრივ მოითხოვს წარმოების გარდაქმნას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და ა.შ. ამისათვის აუცილებელია დამატებითი კაპიტალური დაბანდებები და სამუშაოების განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი დრო.

სამეურნეო პრაქტიკაში შრომის ნაყოფიერების ზრდის განსაზღვრის სხვადასხვა გზას იყენებენ:

1. წარმოების მოცულობის გაზრდისა და მუშაკთა რიცხოვნების შეკვეცად შრომის ნაყოფიერების ზრდას განსაზღვრავენ შემდეგი თანაფარდობით:

2. ასევე, საწარმოში მომუშავეთა შრომის ნაყოფიერების ზრდას განსაზღვრავენ პროდუქციის კორპორაციული მოწოდების სეკვდრითი წონის გამოყენებით და სამუშაო დროის ფონდის უკეთ გამოყენების გზით.

შრომის ზღვრული ნაყოფიერების მაჩვენებელი დამოკიდებულია წარმოების ფაქტორებზე და შრომის ბაზარზე. თუ რამდენი მუშაკები უნდა დაიქირაოს ცალკეულმა საწარმომ, ეს საკითხი მან უნდა გადაწყვიტოს შრომაზე მოთხოვნის ფასის, ე. ი. ხელფასის დონის განსაზღვრით.

წარმოების ნებისმიერ ფაქტორზე (მათ შორის შრომაზე) მოთხოვნის ფასი დამოკიდებულია მის ზღვრულ ნაყოფიერებაზე; აღნიშნული სრულად შეესაბამება შრომის ზღვრული ნაყოფიერების საკითხს, რამდენადაც იგი შრომის ფაქტორის მიმართ მოთხოვნის მიმართ ადეკვატურ დამოკიდებულებას ასახავს.

ზღვრული შრომის ნაყოფიერება არის ფიქსირებული პირობების დროს შრომის დამატებითი ერთეულის გამოყენებით გამოწვეული გამოშვებული პროდუქციის ნამატი. მას ანგარიშობენ შრომის ზღვრული პროდუქტიდან გამომდინარე. პროდუქციის ის ნამატი, რომელიც კიდევ ერთი დამატებითი მუშაკის დაქირავების შედეგად იწარმოება. შესაბამისად, საწარმოს ხელმძღვანელი მოზიდული რესურსების ოპტიმიზაციის აუცილებლობიდან გამომდინარე, ზღვრული ნაყოფიერების დონის მისაღწევად გამოიყენებს ან გაანთავისუფლებს შრომას.

ანალიზის დასრულებისას აუცილებელია შემუშავებულ იქნეს შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველყოფისათვის კონკრეტული ღონისძიებები და განისაზღვროს მუშაკთა გამომუშავების საშუალო საათობრივი, საშუალოდღიური და საშუალო წლიური რეზერვები.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიღწევა შეიძლება შემდეგი გზებით:

ა) პროდუქციის გამოშვების გაზრდა საწარმოს საწარმოო სიმძლავრის სულ უფრო სრულად გამოყენების ხარჯზე, რამდენადაც წარმოების მოცულობის ზრდის დროს იზრდება მხოლოდ სამუშაო დროის დანახარჯის ცვლადი სიდიდე, მუდმივი კი უცვლელი რჩება. ამის შედეგად პროდუქციის გამოშვებაზე დროის დანახარჯი მცირდება.

ბ) პროდუქციის წარმოებაზე შრომის დანახარჯების შემცირება წარმოების ინტენსიფიკაციის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, კომპლექსური მექანიზაციისა და წარმოების ავტომატიზაციის, უფრო სრულყოფილი ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის, სამუშაო დროის, წარმოების ორგანიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესების ხარჯზე დანაკარგების შემცირების გზით.

9.2. ხარჯების ანალიზი

ხარჯები შეიძლება ადვილად პროგნოზირებადი გახდეს, თუ საიმედოდ არის დადგენილი რესურსების დახარჯვების შესვლასა და შემდგომში პროდუქციის გასვლას შორის დამოკიდებულების კავშირი. ამ კავშირის პირველადი სახეა საინჟინრო-ტექნოლოგიური კავშირი; მის ამ სახის საფუძველზე ყოველთვის შეიძლება ვივარაუდოთ, თუ როგორი იქნება წარმოების მოცულობა დანახარჯების მოცემულ დონეზე, ე.ი. ზუსტად გავიანგარიშოთ იმ პროდუქციის ნორმატიული მოცულობა, რომელიც წარმოებული უნდა იქნეს. ამ მოცულობიდან ნებისმიერი გადახრა წარმოების შეფარდებითი ეფექტიანობით აიხსნება და არა მოცემული ურთიერთკავშირის პროგნოზირებაში დაშვებული შეცდომით. პირიქით,

იმავე ტექნოლოგიური დამოკიდებულების გამოყენებით შეიძლება გავიანგარიშოთ აუცილებელი კომპონენტი პროდუქციის ნებისმიერი სასურველი მოცულობისთვის აუცილებელი კომპონენტი. მრავალ კომპანიაში არსებობს ასეთი დამოკიდებულების დიდი სხვადასხვაობა და ისინი არც ერთი სახით მხოლოდ წარმოების სფეროთი არ იზღუდება. ასეთი დამოკიდებულება ჩვეულებრივ გამოიხატება ფიზიკურ ერთეულებში.

ამავე დროს საჭიროა ფინანსური შეფასება რათა შესაძლებელი გახდეს შედარებითი ანალიზი ანუ ყველაფრის ფულად გამოხატულებაში წარმოდგენა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ერთიანების შეუდარდეს ხარჯების სხვადასხვა სახეები და პროდუქციის გამოშვების ვარიანტები.

მრავალ შემთხვევაში ფიზიკური დამოკიდებულება შეიძლება მუდმივი ან წინასწარ ნავარაუდევი თქმული დარჩეს; ამგვარი განსაზღვრულობა ხარჯების ღირებულებით შეფასებასა და შესაბამის პროდუქციის გამოშვებასთან შორის არ არსებობს. პირველი, ხარჯების შეფარდებითი დონე საგარეო და (ან) არაკონტროლირებადი ფაქტორების ზემოქმედებით შეიძლება სწრაფად და მკვეთრად შეიცვალოს; მეორე, არ არსებობს არავითარი საფუძველი ვიფარაუდოთ, რომ ეს ცვლილებები აუცილებლად კანონზომიერი იქნება, ე. ი. იგი დაექვემდებარება ისტორიულად ჩამოყალიბებულ რომელიმე დამოკიდებულებას. და, ამის გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს ხარჯების შეფასებას, რომელიც ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების შედეგად მათი სტრუქტურა შეიცვლება.

ხარჯების საერთო სისტემაში გარკვეული ადგილი უჭირავს მომავალი პერიოდის ხარჯებს, (მომავალ) ხარჯებს. ამიტომაც ძნელდებოდა გარემო არ უნდა დაგვრჩეს შემდეგი გარემოება: მომავალ ხარჯებს შორის არის ისეთი ხარჯები, რომელებიც

აუცილებელია გაწეული იქნეს, და ისეთებიც, რომელსაც შესაძლოა თავი ავარიდოთ. ხარჯების შეფასება არ შეიძლება შევადარიოთ **ამბორბირების** მეთოდის საფუძველზე გაწეულ დანახარჯების სიდიდესთან. იმისათვის რომ მივიღოთ ფინანსურად შესადარი შედეგები, აუცილებელია მაქსიმალურად ზუსტი პროგნოზირი შევასთანხმოთ ხარჯების სხვადასხვა ელემენტზე ფასები. აქ მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად ზუსტად მოახდენს კომპანია ასეთი ფასების პროგნოზირებას, და რამდენად მართებულად განსაზღვრავს ხარჯების აუცილებელ სტრუქტურას გადაწყვეტილების სხვადასხვა ვარიანტებისათვის. ასეთი მიდგომა მართებულია, როგორც ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისათვის (რომელიც არსებითია მომავალი ხარჯების პროგნოზი), ისე მართვის შეფარდებითი ეფექტიანობისათვის; ამ უკანასკნელ შემთხვევაში სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ მთელს ამ პროცესში ვათვალისწინებული იქნეს ის ელემენტები, რომელზედაც დაყრდნობით მენეჯერებს შეუძლიათ განახორციელონ კონტროლი და რომელზედაც ისინი პასუხისმგებლობას აიღებენ.

ხარჯების მნიშვნელოვანი გადახრების აღრიცხვამ შესაძლოა ძლიერ შეცვალოს ჩვენი შეფასება ცალკეული ხელმძღვანელების მიერ მართვის ხარისხზე. სამრეწველო საწარმოებში მენეჯერს არ გააჩნია პირდაპირი კონტროლი ხარჯების სიდიდის არსებით ფაქტორზე (მაგ. ძირითადი ნედლეულის ან მასალის ხარჯვაზე), მაგრამ, მიუხედავად ამისა ერთობლივი ხარჯების მნიშვნელოვანი ცვლილების დროს აუცილებელია კომპანიის სტრატეგიული ვარიანტების გადახედვა. ამ კუთხით შესაძლოა მისაღები იყოს გასაყიდი ფასების გაზრდა, რითაც მზარდი ხარჯების ეფექტი საბოლოო მომხმარებელზე გადავა.

კომპანიის ეკონომიკური პრობლემების გამოვლენისა და მისი მართვის ანალიზის საუკეთესო ხერხს წარმოადგენს **ხარჯების ნორმატიული კალკულაციის მეთოდი.** თანმიმდევრული

გამოყენება; ეს მეთოდი დიდი ხანია ცნობილი არის, მაგრამ სამწუხაროდ, მრავალ კომპანიაში მისი მექანიზმი გადაგვარდა, რამდენადაც მივიწყებული იქნა ამ მეთოდის ძირითადი მიზანი.

ნორმატიული ხარჯები ორი ელემენტისაგან შედგება: რესურსების ხარჯვა (გამოყენება) და ფასი. ამ ელემენტების გადამრავლებით შესაძლებელია მარტივად გავიანგარიშოთ დანახარჯი შრომაზე ფულად გამოხატულებაში. იმისათვის, რომ სტრატეგიულ პროგნოზირებაში ასეთი გაანგარიშება გამოვიყენოთ, აუცილებელი არის დავრწმუნდეთ მოცემული დამოკიდებულების წინასწართქმაში. ამიტომ ნორმატიული ხარჯების გამოყენების ძირეულ პირობას წარმოადგენს ხარჯების ელემენტის საფუძველში ჩადებული ტექნოლოგიური დამოკიდებულება, რომელიც შესაძლებელია გამოხატული იქნეს რაღაცნაირ კავშირი რესურსების ხარჯვის ფიზიკურ ერთეულსა და პროდუქციის გამოშვების სავარაუდო ერთეულებს შორის.

მაგალითისათვის შესაძლოა გავიანგარიშოთ ნორმატიული დრო (წუთები), რომელიც კონკრეტული განმეორებადი ოპერაციის შესასრულებლადაა აუცილებელი. თუ ასეთი ნორნმატიული ტექნოლოგიური დამოკიდებულება დადგენილია, მაშინ მუშაკის საქმიანობის ეფექტიანობა შეიძლება შეფასდეს წარმოების ფაქტიურად მიღწეული დონის დროს ხარჯის ფაქტიური ერთეულის შედარებით სავარაუდო ან ნორმატიულად დაშვებულ ხარჯებთან.

მრავალ სიტუაციაში მენეჯერებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მიიღონ სხვადასხვა ოპერაციის შესრულებასთან და გამოყენებული რესურსების შედგენილობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება: მაგალითად, მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ ავტომატიზებულ მოწყობილობაში ინვესტიციის ხარჯზე მუშაკთა შემცირების გადაწყვეტილება ან მიაღწიონ მატერიალური ნარჩენების ნაკლებ რაოდენობას სამუშაოს უფრო გულმოდგინედ შესრულების გზით.

ფიზიკური კონტროლის ნებისმიერი სისტემის ერთ-ერთი ამოცანაა არჩეული იქნეს რესურსების ისეთი შემადგენლობა, რომელიც უკეთ შეუწყობს ხელს ფირმის საერთო სტრატეგიის რეალიზაციას. ეს ამოცანა ძირითადად გადაწყდება რესურსების თვითთეული ნაკრების ალტერნატიული ხარჯების შედარებით, რისთვისაც აუცილებელია ხარჯების თითოეულ ელემენტზე ზუსტი ინფორმაციის ფლობა. ექსპერტულმა, არაზუსტმა ნორმატიულმა ფასებმა შეიძლება მენეჯერები შეცდომაში შეიყვანოს და ისინიც ყურადღებას მიაქცევენ საქმიანობის არასწორად შერჩეულ სფეროებს; მაგალითად, შუშის მრეწველობაში 10 ტ. ქვიშის გადახარჯვა უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე კაჟის ამავე რაოდენობის გადახარჯვა. ეს აიხსნება იმით, რომ ქვიშისა და კაჟის ფასები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

დანახარჯების პროგნოზირების დროს ნორმატიული დანახარჯები ხშირად არაზუსტია სოლმე. განსაკუთრებით რთული სტრუქტურის მქონე მსხვილ საწარმოებში, სადაც ლოგისტიკური მიზეზების გამო ნორმატივები დიდ ხნით ადრე წესდება. მაგრამ აღნიშნული არ ეხება ნორმატივების ფიზიკურ ასპექტებს. იმ შემთხვევაშიც კი თუ არსებული ინფორმაცია დამოკიდებულება იცვლება (მაგ. საწარმოო პროცესების გამოყენების გამო), მაშინ, როგორც წესი ცნობილ ტექნოლოგიურ ურთიერთკავშირებს ანესებენ. ამ ცვლილებების შედეგი შესაძლებელია რაოდენობრივად გავზომოთ, ზუსტად გავთვალოთ და მაშასადამე მომავალ ანალიზში გამოვყოთ. მაგრამ არამყარი ფასებით და ლოგიკურად ნაწინასწარმეტყველი დამოკიდებულების არსებობის მქონე სფეროებში ხარჯების პროგნოზსა და მისი გამოყენების პერიოდს შორის დროში დაცილებას შესაძლოა კატასტროფული ხასიათი გააჩნდეს. მიუხედავად იმისა, რომ ნორმატიული ხარჯები შეიძლება მაქსიმალურად სკურპულოზურად დაწესდეს, იმ პერიოდის

დასაწყისისათვის, რომლის დროსაც ეს ნორმატიული ხარჯებია გამოყენებული, ფაქტიური ტექნოლოგიური ურთიერთკავშირი შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

სინამდვილეში მრავალ კომპანიაში ნორმატიული ხარჯების კალკულაციის საფუძველზე ანალიზის მთავარი როლი დაწესებულ ნორმატიულ ფასებთან ფაქტიური დანახარჯების შედარებაში მდგომარეობს. ანალიზს ახორციელებენ ფასების ან გაწაკეთების გადახრების მარტივი გაანგარიშებით; ამავე დროს ანგარიშობენ კომპანიის ძირითადი საქმიანობის ეფექტიანობის (ოპერატიული ეფექტიანობა) გამომხატველი მაჩვენებელში რესურსების ხარჯვაში (გამოყენებაში) გადახრას.

რესურსების ხარჯვაში გადახრა, ჩვეულებრივ, ნორმატიული ფასების მიხედვით ფასდება; ეს იმით აიხსნება, რომ ასეთ შემთხვევაში ტექნოლოგიური დამოკიდებულება არ მახინჯდება შეფარდებითი დანახარჯების დონეებში ფაქტიური ცვლილებებით; მათემატიკური პოზიციიდან მნიშვნელოვანია, რომ ერთი და იგივე სიდიდე გამოიყენებოდეს როგორც ნორმატიული, ისე ფაქტიური ხარჯების მიმართ, რათა ეფექტიანობის დონეების ერთმანეთთან შედარება. ამ მიზნით გამოყენებული ნებისმიერი საერთო სიდიდე გვიჩვენებს რესურსების გადახარჯვას ან ეკონომიას. ამ მიზნით გამოყენებული ნებისმიერი საერთო სიდიდე გვიჩვენებს რესურსების გადახარჯვას ან ეკონომიას. იმისათვის, რომ გავაანალიზოთ სხვადასხვა ფიზიკური რესურსების ღირებულებითი მნიშვნელობა, აუცილებელია გამოვიყენოთ ისეთი ფასები, რომელებიც ზუსტად ასახავენ მათ შეფარდებით ღირებულებას. კომპანიათა უმრავლესობა ცდილობს ამას მიაღწიოს, რისთვისაც თავისი პალიხმეცა და მნიშვნელოვანი რესურსები პროგნოზირებაზე და მალიან დეტალიზებული ნორმატიული დანახარჯების კალკულაციაზე წარმართოს.

სამწუხაროდ, ასეთ კომპანიების მენეჯერებისათვის წარ-

მოიშობა „ყველა“ ანალიტიკური სირთულის დონე, რამდენადაც უკანასკნელი საანგარიშო პერიოდის ყველაზე საიმედო და ადვილად აღსაქმელი მონაცემები, ჩვეულებრივ, ფაქტიურ ხარჯებს წარმოადგენს. ეს დანახარჯები მოცემულ მომენტში უკეთეს შეფასებად წარმოჩინდება. იგი სწორედ იმ მაჩვენებლად გამოდგას, რომლიდანაც უნდა მოხდეს მომავალი ხარჯების პროგნოზირება. როცა ფაქტიური დანახარჯები მართვის ეფექტიანობის კონტროლის საშუალებად გამოდის, მაშინ ავტომატურად მიიღწევა მიზნების შეთანხმება, რამდენადაც მენეჯერები ფაქტიურ ხარჯებს იყენებენ კომპანიის სტრატეგიული ეკონომიკური გადაწყვეტილებების დასაბუთებისათვის.

მოჩვენებული ან არასწორი ნორმატიული ხარჯების მაჩვენებლებზე დამყარებული მმართველობითი საქმიანობის შეფასება ტრადიციულ მმართველობითი აღრიცხვაში ფართოდ გამოყენებული შიდასაფირმო შედარებითი ანალიზის კიდევ ერთ გამოვლენას წარმოადგენს. კონტროლის რანგში წარმოდგენილ ნორმატიულ ფასებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, როცა მათ საფუძველში ჩადებულია ადრე ცნობილი იმ საწარმოო-ტექნოლოგიური კანონზომიერებასთან ანალოგიური წინასწარ გამიზნული დამოკიდებულება, რომელსაც ნორმატიული ხარჯების (გამოყენების) მაჩვენებლები ემყარება; მსგავსი შემთხვევები პრაქტიკაში მალიან იშვიათია. იმის ნაცვლად, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილების ინსტრუმენტი გახდეს, ამგვარი დამოკიდებულების გარეშე ფასების გადახრის დაწვრილებითი ანალიზი მარტივად მიუთითებს ფირმის მიერ მიღწეული პროგნოზის სიზუსტის ხარისხზე.

გადახრის ანალიზის მიზანი უნდა იყოს კომპანიის ეფექტიან საქმიანობაზე მენეჯერთა პასუხისმგებლობის, ე. ი. მათი მართვის ეფექტიანობის განსაზღვრა. თავდაპირველად ზემოთ მოყვანილი ანალიზი თითქოს და გვიჩვენებს, რომ მენეჯერი არსებულ

რესურსებს შეფარდებით ეფექტიანად იყენებს. ამის გარდა, ის მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიამ წედლეულზე პოტენციური ეკონომიის ხარჯზე შრომის გამოყენების გაუმჯობესებით გაზრდის გამოყენებით მოცემული ნორმატიული ხარჯების დროს ყურ შეძლო მეტი ეფექტიანობის მიღწევა.

მართვის სხვადასხვა დონის მიზნების შეთანხმებისათვის მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მეთოდმა არსებული ალტერნატივებისგან რესურსების გამოყენების საუკეთესო ვარიანტების ამორჩევის სტიმული უნდა მისცეს მენეჯერებს. ეს შეუძლებელია, თუ შეფასება წარმოებს ნორმატიული დანახარჯების საფუძველზე. აქ სახეზეა მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება: ნორმატიული ფასების საფუძველზე შეფასება გაზრდილი ფასების მქონე წედლეულის გადახარჯვის შედეგებს ამცირებს, მაგრამ გარე გარემოს რეალური ცვლილებების ხარჯზე ჩამოყალიბებული გარემოება მენეჯერებს მისი კორექტირებისაკენ არ უბიძგებს. თუ კონკურენტთან უფრო რაციონალური მმართველობითი აღრიცხვაა, მათ მენეჯერებს რესურსების გამოყენების დონის კორექტირებისათვის აუცილებელი მოტივაცია შესაძლოა გააჩნდეთ არა მოძველებული ნორმატივების გათვალისწინებით, არამედ ფაქტიურად განხორციელებული ხარჯებით.

ანალიზის ამ მეთოდის მიზანი იმაში არ მდგომარეობს, რომ მენეჯერს მისგან გაუკონტროლებადი ფასების ცვლილებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს. გადახრის ანალიზი მათ აიძულებს მხედველობაში მიიღონ ის ეკონომიკური რეალობა, რომელსაც კომპანია აწყდება.

მაშასადამე, ნორმატიული დანახარჯების კალკულაცია შეიძლება გამოვიყენოთ მიმდინარე, კონკრეტული კონკურენციული სტრატეგიული ანალიზისათვის. ამისათვის საჭიროა «ხარჯები-გამოშვება» საიმედო საწარმოო-ტექნოლოგიური დამოკიდებულების **რელევანტური ხარჯების** ინფორმაციასთან

შესახებ ინფორმაციასთან კომბინაცია. სამწუხაროდ, სტრატეგიული ანალიზის ამ სახეს ყოველთვის არ მივყავართ ხარჯებთან ყველა ფაქტიური დანახარჯის გეგმიური (ნორმატიული) კალკულაციის შესაბამისობის ზუსტ მულტიკრულ გააზრებასთან; ამის მიღწევა კი შესაძლებელია, თუ რა თქმა უნდა მოხდება რესურსების ნორმატიულ და ფაქტიურ ფასებს შორის განსხვავების ელიმინირება.

შესაძლებელია გავიანგარიშოთ ფასების კიდევ ერთი გადახრა; ამ შემთხვევაში საუბარია ნორმატივების გამოყენების ფაქტზე. ამ სახის კალკულაცია გვიჩვენებს გამოყენებული ნორმატიული ხარჯების პროგნოზირების შეცდომას. უფრო მეტიც, არ არის რეკომენდირებული მსგავსი კალკულაცია მმართველობით არგარიშში ჩაერთოს, რამდენადაც მმართველობითი აღრიცხვის ფარგლებში იგი ხარჯების ელემენტებზე ფასების განსაზღვრის სერხის გართულებას გამოიხატავს. ამან შეიძლება მიგვიყვანოს არასასურველ შედეგებთან, თუნდაც თუ ზემოთ აღნიშნული ანალიზი მართებულად არის ჩატარებული. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ბევრ შემთხვევაში ნორმატიული ხარჯების რთული სისტემები აღრმავებს ხარჯების მათი განაწილების გარდუვალ პრობლემებს.

ძირითად წარმოებაში და ერთეული სახის პროდუქციის წარმოების დროს დასაქმებული მუშაკთა შრომის პირდაპირი დანახარჯები შესაძლებელია მარტივად მივაკუთვნოთ პროდუქციის ინდივიდუალურ სახეებს; მაგრამ თანამედროვე გართულებულ წარმოების შრომის პირდაპირი მიზნობრივი დანახარჯის ერთობლივ დანახარჯში შედარებით მცირე წილს იჭერს.

უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს მოწყობილობის ტექნიკური და თანამდევი მომსახურების, ადმინისტრაციული და მმართველობითი ფუნქციების შესრულებით, მოეების განაწილების დაგეგმვის და ა. შ. დაკავებული მუშაკებისა და მოსამსახურეების ირიბი დანახარჯები.

ხარჯების სხვა მნიშვნელოვანი სახე დაკავშირებული არის წარმოებაში მოწყობილობის გამოყენებასთან, კერძოდ კი ამორტიზაციისა და ტექმომსახურეობის დანახარჯებთან. ეს დანახარჯები ადვილად განაწილდება, როცა მოწყობილობები ერთი სახის პროდუქტის წარმოებას მიეკუთვნება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია წარმოების პროგნოზირებად დონესთან დამოკიდებულებაში ერთეულ პროდუქციაზე ნორმატიული დანახარჯების გაანგარიშების პრობლემა წარმოიშვას. იქ, სადაც მოწყობილობას უფრო მეტი მნიშვნელობა გააჩნია, მის გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯები ასევე უნდა განაწილდეს შესაბამისი პროდუქციის მიხედვით, რათა შედეგად მიღებული იქნეს «მართებული» ნორმატიული ხარჯები.

მრავალ დარგში ამ ყველა ირიბი დანახარჯის საერთო თანხა შესაძლოა 10-ჯერ აღემატებოდეს შრომის ანაზღაურებაზე გაწეული პირდაპირი ცვალებადი ხარჯების დონეს. მიუხედავად ასეთი სერიოზული სხვაობისა, კომპანიათა უმრავლესობაში სამუშაო ძალაზე პირდაპირ ხარჯებს ჯერ კიდევ იყენებენ როგორც ცალკეული პროდუქციის ნორმატივების სხვა ხარჯებზე მიკუთვნების ბაზად.

შრომის ანაზღაურებაზე ირიბი დანახარჯების და ზედნადები ხარჯების შრომატევადი პროდუქტის თვითღირებულებაში ჩართვა არსებითად აისახებოდა მის ერთობლივი ნორმატიული ხარჯების სიდიდეზე. მნიშვნელოვანია გავიაზროთ, თუ რატომაა ეს დახარჯები არის შედარებით მაღალი. მრავალ კომპანიაში ეს ავტომატიზაციის მაღალი დონით და, შესაბამისად, შრომის ანაზღაურებაზე პირდაპირი დანახარჯების შემცირებით არის გამოწვეული.

ანალიზის დროს გაითვალისწინება აბსოლუტური ირიბი საექსპლუატაციო ხარჯები და მცირდება მათი განაწილების ბაზა - შრომის ანაზღაურებაზე პირდაპირი ხარჯები; სწორედ აქედან ყალიბდება ირიბი დანახარჯების აღდგენის ამაღლებული

შედარებითი ნორმა. ამ პირობებში შრომის ანაზღაურებაზე პირდაპირი დანახარჯების საფუძველზე ირიბი დანახარჯების განაწილება არა მხოლოდ არარეალისტური ხდება, არამედ ასევე შეუძლია კუმულატიურად მზარდი დამახინჯების ეფექტიც შეიძლება გააჩნდეს.

ნორმატიული ხარჯების გაანგარიშების მრავალ სისტემაში ირიბი ხარჯები უბრალოდ გადანაწილდება ნარჩენთან შესაბამისობაში, ისუნდაც ეს შრომის ანაზღაურებაზე პირდაპირი ხარჯების შემცირებულ ბაზასთან შესაბამისობაში ხდებოდეს. ეს გაზრდის ყველა სხვა პროდუქტებისათვის აღდგენის ნორმას, და, შესაბამისად, პროდუქტის დანახარჯს, რასაც პოტენციურად ფასების ამაღლებისკენ მივყავართ. ეს ყოველივე იმ მიზნით ხდება, რომ აღდგენილი იქნეს რენტაბელობის დონე, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ პროდუქტთან არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ზემოთ აღნიშნულთან კავშირში ეს აშკარად უაზრობაა, ხოლო ანალიზის მიზნებისათვის ნორმატიული დანახარჯების მსგავსი სისტემა შესაძლოა საგანგებოდ საშიშია. ზედნადებ ხარჯების აღდგენის შეფარდებითი გავლენა შესაძლოა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, თუ ნორმატიული ხარჯების გაანგარიშების სისტემიდან გამოირიცხება პირდაპირი პუდმიანი ხარჯები.

პროდუქტზე ნორმატიული დანახარჯების პროგნოზის შესაძლო შეცდომა ძალზე მნიშვნელოვანია მარკეტინგული სტრატეგიისათვის, რამდენადაც მას შესაძლოა გამოიწვიოს უთანხმოება ფასების სტრატეგიასთან, მარკეტინგული მხარდაჭერის დასაშვებ დონესთან და ა.შ. კომპანიის შენიშვნებისაიის ყველაზე მნიშვნელოვანია - კარგად გაიცნობიეროს, რომ კონკურენტებთან შედარებით წარმოების მოცულობას თუ როგორ ცვლილება აისახება მის პროდუქციაზე. ბუღალტერ-ანალიტიკოსები «ხარჯები/წარმოების მოცულობა/მოგება»

თანაფარდობის შინაგან დამოკიდებულებას, ჩვეულებრივ დეტალებში წარმოადგენენ. სამწუხაროდ მათ ხშირად არ ყოფნით კონკურენტებთან ურთიერთობაში ამ ცოდნის «გარეთ» გამოყენება, ასევე, უნარი, გონივრულად გამოიყენონ აღნიშნული მეთოდები სტრატეგიული გადაწყვეტილებების დასაბუთებისათვის. ამის სანაცვლოდ ისინი მაღალი რგოლის ხელმძღვანელობას ხშირად მმართველობითი ხასიათის მქონე დაუზუსტებელ ინფორმაციას წარუდგენენ, რომელსაც გაურკვევლობა, უწესრიგობა მოაქვს.

ბაზრის განსაზღვრულ სეგმენტებზე კომპანიის კონკურენტული სტრატეგიის ანალიზის მიზნით წარმოდგენილი ცალკეული მიმდინარე ფინანსური სეგმენტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით, თუ ის დაკავშირებულია ნორმატიული დანახარჯების გაანგარიშებასთან, შემდეგი სახის გაფრთხილებასთან თანხვედრი უნდა იყოს: «ამ ინფორმაციის გამოყენებამ შესაძლოა სერიოზულად დააზარალოს თქვენი ბიზნესი». თავის მხრივ, იმის წარმოდგენას რომ, აუცილებელია ვფლობდეთ მონაცემების ფართო დიაპაზონს, მივყავართ ჭარბი რაოდენობის სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის სისტემების გამოყენებასთან. ამის შედეგად იზრდება კომპანიის დანახარჯები და მაღალი რანგის ხელმძღვანელებს შორის ჩარევის დატვირთვა, რამდენადაც მათ ერთმანეთის საპირისპირო ფინანსური ანალიზის ანგარიშებს პირდაპირ თავზე აყრიან და...

9.3. ხარჯების ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზი

დღეს საწარმოების პროდუქციის ხარისხის ამაღლების მართვის სისტემის განვითარების ერთ-ერთ წესს წარმოადგენს ფუნქციურ-ღირებულებითი ანალიზი (ფღა). სამეურნეო პრაქტიკაში და ეკონომიკურ თეორიაში ფღა-ს

ეფექტური გამოყენების შესახებ სხვადასხვა სახის შეხედულება არსებობს. ეკონომისტთა ერთი ნაწილი ფღა-ს პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებისათვის მარტივ მეთოდად თვლიან, მეორენი კი რთულად როგორც მეთოდური კუთხით, ისე ტექნოლოგიურ სფეროში ფღა-ს გამოყენების კუთხით.

ფუნქციურ-ღირებულებითი ანალიზის (ფღა) ცნების ქვეშ იგულისხმება პროდუქციის და ღირებულების მახასიათებლების კომპლექსური სისტემური გამოკვლევის მეთოდი; იგი მოიცავს წარმოებაში ფუნქციებისა და რესურსების ჩათვლით საქმიანობის გაყიდვების, მიწოდების, ტექნიკური მხარდაჭერის, მომსახურების გაწევის, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ასპექტებს. აღნიშნული მეთოდი მიმართულია ხარისხის, ობიექტის სარგებლიანობის ფუნქციასა და მისი რეალიზაციის დანახარჯებს შორის თანაფარდობის ოპტიმიზაციის რეალიზაციისაკენ მისი სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე.

კვლევის ობიექტიდან გამომდინარე საწარმოში ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზის გამოყენების მიზანი სხვადასხვა არის. თუ კვლევის ობიექტად გამოდის საწარმოს ქვეგანყოფილება, მაგალითად, მარკეტინგის განყოფილება, მაშინ კვლევის მიზანი მოიცავს ღირებულების, შრომატევადობისა და ნაყოფიერების მაჩვენებლების მიხედვით განყოფილების მუშაობის გაუმჯობესების არეალს; თუ კვლევის ობიექტად განვიხილავთ საწარმოს პროდუქციის ხარისხს, მაშინ ფღა ს მიზანი იქნება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების და პროდუქციის საცდელი-საკონსტრუქტორო დამუშავების სტადიაზე – ჭარბი ხარჯების წარმოქმნის გაფრთხილება, წარმოებისა და ობიექტის ექსპლოატაციის სტადიაზე კი გაუმართლებელი ხარჯებისა და დანაკარგების შემცირება ან გამორიცხვა. ფღა-ს საბოლოო მიზანს წარმოადგენს მომხმარებლისა და მწარმოებლისათვის ეკონომიკური კუთხით ყველაზე მისაღები ამა თუ იმ პრაქტიკული გადაწყვეტილებების მოძიება.

კვლევის ობიექტზე დამოკიდებულებით შესაბამისად ასხვავებენ ფღა-ს შემდეგ ამოცანებს:

- შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გამოკვლევა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების წყაროების გამოვლენა;
- მასალათტევადობის, შრომატევადობის, ენგერგოტევადობისა და ფონდტევადობის შემცირება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება;
- დაბალეფექტიან ღონისძიებებზე ზედმეტი ხარჯების სრული და ნაწილობრივ გამორიცხვის საფუძველზე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაწეული დანახარჯების შემცირების უზრუნველყოფა.

ფღა-ს გააჩნია თავისი ობიექტები, სადაც იგი შესაძლებლობას იძლევა ჩატარდეს მთელი რიგი სამუშაოები. ეს ობიექტებია:

- პროდუქციის ხარისხი (პროდუქციის ხარისხის ამაღლების რეზერვების გამოვლენა, «ხარისხი-ფასი» ოპტიმალური მდგომარეობის მიღწევა);
- ორგანიზაციული და მმართველობითი პროცესები და სტრუქტურები (ორგანიზაციული სრულყოფა);
- ტექნოლოგიური პროცესები(წარმოების დოკუმენტაციის შემუშავების, წარმოების ტექნოლოგიური მომზადების, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის სტადიებზე);
- წაკეთობის კონსტრუქცია (წარმოების პროექტირების, მომზადების სტადიებზე, დამზადების პროცესში);
- წარმოების პროცესები (დამზადება, გადამუშავება, აწყობა, საკონტროლო, სასაწყობო, სატრანსპორტო).

აღნიშნულ ობიექტებზე ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზი ასრულებს შემდეგი სახის სამუშაოებს:

- საწარმოში სხვადასხვა ბიზნესს-პროცესების, და, მათ შორის მარკეტინგის მართვისა და პროდუქციის ხარისხის მართვის ეფექტიანობის დონის (ან ხარისხის) განსაზღვრა;

- ბიზნეს-გეგმის რეალიზაციის ტექნოლოგიის რაციონალური ვარიანტის არჩევის დასაბუთება;
- საწარმოს სტუქტურული ქვედანაყოფების მიერ შესრულებული ფუნქციების ანალიზის ჩატარება;
- პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- საწარმოს საქმიანობის შედეგების ინტეგრირებული გაუმჯობესების ანალიზი.

ფღა-ს სამუშაოს შესრულებიდან მეტი უკუგების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია დაცული იქნეს ანალიზის რიგი ძირითადი პრინციპები:

იმ დროს, როცა ფუნქციურ-ღირებულებითი ანალიზის ობიექტია საწარმოს ქვედანაყოფი, გამოიყენება ფღა-ს შემდეგი პრინციპები: **სისტემური მიდგომის პრინციპი, ფუნქციონალური მიდგომის პრინციპი და შემოქმედებითი მიდგომის პრინციპი.**

სისტემური მიდგომის პრინციპის შინაარსი მდგომარეობს საწარმოს ქვედანაყოფის როგორც მაღალი თანრიგის სისტემის ელემენტისა და როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისაგან შემდგარი სისტემის ანალიზში.

ფუნქციონალური მიდგომის პრინციპის შინაარსი მდგომარეობს ქვედანაყოფის როგორც ფუნქციების შემსრულებლის ანალიზში.

შემოქმედებითი მიდგომის პრინციპი მდგომარეობს - ქვედანაყოფის სტრუქტურის და ფუნქციების პრობლემების მიხედვით შემოქმედებითი სამუშაოს ანალიზში.

იმ დროს, როცა ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზის ობიექტი არის პროდუქციის ხარისხი, გამოიყენება ფღა-ს შემდეგი პრინციპები: **ფუნქციონალურობის პრინციპი, სისტემურობის პრინციპი, ეკონომიურობის პრინციპი და შემოქმედებითობის პრინციპი.**

ფუნქციონალურობის პრინციპი მდგომარეობს პროდუქციის როგორც შესასრულებელი ფუნქციების კომპლექსად განხილვაში;

სისტემურობის პრინციპი მდგომარეობს პროდუქციის თვითოეული ფუნქციის როგორც დამოუკიდებელი ფუნქციის შესწავლაში;

ეკონომიურობის პრინციპი მდგომარეობს პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ყველა სტადიაზე პროდუქციის ფუნქციაზე დანახარჯების ანალიზში;

შემოქმედებითობის პრინციპი მდგომარეობს პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე კოლექტიური მუშაობის ამაღლებაში.

დღეს ეკონომიკურ ლიტერატურაში ფღა-ს ჩატარების მეთოდოლოგია სუსტად არის წარმოდგენილი და აქ მრავალი სირთულეები გვხვდება:

- არ არსებობს ფღა-ს ერთიანი მეთოდიკა, რომელიც მისაღები იქნება კვლევის ყველა მიმართულებით და კვლევის ყველა ობიექტისათვის;
- მანამ, სანამ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას ფღა-ს გამოყენების შესახებ, აუცილებელია გაანალიზდეს ყველა ის ფაქტორი, რომლებიც ამ მეთოდის პროცესებზე და რეალიზაციის მეთოდიკაზე მოახდენს გავლენას;
- ფღა-ს ჩატარების მიმართულება (საწარმოს მართვის სისტემა, სტრუქტურული ქვედანაყოფების მართვის სისტემა);
- გამოკვლევის ობიექტი და მისი სასიცოცხლო ციკლი;
- მეთოდის ქცევის მიზანი და ამოცანები;
- ფღა-ს გამოყენებასთან დაკავშირებული კვლევის ჩატარების ფინანსების მოცულობა;
- ფღა-ს ჩამტარებელი სპეციალისტების კვალიფიკაცია.

ფღა-ს თეორია ფართოდ გამოიყენება ეკონომიკის ისეთ დარგებში როგორიცაა მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური და ელექტრონული მრეწველობა. ეს უშუალო კავშირშია თვით მეთოდის სისტემურობასთან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა ობიექტის როგორც მოვლენის

და როგორც სისტემის კვლევა; აქ ობიექტი როგორც სისტემა მოიცავს ურთიერთკავშირში მყოფ სხვადასხვა ელემენტებს, ასევე უფრო მაღალი დონის სხვა სისტემის ნაწილს, რომელშიც გასაანალიზებელი ობიექტი სხვა სისტემებთან განსაზღვრულ ურთიერთკავშირში იმყოფება. ამიტომაც ფღა-ს სისტემურობის მალით ანალიტიკოსს შესაძლებლობა ეძლევა ყოველ შესასწავლ ობიექტში გამოავლინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ხარისხთან, მახასიათებლებთან და ხარჯებთან.

აღნიშნულის გამო ფღა-ს განმახორციელებელი სპეციალისტები უნდა ფლობდნენ აბსტრაქტული აზროვნებისა და განვითარების მაღალი დონის შემოქმედებითი (სამეცნიერო-ტექნიკური) წარმოსახვის უნარს; მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების დროს მათი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური მონაცემები ხელს უწყობს ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღებას.

ფღა-ს ჩატარების შედეგს წარმოადგენს გადაწყვეტილების ალტერნატიული ვარიანტები; ამ ვარიანტებში გათვალისწინებულია (ანუნდა იყოს) ჩაკეთობაზე ერთობლივი დანახარჯების თანაფარდობა საბაზისო ხარჯებთან. აქვე უნდა მივანიშნოთ, რომ საბაზისო ხარჯებად შეიძლება ჩაითვალოს ნაკეთობაზე მინიმალურად შესაძლო ხარჯები.

წარმოების ფაქტორების მიხედვით ხარჯების დაჯგუფება შესაძლებლობას იძლევა გამოვავლინოთ ნაკეთობის ღირებულების შემცირების მიმართულების იერარქიული სტრუქტურა; თვით აღნიშნული მიმართულება მიზანმიწონილია დეტალიზდეს, მოხდეს მათი რანგირება ექსპერტული მეთოდით განსაზღვრული მნიშვნელობის მიხედვით.

ხარჯების ხვედრითი წონის საერთო ხარჯების ფუნქციასა და მისი შესაბამისი ფუნქციების მნიშვნელობის მიკუთვნების გარემოება(ფაქტი) შესაძლებლობას იძლევა გაანგარიშებული იქნეს ფუნქციების მიხედვით ხარჯების კოეფიციენტი. აღნიშ-

წული კოეფიციენტი ოპტიმალურად ითვლება როცა იგი ერთზე ნაკლებია; ხოლო თუ აღნიშნული კოეფიციენტი არსებითად აღემატება ერთს, მაშინ აუცილებელია მოიძებნოს მოცემული ფუნქციის გაიაფების გზები.

ფღა-ს ჩატარების შედეგს წარმოადგენს გადაწყვეტილების ალტერნატიული ვარიანტები, რომელშიც გაითვალისწინება წაკეთობაზე ერთობლივი დანახარჯების (ხარჯების ელემენტების ჯამი) თანაფარდობა საბაზისო დანახარჯებთან. საბაზისოდ შესაძლოა გამოყენებული იქნეს წაკეთობაზე მინიმალურად შესაძლო დანახარჯები. ამ შემთხვევაში სრულად წარმოჩინდება ფღა-ს ეკონომიკური ეფექტიანობა; ის გვიჩვენებს, თუ რა წილს შეადგენს ხარჯების შემცირება მათი მინიმალურად შესაძლო სიდიდის დროს. ამიტომაც, ფღა-ს ეკონომიკურ ეფექტიანობას მიმდინარე ხარჯების შემცირების რანგში განიხილავენ.

ფღა-ს კოეფიციენტს განისაზღვრავენ შემდეგი ფორმულით:

$$K_{ფღა} = \frac{ხ_{რეალ} - ხ_{მინ.შესაძლო}}{ხ_{მინ.შესაძლო}}$$

სადაც:

K ფღა არის ფღა-ს ეკონომიკური ეფექტიანობა (ანუ მიმდინარე ხარჯების ეკონომიკური ეფექტიანობა);

$ხ_{რეალ}$ - რეალურად ჩამოყალიბებული ერთობლივი ხარჯები;

$ხ_{მინ. შესაძლო}$ - დაპროექტებული ნაკეთობის შესაბამისი მინიმალურად შესაძლო ხარჯები.

ფღა განიხილება როგორც პროდუქციის ხარისხის მართვის ინსტრუმენტი; მისი ჩატარების შედეგად უნდა მოხდეს ხარჯების შემცირება სახარგებლო ეფექტის ერთეულზე; ამას აღწევენ:

ნაკეთობის სამომხმარებლო მახასიათებლების ერთდროული ამაღლების გზით მასზე ხარჯების შემცირებასთან ერთად;

- ხარისხის დონის ამაღლების გზით ხარჯების შემცირებით;

- ფუნქციურად აუცილებელ დონემდე ტექნიკური პარამეტრების დასაბუთებული შემცირების გზით ხარჯების შემცირებით;

დღეს მსოფლიო პრაქტიკაში ფღა-ს სამ ძირითად ფორმას იყენებენ:

1. **მაკორექტირებელი ფორმა.** ამ ფორმის გამოყენების მიზანია ზედმეტი ხარჯების გამოელენა; მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი ფუნქციისა და მის უზრუნველყოფაზე გასაწევ ხარჯებს შორის დისპროპორციის განსაზღვრა; ნაკეთობის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის ამაღლება. ფღა-ს ამ ფორმის გამოყენების სფეროა წარმოების სფერო და მიზანი კი ათვისებული და მოქმედი ობიექტების სრულყოფა.
2. **შემოქმედებითი ფორმა.** აღნიშნული ფორმის გამოყენების მიზანია ოპტიმალური ტექნიკური გადაწყვეტილების მოძიება; შესამუშავებელი პროდუქციის (ობიექტის) დამზადებისათვის ზღვრული ნორმატიული დანახარჯების დაწესება. ამ შემთხვევაში ფღა-ს გამოყენების სფეროა პროექტირების სფერო, მიზანი კი - სამეცნიერო-კვლევითი და საორგანიზაციო-საკონსტრუქტორო სამუშაოების სტადიებზე ახალი პროდუქციის პროექტირება.
3. **ინვერსიული ფორმა.** ფღა-ს ამ ფორმის გამოყენების მიზანია ობიექტების გამოყენების უფრო ეფექტიანი პირობების მოძიება, ხოლო გამოყენების სფერო - პროდუქციის გამოყენების ახალი სფეროს მოძიება, პროდუქციის უნიფიკაცია.

ფუნქციურ-ღირებულებითი ანალიზის ჩატარების დროს განსაზღვრავენ პროდუქციის ელემენტების ფუნქციას და ხარჯების შემცირების მიზნით ამ ფუნქციების რეალიზაციაზე საჭირო ხარჯების შეფასებას ახორციელებენ; სხვა სიტყვებით

ფღა მოვალეა ხელი შეუწყოს მაღალი ხარისხის პროდუქციის დამზადებას ან ფუნქციურად ჭარბი ხარჯების ერთდროული დაგროვების ფონზე შემდეგი პრობლემების გადაწყვეტას:

- ძვირადღირებული ნედლეულის ეკონომია;
- პროდუქციის თვითღირებულების შემცირება;
- მაღალი ხარისხის პროდუქციის მიზანდასახული უზრუნველყოფა;
- პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესება;
- «ხარისხი-ფასის» ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა;
- პროდუქციის წამოება და რეალიზაციაზე ხარჯების შემცირების რეზერვების მოძიება;
- პროდუქციის ხარისხის ამაღლების რეზერვების მოძიება.

ფღა-ს ნებისმიერი ფორმით მუშაობის დროს აუცილებელია რამდენიმე ეტაპის ორგანიზება და ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა.

I ეტაპია მოსამზადებელი ეტაპი. ამ ეტაპზე ხდება ფღა-ს დანერგვისთვის ორგანიზაციული წანამძღვრების მომზადება; შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური წინაპირობით ანალიზის ობიექტის განსაზღვრა; ფღა-ს კვლევითი ჯგუფის შერჩევა და დამტკიცება; ობიექტზე ფღა-ს ჩატარების მიზნის, ამოცანის, დამუშავების სიღრმისეული ტექნიკის განსაზღვრა, ფღა-ს მიხედვით სამუშაოს ჩატარების გეგმა-გრაფიკის შემუშავება და დამტკიცება, საწარმოს მიხედვით ფღა-ს ჩატარებაზე განკარგულების გაფორმება.

II ეტაპია საინფორმაციო ეტაპი. ამ ეტაპზე ხორციელდება ობიექტის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, ბოლოს, კი ფღა-ს ობიექტის მოდელის აგება.

III ეტაპი - ანალიტიკური: ამ ეტაპზე ხდება ობიექტის შედგენილობის და ელემენტებს შორის კავშირების განსაზღვრა, მათ შორის ფუნქციების გამოვლენა და ფორმულირება, თვით ამ ფუნქციების კლასიფიკაცია, ობიექტის ფუნქციურ-

სტრუქტურული მოდელის აგება, ფუნქციის შესრულების დონის შეფასება, ობიექტის ფუნქციონალური, პრობლემური და ხარჯვითი დამოკიდებულების განსაზღვრა, ობიექტის სრულყოფის ამოცანის ფორმულირება.

IV ეტაპი - შემოქმედებითი. აქ ხდება ობიექტის სრულყოფისათვის იდეების და ვარიანტების მოძიება; ჩატარებული შემოქმედებითი თათბირის შედეგების დამუშავება და სისტემატიზაცია. მიღებული შეფასებისათვის მასალების მომზადება.

V ეტაპი - გამოკვლევითი. აქ მიმდინარეობს ფუნქციური სამსახურების სპეციალისტებთან ერთად რაციონალური ვარიანტების შეფასება, განსჯა და შერჩევა. მოცემულ ეტაპზე გადაწყვეტილებების ვარიანტების კომერციული შეფასება.

VI ეტაპი - სარეკომენდაციო: საწარმოს შესაბამის სამსახურებთან ერთად წინადადებების განხილვა, ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებების ჩატარება. ფღა-ს კომიტეტის მიერ წარმოდგენილი წინადადებების მიღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. რეკომენდაციის დანერგვის გეგმა-გრაფიკის შედგენა; ბოლოს დამტკიცებული რეკომენდაციების შესაბამისი სამსახურებისათვის გადაცემა.

VII ეტაპი - დანერგვის ეტაპი. ხელმძღვანელობის მიერ დანერგვის გეგმა-გრაფიკის დამტკიცება; დანერგვის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავება და შედგენა. მიღებული შედეგების დანერგვა. მიღებული შედეგების შეფასება.

ფუნქციურ-ღირებულებით ანალიზს გააჩნია როგორც უპირატესობები, ისე ნაკლოვანებები: კერძოდ, უპირატესობაა პროდუქციის ღირებულების უფრო ზუსტი ცოდნა შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ მართებული სტრატეგიული გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:

- პროდუქციის ფასების დაწესება, პროდუქტების ოპტიმალური შერწყმა;

- სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში, პროცესების ავტომატიზაციაში დამოუკიდებლად გააკეთოს შესაძლებლობათა არჩევანი; პროდუქციის შემდგომ წინსვლაში სასურველი პირობების გააზრება.
- ფუნქციურ-ღირებულებით ანალიზის მეთოდი ხელს უწყობს მმართველობითი ფუნქციების ხარისხიანად რეალიზაციას (მეირადღირებული სამეურნეო ოპერაციების ეფექტურობის ამაღლებას); იმ ოპერაციების გამოვლენა და მოცულობების შემცირება, რომლებიც პროდუქციის ღირებულებას არ გაზრდის.

ამასთან, ფუნქციონალურ-ღირებულებით ანალიზს გააჩნია რიგი ნაკლოვანებები:

- ფუნქციების აღწერის პროცესები შეიძლება ზედმეტად დეტალიზირებული აღმოჩნდეს, ხოლო აღრიცხვის მეთოდი ხანდახან ძალზე რთული იყოს, რეალურ პირობებთან მისი ადაპტირება კი გართულებული;
- ფუნქციების მიხედვით დანახარჯების წყაროებზე მონაცემების შეგროვების ეტაპი ხშირად შეუფასებელი ხდება;
- მეთოდის ხარისხიანად რეალიზაციისათვის საჭიროა სპეციალური პროგრამული სამუალებები;
- მოდელში შეტანილი ცვლილებები ორგანიზაციული ცვლილებების სისწრაფეს არ შეესაბამება და ეს კი შეიძლება ფღა-ს დანერგვის ძირითად პრობლემად იქცეს.

პრაქტიკაში ფღა-ს დანერგვის ძირითად პრობლემად შეიძლება წარმოჩინდეს:

1. ფსიქოლოგიური ხასიათის სიძნელეები, რომლებიც ხარჯების მართვის პროგრესული მეთოდების დანერგვის მიმართ მეწარმეების ინტერესის მაღალ დონესა და მოტივაციის დაბალი დონესთან არის დაკავშირებული.

2. ინფორმაციული ხასიათის ცვლილებები, რომლებიც ფღა-ს ჩატარების მეთოდოლოგიური აპარატის განვითარების

სუსტ ხარისხთან, პროგრამული უზრუნველყოფისა და ხარჯების მართვის პროცესის ავტომატიზაციის სამუალებების ნაკლოვანებებთან არის დაკავშირებული.

მაშასადამე, ფღა-ს ზოგავს მასალებისა და შრომის დანახარჯებს, უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის აუცილებელ დონეს და პროდუქციის დამზადებაზე დანახარჯების შემცირებას, იგი ხელს უწყობს საქონლის ფუნქციონალური შესაძლებლობებისა და ფასის ორგანული ერთიანობის შექმნას, ე. ი. მომხმარებლის მოთხოვნაზე საქონლის ფუნქციურ სარგებლიანობას.

თავი 10. პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მმართველობითი ანალიზი

10.1. ბიზნეს-გეგმის მომზადებისა და მონიტორინგის მეთოდები

ფირმის საქმიანობის ანალიზი იწყება ბიზნეს-გეგმის შედგენით; საბაზრო ეკონომიკაში ეს კი სისტემატიურ, საკმაოდ ღრმა და კომპლექსურ მარკეტინგულ კვლევას ნიშნავს.

ფირმის საბაზრო წარმატებების წანამძღვრებია – გეგმებისა და პროგრამების კორექტულობა, მიზნების სიზუსტე და მათი მიღწევის ღონისძიებების დაწვრილებითი ჩამონათვალი, რესურსებით უზრუნველყოფა. ყოველივე ეს აადვილებს საწარმოს საქმიანობის მიმდინარეობისა და შედეგების ანალიზს. ბიზნესს-გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა აღიწეროს მომავალი საწარმოს ძირითადი ასპექტები, გაანალიზდეს ყველა რისკი, რომელსაც შეეძლება შეეჯახოს იგი; განისაზღვროს ამ პრობლემების გადაჭრის ხერხები და, საბოლოო ჯამში გაირკვეს, ღირს თუ არა ჩავდოთ ფული (კაპიტალი) პროექტში და მოიტანს თუ არა იმ შემოსავალს, რომელიც ძალისხმევისა და გაბარჯულ სახსრებს აანაზღაურებს.

ბიზნეს-გეგმას გარკვეული სახის მოთხოვნებს უყენებენ:

1. იგი იყოს ანალიტიკური დოკუმენტი;
2. მან უნდა მოიცვას კანონმდებლობის მონიტორინგი;
3. ბიზნესს-გეგმა უნდა იყოს რეკლამის საშუალება; ის უნდა იყოს გასაგები ენით შედგენილი და ინფორმაციულად ტევადი.

მეწარმე, დამწყები ბიზნესმენი იქნება თუ იგი ბიზნესით დიდი ხნის წინათ დაკავებული, ყოველთვის საჭიროებს თავისი საქმიანობის მასშტაბისა და სფეროს, მისი მიზნებისა და შესაძლო შედეგების ზუსტად განსაზღვრას.

ერთი წლით ან რამდენიმე წლით შედგენილი ბიზნეს-გეგმა არის კომპაქტური დოკუმენტი, რომელიც დასახული მიზნების ურთიერთდაკავშირებული განყოფილებებს და მათი მიღწევის კონკრეტულ ღონისძიებებს მოიცავს. ბიზნეს-გეგმის შედგენა თვით მეწარმის და კომპანიონების, და ასევე შესაძლო ინვესტორების ინტერესებიდან განისაზღვრება, რამდენადაც იგი ბიზნესის გარკვეულ სფეროზე წარმოების ორიენტაციისათვის და საქმიანობის აუცილებელი შედეგის მიღწევის მიზნით წარმართვის შესაძლებლობას იძლევა. ამდენად, შესაძლებელია ჩამოვთვალოთ ბიზნეს-გეგმის მნიშვნელოვანი ასპექტები:

1. მეწარმეობის საფინანსო-ეკონომიკური პირობებისა და შედეგების განსაზღვრა;
2. საბაზრო კონკურენციის პირობებში შესაქმნელი ან უკვე შექმნილი საწარმოს ვრცელი სიცოცხლისუნარიანობის შეფასება;
3. სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე პრაქტიკული მოქმედებისათვის აუცილებელი ორიენტირების გადმოცემა;
4. გარე ინვესტირებისა და საბანკო კრედიტების მიღების მიზნით მნიშვნელოვანი ინფორმაციული ინსტრუმენტი.

ბიზნეს-გეგმის შედგენა საწარმოს შესაძლებლობას აძლევს შეაფასოს თავისი რეალური ძალები, განსჭვრიტოს სიმწვავეებისა და წინაღობების დაძლევის ღონისძიებები, უპასუხოს საქმიანობის ყველაზე არსებით კითხვებს, ერთმანეთს შეუხამოს საშეწარმეო პროექტის ძირითადი ამოცანების სხვადასხვა ვარიანტი. ამასთან, მასში არ უნდა იყოს ბაზრის პირობების საწინააღმდეგო რაიმე მოთხოვნები და დებულებები (გადაწყვეტილებები), რაც შესაძლოა საწარმოსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობის ბარიერად იქცეს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიზნეს-გეგმის შემუშავების საკითხისადმი ორი ძირითადი სახის მიდგომას ვხვდებით:

პირველი მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ ახალი საწარმოს შექმნის დროს, როცა საუბარი მიდის ახალი პროექტის შექმნის თაობაზე, თვით ბიზნეს-გეგმის შედგენის პროცესი მოითხოვს საკითხის უფრო ღრმა დამუშავებას და შეფასებას, რიგი სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტას;

მეორე მიდგომა ეფუძნება იმას, რომ მოქმედი საწარმოსათვის ბიზნეს-გეგმა მუშავდება საქმიანობის სფეროს გაფართოების ან შეცვლის მიმართულებასთან კავშირში, ახალი სახის პროდუქციისა და მომსახურების, ტექნოლოგიის და ა. შ., ახალი სახის წარმოების ათვისების მიზნით.

ბიზნეს-გეგმის შედგენა გულისხმობს გეგმის სტრუქტურის მიხედვით მთელი რიგი სამუშაოების გარკვეული წესის მიხედვით ადეკვატურ თანმიმდევრობას; ამდენად, ბიზნესს-გეგმის შემუშავების ეტაპებია:

1. საჭირო ინფორმაციის წყაროს განსაზღვრა;
2. ინფორმაციის საიმედოობისა და მაჩვენებლების დასაბუთებულობა;
3. შემოთავაზებული მასალის თვალნათლობა;
4. გაფორმების მაღალი ხარისხი;
5. ინვესტორის ინტერესისა და ფსიქოლოგიის განსაზღვრა;
6. ბიზნეს-გეგმის სტრუქტურის განსაზღვრა.

ბიზნეს-გეგმის დონისძიებები უშუალო კავშირში უნდა იყოს საკუთრებითი ურთიერთობის, სამეწარმეო საქმიანობის, ბაზარზე არსებული კონკურენციული ურთიერთობების, ფასწარმოქმნის, დაბეგვრის, აქციონირებისა და პრივატიზაციის, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის, საბაჟო საკითხების, ქვეყანაში არსებული სამეურნეო ცხოვრების სახელმწიფო რეგულირების დონისძიებებთან და ფინანსური მოთხოვნების მარეგულირებელ ძირითად საკანონმდებლო დებულებებთან.

ბიზნეს-გეგმის შედგენა შეუძლია თვით საწარმოს ხელმძღვანელს ფირმის თანამშრომლებისა ან დამოუკიდებელი

ექსპერტების ჩართვით, რაც, საბოლოო ჯამში დოკუმენტის დონეს უეჭველად ამაღლებს. ამასთან, ახალი და/ან დასაპროექტებელი კომპანიის ფორმირების აუცილებელ პირობა წარმოადგენს მის შემადგენლობაში მრჩეველობის, მარკეტინგის, ტექნოლოგიის, არქიტექტორების, საწარმოო მენეჯმენტის, ინჟინრების, სპეციალისტების, ტოპოგრაფების, ეკოლოგების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის სფეროს სპეციალისტების ჩართვა.

ბიზნეს-გეგმის მოცულობა დამოკიდებულია თვით ამ ბიზნეს-გეგმის მიზანზე; თუ ეს გეგმა შიდა-საფირმო განვითარებისკენ არის მიმართული, მაშინ მისი მოცულობა რეგლამენტირებული არ არის. მცირე და საშუალო ინვესტიციის მიღებისათვის ბიზნეს-გეგმა ჩვეულებრივ 20-25 გვერდს შეადგენს, ხოლო ბიზნეს-გეგმა, რომლის მიზანი მსხვილი საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვაა, მისი მოცულობა შეიძლება 50-80 გვერდს მოიცავდეს.

ჩვეულებრივ ბიზნეს-გეგმა შემდეგი დანაყოფებისაგან შედგება:

1. შესავალი
2. ორგანიზაციის (საწარმოს) აღწერა;
3. პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) აღწერა;
4. ბაზრის აღწერა;
5. კონკურენციის დახასიათება;
6. მარკეტინგული გეგმა;
7. წარმოების გეგმა;
8. ფინანსური გეგმა;
9. დანართი.

ბიზნეს-გეგმის მეორე განყოფილებაში მიზანშეწონილია წარმოვადგინოთ საწარმოს შესახებ ძირითადი ინფორმაცია და, კერძოდ: დაფუძნების დრო, ადგილმდებარეობა, საკუთრების ფორმა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი გორმა, საქმიანო-ბის

ძირითადი სახე, საწესდებო კაპიტალის მოცულობა, იურიდიული მისამართი. ასევე შეიძლება აისახოს ამ დროისათვის საწარმოს, მისი მენეჯერების ან მეწარმეების წინ მდგარი მთავარი გარეშოებები და პრობლემები, ბაზარზე არსებული მდგომარეობა და ის პროგრესი, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს (ბაზრის ათვისება-დაპყრობა, ბაზარზე სტაბილიზაცია, მისი განვითარება და ა. შ.).

ბიზნეს-გეგმაში დიდი ყურადღება ექცევა ბაზრის გამოკვლევას და ანალიზს. საბაზრო კვლევები პირველ რიგში პროდუქციის, მომსახურების დღევანდელი და პოტენციური მომხმარებლების გამოვლენისკენ არის მიმართული. აუცილებელია დადგინდეს ის პრიორიტეტები, რომლებითაც ხელმძღვანელობს მომხმარებელი ბაზარზე; კერძოდ ხარისხი, ფასი, მიწოდების დრო და სიზუსტე, მიწოდების საიმედოობა, სერვისული მომსახურება და ა.შ. ხორციელდება ბაზრის სეგმენტაცია, განისაზღვრება საწარმოს პროდუქციის ბაზრის მოცულობა და ტევადობა. აუცილებელია გაანალიზდეს, თუ რამდენად სწრაფად მოსდება ბაზარზე პროდუქციის, მომსახურების დამკვიდრება, და დასაბუთდეს მისი გაფართოების შესაძლებლობა. ამ დროს აუცილებელია შეფასდეს ბაზრის გაფართოებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები; მნიშვნელოვანია წარმოებული საქონლის, მომსახურების კონკურენტუნარიანობაზე შესახებ თვალყურის მიდევნება, სუსტი და ძლიერი მხარეების გამოყოფა და ანალიზი; ასევე, უნდა განისაზღვროს მომხმარებელთა ძირითადი ჯგუფი და შეფასდეს გასაღების სხვა ბაზრების გამოვლენის, ასევე გამოშვებული საქონლის, მომსახურების ნომენკლატურის გაფართოების გზები და შესაძლებლობები. აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ახალი საწარმოს სპეციფიკა, რომელიც შესაძლოა შეიქმნას სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით და საკუთრების სხვადასხვა ფორმებით.

ბიზნეს-გეგმის შემადგენელი ნაწილი - მარკეტინგული გეგმას ემსახურება საბაზრო მოთხოვნების დაკმაყოფილების გზით გაყიდვების გათვალისწინებული მოცულობის მიღწევას და მაქსიმალური მოგების მიღებას. ამასთან, ამ განყოფილებაში დაცული უნდა იქნეს მომხმარებლებზე ზუსტი ორიენტაციის წესი; თუ ბიზნესის ობიექტს წარმოადგენს საწარმო, მაშინ აუცილებელია მისი განვითარების სტრატეგიის შემუშავება. მოცემული სტრატეგიის შემუშავების დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ ახალი საწარმოს ადაპტაციის მიზნით გარემომცველი ვითარების გავლენა ცვალებადი საბაზრო სიტუაციის მიმართ, სასაქონლო, გასაღებითი პოლიტიკის და სერვისული მომსახურების შემცველი მარკეტინგის კომპლექსური შემუშავების გზით.

საწარმოს სასაქონლო პოლიტიკა მთელ რიგ ღონისძიებათა კომპლექსია. ეგი დაკავშირებულია მთელ სასაქონლო გამასთან, როგორც სიერცისეულ, ისე სიღრმისეულ არჩევასთან და მისი განხორციელების სტრატეგიასთან. აქ სიერცობრივ ასპექტად იგულისხმება საქონლის ასორტიმენტული ჯგუფების საერთო რიცხვი, სიღრმისეულ ასპექტად კი თითოეული საქონლის ასორტიმენტულ ჯგუფების ფარგლებში შეთავაზების ვარიანტები.

საწარმოს გასაღებითი პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია მოთხოვნების ფორმირებაზე, გასაღების სტაბილურებაზე, საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე. ეს პოლიტიკა გულისხმობს: სარეკლამო საქმიანობას, შუამავლების, დილერების, აგენტების მეშვეობით კომერციული კავშირების შექმნას და რეგულირებას, ბაზრობებში მონაწილეობას და თვით ბაზრობების ორგანიზაციას, სპეციალურად პოტენციური მომხმარებლებისათვის პროდუქციის პრეზენტაციას და ა.შ.

ბიზნეს-გეგმის შემუშავების დროს აუცილებელია პროდუქციის (მომსახურების) ხარისხის მიღწევის და მისი

კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის კუთხით საკითხის განხილვა.

ბიზნეს-გეგმაში მთავარ როლს თამაშობს ფინანსური გეგმა; სწორედ მასშია წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის ყველა დანაყოფი (განყოფილება) ღირებულებით გამოხატულებაში. ამიტომაც ეს დანაყოფი მოიცავს:

1. მომავლისათვის გათვლილი რეალიზაციის მოცულობის პროგნოზს;
2. ფულადი შემოსავლებისა და შემოსულობების ბალანსს;
3. შემოსავლებისა და ხარჯების ცხრილს;
4. საწარმოს აქტივებისა და პასივების კრებსით ბალანსს;
5. არაწმყობიანობის მიღწევის გრაფიკს.

ბიზნეს-გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ის, რომ იგი უნდა იყოს სტრატეგიულად მომართული; ატარებდეს სამეწარმეო ხასიათს; ერთმანეთთან შეათანაწყოს ფირმის საქმიანობის საწარმოო, ტექნიკური, ფინანსური და საბაზრო ასპექტები.

ამრიგად, ბიზნესს-გეგმა წარმოადგენს ფირმის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის როგორც პერსპექტიული, ისე მიმდინარე დაგეგმვის საფუძველს; იგი ასახავს ფინანსური შედეგების მიღწევის რეალურობას, დახარჯული სამუალებების ამოგებას და დაბრუნებადობას.

10.2. მარაგების ფორმების ანალიზი და კონტროლი

ეკონომიკურ ლიტერატურაში მარაგები წარმოადგენს იმ სახის მატერიალურ რესურსებს, რომელიც საწარმოო ან პირად მოხმარებას ელოდება; ამასთან, იგი არის მატერიალური ნაკადების არსებობის ფორმა, რომელიც გარკვეულ დროში და გარკვეულ ადგილზე არსებობს.

საწარმო თავის საქმიანობაში იყენებს მარაგებს და შესაბამისად, მართავს ამ მატერიალურ რესურსებს. მარაგების მართვა სერიოზულ გავლენას (ზემოქმედებას) ახდენს მთლიანად ორგანიზაციის საქმიანობაზე. ერთი მხრივ, წედლეულის ან მზა პროდუქციის დეფიციტს შეუძლია ზარალთან ან ბაზრის წილის დაკარგვასთან მიგვიყვანოს, მეორე მხრივ მარაგებით საწარმოს საწყობების გადავსებას მივყავართ მათ მორალურ დაძველებასთან, გაფუჭებასთან, საბოლოო ჯამში კი საწარმოს საბრუნავი საშუალებების არაეფექტიან დაბანდებასთან. აქედან გამომდინარე, მარაგების მართვის ძირითადი მიზანია მარაგების უზრუნველყოფის მიზნით საწარმოს ხარჯების მინიმალურ დონეზე შენარჩუნება.

მარაგების მართვის მიმართ ტრადიციული მიდგომა მარაგებს განიხილავს იმ სახის რაოდენობის სახით, რომელიც აუცილებელია განსაზღვრული სამეურნეო ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფისათვის. აღნიშნული პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. მარაგების მოხმარების ხასიათის განსაზღვრა;
2. მარაგების მიწოდების წინასწარი გაანგარიშებების მახასიათებლების და შესაძლო მეთოდური ხერხების შეფასება;
3. მომწოდებლებთან მოწოდების ხასიათის თაობაზე შეთანხმება;
4. მარაგების თითოეული დონის მომხმარებლებისათვის მეთოდიკისა და ინსტრუქციის შემუშავება.

განვიხილოთ მარაგების ფორმირების ანალიზის ამოცანები და მათი რეალიზაციის შედეგები:

1. მარაგების ფორმირების ანალიზის ამოცანაა მარაგების ლიკვიდურობისა და მიმდინარე გადახდისუნარიანობის შენარჩუნება, ასევე მარაგების სტრუქტურის ოპტიმიზაცია. ამ ამოცანის გადაჭრით უმკობესდება მარაგების სტრუქტურა და ჭარბი მარაგების, არალიკვიდური და

დეფიციტური მარაგების გამოვლენის ხარჯზე მცირდება მარაგების მოცულობა, ასევე ხდება დაფინანსების წყაროებზე მარაგების მოთხოვნების შემცირება;

2. მარაგების შემცირების ამოცანაა საწარმოს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება; აღნიშნული ამოცანის რეალიზაციის სარჯზე მაღლდება მყიდველებისა და დამკვეთების მომსახურეობის დონე;
3. მარაგების ანალიზის ამოცანაა, ასევე, ფირმაში მარაგების ფორმირებისა და მის შენარჩუნებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებაში; ამ ამოცანის გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას ნედლეულისა და მასალების უკმარისობით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგი;
4. კონტროლის ეზრუნველყოფა; ამ შემთხვევაში საწარმოში შემოსული (მიღებული) მატერიალური ფასეულობების რაოდენობაზე და ხარისხზე სრული კონტროლის გამო მცირდება მათი დანაკარგის დონე, აღიკვეთება ფასეულობების გამოყენების პროცესში შესაძლო დანაკარგები, გაფუჭება და ა.შ.

საწარმოს მარაგების ფორმირებისათვის აუცილებელი მოცულობის ფინანსური საშუალებების დადგენა ცალკეული სახის მარაგების განსაზღვრის გზით ხდება; ამ მოთხოვნების ჩამოყალიბების პროცესში მარაგები შემდეგი სახის ჯგუფებად წარმოსდგება:

- საწარმოო მარაგები;
- მზა პროდუქციის მარაგები.

მარაგებზე მოთხოვნა ცალ-ცალკე განისაზღვრება ისეთი ჯგუფების მიხედვით, როგორიცაა მიმდინარე შენახვის მარაგები და მიზნობრივი დანიშნულების მარაგები. მიმდინარე შენახვის მარაგები განახლებად მარაგთა ნაწილს წარმოადგენს, რომელიც რეგულარულ საფუძველზე ყალიბდება და წარმოების პროცესში თანაბარზომიერად მოიხმარება. მიზნობრივი დანიშნულების

მარაგების ფორმირება განპირობებულია წარმოების თავისებურებით და მასალების (ნედლეულის) შესყიდვის პროცესით, ასევე მოხმარების სეზონური თავისებურებებით. აუცილებელი მოცულობის გაანგარიშება მარაგის ცალკეული სახეების მიმართ ცალ-ცალკე მიმდინარეობს, ამ შედეგების შეჯამებით განისაზღვროს მარაგების ფორმირებისათვის საჭირო ფინანსურ რესურსებზე საერთო მოთხოვნის შესაძლებლობა იქმნება.

მარაგების მომსახურებაზე გაწეული მიმდინარე დანახარჯების მინიმალიზაცია მარაგების ფორმირების პროცესის ამოცანის ოპტიმალურად გადაწყვეტის რეალური გზაა; თავის მხრივ, საწარმოო მარაგების ხარჯების მინიმიზაცია არსებით როლს თამაშობს ნედლეულის და მასალების მოსაწოდებელი პარტიის სიდიდის განსაზღვრაში; რაც უფრო დიდია მიწოდების პარტიის სიდიდე, მით ნაკლებია შეკვეთის, მიწოდებისა და მიღების კუთხით მიმდინარე დანახარჯები. მათი კონტროლი მარაგების ფორმირებისა და მათი გამოყენების ხელშემწყობი მთელი რიგი მაჩვენებლების განსაზღვრით და მოთხოვნების მინიმუმამდე დაყვანით მიმდინარეობს, ასეთი მაჩვენებლებია:

1. შეკვეთების რაოდენობა წლის განმავლობაში;
2. სადაზღვევო ციკლის ხანგრძლივობა;
3. მოწოდების, დამზადებისა და მიდასაქარხნო გადაზიდვების დროის ხანგრძლივობა;
4. საწარმოში მარაგების შენახვის ხანგრძლივობა;
5. საწყობების და საცავების რაოდენობა.

მარაგების გამოყენებისა და ფორმირების კონტროლის და შემდგომი ანალიზის ხელშემყობი მაჩვენებლებია:

1. შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე;
2. დაზვეული მარაგების ოპტიმალური სიდიდე;
3. მასალების დუბლირება;
4. მარაგების კონტროლი, მათი კვალიფიკაციის დახმარებით;
5. მოწოდების ვადის რეგულირება;

6. შეკვეთის განთავსების ოპტიმალური მოძებნა.

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე განისაზღვრება იმ შეკვეთებით, რომელებზეც გავლენას ახდენს შენახული მარაგების რაოდენობა. თუ ერთდროულად ხდება დიდი რაოდენობის ერთეულების შეკვეთა, მაშინ წლის განმავლობაში ცოტა მცირე რაოდენობის შეკვეთების გაკეთებაა საჭირო, ე.ი. მცირდება შეკვეთის ღირებულება. ამავე დროს, როცა მცირე შეკვეთები კეთდება, საჭიროა საწარმოს ჰქონდეს დიდი საშუალო მარაგი, რასაც მივყავართ მარაგების შენახვის ღირებულების გაზრდასთან. შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე არის შეკვეთილი მარაგების ის რაოდენობა, რომლის დროსაც შეკვეთების მთელი მოცულობისა და მარაგების შენახვის ღირებულება მინიმალური იქნება.

შეკვეთის ყველაზე უფრო ეკონომიური მოცულობის განსაზღვრა გულისხმობს იმ პარტიების მასალების შეკვეთას, რომელნიც სხვა სახის მასალებისგან დამოუკიდებელი არის. მაგრამ მრავალი მასალა, დეტალი და პროდუქტები უშუალოდ კავშირშია სხვა დასახელების მარაგებთან. ამ სახის მასალების, დეტალებისა და ნაკეთობების პარტიის სიდიდე მასთან დაკავშირებული დასახელების შესაკვეთ პარტიებთან უნდა იქნეს კოორდინირებული. ამიტომაც ის ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ნაკეთობის დამზადებისათვის სხვა დასახელების მასალა მინიმალური იქნეს გამოყენებული. მარაგების შენახვაზე დაწახარჯების ეკონომიამ ან საწარმოს საწყობში აუცილებელი მასალების არარსებობამ მეტობით კომპენსირება უნდა გაუკეთოს ეკონომიკური პარტიის სიდიდის ცვლილებებზე დანახარჯების გაზრდას.

მარაგების ყველაზე ეკონომიკური პარტიის განსაზღვრისათვის იყენებენ შემდეგ ფორმულას:

$$N_p = \frac{L_Q}{V_C} \times \frac{24}{R} P_m$$

სადაც:

N_p -ნაკეთობის ერთეულის რაოდენობაა ყველაზე ეკონომიკურ პარტიაში;

I_Q - ერთჯერადი დანახარჯი შეკვეთილ პარტიაზე;

V_c ერთჯერადი დანახარჯი მარაგის ერთეულზე;

R - საცდელი სახით წარმოდგენილი მარაგების შენახვის გაანგარიშებითი კოეფიციენტი;

P_m - ნაკეთობაზე (პროდუქციაზე) წარმოდგენილი ცვლური მოთხოვნა.

პრაქტიკაში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შემდეგი გამარტივებული სახის ფორმულა:

$$Q = \frac{2D_{\text{წელი}} \times O}{H}$$

სადაც

Q – შეკვეთების ერთეულის რაოდენობა;

$2D_{\text{წელი}}$ - ერთეული მასალის საერთო მოთხოვნა პერიოდისათვის;

O – ერთი შეკვეთის შესრულების ღირებულება;

H ერთეული მარაგის შენახვის ღირებულება.

საწარმოს საქმიანობაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით საჭიროა განსაზღვროთ ის მომენტი, როცა აუცილებელია დამატებითი მარაგების (ე.ი. მეორადი შეკვეთა) მიღების თაობაზე განაცხადის გაკეთება; ამ მიზნით აუცილებელია საწარმოს გააჩნდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დრო დაიხარჯება შეკვეთის გაფორმებიდან მარაგების ფაქტიურ მოწოდებამდე. ამ პერიოდს შეკვეთის ციკლს უწოდებენ. გარკვეულ პირობებში მეორადი შეკვეთის დროს შეკვეთის ციკლს მოცემულ პერიოდში მასალების ყოველდღიურ (ყოველკვირეული) დანახარჯებზე დღეების (კვირეების) გაძრავლებით ჰპოულობენ. ნედლეულისა და მასალების განმეორებადი

შეკვეთის მომენტს წარმოადგენს ის დრო, როცა შემდგომ შესყიდვაზე შეკვეთა გაიგზავნება. საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატების მარაგებისათვის შეკვეთის განახლების მომენტად ითვლება ისეთი მომენტი, როცა ნახევარფაბრიკატების მარაგების დონე ქვედანაყოფისათვის შეკვეთის მოცულობის დონესთან შესაბამისობაში იქნება.

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე და მომწოდებელთან დაზღვეული მარაგის სიდიდეზეა დამოკიდებული. ზემოთ მოყვანილი ფორმულები არსებითია წარმოების გარკვეულ პირობებში: კერძოდ, ზუსტი პროგნოზირების დროს, მოწოდების ვადების თავისუფალი გადახედვის დროს, შეკვეთების დუბლირების გამორიცხვის შემთხვევაში, მომხმარებლებთან დაზღვეული მარაგების შენახვის დროს.

მასალების მოწოდების ვადა იგეგმება მოთხოვნის სავარაუდო დონის საფუძველზე. პრაქტიკაში ხშირად ადგილი აქვს მოთხოვნის მოსალოდნელ და ფაქტიურ დონეებს შორის დიდ სხვაობას. დაზღვეული მარაგების მოცულობის შემცირება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა არის იმის შესაძლებლობა, რომ შემცირდეს და/ან დაშორდეს მოწოდების ვადები. ეს ხდება იმ დროს, როცა მოთხოვნის დონე მოსალოდნელთან მაღალი ან დაბალია.

ხშირად ეზა პროდუქციის მარაგები დეტალების და მასალების სრულ მარაგებთან მიმართებაში დუბლირებულია. მარაგების დუბლირება აუცილებლობას არ წარმოადგენს; მარაგის ითითოეული შესაბამისი სახის შესაძლო ზღვრამდე მარაგები შენახული უნდა იყოს წარმოების ცალკეულ მონაკვეთზე. შემდეგ აუცილებელია გაითვალოს ამ მონაკვეთზე მარაგების შემოსვლისა და ხარჯვის მუდმივი დონე და სხვა მონაკვეთებზე მარაგების მოცულობის მინიმალური დონე.

საწარმოში სტანდარტული დეტალების სახეზე ჭრის შესწავლამ შეიძლება მიგვიყვანოს საქონლის ზოგიერთი

ტიპის, ზომის და დასახელების შესაძლო უარყოფამდე. ეს შესაძლებლობას იძლევა გაიზარდოს შეკვეთილი პარტიის მარაგი და შემცირდეს დაზღვეული მარაგების მოცულობა. დუბლირების მეორე სახეს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ მარაგები ორი ან სამი დასახელების სახით ინახება. საწარმოს პრაქტიკაში მარაგების მცირე რაოდენობაზე ყურადღების მიქცევით შეიძლება გაკონტროლდეს მარაგებში მისი კაპიტალდაბანდების უმეტესი ნაწილი.

პრაქტიკაში მსხვილი საწარმოები ინახავენ ათეულ ათასობით სხვადასხვა სახის მარაგებს, ამასთან, ისინი მარაგების არა მხოლოდ მთელ კომპლექსს მართავენ, არამედ მათ ცალკეულ სახეებსაც.

მატერიალურ-საწარმოო მარაგები მნიშვნელობის კატეგორიის მიხედვით იყოფიან, რათა მათი კონტროლის სისტემა გამოიყენონ ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლებისთვის. პრაქტიკაში ცნობილია A, B, C კატეგორიების მიხედვით მარაგების კლასიფიკაცია. მას, ასევე უწოდებენ «ABC ანალიზს». ამ მეთოდის თანახმად, მოცემულ ეტაპზე მარაგების ცალკეული მუხლების მიხედვით აფასებენ შეძენის ერთობლივ ღირებულებას; შემდეგ ისინი თანმიმდევრულად ჯგუფდება შეძენის წლიური ღირებულების შემცირებასთან ერთად. შეძენის წლიურ ღირებულებაში გამოხატული მარაგების პირველი 10% მიეკუთვნება A კატეგორიას, შემდეგი 20% - B კატეგორიას და დანაჩენი 70% - C კატეგორიას.

მარაგების ანალიზის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ თუ მომწოდებელი რომელიღაც პერიოდიდან (რიცხვიდან) ფასების მოსალოდნელ ზრდას აცხადებს, მაშინ შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს, უახლოეს დროს, ფასების გაზრდამდე, მარაგების შესყიდვა დიდი ოდენობით განხორციელდეს. მაღალი ინფლაციის პირობებში საწარმოები იძულებულნი არიან შეინარჩუნონ მარაგები, ვიდრე დაიცვან მარაგების ოპტიმალური ზომა (მოცულობა).

სამეურნეო-საწარმოო პრაქტიკაში მარაგებზე მოთხოვნა ან მათი გამოყენება შესაძლოა არასტაბილური იყოს; ამას გარდა, ჩვეულებრივ არსებობს შეკვეთის განთავსებასა და მარაგების მიწოდებაში რაღაც სახის გაურკვეველობის ხარისხი. ამ გაურკვეველობიდან თავდაცვის მიზნით საწარმოს უნდა გააჩნდეს ნედლეულის, დაუმთავრებელი წარმოებისა და მზა პროდუქციის სარეზერვო მარაგები რომლებიც მომავალ პერიოდში იქნება გამოყენებული.

10.3. თვითღირებულების სააბაზრო პროექტირების მეთოდები

თანამედროვე ბაზრები ძალიან ცვალებადია; ეს მენეჯერებს აიძულებს საწარმოს მართვის დროს გამოიყენონ ახალი მიდგომები, ორიენტაცია აიღონ მომხმარებლის ქცევებზე და მოთხოვნებზე, ასევე შეიმუშაონ დაგეგმვის, ხარჯების მართვის სისტემაში გართიანებული გაზომვის, კონტროლისა და აღრიცხვის ინსტრუმენტები.

დღეს თვითღირებულების რეგულირების დარგში ცნებები «მართვა» და «დაგეგმვა» შეიძლება თანაბარი მნიშვნელობის საკითხად განვიხილოთ. აქედან გამომდინარე თვითღირებულების პროექტირება შეიძლება გამოვყოთ როგორც მისი დაგეგმვის ერთ-ერთი ეტაპი.

თუ წინათ ხარჯების მართვისა და აღრიცხვის ტრადიციული მეთოდები, მაგალითად, სტანდარტ-კოსტინგი, თავისთავს სრულად ამართლებდა, ახლა ისინი თანამედროვე კონკურენტიულ გარემოს არ შეესაბამებიან. დღეს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, წარმოადგენს ინოვაციური პროდუქტების ხარჯების აღრიცხვისა და თვითღირებულების კალკულირების მეთოდოლოგიის შეცვლა.

თანამედროვე ეტაპზე ყველაზე მოწინავე მეთოდს წარმოადგენს თვითღირებულების პროექტირება. მას ეკონომიკურ ლიტერატურაში და სამეურნეო პრაქტიკაში **ტარგეტ-კოსტინგს** წოდებენ. ამ მეთოდის სამშობლოდ ითვლება იაპონია. სწორედ აქ, Toyota -ს კორპორაციაში გამოყენებული იქნა ტარგეტ კოსტინგის სისტემა. აშშ-ს სამრეწველო კორპორაციებშიტარგეტ-კოსტინგის სრულმასშტაბიანი დანერგვა კი მხოლოდ 1980-იანი წლების დაიწყო.

ტარგეტ-კოსტინგის სისტემა არის მართვის ერთიმთლიანი სისტემა. ის საბაზრო სიტუაციასთან შესაბამისობაში ხარჯების შემცირების სტრატეგიას და ახალი პროდუქციის წარმოების დაგეგმვის ფუნქციას, რეალიზაციის, ხარჯების კონტროლის პრევენციულ კონტროლს, ერთიანი მთლიანი თვითღირებულების კალკულირებას ამკვიდრებს.

ტარგეტ-კოსტინგს საფუძველში ჩადებული იდეა მარტივად იმაში მდგომარეობს, რომ იაპონელმა მენეჯერებმა ფასწარმოქმნის ტრადიციული ფორმულის «უცნობი» წევრი უბრალოდ გადმოაბრუნეს, ანუ მათ შეცვალეს ფორმულა:

$$\text{ფასი} = \text{მოგება} + \text{თვითღირებულება}$$

და ტარგეტ-კოსტინგის სტრატეგიაში მოცემული ტოლობა ტრანსფორმირდა შემდეგი სახის ტოლობად:

$$\text{ფასი} - \text{მოგება} = \text{თვითღირებულება}$$

ამ მარტივმა გადაწყვეტილებამ მენეჯერებს შესაძლებლობა მისცა ჯერ კიდევ პროექტირების სტადიაზე მიეღოთ ხარჯების პრევენციული კონტროლის და ეკონომიის შესანიშნავი ინსტრუმენტი.

ფასწარმოქმნის ტრადიციული წესებისგან განსხვავებით ტარგეტ-კოსტინგ სისტემა გულისხმობს წაგებიანობის თვითღირებულების ანგარიშს წინასწარ დადგენილი რეალიზაციის ფასი-

დან გამომდინარე. აღნიშნულ ფასს ადგენენ მარკეტინგული კვლევების დახმარებით, ე.ი. ფაქტიურად აღნიშნული ფასი გვევლინება პროდუქციის ან მომსახურეობის მოსალოდნელ საბაზრო ფასად.

ტარგეტ-კოსტინგის სისტემის თანახმად, მარამ, სანამ ფასი ჩაიდებოდეს მოგების და თვითღირებულების ურთიერთობის სისტემაში, ჯერ დაიწყება პროდუქციის კონცეფცია და მარკეტინგი, დადგინდება მოგება, ამის შემდეგ კი გადადიან თვითღირებულების პროექტირებაზე.

ხარჯების მიზნობრივი შემცირების სიდიდის რაოდენობრივი გამოთვლა სამ ეტაპად ხორციელდება:

1. განსახილველი პროდუქციის ან მომსახურების ერთეულზე (ელემენტზე) რეალიზაციის შესაძლო ფასის განსაზღვრა;
2. პროდუქციის (როგორც ერთეულის, ისე მთლიანის) ერთიანი თვითღირებულების განსაზღვრა;
3. ხარჯების შემცირების აუცილებელი (მთლიანი) სიდიდის განსაზღვრისათვის მთლიანი და სახარჯთაღრიცხვო თვითღირებულების ერთმანეთთან შედარება.

ნაკეთობის (მომსახურების) მიზნობრივი თვითღირებულების განსაზღვრის დროს იმ მოგებას, რომლის მიღებაც ფირმას სურს მოსალოდნელი საბაზრო ფასიდან გამომდინარე ანგარიშობენ. შემდეგ წარმოების პროცესის ყველა მონაწილე - მეწარმეებიდან დაწყებული უბრალო, რიგითი მუშით დამთავრებული, მიზნობრივი თვითღირებულების მქონე შესაბამისი ნაკეთობის დაპროექტებაზე და დამზადებაზე მუშაობს.

ახალი პროდუქტის დამუშავებისადმი მოცემული მეთოდის ინტეგრალური მიდგომა თვითღირებულებასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსის ეტაპობრივ გააზრებას უზრუნველყოფს. მიზნობრივი თვითღირებულებისკენ სწრაფვის დროს მენეჯერები ხშირად არასტანდარტულ გადაწყვეტილებებს

პოულობენ. შესაბამისად, თავის წარმოდგენაში მიზნობრივი თვითღირებულების მუდმივად დაჭერის აუცილებლობა ინჟინრებს უფრო ძვირადღირებული ტექნოლოგიის ან მასალების გამოყენებისგან ზღუდავს, რამდენადაც ამ გარემოებას აუცილებლად მივყევართ მხოლოდ პროდუქტის გადაპროექტირების ახალ დინებასთან.

მაშასადამე, ახალი პროდუქტის ჩაფიქრებიდან დაწყებული მთელი საწარმოო პროცესი ინოვაციურ ხასიათს იღებს, ისე რომ იგი არ გამოდის ადრე დაწესებული ხარჯვითი შეზღუდვების ფარგლებიდან. აქედან გამომდინარე შესაძლებელია გამოვყოთ ტარგეტ-კოსტინგის კონცეფციის მთელი რიგი უპირატესობები: კერძოდ, ინტეგრალური მიდგომით ხორციელდება თვითღირებულების ნაბიჯ-ნაბიჯ გააზრება და მუშაკთა ფსიქოლოგიური განწყობის მომართვა, რის ფონზეც მიიღება არასტანდარტული გადაწყვეტილებები.

იაპონიის საავტომობილო მრეწველობაში მიზნობრივი თვითღირებულება განისაზღვრება არა ცალკეული მოდელისათვის, არამედ ასევე დასაპროექტებელი ავტომობილის ცალკეული ნაწილისათვისაც. დიზაინერები ამუშავებენ საცდელ პროექტს და ცდილობენ გაარკვიონ, ახალი მოდელის ავტომობილის სახარჯთაღრიცხვო თვითღირებულება მიზნობრივი თვითღირებულების ფარგლებში ჯდება თუ არა. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ არ გაჩერება სხვაობა სახარჯთაღრიცხვო და მიზნობრივი თვითღირებულების სიდიდეებს შორის. მხოლოდ ამის შემდეგ სასინჯად ამზადებენ ავტომობილი საცდელ ვარიანტს.

როცა საცდელი პროექტის ბრაგალჯერადი ცვლილებები დამთავრებულია, და სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატება მიზნობრივ თვითღირებულებას, აფორმებენ პროექტის საბოლოო ვარიანტს. წარმოების პირველი თვეების მანძილზე, როგორც წესი, ფაქტიური დანახარჯი რამდენჯერმე

აღმატება მიზნობრივ დანახარჯს, რამდენადაც ეს პროცესი უშუალო კავშირშია ახალი მოდელის ათვისებასთან, მაგრამ შემდგომში, გადახრების მიზეზების გარკვევისა და მათი ლიკვიდაციის შედეგად, ყველაფერი წორმაში ჯდება.

აღნიშნულთან მიმართებაში უნდა ითქვას მივანიშნოთ, რომ ერთი მხრივ, შეუძლებელია ბაზრის მიმდინარე მდგომარეობის და მისი პერსპექტივის ღრმა ანალიზის გარეშე მართებულად განისაზღვროს ნაკეთობის ან მომსახურეობის მიზნობრივი თვითღირებულება, ხოლო, მეორე მხრივ, მიზნობრივ თვითღირებულებასთან შესაბამისობაში სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მოყვანის საკითხი გულისხმობს მენეჯერების დამპროექტებლების მხრიდან მმართველობითი გამოცდილების ქონას, ბუღალტრების მხრიდან კი - ანალიტიკური აზროვნების ფლობას.

დღეს მწარმოებელებში განსაკუთრებული მნიშვნელობას ანიჭებენ განვითარებული ქვეყნებში გამოყენებული შრომის ორგანიზაციის და წარმოების მართვის ფორმებისა და მეთოდების მოწინავე მეთოდებით სარგებლობას. ამასთან კავშირში დიდ მნიშვნელობას იძენს წარმოების მართვა JIT სისტემით, რაც ნიშნავს «ზუსტად ვადაში».

«ზუსტად ვადაში» წარმოების მართვის მეთოდი ემყარება ლოგიკურ კონცეფციას -»არაფერი არ იქნება წარმოებული, სანამ არ წარმოიშვება აუცილებლობა». ასეთი მიდგომა თავის არსში მსხვილ პარტიებად პროდუქციის წარმოებაზე უარის თქმას ნიშნავს. ამ დროს ფაქტია, რომ წარმოების მომარაგება მოთხოვნასთან შესაბამისობაში მცირე პარტიებად ხორციელდება, რის შედეგადაც მატერიალურ-ტექნიკური მარაგების დონის შემცირება მიიღწევა.

ტერმინი «ზუსტად ვადაში» გამოიყენება იმ სამრეწველო სისტემის მიმართ, სადაც წარმოების პროცესში ნაკეთობის და მომწოდებლისგან მოწოდების «ერთმანეთში არევა» დროში

ზუსტად ისეა დაგეგმილი, რომ პროცესის თვითოეულ ეტაპზე დამუშავებისათვის ყოველი შემდეგი პარტია ზუსტად იმ მომენტში მოდის, როცა წინა პარტია დამთავრებულია; სწორედ აქედან წარმოიშვა დასახელება «just - in - time». ყოველივე ამის შედეგად გვაქვს სისტემა, რომელშიც არ არსებობს მოლოდინის რეჟიმში მყოფი ჯასური ერთეულები. ასევე მოცდენილი მუშახელი ან ნაკეთობის დამუშავების მომლოდინე მოწყობილობა.

აღნიშნულ კონცეფციას საფუძვლად უდევს რწმენა და თავდაჯერებულობა იმის თაობაზე, რომ მარაგები წარმოიშვება ცუდი მართვის დროს, მუშაობის ცუდი კოორდინაციის გამო და ამიტომაც პრობლემები სწორედ მარაგებში იმალება; აქედან გამომდინარე საჭიროა გამოიძებნოს ის მიზეზები, რომლებიც იწვევენ მიწოდებასა და მოთხოვნას შორის სხვაობას, უნდა გაუმჯობესდეს ოპერაციების შესრულება, რის შედეგადაც მარაგები გაქრება. ფართო გაგებით JIT სისტემა საწარმოს განიხილავს როგორც იმ პრობლემების ნაკრებს, რომლებიც სამეურნეო ოპერაციის ეფექტურად შესრულებას უშლის ხელს.

მოვლენა «ზუსტად ვადაში» ნიშანდობლივია იმ სახის წარმოებითი სისტემებისთვის, რომლებიც ფუნქციონირებენ მცირე «საწარმოო მარაგებით». იმ კომპანიებს, რომლებიც მოცემულ მეთოდს იყენებენ, ტრადიციული მეთოდებით მოსარგებლე კონკურენტებთან შედარებით მნიშვნელოვანი უპირატესობები გააჩნიათ. დღეს აღიარებულია რომ ზოგიერთ ფირმაში, რომლებმაც დანერგეს JIT სისტემა მარაგები 90%-ით შემცირდა; იმ საწარმოო მოედნების მოცულობა, სადაც საწარმოო-სამეურნეო სამუშაოები მიმდინარეობდა კი 40%-მდე შემცირდა, მომარაგების ხარჯებმა კი 15%-მდე დაიკლო და ა.შ.

თემა 11. შრომითი რესურსების და ხელფასის ფონდის ანალიზი

11.1. შრომითი რესურსების და ხელფასის ფონდის ანალიზის მიზანი

ორგანიზაციის სტაბილური ფუნქციონირება კვალიფიციური კადრების არსებობაზე და არსებული შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაზეა დამოკიდებული. დღეს, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი კომპანიისათვის შრომის ნაყოფიერების ზრდასთან და სამუშაო დროის გამოყენებასთან ერთად აქტუალურია საკადრო პოტენციალის შენარჩუნება, ხელფასისა და სოციალური გადასახდელების ზრდა. აღნიშნულთან კავშირში პრიორიტეტულია შრომითი რესურსების გამოყენების შედეგიანობის ამაღლების, შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯების ოპტიმალური დაგეგმვისა და პროგნოზირებისთვის რეზერვებისა და ფაქტორების მოძიება.

შრომითი რესურსების და ხელფასის ფონდის ანალიზის მიზანი მათი მდგომარეობის, განვითარების და კომპლექსური გამოყენების კომპლექსური შეფასება, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯების ცვლილების ტენდენციის გამოკვლევაა.

შრომითი რესურსების და ხელფასის ფონდის ანალიზის ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

- საწარმოსა და მისი სტრუქტურების, ასევე პროფესიების და მუშაკთა კატეგორიების მიხედვით შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის შესწავლა და შეფასება;
- სამუშაო დროის გამოყენების შეფასება;
- შრომის ნაყოფიერების დონისა და დინამიკის, ასევე მის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების შეფასება;
- შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის შეფასება;

- ხელფასის ფონდის ფორმირებისა და გამოყენების შეფასება;
- შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვებისა და საკადრო პოტენციალის საფუძველზე ფირმის სტაბილური განვითარების რეზერვების მოძიება.

შრომითი რესურსების და ხელფასის ფონდის ანალიზის ჩატარების პროცესში ინფორმაციულ წყაროებად გამოიყენება ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები, მაგალითად, საქართველოს „შრომის კოდექსი"; ორგანიზაციის ლოკალური დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ შრომითი დისციპლინის, შიდაშრომითი განაწესის, შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური წახალისების საკითხებს; ამ რანგის დოკუმენტებია კოლექტიური ხელშეკრულება, დებულება შრომის ანაზღაურებაზე, პრემირებისა და მატერიალური სტიმულირების შესახებ დებულება, საშტატო განაწესი. პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებია სამუშაო დროის და პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე გაანგარიშებების, სამუშაოზე მუშაკის მიღების ბრძანება (განკარგულება), მუშაკის პირადი ბარათი, შვებულებების გრაფიკი და ა.შ.

აღნიშნული დოკუმენტების გვერდით ანალიზის პროცესში გამოიყენებასინთეზურიდაანალიზურიაღრიცხვისრეგისტრები. მასში გაერთიანებულია ხელფასის შესახებ ბარათები და კრებსითი უწყისები, ჟურნალ-ორდერები, ბრუნვათა უწყისები; საბუღალტრო და საგადასახადო ანგარიშები: ბუღალტრული ბალანსი, ფულადი სამუალებების მოძრაობის ამსახველი ანგარიში, ფინანსური პროექტები, საგადასახადო დეკლარაციები, საპენსიო, სოციალური, სამედიცინო დაზღვევის და სხვ. სახის საგადასახადო მონაცემები; სტატისტიკური ანგარიშები: შრომის პირობებისა და მავნე და/ან სახიფათო შრომის პირობების შესახებ მონაცემები, წარმოებაში ტრამვატიზმის და პროფესიული დაავადებების შესახებ, სამუშაო ძალის ორგანიზაციის თაობაზე დანახარჯების მონაცემები.

11.2. შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის ანალიზი

საწარმოს სტაბილური საქმიანობა შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის გარეშე წარმოუდგენელია; ამდენად, აუცილებელია შრომითი რესურსებით ორგანიზაციის უზრუნველყოფის საკითხის შეცნობა და აქ არსებული პრობლემების გადაჭრა.

შრომითი რესურსებით ორგანიზაციის უზრუნველყოფის ანალიზი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

- წლების მანძილზე საშტატო განრიგის შესაწავლა; მუშაკთა ფაქტიური რიცხოვნების გეგმიურთან, ასევე გასულ პერიოდში მუშაკთა რიცხოვნებასთან და რიცხოვნობის ნორმატივებთან შედარება;
- ადმინისტრაციულ-მმართველობითი პერსონალის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე თითოეული მუშაკის განათლების ფაქტიური დონის შესაბამისობის შემოწმება;
- თანამდებობის მიხედვით მუშაკთა ნაკლებობის ან სიჭარბის გამოვლენა;
- მუშაკთა შემადგენლობაში ცვლილებების შესწავლა;
- ორგანიზაციაში სამუშაო ძალის მოძრაობის შესწავლა;
- კადრების მოძიების, მათი მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხის გადაწყვეტა.

შრომითი რესურსებით ორგანიზაციის უზრუნველყოფა განისაზღვრება კატეგორიისა და პროფესიის მიხედვით მუშაკთა ფაქტიური რიცხოვნების გეგმიურ მოთხოვნასთან შედარებით. მოცემულ შემთხვევაში გეგმას წარმოადგენს საშტატო განაწესი, რომელიც წლის პერიოდისათვის დგება.

პრაქტიკიდან გამომდინარე რეკომენდირებულია რომ საწარმოს ადმინისტრაციულ მმართველობითმა პერსონალმა გააკონტროლოს დაკავებულ თანამდებობაზე თვითოეული

მუშაკის განათლების ფაქტიური დონე. აუცილებელია შესწავლილი იქნეს კადრების შერჩევის, მათი მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხები. პერსონალის კვალიფიკაცის დონე ბეჭრადაა დამოკიდებული მათ ასაკზე, მუშაობის სტაჟზე, განათლებაზე და ამიტომაც ანალიზის პროცესში მუშაკთა შემადგენლობაში სწორედ ამ სახის ცვლილებებს სწავლობენ.

სამუშაო ძალის მოძრაობა არის ეკონომიკური საქმიანობის სახეობებს შორის სამუშაო ძალის გადანაწილებით გამოწვეული მუშაკთა რიცხოვნების ცვლილების პროცესი.

სამუშაო ძალის მოძრაობის ანალიზის პროცესში ანგარიშობენ აბსოლუტურ, შეფარდებით და საშუალო მაჩვენებლებს. სამუშაო ძალის მოძრაობის აბსოლუტურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

- მუშაკთა რაოდენობა პერიოდის დასაწყისათვის;
- მუშაკთა რაოდენობა პერიოდის ბოლოსათვის;
- მიღებულ მუშაკთა რიცხვი;
- საწრმოდან წასულ მუშაკთა რიცხვი;
- სიობრივი, გამოცხადებული რიცხვი და ფაქტიურად მომუშავე ადამიანთა რიცხვი.

სიობრივი შემადგენლობა მოიცავს ყველა იმ მუშაკებს, რომელნიც მუდმივ სამუშაოზე მიღებულია ერთზე და მეტი დღით. იგი ახასიათებს განსაზღვრული დროისთვის მუშაკთა სახეზე ყოფნას, მიღებული მუშაკების ჩათვლით და დათხოვნილი მუშაკების გამოკლებით.

სამუშაო ძალის მოძრაობის შეფარდებით მაჩვენებლებს მიეკუთვნება შემდეგი სახის კოეფიციენტები:

- **სამუშაოზე მიღების ბრუნვის კოეფიციენტი** გაიანგარიშება საწარმოში მიღებულ მუშაკთა შეფარდებით მუშაკთა საშუალო-სიობრივ რიცხვთან. აღნიშნული მაჩვენებელი გვიჩვენებს მიღებულ მუშაკთა რიცხვის წილს საერთო-სიობრივ რიცხოვნებაში.

- **სამუშაოდან გაშვების ბრუნვის კოეფიციენტი** გაიანგარიშება საწარმოდან წასულ მუშაკთა რაოდენობის შეფარდებით მუშაკთა სამუალო-სიობრივ რიცხვთან. აღნიშნული მაჩვენებელი საერთო-სიობრივ რიცხოვნობაში საწარმოდან წასულ მუშაკთა რიცხვას წილს გვიჩვენებს.
- **კადრების დენადობის კოეფიციენტი** გამოიხატება მუშაკთა საშუალო-სიობრივ რაოდენობასთან დათხოვილი მუშაკთა რაოდენობის რიცხვის შეფარდებით. იგი გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდში გასული მუშაკების წილს მათ საშუალო-სიობრივ რიცხოვნებაში.
- **შემადგენლობის მუდმივობის კოეფიციენტი** გამოიხატება პერიოდის განმავლობაში სიობრივ შემადგენლობაში მყოფ მუშაკთა რიცხვის შეფარდებით მუშაკთა საშუალო-სიობრივ რაოდენობასთან. იგი გვიჩვენებს პერიოდის განმავლობაში სიობრივ შემადგენლობაში შემავალ მუშაკთა წილს მათ საშუალო-სიობრივ რიცხოვნებაში.
- **საერთო ბრუნვის კოეფიციენტი** წარმოადგენს სამუშაოზე მიღების კოეფიციენტისა და გაშვების კოეფიციენტის არითმეტიკულ ჯამს; იგი გვიჩვენებს მოძრაობაში მყოფ მუშაკთა წილს მათ საერთო-სიობრივ რაოდენობაში.

სამუშაო ძალის მოძრაობის საშუალო მაჩვენებლებს მიკუთვნება განსაზღვრულ პერიოდში საშუალო სიობრივი, საშუალო გამოცხადებადი და ფაქტიურად მომუშავეთა საშუალო რიცხვი.

11.3. შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი

საწარმოს შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს პროდუქციის მოცულობის გაზრდის, წარმოების რენტაბელობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება შრომის ორგანიზაციის დონის და შრომითი პოტენციალის ეფექტურად გამოყენების ეკონომიკურ ანალიზს.

საწარმოს შრომითი პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების ანალიზის პროცესში გადასაწყვეტ ამოცანებს წარმოადგენს:

- შრომის ორგანიზაციის დონის, მისი ნორმირებისა და შრომის ნორმატივის ხარისხის მდგომარეობის შეფასება;
- შრომის პირობების ანალიზი და შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაზე ამ პირობების გავლენის შეფასება;
- შრომის თანაბარზომიერად დაძაბული ნორმებისა და მისი ორგანიზაციის დონის გამოკვლევა;
- შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობისა და შრომის ხარისხის ამაღლების ექსტენსიური და ინტენსიური ფაქტორების გამოვლენა;
- პერსონალის რენტაბელობის შეფასება;
- საწარმოს შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრისკენ მიმართული მმართველობითი გადაწყვეტილებების მომუშავება.

შრომის ორგანიზაციისა და ხარისხის დონის შეფასების ჩატარების მიზნით რეკომენდებულია ატესტაციის შედეგად მიღებული მუშაკთა შეფასების კომპლექსური შეფასების მაჩვენებლებით სარგებლობა. ამ შემთხვევაში ანალიზის მიზანია

შრომითი პოტენციალის ფაქტიურ დონესთან აუცილებელი სიდიდის შესაბამისობის ან შეუსაბამობის გამოვლენა და მისი გამოყენების ხარისხის განსაზღვრა.

პრაქტიკაში გვხვდება ზოგადად შრომითი პოტენციალის კატეგორია, მისი რეალიზაციის საზე და მომცველობა, და ასევე მის მიმართ წარმოების პირობებით განსაზღვრული მოთხოვნა. ამიტომაც მიზანშეწონილია და შესაბამის ეკონომიკურ ლიტერატურაში განიხილავენ მუშაკის (ან მუშაკთა კოლექტივის) შრომითი პოტენციალის (შპ), მისი ფაქტიური გამოყენების (ფ) და წარმოების პირობებით მოთხოვნილი შრომითი პოტენციალის (მშპ) თანაფარდობის ოთხი ვარიანტს.

შრომითი პოტენციალის თანაფარდობის პირველი ვარიანტი:

$$\text{შრომითი პოტენ.(შპ)} = \text{ფაქტ.გამოყენება(ფ)} = \text{მოთხოვნილი პოტენციალი(მშპ)}$$

აღნიშნული თანაფარდობა ადასტურებს იმას, რომ არსებული პოტენციალი, ე.ი. მუშაკთა როგორც სამუშაო ძალის მატარებელთა ყველა შესაძლებლობა, სრულად გამოიყენება და ის წარმოების მოთხოვნებს შეესაბამება.

შრომითი პოტენციალის თანაფარდობის მეორე ვარიანტი:

$$\text{შრომითი პოტენ.(შპ)} > \text{ფაქტ.გამოყენება(ფ)} = \text{მოთხოვნილი პოტენციალი(მშპ)}$$

მოცემული თანაფარდობა ადასტურებს, რომ არსებული პოტენციალი არასრულად გამოიყენება, მაგრამ მისი ფაქტიური გამოყენება წარმოების მოთხოვნებს შეესაბამება. მუშაკთა არსებული რესურსების გამოუყენებლობის შედეგი შეიძლება იყოს მუშაკთა ბრალით სამუშაო დროის ფონდის გამოუყენებლობა, მაღალმწარმოებლურ შრომაზე მათი დაბალი მოტივაცია, პროფესიული ზრდის შესაძლებლობის არარსებობის გამო სამუშაოთი დაუკმაყოფილებლობა, შრომის ინტენსიურობის დაბალი დონე.

შრომითი პოტენციალის თანაფარდობის მესამე ვარიანტი:

$$\text{შრომითი პოტენ.(შპ)} > \text{ფაქტ.გამოყენება(ფ)} < \text{მოთხოვნილი პოტენციალი(მშპ)}$$

აღნიშნული თანაფარდობა ადასტურებს იმას, რომ არსებული გამოუყენებელი შრომითი რესურსები ძალზე დიდი ხდება, ე.ი. არსებული პოტენციალის გამოყენების ფაქტიური დონე იმდენად დაბალია, რომ წარმოება ცოცდილობს და მწვავედ დგას სამუშაო ძალის მოზიდვის არსებული რეზერვების რეალიზაციის პრობლემა.

შრომითი პოტენციალის თანაფარდობის მეოთხე ვარიანტი:

$$\text{შრომითი პოტენ.(შპ)} = \text{ფაქტ.გამოყენება(ფ)} < \text{მოთხოვნილი პოტენციალი(მშპ)}$$

ეს თანაფარდობა ადასტურებს იმას, რომ არსებული შრომითი რესურსების არასრულად გამოყენების მიუხედავად, სამუშაო ძალაზე მოთხოვნები როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივი კუთხით სრულად არ არის დაკმაყოფილებული. აღნიშნული სიტუაციის მიზეზებად გამოდის სამუშაო ძალის არასაკმარისობა, ზენორმატიული სამუშაოების დიდი რიცხვი, მათი შესრულების დაბალი ხარისხი და ა.შ. ასეთ პირობებში მმართველობითი გადაწყვეტილება მიმართული უნდა იქნეს შრომითი პოტენციალის გაზრდისკენ, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შეცვლისკენ.

შრომითი რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება ხარჯებისა და შედეგების შეთანაზომვის დახმარებით ხდება. პერსონალის შერჩევის სისტემის ოპტიმალურობა განაპირობებს მის ეკონომიურობას, ე.ი. მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღწევას. ამდენად დანახარჯების მინიმალიზაცია როგორც ამ სისტემის ეფექტიანობის კრიტერიუმში განხილული უნდა იქნეს შრომითი პოტენციალის კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი

პარამეტრების მიღწევის მიმართ, დასახული მიზნის მიღწევის პირობების დროს პერსონალის შერჩევის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებასთან კავშირში.

პერსონალის შერჩევის მეთოდების მეთოდების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

- პერსონალის შერჩევაზე პირდაპირი და ირიბი დანახარჯების განსაზღვრა;
- პერსონალის შერჩევის ხარისხის შეფასება;
- გაწეული შრომის ერთეულზე დანახარჯების გაანგარიშება;

პერსონალის შერჩევის პირდაპირ დანახარჯებს მიეკუთვნება: სარეკლამო განცხადებებზე და პუბლიკაციებზე, საკონსულტაციო ფირმების, შრომითი მოწყობის სააგენტოების მომსახურებაზე გაწეული ანაბღაურება, გადასახდელი ინტერნეტის სარგებლობაზე. ირიბ დანახარჯებს მიეკუთვნება პერსონალის შერჩევისა და გადარჩევის პროცედურებთან დაკავშირებული ხარჯები; ტესტირების ჩატარების, გარედან მოწვეული სპეციალისტების სამუშაოზე გაწეული ანაზღაურების ჩათვლით, მუშაკთა პირველადი ადაპტაციის ხარჯები, საწარმოო პროცესში მოწაფილეობის მომზადების, გამოსაცდელ ვადაში სწავლებისა და სამუშაოზე გაფორმების, იმ სამსახურების შენახვის ხარჯები, რომელთა ფუნქციებში შედის პერსონალის შერჩევის ორგანიზაცია. თვით ირიბი ხარჯები ნაწილდება შერჩევის პროცედურგაცილილი მუშაკთა რიცხოვნობის პროპორციულად.

პერსონალის შერჩევის ხარისხის მაჩვენებლების გაანგარიშების მიზანშეწონილია მიღებული იქნეს მუშაკთა ატესტაციის ჩატარების დროს; ატესტაცია ტარდება უშუალოდ სამუშაოზე მიღების დროს, გამოსაცდელი დროის შემდეგ ან თანამშრომელთა მუშაობის პერიოდის განმავლობაში. შეფასებითი მაჩვენებლების ნაკრები შესაძლოა სხვადასხვა იყოს და იგი დამოკიდებულია ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკაზე,

მისი ფუნქციონირების პირობებზე. ასევე, მუშაკთა პროფესიული ჯგუფის ხასიათზე. ამასთან, თუ ატესტაცია ტარდება სამუშაოზე მიღების დროს, მაშინ შესაფასებელი მაჩვენებლების ჩაკრები შემდგომ პერიოდში გამოსაყენებლებელი მაჩვენებლისგან შესაძლოა განსხვავდებოდეს, ე.ი. პირველ შემთხვევაში მუშაკის თვისებების (კვალიფიკაცია, პირადი თვისებები, განათლება, პროფესიული ჩვევები, და ა.შ.) შეფასება ხდება, მეორეზე კი - საქმიანობის განსაზღვრულ პერიოდში მათი მუშაობის შედეგების (მუშაობის ხარისხი, ნაყოფიერება, დისციპლინა) შეფასება.

ორგანიზაციის შრომითი პოტენციალის ეფექტიანობის შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონალის რენტაბელობის მაჩვენებელს; იგი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{რპ} = \frac{\text{რეალიზაციიდან მოგება}}{\text{მუშაკთა რაოდენობა}} \times 100\%$$

რამდენადაც გაყიდვებიდან მიღებული მოგება გაყიდვების რენტაბელობაზე, კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტზე და ფუნქციონალური კაპიტალის ჯამზე არის დამოკიდებული, ამდენად, მოცემული მაჩვენებლის ფაქტორული მოდელი შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

$$\frac{\text{მ}}{\text{რ}} = \frac{\text{მ} \times \text{ა} \times \text{კ}}{\text{ა} \times \text{კ} \times \text{რ}}$$

ან

$$\frac{\text{მ}}{\text{რ}} = \frac{\text{მ} \times \text{ა} \times \text{ხპ}}{\text{ხპ} \times \text{კ} \times \text{რ}}$$

სადაც

ა- ამონაგებია, ლარებში;

კ - კაპიტალის საშუალოწლიური ღირებულება, ლარში;

ხპ - სასაქონლო პროდუქციის ღირებულება მოქმედ ფასებში, ლარებში;

მ/რ - პერსონალის რენტაბელობა

მ/ა - გაყიდვების რენტაბელობა

ა/კ - კაპიტალის ბრუნვადობა;

კ/მრ - ერთეულ მუშაკზე შრომის კაპიტალ შეიარაღება;

ა/სპ - ანაზღაურების წილი გამოშვებული პროდუქციის ღირებულებაში

სპ/მრ - ერთეული მუშაკის მიერ პროდუქციის საშუალო-წლიური გამომუშავება;

პირველი მოდელის მიხედვით შესაძლოა განვსაზღვროთ თუ როგორ შეიცვალა გაყიდვებიდან მოგება გაყიდვების რენტაბელობის დონის, კაპიტალის ბრუნვადობის კოეფიციენტის და შრომის კაპიტალშეიარაღების ცვლილების ხარჯზე, ერთ მუშაკზე მიმართებით.

მეორე მოდელი შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს გაყიდვების რენტაბელობის დონის, პროდუქციის საერთო მოცულობაში გამომუშავებისა და შრომის ნაყოფიერების ხვედრითი წონის მიხედვით ხარჯზე.

11.4. სამუშაო დროის გამოყენების ანალიზის მეთოდიკა

ორგანიზაციის შრომითი რესურსების ანალიზი მოიცავს სამუშაო დროის გამოყენების შეფასებას. შრომითი რესურსების გამოყენების სიცხადე შესაძლოა შეფასდეს გასაანალიზებელ პერიოდში გამომუშავებული დღეების და საათების რაოდენობის მიხედვით, ასევე, სამუშაო დროის გამოყენების ხარისხის მიხედვით. ამ სახის ანალიზი ტარდება მუშაკთა თვითოეულ კატეგორიის მიხედვით და მთლიანად ორგანიზაციის მიმართ.

სამუშაო დრო არის კალენდარული დროის ნაწილი, რომელიც იხარჯება პროდუქციის წარმოებაზე და სამუშაოს

შესრულებაზე (მომსახურების გაწევაზე). იგი კაც დღეებში და კაც-საათებში იზომება; მუშაობის კაც-საათი არის ერთი მუშაკის მუშაობის ერთი საათი. გამომუშავებული კაც-დღე კი საბუშაოზე გამოცხადება და ფაქტი, რომ ადამიანი შეუდგა სამუშაოს. სამუშაო დროის ფაქტიურ ხანგრძლივობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი: შრომის ინტენსივობა, სამრეწველო ციკლის ფაზების მოძრაობა, უმუშევრობის დონე.

სამუშაო დროის ანალიზისათვის აწგარიშობენ სამუშაო დროის სამი სახის ფონდს:

1. **კალენდარული ფონდი** ეს არის ერთ მუშაკზე ან მუშაკთა კოლექტივზე მოსული თვის, კვარტლის ან წლის კაც-დღეების რაოდენობა; ის გაინაგარიშება როგორც გამოცხადებების, გამოუცხადებლობის და მოცდენების ჯამი.
2. **ტაბელური ფონდი** ესარის მუშაკთა მიერ გამომუშავებული და ტაბელებში აღრიცხული კაც დღეების რიცხვი; მას ანგარიშობენ როგორც სხვაობას კალენდარულ ფონდსა და დასვენებისა და გამოსასვლელ კაც-დღეების ჯამს შორის.
3. **აღრიცხული კაც-დღეების რიცხვი.** მას ანგარიშობენ როგორც სხვაობას კალენდარულ ფონდსა და დასვენებისა და გამოსასვლელი კაც-დღეების ჯამს შორის. მაქსიმალურად შესაძლო ფონდი - ეს არის მაქსიმალურად შესაძლო დრო, რომელიც შესაძლოა გამომუშავებული იქნეს ორგანიზაციის მუშაკთა მიერ სადღესასწაულო, გამოსასვლელი დღეების, ასევე, ყოველწლიური შვებულებების დღეების გათვალისწინების გარეშე.

ზემოთ ჩამოთვლილი აბსოლუტური მაჩვენებლების საფუძველზე ანგარიშობენ შეფარდებით მაჩვენებლებს; რომლებიც ამა თუ იმ სამუშაო დროის ფონდის გამოყენების ხარისხს ახასიათებენ.

ეკონომიკური ანალიზის პრაქტიკაში სამუშაო დროის

გამოყენების მთელი რიგი განმაზოგადოებელი კერძოდ, შეფარდებითი და საშუალო მაჩვენებლებით სარგებლობენ. მათშეფარდებითი მაჩვენებლებია:

1. **სამუშაო დროის კალენდარული ფონდის გამოყენების კოეფიციენტი.** იგი გვიჩვენებს სამუშაო დროის კალენდარულ ფონდში ფაქტიურად გამომუშავებული დროის წილს. აღნიშნული მაჩვენებელი გაინაგარიშება:

$$\frac{\text{მუშაკთა მიერ ფაქტიურად გამომუშავებული კაც-დღე}}{\text{სამუშაო დროის კალენდარული ფონდი, კაც-დღე}}$$

2. **სამუშაო დროის ტაბელური ფონდის გამოყენების კოეფიციენტი.** იგი გვიჩვენებს სამუშაო დროის ტაბელურ ფონდში ფაქტიურად გამომუშავებული დროის წილს. ეს მაჩვენებელი გაინაგარიშება:

$$\frac{\text{მუშაკთა მიერ ფაქტიურად გამომუშავებული კაც-დღე}}{\text{სამუშაო დროის ტაბელური ფონდი, კაც-დღე}}$$

3. **მაქსიმალურად შესაძლო სამუშაო დროის კალენდარული ფონდის გამოყენების კოეფიციენტი.** იგი მაქსიმალურად შესაძლო სამუშაო დროის კალენდარულ ფონდში ფაქტიურად გამომუშავებულ დროის წილს გვიჩვენებს და გამოითვლება:

$$\frac{\text{მუშაკთა მიერ ფაქტიურად გამომუშავებული კაც-დღე}}{\text{მაქსიმალურად შესაძლო სამუშაო დროის კალენდარული ფონდი, კაც-დღე}}$$

4. **სამუშაო დროის დანაკარგის კოეფიციენტი.** იგი გვიჩვენებს საპატიო და არასაპატიო მიზეზების გამო სამუშაო დროის დანაკარგის წილს. აღნიშნული მაჩვენებელი გაინაგარიშება:

$$\text{მაქსიმალურად შესაძლო სამუშაო დროის კალენდარული ფონდის გამოყენების 100%-იანი კოეფიციენტი}$$

5. **სამუშაო პერიოდის გამოყენების კოეფიციენტი.** იგი გვიჩვენებს სამუშაო პერიოდის გამოყენების ხარისხს. აღნიშნული მაჩვენებელი გამოითვლება:

$$\frac{\text{სამუშაო პერიოდის საშ. ფაქტიური ხანგრძლივობა, დღეები}}{\text{სამუშაო პერიოდის საშ. მაქსიმალურად შესაძლო ხანგრძლივობა, დღეები}}$$

6. **სამუშაო დღის გამოყენების კოეფიციენტი.** იგი გვიჩვენებს სამუშაო დღის გამოყენების ხარისხს. აღნიშნული მაჩვენებელი გაინაგარიშება:

$$\frac{\text{სამუშაო დღის ფაქტიური ხანგრძლივობა, სთ-ი}}{\text{სამუშაო დღის დაწესებული ნორმატიული ხანგრძლივობა, სთ-ი}}$$

სამუშაო დროის გამოყენების სამუალო მაჩვენებლებია:

1. **სამუშაო პერიოდის საშუალო ფაქტიური ხანგრძლივობა.** იგი მუშაკთა მიერ ფაქტიურად გამომუშავებული საშუალო დღეების რიცხვს გვიჩვენებს. აღნიშნული მაჩვენებელი გამოითნაგარიშება:

$$\frac{\text{მუშაკთა მიერ ფაქტიურად გამომუშავებული კაც-დღეები}}{\text{მუშაკთა საშუალო-სიოსწრივი რიცხვი, კაცი}}$$

2. **სამუშაო პერიოდის მაქსიმალურად შესაძლო საშუალო ხანგრძლივობა.** იგი გვიჩვენებს მუშაკთა კოლექტივზე მოსული საშუალო მაქსიმალურად შესაძლო დღეების რიცხვს. აღნიშნული მაჩვენებელი გამოითნაგარიშება:

$$\frac{\text{სამუშაო დროის მაქსიმალურად შესაძლო ფონდი, კაც-დღეები}}{\text{მუშაკთა საშუალო-სიოსწრივი რიცხვი, კაცი}}$$

3. **საშუალო დროის საშუალო ფაქტიური ხანგრძლივობა.** იგი გვიჩვენებს მუშაკთა მიერ ერთი დღის მანძილზე ფაქტიურად გამომუშავებული საშუალო საათების რიცხვს. აღნიშნული მაჩვენებელი გამოითნაგარიშება:

$$\frac{\text{ფაქტიურად გამომუშავებულ, კაც-საათები}}{\text{ფაქტიურად გამომუშავებული კაც-დღეები}}$$

სამუშაო დროის ფონდი საშუალოდ ერთი მუშაკის მიერ გამომუშავებული დღეების რაოდენობაზე და სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული და გამოიანგარიშება ფორმულით:

$$სდფ = მრ \times ხდ \times ხ$$

სადაც

სდფ - სამუშაო დროის ფონდია, კაც-საათები;

მრ - მუშაკთა საშუალოსიობრივი რაოდენობა, კაცი;

დ – ერთი მუშაკის მიერ გამომუშავებული დღეების საშუალო რიცხვი;

ხ - სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლიობა, სთ.

სამუშაო დღის გამოყენების ანალიზის პროცესში სწავლობენ ასევე სამუშაო დღის დანაკარგსაც. ამ მიზნით სამუშაო დღის ყველა დანაკარგი ჯგუფდება მთელდღიურ და ცვლისშიდა დანაკარგის სახეებად. სამუშაო დღის მთელდღიური დანაკარგის სიდიდის და მიზეზების მონაცემები შესაძლოა აღებული იქნეს ტაბელიდან (პირველადი დოკუმენტაცია) ან მთელდღიური დანაკარგის შესახებ ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებიდან.

სამუშაო დღის ცვლისშიდა დანაკარგი შედგება იმ სახის დანაკარგებისგან, რომელებიც ან საწარმოს მუშაკებზეა დამოკიდებული (მაგალითად, სამუშაოს გვიან დაწყება და დროზე ადრე დამთავ რება, პირადი საუბრები, საპატიო მიზეზების გამო მოცდენა, ფარული დანაკარგები), ან არა (მაგალითად, ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, ინსტრუმენტების უქონლობა, საამქროს მოწყობილობის(დანადგარების) რემონტის ლოდინი, სატრანსპორტო საშუალებების ლოდინი და ა.შ.).

სამუშაო დროის დანაკარგების მინიმალიზაცია ყველა ორგანიზაციის მიზანია; ამ მიმართულებით შესამუშავებელი ღონისძიებების მოძიებაში მიზანშეწონილია სამუშაო დროის დანაკარგების გამომწვევი პირობების წარმოჩენა. აუცილებელია საწარმოო პროცესის ელემენტების – შრომის საშუალებების, შრომის საგნების და თვით შრომის ეფექტიანად შეთანაწყობის უზრუნველყოფა. ამის დაცვა სამუშაო დროის დანაკარგის

შემცირების პირობაა. ამ მიზნის მიღწევას ხელს უწყობს სამუშაო ადგილის ორგანიზაციისა და მისი მომსახურების მაღალი დონე, ასევე, იმ სახის ფაქტორების აღმოფხერა, რომლებიც ხელს უშლის სამუშაო დროის ეფექტიანად გამოყენებას. სამუშაო დროის ეფექტურ გამოყენებაზე ნეგატიურ გავლენის ამსახველი ანგარიშებია

- ზეგეგმური, დასასაბუთებელი მთელდღიური გამოუცხადებლობა;
- შრომის დისციპლინის დარღვევის, სამუშაო ადგილების მომსახურების ცუდი ორგანიზაციისა და სხვა დარღვევების შედეგად გამოწვეული ცვლისშიდა მოცდენები და ცვლის დროის არაეფექტურად გამოყენება;
- ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა, გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულებაზე მუშაკების გადართვა, რასაც მივყავართ სამუშაო დროის არამწარმოებლურ დანახარჯებთან;
- წარმოების კალენდარულ-ოპერატიული დაგეგმვისა და აღრიცხვის არ არსებობის გამო წარმოების არარითმული მუშაობა, რასაც წარმოების მმართველში გამოჩენილ ნაკლოვანებებთან და თავისდროული ღონისძიებების მიუღებლობასთან მივყავართ, ყოველივე ეს კი მუშაკთა არათანაბარ დატვირთვას და მათი შრომის მწარმოებლურობის დანაკარგებს იწვევს.

აქ მოყვანილი გარემოებები მიგვანიშნებს იმ შესაძლო გზებზე, რომლთა გავლითაც შესაძლოა საწარმომ ამა თუ იმ ზომით მიაღწიოს სამუშაო დროის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას.

სამუშაო დროის გამოყენების ეფექტურობის ამაღლების მიმართულებებია:

- სამუშაოს შემსრულებლების ოპტიმალური და თანაბარზომიერი დატვირთვის უზრუნველყოფა;
- სამუშაო ადგილის ყველა აუცილებელი კომპონენტებით აღჭურვა და ამ ადგილის რაციონალური გამოყენება;

- უწყვეტი შრომითი პროცესის ყველა პირობებით უზრუნველყოფა;
- შრომის ხერხებისა და მეთოდების სრულყოფა;
- შრომითი დანახარჯების კომპლექსური დასაბუთება;
- შრომის კეთილსასურველი პირობების შექმნა და მომუშავეთა ჯანმრთელობის შენარჩუნება;
- მუშაკთა შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციის რაციონალურად გამოყენება;
- შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისობა მის ანაზღაურებასთან.

ზემოთ აღნიშნულმა პირობებმა შესაძლოა პირდაპირი ან ირიბი გავლენა მოახდინოს სამუშაო დროის გამოყენების ეფექტიანობაზე.

11.5. შრომის ნაყოფიერების ანალიზის ადგილი შრომითი რესურსების ბაზრის ანალიზში

შრომის ნაყოფიერება არის ის მაჩვენებელი, რომელიც დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში პროდუქტის შექმნაზე ან მომსახურების გაწევაზე დასარჯული ცოცხალი შრომის შედეგიანობას და საწარმოო საქმიანობის ეფექტიანობას ახასიათებს. შრომის ნაყოფიერების ზრდა ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის დანერგვის, განათლების და კადრების პროფესიული დონის, მათი ეკონომიკური დაინტერესების ამაღლების საფუძველზე მიიღწევა.

შრომის ნაყოფიერების ანალიზი თავისთავში შემდეგ ძირითად ეტაპებს მოიცავს:

1. შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლების და მათი დინამიკის გაანგარიშება;
2. შრომის ნაყოფიერების ცვლილებებზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის გაანგარიშება;

3. შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოვლენა.

პრაქტიკაში შრომის ნაყოფიერების დონე პროდუქციის მთლიანი გამომუშავებისა და შრომატევადობის მაჩვენებლებით ხასიათდება. პროდუქციის გამომუშავების მაჩვენებელი წარმოების (გაყიდვების) მოცულობასა და შრომის დანახარჯს შორის არსებულ თანაფარდობას ახასიათებს. იგი შრომის დანახარჯის ერთეულზე მოსულ წარმოების (გაყიდვების) მოცულობას გვიჩვენებს.

შრომატევადობის მაჩვენებელი გამომუშავების მაჩვენებლის საპირისპიროა; ის ახასიათებს შრომის დანახარჯსა და წარმოების (გაყიდვების) მოცულობას შორის თანაფარდობას და გვიჩვენებს, თუ რამდენი შრომაა დახარჯული ერთეული პროდუქციის წარმოებაზე.

იმასთან დამოკიდებულებაში, თუ რომელ ერთეულებში გაიზომება შრომის დანახარჯი, ასხვავებენ შრომის ნაყოფიერების შემდეგ დონეებს:

- საშუალო საათობრივი გამომუშავება. ეს არის წარმოების (გაყიდვების) მოცულობასა და საანალიზო პერიოდში გამომუშავებული კაც-საათის რაოდენობას შორის თანაფარდობა. იგი გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის პროდუქციაა წარმოებული ერთი მუშაკის მიერ ფაქტიური მუშაობის ერთი საათის მანძილზე.
- საშუალო დღიური გამომუშავება. ეს არის წარმოების (გაყიდვების) მოცულობასა და საანალიზო პერიოდში გამომუშავებული კაც-დღეების რაოდენობას შორის თანაფარდობა. იგი გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის პროდუქცია არის წარმოებული ერთი მუშაკის მიერ ფაქტიური მუშაობის ერთი დღის მანძილზე.
- საშუალოთვიური გამომუშავება. ეს არის წარმოების (გაყიდვების) მოცულობასა და საწარმოო პერსონალის საშუალოსიობრივ რიცხოვნობას შორის თანფარდობა. იგი

გვიჩვენებს თვის განმავლობაში საშუალოდ ერთ მუშაკზე მოსული წარმოების (გაყიდვების) მოცულობას.

წარმოების (მომსახურების) მოცულობის გაანგარიშების წესის მიხედვით ეკონომიკურ ანალიზში გამოჰყოფენ შრომის ნაყოფიერების გაზომვის სამ მეთოდს:

1. **ნატურალურ-მეთოდი.** იგი გამოიყენება იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ; აღნიშნული მეთოდი ითვალისწინებს შრომის ნაყოფიერების გაანგარიშებას ნატურალურ გამოხატულებაში (წარმოებული პროდუქციის მოცულობის და მუშაკთა სამუშაო-სიობრივი რიცხოვნების თანაფარდობა);

2. **ღირებულებითი მეთოდი.** ის გამოიყენება იმ ორგანიზაციებში, რომლებიც არაერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ; აღნიშნული მეთოდი ითვალისწინებს შრომის ნაყოფიერების გაანგარიშებას ღირებულებით გამოხატულებაში;

3. **შრომითი მეთოდი.** იგი გამოიყენება მაშინ როცა სამუშაო ადგილებზე ხშირად ცვლადი ასორტიმენტის მქონე დიდი რაოდენობის პროდუქცია იწარმოება; აქ გამომუშავება ნორმა-საათებში განისაზღვრება (სამუშაოს მოცულობა გამრავლებული დროის ნორმაზე), მიღებული შედეგი კი პროდუქციის სხვადასხვა სახეების მიხედვით ჯამდება.

შრომის ნაყოფიერების განმაზოგადოებელ მაჩვენებელს წარმოადგენს ერთი მუშაკის მიერ პროდუქციის(მომსახურების) საშუალოწლიური, საშუალოდღიური და საშუალო-საათობრივი გამომუშავება. თვით ამ მაჩვენებლებს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს: ერთი მუშაკის საშუალო-წლიური გამომუშავება საშუალოსაათობრივ გამომუშავებაზე, სამუშაო დღეთა რაოდენობაზე და სამუშაო დღის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული:

$$წგ = დ \times ხ \times სგ$$

სადაც

წგ - ერთი მუშაკის საშუალოწლიური გამომუშავებაა, ლარში;

დ - სამუშაო დღეების რაოდენობა;

ხ - სამუშაო დღის ხანგრძლივობა, საათი;

სგ – საშუალოსაათობრივი გამომუშავება, ლარი.

შრომის ნაყოფიერებაზე ამ ფაქტორების გავლენა ჯაჭვური ჩასმის, აბსოლუტური სხვაობის, შეფარდებითი სხვაობის ან ინტეგრალური მეთოდით განისაზღვრება.

საწარმოს ერთ მუშაკზე მოსული სამუშაოწლიურ გამომუშავებაზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენის ხარისხის შესახებ მონაცემების არსებობის პირობებში შესაძლებელია განისაზღვროს წარმოების მოცულობაზე მათი გავლენის მთლიანი დონე, რისთვისაც თითოეული ამ ფაქტორის გავლენის სიდიდეს მუშაკთა ფაქტიურ საშუალო-სიობრივ რაოდენობაზე ამრავლებენ.

შრომის ნაყოფიერების შემდგომი ანალიზი ერთი მუშაკის საშუალოწლიურ გამომუშავებაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გავლენის დეტალიზაციას ითვალისწინებს. არის მიმართული. აღნიშნული ფაქტორები ინტენსიურ და ექსტენსიურ ჯგუფებად იყოფა. ექსტენსიურს მიეკუთვნება ის ფაქტორები, რომლებიც სამუშაო დროის გამოყენებაზე ახდენს გავლენას, ხოლო ინტენსიურს - ის ფაქტორები, რომლებიც საათობრივ შრომის ნაყოფიერებაზე ახდენს გავლენას.

ექსტენსიური ფაქტორების ანალიზი სამუშაო დროის არაწარმოებითი გამოყენების შედეგად გამოწვეული დანაკარგების გამოვლენისაკენ არის მიმართული. ეს დანაკარგები სამუშაო დროის გეგმიური და ფაქტიური ფონდის შეთანადებით განსაზღვრება. პროდუქციის გამოშვებაზე ამ დანაკარგების გავლენის შედეგები განისაზღვრება მათი რაოდენობის (დღეებში ან საათებში) გამრავლებით ერთი მუშაკის გეგმურ საშუალოდღიურ ან საშუალოსაათობრივ გამომუშავებაზე.

ინტენსიური ფაქტორების ანალიზი ორიენტირებულია იმ ფაქტორების გამოვლენაზე, რომელებიც პროდუქციის შრომატევადობის ცვლილებებთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში შრომის ნაყოფიერების ზრდა პირველ რიგში ხდება შრომატევადობის შემცირების ხარჯზე, კერძოდ კი - მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის, გამომუშავების ნორმების გადასინჯვის და სხვა ღონისძიებების დანერგვის ხარჯზე.

შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების განსაზღვრა ყოველი ორგანიზაციის ანალიტიკური მუშაობის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. აქ უნდა გამოიძებნოს შრომის ნაყოფიერების ამაღლების შემდეგი რეზერვები:

1. წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება - ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, ნაკეთობის თვისებების გაუმჯობესება, ნედლეულის ხარისხის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ამაღლება;

2. წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება - სამუშაო ძალის სრულყოფა, მომსახურების ნორმისა და ზონის ამაღლება, კადრების დეწადობის შეწყვეტას, წარმოების სპეციალიზაციის დონის ამაღლება;

3. ბუნებრივი პირობების შეცვლა - ეკოლოგიური წონასწორობა და მუშაკის მოთხოვნებთან მისი მორგება;

4. წარმოებაში სტრუქტურული ცვლილებები - ცალკეული სახის პროდუქციის წილის ცვლილება, ახალი პროდუქციის ხვედრითი წონის ზრდა, საწარმოო პროგრამის შრომატევადობის შეცვლა და ა.შ.

5. აუცილებელი სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება - საწარმოს, მისი შრომითი კოლექტივისა და მათი ოჯახების მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა.

11.6. ხელფასის ფონდის ფორმირებისა და გამოყენების ანალიზი

ორგანიზაციის შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების დონის ანალიზი აუცილებელად ხელფასთან მჭიდრო კავშირში უნდა იქნეს განხილული. შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად შრომის ანაზღაურების დონის ამაღლების წანაძძღვრები იქმნება. ამასთან, შრომის ანაზღაურების საბსრები იმგვარად უნდა იყოს უნდა იყოს გამოყენებული, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი წინ უსწრებდეს მისი ანაზღაურების ტემპებს.

შრომის ანაზღაურების სახსრების გამოყენების ანალიზის პროცესში უნდა განხორციელდეს ხელფასის ფონდის გამოყენებაზე სისტემატური კონტროლი, გამოვლინდეს შრომის ანაზღაურების სრულყოფისა და ზრდის აუცილებელი რესურსების რეზერვები, და მოხდეს მისი ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვა.

ხელფასის ფონდის შეწადგენლობაში წართულია გამომუშავებული და გამოუმუშავებელი დროის მიხედვით ორგანიზაციის მიერ შრომის ანაზღაურების თანხის დარიცხვა; მასტიმულირებელი დანამატები; მუშაობის რეჟიმთან და შრომის პირობებთან დაკავშირებული საკომპენსაციო დანამატები; ასევე, რეგულარული ხასიათის მქონე გადასახდელები კვებაზე, საცხოვრებელ ბინაზე და საწვავზე.

შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯების ფორმირება მუშაკთა კატეგორიაზეა დამოკიდებული, რამდენადაც მუშაკთა შრომის ანაზღაურება, მეტწილად გაწეული მომსახურების მოცულობის (შრომის სანარდო ანაზღაურების დროს) ან გამომუშავებული დროს (შრომის დროითი ანაზღაურების დროს) მიხედვით არის განმტკიცებული; მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება საშტატო გაწაწესის შესაბამისად დადგენილი თანამდებობრივი განაკვეთის მიხედვით ხორციელდება.

ხელფასის ფონდის გამოყენების ანალიზისას პირველ რიგში აუცილებელია გააწგარიშებული იქნეს გეგმიურიდან ან წინა წლის სიდიდიდან მისი ფაქტიური სიდიდის აბსოლუტური და შეფარდებითი გადახრა.

ხელფასის ფონდის აბსოლუტური გადახრა განისაზღვრება მთლიანად საწარმოს მიხედვით და მუშაკთა კატეგორიების შესაბამისად ფაქტორად გამოყენებული შრომის ანაზღაურების თანხების ხელფასის ფონდის გეგმიურ ფონდთან შედარებით:

$$ხფ_{აბს.\ გადხ.} = ხფ_{ფ} + ხფ_{გეგ}$$

სადაც $ხფ_{ფ}$ და $ხფ_{გეგ.}$ - შესაბამისად, ფაქტიური და გეგმური ხელფასის ფონდია, ლარი.

ხელფასის ფონდის შეფარდებით გადახრას ანგარიშობენ როგორც სხვაობას დარიცხული ხელფასის თანხასა და პროდუქციის წარმოების მიხედვით გეგმის შესრულების კოეფიენტით კორექტირებულ გეგმურ ფონდს შორის:

$$ხფ_{შეფარდ.\ გადხ.} = ხფ_{ფ} + ხფ_{კორექტ.} = ხფ_{ფ} - (ხფ_{ფაქტ.გეგმ.} \times K_{გეგმ.შეს.} + ხფ_{დამატ.\ გეგმ})$$

სადაც:

$ხფ_{კორექტ.}$ - კორექტირებული გეგმური ხელფასის ფონდია, ლარი;

$ხფ_{ფაქტ.გეგმ.}$ $ხფ_{დამატ.გეგმ}$ - შესაბამისად გეგმურად კოორექტირებული და გეგმიურად მუდმივი ხელფასის ფონდია, ლარი;

$K_{გეგმ.შეს.}$ - პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების კოეფიციენტი.

არასამრეწველო ორგანიზაციების პერსონალის და არასიობრივი შემადგენლობის მუშაკთათვის ხელფასის ფონდის ანალიზის დროს მხოლოდ აბსოლუტურ გადახრას განსაზღვრავენ; აქ ხელფასის ფონდი გეგმის შესრულების გათვალისწინებით არ კორექტირდება.

შემდგომი ანალიზის პროცესში საჭიროა განისაზღვროს

ხელფასის ფონდის მიხედვით აბსოლუტური და შეფარდებითი გადახრების ფაქტორები. მეწარმე მუშაკთა ხელფასის ფონდი დამოკიდებულია პროდუქციის წარმოების მოცულობაზე, მის სტრუქტურაზე, ხვედრითი შრომატევადობისა და შრომის საშუალო საათობრივი ანაზღაურების დონეზე. დროითად მომუშავე მუშაკთა ხელფასის ფონდი მათ საშუალო-სიობრივ რაოდენობაზე და დროის შესაბამის პერიოდისათვის საშუალო გამომუშავებაზეა დამოკიდებული. ამას გარდა, დროითად მომუშავე მუშაკთა საშუალოწლიური ხელფასი წლის მანძილზე მუშაკის მიერ საშუალოდ გამომუშავებული დღეების რაოდენობაზე, სამუშაო ცვლის საშუალო ხანგრძლიობაზე და საშუალო-საათობრიე გამომუშაევებაზეა დამოკიდებული.

ხელფასის ფონდისგან აბსოლუტური გადახრის ფაქტორული ანალიზისათვის გამოყენებულია შემდეგი ფორმულები:

$$ხფ = მრ \times წხ,$$

$$ხფ = მრ \times წხ \times დხ,$$

$$ხფ = მრ \times წხ \times მდ \times სხ,$$

სადაც

მრ - მუშაკთა რაოდენობაა;

წხ - ერთი მუშაკის საშუალო-წლიური ხელფასი, ლარი;

რ - საშუალოდ წლის განმავლობაში მუშაკთა მიერ მომუშავებული დღეების რაოდენობა;

ხ - სამუშაო დღის ხანგრძლივობა, სთ.;

დხ - საშუალო დღიური ხელფასი, ლარი

სხ - საშუალო საათობრივი ხელფასი, ლარი

ამ ფაქტორების გავლენის გაანგარიშება შეიძლება ჩატარდეს აბსოლუტური სხვაობის მეთოდით. მუშაკთა საშუალო-სიობრივი რიცხვის ცვლილების ხარჯზე ხელფასის ფონდის ცვლილება გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$ხფ_{მუშ.რაოდ} = (მრ_{ფაქტ} + მრ_{გეგმ.}) \ დ_{გეგმ.} \times ხ_{გეგმ.} + სხ_{გეგმ.}$$

ხელფასის ფონდის ცვლილება ერთი მუშაკის მიერ ნამუშევარი დღეების ცვლილების ხარჯზე გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ხფ}_{\text{დღე}} = \text{მრ}_{\text{წ-ის}}\, \text{რ}(\text{დ}_{\text{წ-ის}} - \text{დ}_{\text{გვ-ნ}}).\text{ხ}_{\text{გვ-ნ}} + \text{რ}\, \text{სხ}_{\text{გვ-ნ}}.$$

ხელფასის ფონდის ცვლილება სამუშაო დღის ხანგრძლივობის ხარჯზე გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ხფ}_{\text{საშ.საათ-ვი ხელფასი}} = \text{მრ}_{\text{წ-ის}}\, \text{დ}_{\text{წ-ის}}\, (\text{ხ}_{\text{წ-ის}} - \text{ხ}_{\text{გვ-ნ}})\, \text{სხ}_{\text{გვ-ნ}}.$$

ხელფასის ფონდის ცვლილება საშუალოსაათობრივი ხელფასის ცვლილების ხარჯზე გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ხფ}_{\text{საშ.საათ-ვი ხელფასი}} = \text{მრ}_{\text{წ-ის}}\, \text{დ}_{\text{წ-ის}}\, \text{დ}_{\text{წ-ნ}}\, (\text{ხ}_{\text{წ-ის}} - \text{ხ}_{\text{გვ-ნ}})$$

ხელფასის ფონდის გამოყენების ანალიზში არსებითი მნიშვნელობა აქვს მუშაკთა საშუალო გამომუშავების, მისი ცვლილებების, ასევე, მისი დონის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ მოსაცემების შესწავლას. ამიტომ, შემდეგი ანალიზი მიმართული უნდა იყოს კატეგორიისა და პროფესიის მიხედვით ერთი მუშაკის საშუალო ხელფასის და, ასევე, მთლიანად ორგანიზაციის მასშტაბით ცვლილების მიზეზების გარკვევისკენ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საშუალო-წლიური ხელფასი დამოკიდებულია წლის მანძილზე ერთი მუშაკის მიერ გამომუშავებული დღეების რაოდენობაზე, სამუშაო დღის ხანგრძლივობაზე და საშუალო-საათობრივ ხელფასზე:

$$\text{წხ} = \text{რ} \times \text{ხ} \times \text{სხ}$$

სადაც

წხ - ერთეული მუშაკის საშუალო წლიური ხელფასია, ლარში;

რ - საშუალოდ წლის განმავლობაში გამომუშავებული დღეების რაოდენობა;

სხ - საშუალო საათობრივი ხელფასი, ლარში;

ანალიზის პროცესში ასევე აუცილებელია დადგინდეს

საშუალო ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს შორის შესაბამისობა. როგორც აღნიშნული იყო, რენტაბელობის აუცილებელი დონის შენარჩუნებისათვის საჭიროა რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპს უსწრებდეს. თუ ეს პრინციპი დაცული არაა, მაშინ ადგილი აქვს ხელფასის ფონდის გადაბარჯვას, პროდუქციის თვითღირებულების მატებას და, შესაბამისად, მოგების შემცირებას. დროის ამა თუ იმ პერიოდისათვის მუშაკის საშუალო გამომუშავების ცვლილება ხასიათდება მისი ინდექსით. იგი განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის საშუალო ხელფასის (სხ1) საბაზისო პერიოდის საშუალო ხელფასთან (სხ0) თანაფარდობით:

$$\text{ი}_{\text{საშ. ხელფასი}} = \frac{\text{სხ}_1}{\text{სხ}_0}$$

ანალოგიურად განისაზღვრება შრომის ნაყოფიერების ინდექსი, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის საშუალო-წლიური გამომუშავების (წგ1) საბაზისო პერიოდის საშუალოწლიურ გამომუშავებასთან(წგ0) თანაფარდობით:

$$\text{ი}_{\text{შრ. ნაყოფიერება}} = \frac{\text{წგ}_1}{\text{წგ}_0}$$

შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდის ტემპების თანაფარდობის შესახებ მსჯელობენ თანაფარდობის (გადასწრება ან ჩამორჩენა) კოეფიციენტის (კთანაფ.) მიხედვით; იგი განისაზღვრება ამ ინდექსებით თანაფარდობით:

$$\text{კ}_{\text{თანაფ.}} = \frac{\text{ი}_{\text{წლიური გამომუშ.}}}{\text{ი}_{\text{საშ. ხელფასი}}}$$

თუ კოეფიციენტი ერთზე მეტია, მაშინ შრომის ნაყოფიერება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ხელფასი. შრომის ნაყოფიერებისა და შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპის თანაფარდობის ცვლილებასთან კავშირში ხელფასის ფონდის

ეკონომიის (-ე) ან გადახარჯვის (+ე) თანხის განსაზღვრისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულა:

$$+ე = \frac{ხფ_ფ \ (ი_{საშ.ხელფ} - ი_{წლიურ. გამომუშ})}{ი_{საშ.ხელფ}}$$

სადაც

$ხფ_ფ$ - ხელფასის ფონდია ფაქტიური;

$ი_{საშ.ხელფ}$ - საშუალო ხელფასის ინდექსი:

$ი_{წლ.გამომუშავება}$ - წლიური გამომუშავების ინდექსი;

ინფლაციის პირობებში საშუალო ხელფასის ზრდის ინდექსის ანალიზის დროს აუცილებელია გავითალისწინოთ ინფლაციის ინდექსი.

თავი 12. წარმოების ტექნიკურ-ორგანიზაციული პირობების და სხვა პირობების ანალიზი

12.1. წარმოების ტექნიკურ-ორგანიზაციული დონის და სხვა პირობების ანალიზის მიზანი და ამოცანები

წარმოების ტექნიკურ-ორგანიზაციული დონე (ტიდ) მართვის ინოვაციური ფორმებისა და მექანიზმების დანერგვაზე, გამოყენების, გამოყენებული მეთოდებისა და ტექნოლოგიების სრულყოფაზეა დამოკიდებული. თანამედროვე პირობებში პროდუქციის ხარისხის და კონკურენტუნარიანობის, ასევე, საწარმოო პროცესების ეფექტიანობის ამაღლება ძირითად შრომის ნაყოფიერების ზრდის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის, მოძველებული მანქანების და მოწყობილობების შეცვლის და მოდერნიზაციის დაჩქარებით, წარმოების კომპლექსური მექანიზაციის და ავტომატიზაციის, შრომის და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საფუძველზე ხდება უზრუნველყოფილი.

წარმოების ტექნიკურ-ორგანიზაციული დონის და სხვა პირობების ანალიზის მიზანი ბიზნესის მდგრადი განვითარებისათვის გამოყენებული მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, შრომის და წარმოების ორგანიზაციის სისტემების, მართვაში გამოყენებული მეთოდების კომპლექსურ შეფასებაში მდგომარეობს.

წარმოების ტექნიკურ-ორგანიზაციული დონის და სხვა პირობების ანალიზის მთავარი ამოცანებია:

+ წარმოების მიღწეული მატერიალურ-ტექნიკური დონისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ მაჩვენებლებზე მისი გავლენის შეფასება;
+ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის და პროგრესიულობის დახასიათება;
+ წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ძირითადი ფონდების კვლავწარმოების ფორმების და მეთოდების სრულყოფისთვის მიღებული მიმართულებების შეფასება;

- წარმოების ტიპ-ის ამაღლების საფუძველზე საბრუნავი კაპიტალის არსებობის, მატერიალური რესურსების გამოყენების ოპტიმალურობის და დანახარჯების მინიმალიზაციის შეფასება;
- საწარმოო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობის ორგანიზებისათვის, ვალდებულებების დაფარვისათვის საკმარისი ფულადი საშუალებების განსაზღვრა;
- ინოვაციური პროდუქტებისა და მეთოდიკის საფუძველზე საწარმოო და მმართველობითი პოტენციალის ზრდის რეზერვების მოძიება.

წარმოების ტექნიკურ-ორგანიზაციული დონის და წარმოების სხვა პირობების ანალიზის დროს ძირითად ინფორმაციულ წყაროებად გამოიყენება ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია. მათ მიეკუთვნება კანონი «მეწარმეთა შესახებ», კანონი სალარო აპარატების გამოყენების შესახებ, დებულება საბურალტრო აღრიცხვის წესის შესახებ და ა.შ. თვით ანალიზის პროცესში გამოიყენება ორგანიზაციის შიდა ნორმატიული დოკუმენტები: წესდება, სადამფუძნებლო ხელშეკრულება, სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობა, კომპანიის განვითარების პროექტები, ხარჯთაღრიცხვები და გეგმები, ლიცენზიები და ა.შ.

ტექნიკურ-ორგანიზაციული დონის, შრომისა და დასვენების ორგანიზაციის პირობების, წარმოებისა და მართვის სისტემის ეფექტიანობის ანალიზის შედეგებს ამტკიცებს სხვა დოკუმენტები (ორგანიზაციის საღრიცხვო პოლიტიკა, პირველადი დოკუმენტები, სინთეზური და ანალიტიკური აღრიცხვის რეესტრები, ბუღალტრული, საგადასახადო, სტატისტიკური ანაგარიშგება). სხვა ინფორმაციის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა ჩატარდეს ორგანიზაციის საწარმოო, ფინანსური, საინვესტიციო, ინოვაციური საქმიანობის დეტალური გამოკვლევა და შემუშავდეს მმართველობითი ღონისძიებების კომპლექსი.

პირველად დოკუმენტებს მიეკუთვნება: საბანკო ამონაწერი,

სალაროს ორდერები, ზედნადებები, შემოსავალში ქონების აღების აქტები, ძირითადი საშუალებების ობიექტების მიღება-ჩაბარების აქტები, ძირითადი საშუალებების აღრიცხვის საინვენტარიზაციო წიგნები და ა.შ.

სინთეტიკური და ანალიტიკური აღრიცხვის რეგისტრები მოიცავს: ე.წ. ბარათებს, ანგარიშგების მიხედვით ჟურნალ-ორდერებს და აღრიცხვის წიგნებს. ანგარიშების მიხედვით შეჯგუფილ ბრუნვათა უწყისებს, ბუღალტრულ ცნობებს.

ანალიზის დროს გამოიყენება ბუღალტრული ანგარიშგების შემდეგი ფორმები: ბუღალტრული ბალანსი, მოგების და ზარალის შესახებ ანგარიშები, კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიში, ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ანგარიშები და ა. შ. საგადასახადო ანგარიშგების ფორმებიდან გამოიყენებასაგადასახადოაღრიცხვისრეესტრები,საგადასახადო ბაზის ანგარიშები და საგადასახადო დეკლარაციები.

12.2. წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის დონის შეფასება და კომპლექსური ანალიზი

საწარმოს ტექნიკურ-ორგანიზაციული დონის ანალიზი მოიცავს ტექნიკის, ტექნოლოგიის, წარმოების და მართვის ორგანიზაციის შესწავლას და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონესთან საწარმოო და მმართველობითი პროცესების შესაბამისობის კომპლექსურ შეფასებას. წარმოების და მართვის სისტემის განვითარების სარისხის ანალიზი შესაძლოა წარმოვიდგინოთ როგორც გაძოსაკვლევ საწარმოში ტექნიკური პროგრესის კონკრეტული გამოვლენის ანალიზი.

ანალიზისათვის გამოიყენება ბიზნეს-გეგმა და ოპერატიულ-ტექნიკური ანგარიშგება, რომლებშიც ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის განვითარებისა და დანერგვის გეგმის შესრულების, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური გამოკვლევების

ჩატარებაზე განეული დანახარჯების, წარმოების და მართვის სრულყოფის ღონისძიებების, საბუღალტრო, საგადასახადო, სტატისტიკური აღრიცხვის და ა.შ. ინფორმაციაა გადმოცემული.

საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ტოდ-ის სრულყოფა მისი რაციონალიზაციის უწყვეტი პროცესი არის, რომელიც მოიცავს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და წარმოების და წარმოებული პროდუქციის სამეცნიერო-ტექნიკურ დონეს, სამეურნეო სისტემის სტრუქტურას, ორგანიზაციის წარმოებისა და შრომის დონეს, მეურნეობრიობის მექანიზმს და მეურნეობრიობის მეთოდებს, მუშაკთა სოციალურ სტატუსს.

მატერიალური წარმოების ნებისმიერ დარგში საწარმოს ტოდ-ის ამაღლება წარმოებითი პროცესის ისეთი ელემენტების გამოყენების ეფექტიანობაში გამოვლინდება, როგორიცაა შრომა, შრომის საშუალებები და საგნები. ამას გარდა საწარმოს რესურსების გამოყენების ხარისხობრივი მაჩვენებლები იმავდროულად ტექნიკურ-ორგანიზაციული დონის ამაღლების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლად გვევლინება.

ფირმის ტოდ-ის განვითარებაზე გავლენას ახდენს ფაქტორთა სამი ჯგუფი:

1. ორგანიზაციულ-მმართველობითი ფაქტორები, რომლებიც საწარმოო და მმართველობითი პროცესის ყველა მხარეზე ზემოქმედების ორგანიზაციულ-განკარგულებით (ადმინისტრაციულ), ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებებს ასახავს;

2. ორგანიზაციულ-საწარმოო ფაქტორები, რომლებიც საწარმოს სპეციალიზაციის და კონცენტრაციის დონეს, საწარმოო პროცესების ორგანიზაციის სისტემას განსაზღვრავს;

3. სამეცნიერო-ტექნიკური ფაქტორები, რომლებიც საწარმოს ტექნოლოგიური მოწყობილობის ტექნიკურ მდგომარეობას, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების დანერგვას, ინოვაციური პროექტების არსებობას და სხვ. გარემოებებს ახასიათებს.

ორგანიზაციის მართვის სისტემის ანალიზის ობიექტებს წარმოადგენს: კორპორაციული და ორგანიზაციული სტრუქტურა; კაპიტალის სტრუქტურა; ხელმძღვანელობის სტრატეგიული გეგმების მიზნები და პრინციპები; ფირმის რეორგანიზაცია ან ცალკეული სახის საქმიანობის ლიკვიდაცია; დაფინანსების (მიმდინარე, თავდაპირველი) წყაროები და მეთოდები; ხელმძღვანელობის მემადგენლობა, საქმიანი რეპუტაცია და პროფესიული გამოცდილება, კადრების დენადობა, ბუღალტერიის, ეკონომიკური და ფინანსური განყოფილებების კადრებით დაკომპლექტება, სტიმულირების ან პრემირების გეგმები, შიდა აუდიტის ქვედანაყოფის არსებობა და მუშაობის ხარისხი და ა.შ.

მეურნე სუბიექტის საწარმოო-ორგანიზაციული და სამეცნიერო-ტექნიკური დონის შესწავლის პროცესში ანალიზს ექვემდებარება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და ეკონომიურობა. ამასთან, მხედველობაში მიიღება მისი სხვადასხვა მახასიათებლები. შეისწავლება წარმოების ტექნიკური დონე - საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, შრომის ტექნიკური და ენერგეტიკული შეიარაღება, მოწყობილობის ასაკობრივი შემადგენლობა, ახალი ტექნიკის ხვედრითი წონა და მისი დანერგვის ეფექტურობა, გამოყენებული ტექნოლოგიის პროგრესულობა. დასასრულს, კეთდება ტექნიკისა და ტექნოლოგიის დონის შეფასება მათი ეკონომიკურობის პოზიციიდან. ასევე ანალიზდება შრომისა და წარმოების ორგანიზაცია, პრო-ცესებისა და ოპერაციების მართვის ეფექტიანობა. წარმოების ორგანიზაციის დონის შეფასების მიზნით მხედველობაში მიიღება მისი სპეციალიზაცია, ნაკადურობა, ახალი სახის პროდუქციის ათვისების დრო, საწარმოო ციკლის შემცირების დრო და წარმოების მომსახურების დანახარჯების მინიმალიზაცია.

ანალიზის მიმართულებების მიხედვით გამოიყენება ანალიტიკური მაჩვენებლების მთელი კომპლექსი (იხ. ცხრილი 12.2-1).

ცხრილი 12.2-1.

წარმოების და მართვის ტექნიკურ-ორგანიზაციული დონის შეფასების მირითადი მაჩვენებლების სისტემა

რიგითი N	მაჩვენებელთა ჯგუფი	მაჩვენებლები
1	მართვის სისტემის ეფექტიანობის მაჩვენებლები	- პროდუქციის გამოშვების მოცულობა საწარმოო და მმართველობითი აპარატის რიცხვი - საანგარიშო პერიოდის და გასული წლების წმინდა მოგება - დივიდენდების სიდიდე - გაყიდვების რენტაბელობა - მმართველობითი პატენტების წილი - საგადასახადო დავალიანების წილი - საკარიბო საწყობების ჯამი - ეკონომიკური გავითარების მდგრადობის კოეფიციენტი
2	სოციალური განვითარების მაჩვენებლების	- პერსონალის საშუალო თვიური ხელფასი სოციალური პაკეტის ხარისხობრივ შემადგენლობა - პრემიის, მასტიმულირებელი გადახდების მოცულობა - მატერიალური დახმარების მოცულობა - სხვადასხვა სახის დაზღვევების მოცულობა
3	წარმოების ორგანიზაციის დონის მაჩვენებლები	- საწარმოო სიმძლავრე - საწარმოო სიმძლავრის ვამოყენების კოეფიციენტი - წარმოების სპეციალიზაციის დონე ცალკეული ქვედანაყოფების პროდუქციის წილი გამოშვების საერთო მოცულობაში - ნაკლული ხარისხზე დაყენებული მოწყობილობის წილი - ერთ სამუშაო ადგილზე ოპერაციების რიცხვი - წარმოების კონცენტრაციის დონე - წარმოების რიტმულობა, თანაბარზომიერება - საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა - მუშაობის ურყვეტი რეჟიმის კოეფიციენტი - პროპორციულობის კოეფიციენტი
4	შრომის ორგანიზაციის დონის მაჩვენებლები	- შრომის დანაწილების კოეფიციენტი - სამუშაო ადგილების ორგანიზაციის კოეფიციენტი - ნორმების დასაბუთების კოეფიციენტი - პერსონალის კვალიფიკაციის დონე - კადრების მუდმივობის კოეფიციენტი - შრომის ნაყოფიერება პერსონალის ასაკობრივი შემადგენლობა - კადრების დუნადობის კოეფიციენტი - სამუშაო დროის დანაკარგის კოეფიციენტი - პროფილური განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი

5	წარმოების ტექნიკის დონის მაჩვენებლები	- ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება - ძირითადი ფონდების აქტიური და პასიური ნაწილების წილი - მოწყობილობის ასაკობრივი შეხადგენლობა - შეცვლის კოეფიციენტი - განახლებული და მოდერნიზირებული მოწყობილობის ერთეულთა რაოდენობა - ცვლის კოეფიციენტი - განახლების კოეფიციენტი - შრომის ფონდმეიარაღება - წარმოების რენტაბელობა - წარმოების ფონდეუკუგება - წარმოების მექანიზაციის დონე - წარმოების ავტომატიზაციის დონე
6	წარმოების ტექნოლოგიის დონის მაჩვენებლები	- პროგრესიული მოწყობილობის წილი - შრომის ენერგოშეიარაღება - წარმოების ტექნოლოგიური აღჭურვის კოეფიციენტები - სრულყოფილი და წონის მიხედვით პროდუქციის სტრუქტურა - წარმოებაში მასალების გამოყენების მაჩვენებლები - მატერიალური დანახარჯების წილი თვითღირებულებაში - ტექნოლოგიური წესის ხვედრითი წილი - ტექნოლოგიური აღჭურვის ეფექტიანობის კოეფიციენტები - მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტები - მოწყობილობის ინტენსიური და ექსტენსიური გამოყენების კოეფიციენტები

როგორც წესი, წარმოებისა და მართვის ტოდ-ის ანალიზი კომპლექსურ ხასიათს ატარებს და ორგანიზაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ყველა მონაკვეთს ასევე. რესურსების მოხმარების მდგომარეობის და ეფექტიანობის შეფასებას მოიცავს.

ანალიზს დაქვემდებარებულ წარმოებისა და შრომის სხვა პირობებს მიეკუთვნება კომერციული ორგანიზაციების საგარეო-ეკონომიკური კავშირები, სოციალური პირობები და ადამიანური ფაქტორის გამოყენება, ეკოლოგიური პირობები, ზუნებათსარგებლობის რაციონალურობა, ძირითადი საშუალებებით, ფულადი საშუალებებით და მატერიალური რესურსებით ორგანიზაციის უზრუნველყოფილება, საანგარიშგებო-საგადასახდელო დისციპლინის მდგომარეობა და ა.შ.

12.3. ძირითადი ფონდების ანალიზის მეთოდიკა

ორგანიზაციის ტექნიკურ-ორგანიზაციული დონისა და ტექნიკური აღჭურვის შეფასება მოიცავს ძირითადი საშუალებების შემადგენლობის, სტრუქტურის, მოძრაობის და გამოყენების ეფექტიანობის შეფასებას. ამასთან, ძირითადი საშუალებების შემადგენლობა ახასიათებს მისი წაწილების, ე.ი. სტრუქტურას შინაგან თანაფარდობას. ძირითადი საშუალებების მოძრაობა კი გულისხმობს საწარმოში მათ შემოსვლას, გასვლას, ცვეთას, შეცვლას, ვანახლებას, ღირებულების გაზრდას ან შემცირებას.

ძირითადი ფონდების ანალიზის პროცესში იყენებენ მოცემული საშუალებების მაჩვენებლის დაჯგუფებას დანიშნულების, მიკუთვნების, წარმოების მიმართ და შესრულებული ფუნქციების მიხედვით.

დანიშნულების მიხედვით ძირითადი საშუალებები იყოფა შენობებად, წაგებობებად, მოწყობილობებად, მანქანებად და მოწყობილობებად, მექანიზმებად, გადამცემ მოწყობილობად, სატრანსპორტო საშუალებებად, ინსტრუმენტებად, საწარმოო და სამეურნეო ინვენტარად და ა.შ. **მიკუთვნების მიხედვით** მათ ჰყოფენ საკუთარ, არენდირებულ და უსასყიდლოდ მიღებულ საშუალებებად. ანალიზის პროცესში სწავლობენ ძირითადი საშუალებების როგორც საერთო მდგომარეობას, ისე შესაბამისი ჯგუფების მიხედვით მათ ცვლილებას, რაც შესაძლებლობას იძლევა გამოვავლინოთ შრომის საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაციის ეფექტურობა.

წარმოების მიმართ დამოკიდებულების მიხედვით ძირითადი საშუალებები იყოფა საწარმოო და არასაწარმოო საშუალებებად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ის ობიექტები, რომელთა გამოყენება მიმართულია მოგების როგორც ორგანიზაციის ძირითადი მიზნის სისტემატურ მიღებაზე. ისინი მუდმივად, ნაწილ-ნაწილ გადასცემენ თავიანთ ღირებულებას წარმოების ან მიმოქცევის ხარჯებს. მეორე ჯგუფის ობიექტები

(საბინაო-კომუნალური მეურნეობის ძირითადი საშუალებები, მეცნიერების, კულტურის, ჯანდაცვის, სტადიონების, საბავშვო ბაღების და მისთ. დაწესებულებები) საწარმოს მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის გამოიყენება.

ფუნქციების შესრულების მიხედვით გამოყოფენ ძირითადი საშუალებების **აქტიურ** და **პასიურ** ნაწილებს. აქტიურ ნაწილს მიეკუთვნება მანქანები და მექანიზმები, მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, ე.ი. ის ძირითადი საშუალებები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საწარმოო-სავაჭრო პროცესებში. ძირითადი წარმოებითი ფონდების აქტიური ნაწილის წილი მათ საერთო ღირებულებაში წარმოების ტექნიკურ დონეს და მართვის სისტემას ახასიათებს; პასიური ძირითადი საშუალებები აქტიური ძირითადი საშუალებების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველმყოფ შენობებს, ნაგებობებს, გადამცემ მოწყობილობას (მათ, შორის ელექტროგადაცემის ხაზები) მოიცავს.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (ბასს-ი) მიხედვით, ძირითადი საშუალება არის მატერიალური აქტივი, რომელიც:

+ საწარმოს განკარგულებაში იმყოფება და საქონლის საწარმოებლად ან მომსახურეობის გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის გამოიყენება და
+ ერთ (1) საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ვადით გამოსაყენებლად არის გათვალისწინებული.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს-ი) ძირითად საშუალებებად აღიარებს იმ სახის საშუალებებს, რომლებიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს(მოთხოვნებს):

1. საწარმო ამ აქტივის გამოყენებით ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და

2. აქტივების ღირებულების საიმედო შეფასება საწარმოში შესაძლებელია.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად გარკვეული პირობების დაცვის შემთხვევაში ძირითადი საშუალებები ძირითად ფონდებად განიხილება. ის შრომის საგნები, რომელთა წარმოებაში (მომსახურეობაში) გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია, ხოლო მათი ღირებულება 1000 ლარზე მეტს შეადგენს ძირითად ფონდებს წარმოადგენს. ხოლო ის შრომის სამუალებები, რომელთა გამოყენების ვადა ერთწელზე ნაკლებია, ხოლო მათი ღირებულება 1000 ლარზე ნაკლებს შედგენს, ძირითად ფონდებს არ წარმოადგენს და მათ მცირეფასიან და სწრაფცვეთად საგნებად მოიხსენიებენ.

ძირითადი საშუალებების სტრუქტურის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს მათი შედგენილობა საწარმოო პროცესში გამოყენების ხარისხის კუთხით; ამ მიზნით საწარმოს ქონების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი ტარდება.

ჰორიზონტალური ანალიზი ითვალისწინებს ერთი ან რამდენიმე ანალიტიკური ცხრილის აგებას, სადაც აბსოლუტური მაჩვენებლები ზრდის (შემცირების) შეფარდებითი ტემპებით ივსება. აქ, ჩვეულებრივ რამდენიმე პერიოდში ზრდის საბაზისო ტემპები გამოიყენება. ჰორიზონტალური ანალიზის მიზანი ისაა, რომ დროის განსაზღვრულ პერიოდში გამოვავლინოთ ძირითადი საშუალებების სხვადასხვა ჯგუფის მაჩვენებლების სიდიდის აბსოლუტური და შეფარდებითი ცვლილებები, გადმოვცეთ ამ ცვლილებების შეფასება. თავის მხრივ, ვერტიკალური ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გავიანგარიშოთ ძირითადი საშუალებების ცალკეული სახეების ხვედრითი წონა შედეგში და შევაფასოთ მათი დინამიკა, რათა გამოვავლინოთ და პროგნოზირება გავუკეთოთ სტრუქტურულ ცვლილებებს.

ძირითადი საშუალებების მოძრაობას უწოდებენ პროცესს, რომელიც ახასიათებს მათი მოცულობის და სრუქტურის ცვლილებას საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე საწარმოში მათ შემოსვლასთან და გასვლასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების სახეზე ყოფნის და მოძრაობის მაჩვენებლები საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის შეფასებისათვის მთავარ ინფორმაციად გვევლინება.

საწარმოს ძირითადი საშუალებების მოძრაობის ანალიზი საბალანსო მოდელის საფუძველზე ტარდება; ამ შემთხვევაში ძირითადი საშუალებების ნაშთი პერიოდის ბოლოს ($F_ბ$) საბალანსო ტოლობის ფორმულით გაინგარიშება:

$$F_ბ = F_დ + F_შ - F_ს$$

სადაც

$F_დ$ - ძირითადი საშუალებები პერიოდის დასაწყისისათვის;

$F_შ$ - საანგარიშგებო პერიოდში შემოსული ძირითადი საშუალებები;

$F_ს$ – საანგარიშგებო პერიოდში გასული ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებების ანალიზი დამატებითი შეფარდებითი კოეფიციენტების გაანგარიშებასაც მოიცავს. ისინი იყოფა ორ ჯგუფად:

1. ძირითადი კაპიტალის მოძრაობის და ტექნიკური მდგომარეობის კოეფიციენტებად;

2. ძირითადი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტებად.

ორგანიზაციის ძირითადი საშუალებების მოძრაობისა და მდგომარეობის ამსახველი კოეფიციენტები მოყვანილია ცხრილში (იხ. ცხრილი 12.3-1).

ცხრილი 12.3-1.

ძირითადი საშუალებების მდგომარეობის და მოძრაობის კოეფიციენტები

ძირ. საშ-ების ლიკვიდურობის კოეფიციენტი	ლიკვიდური ძირ.საშ-ების ღირებულება / ძირ.საშ-ის პერიოდ. დასაწ.	ასახავს ლიკვიდური ძირ.საშ-ების წილის საწყის სიდიდესთან მიმართებაში, ახასიათებს წარ-ის ტექ. დონეს და ქონებ.ის გამოყენების ეფექტიანობას
ტექნიკური მდგომარეობის მაჩვენებლები		
ცვეთის კოეფიციენტი	ძირ.საშ.ამორტიზაციის თანხა / ძირ.საშ. ღირ-ა	ახასიათებს ძირ.საშ-ების ცვეთადობის ხარისხს
ვარგისიანობის კოეფიციენტი	1- ცვეთის კოეფიციენტი	ახასიათებს სამეურნეო საქმიანობაში შესაძლო გამოსაყენებელი ძირ. საშ-ის წილს
ფონდუკუთვნება	ამონაგები / ძირ.საშ. საშ ღ წლიური ღირ-ა	ასახავს ერთეულ ძირ.საშ-ზე გაკეთების მოცულობას, რა ამონაგები გააჩნია ორგანიზაციას მათი ღირ-ის გამოყენებისგან
ფონდტევადობა	ძირ.საშ. საშ-ო წლიური ღირ-ა / ამონაგები	ასახავს ერთეულ გაკეთებაზე მოსული ძირ.საშ-ის მოცულობას, ე.ი. ახასიათებს: საწარმოო სიმძლავრეს. მაჩ-ებ, მას ძირ.საშ-ის მიმაგრების კოეფიციენტსაც კი ეძახიან
ამორტიზაცია-ტევადობა	ჯამ. პერ-ში დარიცხული ამორტიზაციის თანხა / ამონაგები	გვიჩვენებს ერთეულ გაკეთებაზე მოსული (გამოშვებულ პროდუქციაზე) ძირ. საშ-ის დარიცხული ცვეთის სიდიდეს
ფონდალჭურვა	ძირ.საშ. საშ-ო წლიური ღირ-ა / მუშაკთა საშ. სათვრივი რიცხვი	გვიჩვენებს ძირ. საშ-ით ფირმის ყველა პერსონალის აღჭურვის დონეს და ახასიათებს ორგანიზაციის ქონებრივ პოტენციალს
ფონდშეიარაღება	ძირ.საშ-ის აქტიური ნაწ-ი / საწარმოო მუშაკთა საშ. სათვრივი რიცხვი	ასახავს ერთ მუშაკზე მოსული ძირ. სა შ-ის ღირ-ებას. მაჩვენებლის ზრდას მივყავართ შრომის წაყოფიერების ამაღლებასთან
ფონდ რენტაბელობა	წმინდა მოგება / ძირ. საშ-ის საშუალოწლიური ღირ-ბა	ასახავს ერთეულ გამოყენებული ძირ. საშ-ის ღირებულებიდან მიღებულ მოგების პიდიდე

ძარღვებელი	გაანგარიშების ფორმულა	მაჩვენებლის ეკონომიკური შინაარსი
მოძრაობის მაჩვენებლები		
ბ.მოსვლის (განახლების) კოეფიციენტი	მემოსული ძირ.საშ. ღირებ. ძირ.საშ. ღირ-ბა პერ. ბოლ-ს.	ახასიათებს შეძენილი ძირ. საშ-ების წილს ძირითადი კაპიტალის საერთო ღირ-ში წლის ბოლოს, ასევე მის განახლების ხარისხს
უსვლის კოეფიციენტი	გასული ძირ.საშ. ღირებ. ძირ.საშ. ღირ-ბა პერ.დასაწ.	ახასიათებს გასული ძირ. საშ-ების წილის ძირითადი კაპიტალის საერთო ღირ-ში წლის დასაწყისში
ძირ.საშ-ების მოქმედებაში მემოსვლის კოეფიციენტი	ექსპლოატაციაში ჯდომაშესული ძირ. საშ-ები / ძირ.საშ. ღირ-ბა პერ. ბოლოს.	ახასიათებს ექსპლოატაციაში ჯდომაშესული ძირ. საშ-ების წილს ძირითადი კაპიტალის საერთო ღირ-ში წლის ბოლოს,
ძირ. საშ-ების მემოსვლის (ღირებულების) ზრდის ტემპი	მემოსული ძირ.საშ. ღირებ. - გასული ძირ.საშ. ღირებ. / ძირ.საშ. ღირ-ა პერ. ბოლ-ს.	გვიჩვენებს პერ.დასაწ-ისის ძირ. საშ-ების ღირ-ში რა ოდენობის წილი არის მიმართული პერიოდის განმავლობაში გასული ძირ. საშ-ების დასაფარად.
შევსების კოეფიციენტი	შემოსული ძირ.საშ. ღირებ. / გასული ძირ.საშ. ღირებ-ა	გვიჩვენებს მოქმედებაში ახლად შესულის წილს, რომელიც გასულის შეცვლაზე მიმართულის არის მიმართული.
განახლების ინტენსიობის კოეფიციენტი	გასული ძირ.საშ. ღირებ. / შესული ძირ.საშ. ღირ-ა	გვიჩვენებს მოქმედებაში ახლად შესული ობიექტის ერთეულზე გასული საშუალებების სიდიდეს, ე.ი. ახალადშესული ობიექტების გამო გასული მოძველებული ობიექტების დონეს.
განახლების მასშტაბურობის კოეფიციენტი	მიღებული ძირ.საშ. ღირებ. / ძირ.საშ. ღირ-ა წლის დას.	ასახავს ახალი ძირ.ფონდების წილს საწყის სიდიდესთან მიმართებაში
ძირ. საშ-ების განახლების დრო	ძირ.საშ.ღირებ. პერ. დას-ის შემოსული ძირ.საშ. ღირ-ა	განახლების მასშტაბურობის კოეფიციენტის მიმართ უკუმიშწეულობა გაჩნია და გვიჩვენებს ძირ. საშ-ების განახლების პერიოდს.

აღნიშნული კოეფიციენტები შესაძლებელია წლის დასაწყისათვის და წლის ბიუჯეტისათვის ან რამდენიმე წლისათვის იქნეს გაანგარიშებული. ამ შემთხვევაში არასაბრუნავი კაპიტალის მდგომარეობის და მოძრაობის მაჩვენებლების ცვლილების შეფასებაა შესაძლებელი. მოცემული მაჩვენებლები მიზანშეწონილია გაანგარიშებული იქნეს არა მხოლოდ ძირითადი კაპიტალისათვის, არამედ მისი ძირითადი სახეების ჭრილში. ანალიზის დროს შესაძლებელია აღნიშნული კოეფიციენტები ძირითადი საშუალებების აქტიური და პასიური ნაწილებისთვის იქნეს გაანგარიშებული. ამ სახის ანალიზის აუცილებლობა განპირობებულია მმართველობითი მიზნებით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის უფრო ობიექტურად შეფასებისათვის აუცილებელია შესწავლილი იქნეს მაჩვენებლები წლების მანძილზე, დინამიკაში.

ანალიზი მთავრდება ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების და განვითარების რეზერვების გამოვლენის და მათი რეალიზაციის ღონისძიებების შემუშავებით.

12.4. მატერიალური რესურსების მდგომარეობის და გამოყენების ეფექტურობის ანალიზი

მატერიალური რესურსები ფირმის ეკონომიკური პოტენციალის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს. საწარმოს საწარმოო და მმართველობითი საქმიანობის პროცესში მატერიალური რესურსების გამოყენების ფაქტი მატერიალური დანახარჯების მუხლს აყალიბებს.

მატერიალური რესურსების ანალიზი ტარდება ორგანიზაციის ბუღალტრული (ფინანსური) ანგარიშგების საფუძველზე, ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის მაჩვენებლების

გამოყენების გზით. ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემების გამოყენების დროს მიზანშეწონილია ანალიზი საწარმოს ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯებისა და წლიური ანგარიშგების განმარტებებში გადმოცემული საანგარიშო პერიოდის დანახარჯების ელემენტების საერთო შეფასების მიხედვით დავიწყოთ. ეს შესაძლებლობას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის მიხედვით დანახარჯების საერთო სიდიდის გადახრაზე გავლენის შესახებ, მისი თვითღირებულების მიხედვით მატერიალური დანახარჯების და ხარჯების ჯამის ცვლილების შესახებ, აგრეთვე დინამიკაში შევაფასოთ დანახარჯების სტრუქტურის ცვლილება.

ეკონომიკური ანალიზის პროცესში მატერიალური რესურსების დეტალური ანალიზისათვის გამოიყენება საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები ამ რესურსების სახეების მიხედვით (სათბობი, სათადარიგო ნაწილები, სამშენებლო მასალები, სხვა მასალები).

ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლოა გავაგრძელოთ დანახარჯების სახეების მიხედვით მატერიალური დანახარჯების მუხლების ფორმირების ანალიზი; ანუ ძირითადი წარმოების დანახარჯების, საერთო-საწარმოო და საერთო-სამეურნეო დანახარჯების, გაყიდვის ხარჯების, ორგანიზაციის საქმიანობის მიხედვით.

ეკონომიკური ანალიზის დროს სამეურნეო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება მატერიალური რესურსების გამოყენების ამსახველი მაჩვენებლები; ამ მაჩვენებლების დანიშნულება არის მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენების სურათის წარმოდგენა.

მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლებია:

1. **პროდუქციიდან მასალათუკუგების მაჩვენებელი.** იგი

პროდუქციის რეალიზაციადან ამონაგების (დღგ-ს და აქციზის გარეშე) მის წარმოებაზე გაწეული მატერიალურ დანახარჯებთან შეფარდებით გამოიანგარიშება; აღნიშნული მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ გაყიდვიდან ამონაგების რამდენი ლარი მოდის ერთი(1) ლარის მატერიალურ დანახარჯზე. რაც უფრო მაღალი ამონაგები მოდის 1 ლარის მატერიალურ დასახარჯზე, მით უფრო სწრაფია მატერიალური რესურსების ბრუნვადობა და მით მაღალია მათი უკუგება.

2. **პროდუქციის მასალათტევადობის მაჩვენებელი.** აღნიშნული მაჩვენებელი მასალათუკუგების მაჩვენებლის უკუმაჩვენებელია; პრაქტიკაში მას ანგარიშობენ ამონაგებთან (დღგ-ს და აქციზის გარეშე) წარმოებაზე გაწეული მატერიალური დანახარჯების ჯამის შეფარდებით, რაც უფრო მაღალი არის განვლილ პერიოდთან ან დაგეგმილთან შედარებით პროდუქციის მასალათტევადობის სიდიდე, მით ნაკლებად ეფექტიანად გამოიყენება ნედლეული და მასალები და მით წარუმატებლად მუშაობს ორგანიზაცია.

3. **გაყიდვიდან ამონაგებისა და მატერიალური დანახარჯების ზრდის ტემპების თანაფარდობის კოეფიციენტი.** აღნიშნული კოეფიციენტი ამ ორი სიდიდის თანაფარდობით დგინდება და ორგანიზაციის საქმიანობის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს (დანახარჯსა და შედეგს შორის) დინამიკაში წარმოსახავს. თვით ეს მაჩვენებელი შეფარდებით გამოხატულებაში ახასიათებს მასალათუკუგების დინამიკას. ამასთან, თუ ამონაგების ზრდის ტემპი მატერიალური დანახარჯების ზრდის ტემპზე მაღალია, ეს დადებითად ახასიათებს ფირმის საწარმოო პოლიტიკას.

4. **პროდუქციის თვითღირებულებაში მატერიალური დანახარჯების ხვედრითი წონის კოეფიციენტი.** აღნიშნული მაჩვენებელი პროცენტულად ასახავს წარმოებაზე გაწეული მატერიალური დანახარჯების ჯამის მიმართებას წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებასთან. პროდუქციის თვითღირებულებაში ყველა მატერიალური დანახარჯის ხვედრითი წონის გაზრდის დროს იზრდება პროდუქციის მასალათტევადობა და შესაბამისად მცირდება მასალათუკუგება.

5. **მატერიალური რესურსების გამოყენების კოეფიციენტი;** ეს არის ფაქტიური და გეგმიური მატერიალური დანახარჯების ერთმანეთთან თანაფარდობა. აღნიშნული მაჩვენებელი პროცენტულად დინამიკაში წარმოადგენს ფაქტიური დანახარჯის გეგმურიდან გადახრის სურათს. გეგმურ ნიშნულთან შედარებით მატერიალური დანახარჯების გადამეტება საწარმოსათვის უარყოფით ფაქტს წარმოადგენს.

12.5. ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზი

ორგანიზაციის ფინანსური კეთილდღეობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ყველა ვალდებულების დაფარვის უზრუნველმყოფი ფულადი რესურსების არსებობა. საწარმოში ფულადი რესურსების მინიმალური მარაგის არჰქონა ფინანსური სირთულეების არსებობას, ფინანსური მდგრადობის დაკარგვის საფრთხეს ადასტურებს და, პირიქით, ზომაზე მეტი ფულადი აქტივების სიდიდემ შესაძლოა ფულის გაუფასურებამდე. მათი ხელსაყრელი და მომგებიანი განთავსებისა და დამატებითი მოგების მიღების გაშვებულ პირობებთან მიგვიყვანოს. აღნიშნული სიტუაციის პრევენციის მიზნით დღის წესრიგში დგება საწარმოს ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზის აუცილებლობა.

საწარმომ უნდა მოახდინოს ფულადი ნაკადების ეფექტური მართვა; აღნიშნული მოთხოვნის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ანგარიშსწორების ანგარიშებზე მას უნდა ჰქონდეს მიმდინარე ოპერატიული საქმიანობისათვის საჭირო მინიმალურად აუცილებელი თანხა, რათა დაფაროს ყველა პირველი რიგის გადასახადელები.

ფულადი საშუალებების მოძრაობა ორგანიზაციაში მიმდინარე მრავალ (მატერიალურ-საწარმოო მარაგების შესყიდვა, ხარჯებისა და სამუშაობების ანაზღაურება, საგადასახადო ვალდებულების დაფარვა, ხელფასის გადახდა და სხვ.) სამეურნეო ოპერაციასთან და პროცესებთანაა დაკავშირებული. ამასთან კავშირში, როგორც წესი ფულადი საშუალებების არსებობის და ფულადი ბრუნვის შეფასება საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური ეკონომიკური ანალიზის ყველა ეტაპზე ხორციელდება.

ფულადი საშუალებების კომპლექსურ შეფასებასთან დაკავშირებული ეკონომიკური ანალიზის და ორგანიზაციის საგადამხდელო ოპერაციების მომცველი მიმართულებები შემდეგი სახით არსებობს. (იხ. ცხრილი 12.5-1)

ცხრილი 12.5-1

ორგანიზაციის ფულადი საშუალებების და საგადასახადო ოპერაციების ეკონომიკური ანალიზი

ანალიზის მიმართულება	ანალიზის მეთოდიკის არსი
ფულადი ნაკადების ანალიზი და პროგნოზირება	ფულადი ნაკადების შემადგენლობის და სტრუქტურის ანალიზი, ფულადი შემოსულობების და გადასახადელების დინამიკის ანალიზი, ფულადი საშუალებების მოძრაობის პროგნოზირება
ორგანიზაციის ლიკვიდურობის ანალიზი და პროგნოზირება	ბუღალტრული ბალანსის ლიკვიდურობის შეფასება, ლიკვიდურობის კოეფიციენტის გაანგარიშება და ანალიზი, ფულადი საშუალებების ბრუნვის სისწრაფის და ლიკვიდურობის ანალიზი
ფინანსური მდგარადობის და გადახდისუნარიანობის ანალიზი და პროგნოზირება	ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური მდგრადობის შეფასება, ფინანსური მდგრადობის და გადახდისუნარიანობის ანალიზი და გაანგარიშება, გადახდისუნარიანობის პროგნოზირება

ფულადი საშუალებების ბრუნვადობის, მათი ნორმირებული მნიშვნელობის და ფინანსური საქმიანობის წყაროების ანალიზი	ბრუნვადობის მაჩვენებლის გაანგარიშება და ანალიზი, საბრუნავი კაპიტალის ნორმირებული სიდიდის და ანგარიშების დაფარვისათვის ფულადი საშუალებების პროგნოზირება და დაფინანსების საკუთარი და ნასესხები წყაროების დაფინანსება
საგადასახდელო გადასახდელების და საგადასახადო ვალდებულების ანალიზი	გადასახადების და მოსაკრებლების მიხედვით დავალიანების სტრუქტურის და შემადგენლობის ანალიზი, საგადასახადო დატკირთვის და საგადასახადო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტების ანალიზი

ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზი წარმოუდგენელია ჩატარდეს გარკვეული წინაპირობის დაცვის გარეშე; ამიტომაც კომპლექსური ეკონომიკური ანალიზის მიზნებისათვის ორგანიზაციის ფულადი ნაკადები ჯგუფდება შემდეგი ძირითადი ნიშნების მიხედვით:(იხ. ცხრილი 12.5-2).

ცხრილი 12.5-2.

ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია

კლასიფიკაციის ნიშნები	ფულადი ნაკადების სახეები
საქმიანობის მიხედვით	მიმდინარე საქმიანობის მიხედვით; საინვესტიციო საქმიანობის მიხედვით; ფინანსური საქმიანობის მიხედვით
სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობის მიხედვით	მთლიანად ორგანიზაციის მიხედვით; სამეურნეო საქმიანობას სახეების მიხედვით; ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით; ცალკეული სამეურნეო ოპერაციების მიხედვით;
მოძრაობის მიმართულების მიხედვით	დადებითი (შემოსული), ე.ი. შემოსვლა უარყოფითი (გამავალი), ე.ი. გასვლა

დროის მიხედვით	- რეტროსპექტიული (საანგარიშო); - ოპერატიული; - დასაგეგმი
ოპტიმალურობის მისედვით	- ჭარბი; - დეფიციტური; ოპტიმალური;
ფულადი სამეურნალების ღირებულება შეფასების მომენტისთვის	- მიმდინარე ღირებულება; - მომავალი ღირებულება;
ფორმირების ხასიათის მიხედვით	- პერიოდული (რეგულარული); - ეპიზოდური(დისკრეტული);
დროითი ინტერვალების მიხედვით	- თანაბარზომიერი დროითი ინტერვალით - არათანაბარზომიერი დროითი ინტერვალით
განხორციელების ფორმის მიხედვით	- უნაღდო; - ნაღდი;
მიმოქცევის სფეროს მიხედვით	- საგარეო; - შიდა;
ვალუტის მიხედვით	- ეროვნულ ვალუტაში; - უცხოურ ვალუტაში
წინასაწარგანჭვრეტის მიხედვით	- დაგეგმილი; - დაუგეგმავი;
ხანგრძლივობის მიხედვით	- მოკლევადიანი; - გრძელვადიანი;
მოცულობის გაანგარიშების მიხედვით	- საერთო; - წმინდა;

ანალიზის დროს ფულადი ნაკადების ცალკეული სახეები განიხილება როგორც კვლევის დამოუკიდებელი ობიექტები, რაც საშუალებას გვაძლევს ინფორმაციის გამომყენებლის ინტერესების გათვალისწინებით გავაღრმაოთ ფულადი ნაკადების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება.

იმისათვის, რომ ახსნილი იქნეს ორგანიზაციაში ფულადი

ნაკადების რეალური მოძრაობა, შეფასდეს მათი შემოსვლის და დახარჯვის სინქრონულობა, ასევე ფულის სალაროში არსებობა და/ან ბანკში ანგარიშზე მიღებული ფინანსური შედეგის სიდიდესთან დაკავშირება, აუცილებელია გამოვყოთ და გავაანალიზოთ ფულადი მასის შემოსვლის (მოდინების) და გასვლის (გადინების) ყველა მიმართულება.

ფულადი რესურსების მოძრაობა საწარმოს მიმდინარე საქმიანობის, საინვესტიციო საქმიანობისა და ფინანსური საქმიანობის შედეგად ხორციელდება. თვითოეული ამ სახის საქმიანობას თავისი არეალი გააჩნია და, ამდენად, აუცილებელია მოეახდინოთ თითოეული საქმიანობის მოკლე დახასიათება.

საწარმოს **მიმდინარე საქმიანობა** გულისხმობს იმ სახის საქმიანობას, რომელიც საქმიანობის საგნისა და მიზნებიდან გამომდინარე (ე.ი. სამრეწველო პროდუქციის წარმოებით, სამშენებლო სამუშაოების შესრულებით, ვაჭრობით, საზოგადოებრივი კვებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებით, ქონების არენდით გადაცემით და სხვა ანალოგიური სახის საქმიანობით) მოგების მიღებისკენ არის მიმართული.

საინვესტიციო ორგანიზაციის ის საქმიანობაა, რომელიც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთის, შენობის და სხვა სახის უძრავი ქონების, მოწყობილობების, არამატერიალური აქტივების და სხვა არასაბრუნავო აქტივების შეძენასთან, და მათ გაყიდვასთან; სხვა ორგანიზაციებში გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებების განხორციელებასთან, ობლიგაციების და სხვა სახის გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან.

საფინანსო საქმიანობა არის საწარმოს საქმიანობის ის სახე, რომელიც დაკავშირებულია მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებების განხორციელებასთან, კრედიტებისა და სესხების მიღებასთან და მათ დაფარვასთან, მიზნობრივი სამეურნალებისა და მონაწილეებისაგან ფულადი შენატანების მიღებასთან და დივიდენდების გადახდასთან.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით პრაქტიკაში საწარმოში ფულადი მასის შემოსვლა (მოდინება) ხორციელდება სამი სახის გზით:

ა) **მიმდინარე საქმიანობის შედეგად**, როცა ფულადი სამუალებები შემოდის (მოდინება) აწ პროდუქციის, საქონლის, სამუშაოს, მომსახურეობის გაყიდვით, აწ არენდით, სალიცენზიო და საკომისიო გადასახდელების, ჰონორარების მიღების გზით;

ბ) **საინვესტიციო საქმიანობის შედეგად**, როცა ფულადი სამუალებების მოდინება ძირითადი საშუალებებისა და სხვა ქონების გაყიდვით, და ასევე, დივიდენდებიდან, ფინანსური დაბანდებების პროცენტებიდან ხდება.

გ) **საფინანსო საქმიანობის შედეგად**, როცა ფულადი სამუალებები საწარმოში კრედიტებისა და სესხებიდან შემოდის; ამ დროს ასევე თანხები შემოდის ბიუჯეტიდან ასიგნების, მიზნობრივ დაფინანსების და მონაწილეთა შენატანების გზითაც;

აღნიშნულის გვერდით საწარმოში ადგილი აქვს ფულადი მასის გასვლას (გადინებას) და ისიც ხორციელდება შესაბამისი სახის გზებით:

ა) **მიმდინარე საქმიანობის შედეგად**, როცა ფულადი სამუალებების გასვლა ხდება საქონლზე, სამუშაოზე, მომსახურებაზე ფულის გადახდის გზით, შრომის ანაზღაურების განხორციელებით; გადასახადებისა და მოსაკრებლების ანგარიშსწორების დროს.

ბ) **საინვესტიციო საქმიანობის შედეგად**, როცა ფულადი სამუალებები გაედინება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების ყიდვის მიზნით, ასევე, ის ხდება ფინანსური დაბანდებების განხორციელებიდან.

გ) **საფინანსო საქმიანობის შედეგად**, როცა ფულადი სამუალებები საწარმოდან გაედინება კრედიტებისა და სესხების დასაფარავად; საწარმოდან თანხები, ასევე, გაედინება დივიდენდების გადახდის დროს.

ფულადი საშუალებების მოძრაობის დეტალური ანალიზი მიზანშეწონილია ჩატარდეს ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე. სწორედ იგი იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს ფულადი საშუალებების შემოსვლის და გასვლის წყაროები, გამოვლინდეს ფულის გადინების ყველაზე დიდი ოდენობა და მათი მიზნობრივი გამოყენება, განისაზღვროს ნაღდი რესურსების ეკონომიურად გახარჯვის რეზერვები, დადგინდეს ამა თუ იმ სახის საქმიანობის აქტიურობა, პროგნოზირებული იქნეს ფულის დამატებითი მოზიდვის შესაძლო რეზერვები. ამასთან, ანალიზი უნდა ჩატარდეს ნაღდი და უნაღდო გახდების განხორციელების ჭრილში. ამ დროს გაანალიზდება ფულის მოძრაობა სალაროში, ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე, სავალუტო ანგარიშზე და სხვა სახის სპეციალურ ანგარიშზე; ასევე, გამოკვლეული უნდა იქნეს დროის სხვადასხვა პერიოდისათვის (წელიწადი, კვარტალი, თვე, დღე) გზაში მყოფი ფულადი გადარიცხვები.

საწარმოს ფულადი ნაკადების ანალიზის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს კოეფიციენტური ანალიზი. მისი დახმარებით შეისწავლება ფულადი ნაკადების დამახასიათებელი ნარევგვარი მეფარდებითი მაჩვენებლების დონეები, გეგმიური და საბაზისო მნიშვნელობებიდან მათი გადახრის ვითარება, ასევე, მათი გამოყენების ეფექტიანობა. ეს შესაძლებლობას იძლევა გამოჩნდეს ორგანიზაციის ფულადი ნაკადების მართვის ხარისხის ამსახველი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, ასევე შემუშავდეს აუცილებელი ღონისძიებები მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციის პროცესში შესაბამისი კორექტირების მისაღწევად.

სამეურნეო პრაქტიკა ფულადი საშუალებების მოძრაობის კოეფიციენტურ ანალიზში წარმატებით იყენებს სხვადასხვა სახის და შინაარსობრივი დატვირთვის მქონე მაჩვენებლებს: ფულადი ნაკადის საკმარისობის კოეფიციენტს, ფულადი

ნაკადების ეფექტიანობის კოეფიციენტს, ფულადი საშუალებების რეინვესტირების კოეფიციენტს, ფულადი ნაკადების რენტაბელობის კოეფიციენტს, ფულადი საშუალებების საშუალო ნაშთის რენტაბელობის კოეფიციენტს, ფულადი საშუალებების ბრუნვადობის კოეფიციენტს, ფულადი ნაკადის ლიკვიდურობის კოეფიციენტს, ფულადი ნაკადის თანაბარზომიერი განაწილების კოეფიციენტს. ყველა აღნიშნული კოეფიციენტები მიზანშეწონილია გაანალიზდეს დინამიკაში, ე.ი. განხილული იქნეს აბსოლუტური და შეფარდებითი გადახრების გათვალისწინებით დროში მათი ცვლილება მინიმუმ სამი წლის პერიოდისათვის.

ფულადი ნაკადების ანალიზის პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტორულ ანალიზს; იგი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ფულადი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ხელშემწყობი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, ანუ იმ სახის ფაქტორები, რომლებიც თვითოეულ ლარზე ჩადებული რესურსიდან დამატებითი მოგების მიღების მიზნით უზრუნველყოფს ფულადი მასის ბრუნვის დაჩქარებას. ამისთვის ანალიზში გამოიყენება გაყიდვიდან მოგების დადებითი ფულადი ნაკადის რენტაბელობის კოეფიციენტის სიდიდის ცვლილებაზე ფაქტორების გავლენის გაანგარიშების მოდელი.

ეკონომიკური ინფორმაციით მოსარგებლეთა მოთხოვნების გათვალისწინებით სხვადასხვა ფინანსური მაჩვენებლების, მაგალითად, დაბეგვრამდე მოგების ან წმინდა მოგების მაჩვენებლის საფუძველზე ხდება ფულადი ნაკადების რენტაბელობის ფაქტორული მოდელის ფორმირება. ორგანიზაციის საქმიანობის სახეების ჭრილში ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ მონაცემების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს ბიზნესის თითოეული სფეროს შედეგიანობა და ფინანსური ნაკადების და პერსპექტივაში მათი გადანაწილების პროგნოზი.

თავი 13. ბიზნესის შეფასებისა და კომპლექსური ანალიზის მეთოდები

13.1. ბიზნესის ეფექტიანობისა და ინტენსიფიკაციის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით დიდი ყურადღება ექცევა ეფექტიანობის საკითხის კვლევას როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობის მასშტაბით, ისე მისი ცალკეული დარგების მიხედვით; შესაბამისად დიდი მნიშვნელობა აქვს ეფექტიანობის კრიტერიუმების, შეფასების მაჩვენებელთა სისტემის და ეფექტუროობის ამაღლების მიმართულებით ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების განსაზღვრას.

ეფექტიანობა როგორც ეკონომიკური კატეგორია სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევის მიზნით მაღალი საწარმოო რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისა და ცოცხალი და განივთებული შრომის ერთობლივი დანახარჯების შემცირებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს ასახავს.

საზოგადოებრივი ეფექტიანობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ეკონომიკური ეფექტიანობა, იგი განისაზღვრება როგორც კონკრეტულ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩადებული საშუალებების ეფექტიანობა და საქმიანობის ეკონომიკური შედეგების კუთხიდან ფასდება. ყველაზე ზოგადი სახით იგი შეიძლება გამოვხატოთ როგორც საწარმოო ფონდების, ბუნებრივი რესურსების, სამუშაო ძალის გამოყენებისა და ოპტიმალური განვითარების საფუძველზე საზოგადოების მუდმივად მზარდი მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზანდასახული პროცესი.

ეკონომიკური ეფექტიანობის საფუძველშია საწარმოო და

ფინანსური რესურსების ინტენსიფიკაცია. ამდენად, ინტენსიფიკაცია მიზეზად, ეფექტიანობა კი შედეგად გვევლინება.

ასხვავებენ ეფექტიანობის შემდეგ სახეებს: ხარჯების, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, ინვესტიციის, სპეციალიზაციის, საწარმოო-სამეურნეო კავშირების, ადმინისტრაციული სტრუქტურის, ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობას.

ეკონომიკური ეფექტიანობის დახარჯულ სამუალებებთან როგორც ცალკეული სახის ეფექტების (შედეგების) ერთობლიობის, დამოკიდებულება მათემატიკურად გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$f(x) = \frac{y_1 + y_2 + \ldots + y_n}{X}$$

სადაც

E ეკონომიკური ეფექტურობა;

X - დახარჯული საშუალებები;

Y - ცალკეული ეფექტები.

თითოეული მაჩვენებელი (ეფექტი) განსაზღვრული ფაქტორების ზემოქმედებით ფორმირდება და განსაზღვრულ ეკონომიკურ კატეგორიას ასახავს.

ეფექტიანობის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია მისი შეფასების კრიტერიუმს. კრიტერიუმი - შესასწავლი მოვლენის ან პროცესის თვისებრივი, ძირეული არსის ამსახველი განმასხვავებელი ნიშანია. საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმად გვევლინება მაქსიმალური ეკონომიკური შედეგის მიღწევა, რაც რესურსების მინიმალური ხარჯებისა და რაციონალური გამოყენების გზით მიიღება.

ეფექტიანობა იზომება შედეგების და დანახარჯების თანაფარდობით. ორგანიზაციის სავაჭრო-სამეურნეო (საფინანსო-სამეურნეო) საქმიანობის მიღწევის მიზნით რესურსები დანახარჯები კლასიფირებას ექვემდებარება შემდეგი სახით ჯგუფდება:

1. ერთდროული დანახარჯები (ძირითად ფონდებში, საბრუნავ და მიმოქცევის ფონდებში ავანსირებული);

2. მიმდინარე დანახარჯები (მიმოქცევის დანახარჯები);

3. მატერიალური რესურსები (ძირითადი და საბრუნავი საშუალებები);

4. სასაქონლო რესურსები (მიმოქცევის ფონდები);

5. შრომითი რესურსები;

6. ფინანსური რესურსები.

დასახული მიზნიდან გამომდინარე დანახარჯებთან ან რესურსებთან შედეგების შეპირისპირების გზით ეფექტიანობის ამა თუ იმ მხარის დამახასიათებელი მაჩვენებლები განისაზღვრება. ვაჭრობის ეფექტურობის შეფასების დროს გამოიყენება მაჩვენებელთა ისეთი სისტემა, რომელიც საწარმოს თავისებურებების გათვალისწინებით ეკონომიკის მართვის ყველა დონეზე შესადარისი უნდა იყოს.

ორგანიზაციის მუშაობის ხარისხის და ეფექტიანობის დამახასიათებელ მაჩვენებელთა სისტემის აგება მაჩვენებელთა წინასწარ კლასიფიკაციის აუცილებლობას მოითხოვს. მათი კლასიფიკაციის საფუძველში ჩადებული ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშნებია:

ცალკეული მაჩვენებლების ფუნქციური დანიშნულება - ყველა მაჩვენებელი იყოფა საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლად და ორგანიზაციის მუშაობის ხარისხის მაჩვენებლად. პირველია დანახარჯებთან ან გამოყენებულ რესურსებთან მიღწეული ეფექტის შედარები შედეგი, ე.ი. ეფექტიანობის განსაზღვრისათვის აუცილებელია გაიზომოს ეფექტი (შედეგი) და შეუდარდეს ამ ეფექტის მისაღებად აუცილებელი დანახარჯების ან რესურსების სიდიდეს. მეორე ახასიათებს დადგენილი მიზნის ან ამოცანის მიღწეულ დონეს.

საქმიანობის შეფასების განზოგადების ხარისხი - ყველა მაჩვენებელი დაყოფა განმაზოგადოებელ მაჩვენებლად (ის მთლიანობაში ორგანიზაციის მუშაობას ახასიათებს) და კერძო მაჩვენებლად (იგი ცალკეული რესურსების და დანასარჯების

გამოყენების ხარისხს, ან საქმიანობის ცალკეულ მხარეებს განსაზღვრავს). კერძო მაჩვენებლები ახასიათებს ძირითადი და საბრუნავი საშუალებების, შრომითი რესურსების, მიმდინარე და ერთჯერადი დახარჯების, ასევე რესურსების გამოყენების მიზნით მუშაობის ხარისხის და მართვის სრულყოფის ხარჯების და სხვ. გამოყენების ეფექტიანობას.

საქმიანობის შეფასების მაჩვენებელთა მნიშვნელობა – ყველა მაჩვენებელი ძირითად და დამხმარე მაჩვენებლად იყოფა; შეფასების დროს ძირითად მაჩვენებელს ენიჭება უპირატესობა, დამხმარე მაჩვენებელი კი ემსახურება ან ავსებს ძირითად მაჩვენებელს.

მაჩვენებელთა გამოყენების დონე – ამ მიზნისათვის მაჩვენებელთა სისტემა ორგანიზაციისათვის, საწარმოსათვის, გაერთიანებისათვის დიფერენცირებულად აიგება.

აღნიშნული კლასიფიკაციის გათვალისწინებით განისაზღვრება ის კონკრეტული მაჩვენებლები, რომლებიც შესაძლოა ფირმის მუშაობის ეფექტიანობის და ხარისხის შეფასებას ემსახურებოდეს. ამასთან, აქ დიდი ყურადღება ექცევა ეფექტიანობის განმაზოგადოებელი (ინტეგრალური) მაჩვენებლების შერჩევას.

ორგანიზაციის ეფექტიანობის შესწავლის დროს შესაძლოა სახეზე გვქონდეს კვლევის მეთოდიკის შერჩევის ორი სახის მიდგომა:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები, რომგორც კერძო მაჩვენებლების სახე;

2. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები ერთი კრებსითი (განმაზოგადოებული) მაჩვენებლით ხასიათდება.

როგორც წესი ანალიზის პრაქტიკაში ორივე მიდგომა შეხამებული ერთმანეთთან.

13.2. საშეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება, მისი ეტაპები და მეთოდები

სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება არის სამეურნეო და საფინანსო პროცესების ძირითადი ასპექტების ამსახველი დახასიათება, რომელიც კომპლექსური ეკონომიკური ანალიზის შედეგადაა მიღებული. იგი წარმოადგენს აღრიცხვის, ანალიზის და დაგეგმვის აუცილებელ და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, და მმართველობითი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დასაბუთების საფუძველს.

საწარმოს საქმიანობის საერთო ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება გადმოიცემა მაჩვენებელთა მთელი სისტემით. ამიტომაც ისინი ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი, ეს კი შესრულდება ერთი მიმართულების მქონე მაჩვენებლების გამოყენებით, ბალური შეფასებით მიღებული ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლების შერჩევითა და მათი რანჟირებით. ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური შეფასება წარმოადგენს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე მიღებული შესადარისი სახის ძირითადი შეფარდებითი ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების სისტემას. საბოლოო შედეგი კი წარმოადგენს სხვა კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობასთან შედარების ბაზას.

ორგანიზაციის ეფექტიანობის შეფასება გულისხმობს არა მარტო საწარმოს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების, ცოცხალი და განოვთებული შრომის რაოდენობრივად განმსაზღვრელი მაჩვენებლების გამოყენებას, არამედ მაჩვენებელთა სისტემის გამოყენების დროს საერთო ეფექტიანობის გაზომვის მეთოდებით სარგებლობას.

ორგანიზაციის საერთო ეფექტიანობის შეფასების სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ მისი ცალკეული მაჩვენებლები ერთმა-

ნეთთან შეუთავსებელნი არიან და ურთიერთკავშირში და ურთიერთდამოკიდებულებაში მათი განხილვა შეუძლებელია. ეფექტიანობის ზოგიერთი მაჩვენებელი შესაძლოა ერთმანეთს არ დაემთხვეს მოქმედების მიმართულებას დინამიკაშიც კი. ორგანიზაციის საერთო (ჯამური) ეფექტიანობა შესაძლოა გაანგარიშებული იქნეს რამდენიმე მეთოდით, მათ შორის ინტეგრალური მეთოდით.

გამზოგადოებული კომპლექსური შეფასების პროცესს ემსახურება საწარმოს საქმიანობის ყველა ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებელი (გაყიდვიდან ამონაგები, მუშაკთა რაოდენობა, შრომის ნაყოფიერება, მოგება, რენტაბელობა და ა.შ.), ასევე, ისეთი პირდაპირი და არაპირდაპირი მაჩვენებლები, როგორიცაა შრომატევადობა, ფონდტევადობა, ხელფასტევადობა და ა.შ. ყველა ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებელი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით შეგვეძლია დავიყვანოთ ერთიან ინტეგრალურ მაჩვენებლზე. მიღებული მაჩვენებელი შესაძლებლობას იძლევა დროის გასაანალიზებელი პერიოდისათვის მოცემული საწარმო განვასხვავოთ სხვა საწარმოსგან და მისი საქმიანობა თვითოეული ცალკეული მაჩვენებლის ხარჯზე დავვეგმოთ.

ინტეგრალური მაჩვენებლის აგების სხვადასხვა საშუალებაა:

1. **რესურსების** (ძირითადი და საბრუნავი საშუალებების, შრომითი რესურსების) **გამოყენების ეფექტურობის ინტეგრალური მაჩვენებელები;**

2. **საქმიანობის** (სავაჭრო, ფინანსური, სამეურნეო) **ეფექტიანობის და ინტენსიფიკაციის ინტეგრალური მაჩვენებელები.**

პირველი ჯგუფის მაჩვენებელთა გაანგარიშების დროს რესურსები ორ ჯგუფად - მატერიალურ და შრომით რესურსებად დაიყოფა. თავის მხრივ, მატერიალური რესურსები განიხილება როგორც ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ერთობლიობა. ამ სამი სახის რესურსების მიმართ გამოიყენება მათი

სარეგლობის ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებელთა სისტემა.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა უნდა განვიხილოთ ორი მხრიდან: როგორც სამეურნეო საქმიანობის განხორციელების დროს და როგორც საფინანსო საქმიანობის დროს გამოყენების ეფექტიანობა. პირველ შემთხვევაში გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა ფონდუკუგება, ფონდ-ტევადობა და ა.შ.; მეორე შემთხვევაში ცენტრალურ მაჩვენებელს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რენტაბელობა როგორც ძირითადი საშუალებების საშუალოწლიურ ღირებულებასთან მოგების შეფარდება (პროცენტობით).

შრომითი რესურსების გამოყენების შეფასების კავშირში ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტურობის დასახასიათებლად შესაძლოა განისაზღვროს შრომის ნაყოფიერების თანაფარდობა მის ფონდტევადობასთან ან ფონდუკუგებასთან:

$$\frac{\text{ნ}}{\text{ფუ}} = \frac{\text{სბ}}{\text{რცხ}} : \frac{\text{სბ}}{\text{ძს}} = \frac{\text{სხ}}{\text{რცხ}} \times \frac{\text{ძს}}{\text{სბ}} \times \frac{\text{ძს}}{\text{რცხ}}$$

სადაც

ნ შრომის ნაყოფიერება;

სბ - საქონელბრუნვის მოცულობა;

რცხ - მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი;

ძს - ძირითადი საშუალებების საშუალოწლიური ღირებულება;

ფუ - ფონდუკუგება;

საწარმოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტურობის კომპლექსური შეფასებისათვის გაიანგარიშება მისი ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებელი ($S_{ინტ}$):

$$S_{ინტ} = \text{ფუ} \times \text{რდ} \times \text{ფმ}$$

სადაც

ფუ - ფონდუკუგება;

რდ - ძირითადი საშუალებების რენტაბელობის დონე;

ფმ - ფონდშეიარაღება.

პრაქტიკაში ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის შემდეგმა ინტეგრალურმა მაჩვენებელმა:

$$S_{ფფ2} = \frac{სბ \times მ}{ძს}$$

სადაც

სბ - საქონელბრუნვის მოცულობაა;

მ - ორგანიზაციის მოგება;

ძს - ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულება;

ანალოგიურად აიგება საბრუნავი საშუალებების ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებლები. ისინი შეიძლება საბრუნავი საშუალებების, საკუთარი საშუალებების, მოზიდული საბრუნავი საშუალებების საერთო ჯამისთვის იქნეს გამოყვანილი. ამისავალი მაჩვენებლებად გამოიყენება: საბრუნავი საშუალებების ფონდუკუგება როგორც საქონელბრუნვის ფარდობა საბრუნავი საშუალებების საშუალოწლიურ ღირებულებასთან; საბრუნავი საშუალებების ფონდშეიარაღება როგორც საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულების ურთიერთობა მუშაკთა საშუალოსიიობრივ რიცხვთან; საბრუნავი საშუალებების რენტაბელობის დონე როგორც მოგების ურთიერთობა საბრუნავი საშუალებების საშუალოწლიურ ღირებულებასთან, გამოხატული პროცენტებით.

ყველა საბრუნავი საშუალების გამოყენების ეფექტურობის ($S_{ეფ}$) შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი მაჩვენებელი:

$$S_{ეფ} = \frac{სბ \times მ}{ღ_{სს}}$$

სადაც

$ღ_{სს}$ - საბრუნავი საშუალებების საშუალოწლიური ღირებულებაა;

$$S_{ფფ2} = ფ_{სს} \times რდ_{სს} \times ფ_{სს} = რდ_{სს} \times ნ$$

სადაც

$ფ_{სს}$ - ფონდუკუგება;

$რდ_{სს}$ - საბრუნავი საშუალებების რენტაბელობის დონე;

$ფ_{სს}$ - საბრუნავი საშუალებების ფონდუკუგება;

ნ - შრომის ნაყოფიერება.

ანალოგიურად აიგება ცალ-ცალკე საკუთარი და ნასესხები საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებლები.

ინტეგრალური მაჩვენებლების დახმარებით რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზის მთავრდება ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის ინტეგრალური მაჩვენებლის (L) გათვლით:

$$L = \frac{L_ი \times D_{სს} + L \times d_{ც}}{100}$$

სადაც

$L_{სს}$ - საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობა;

$L_{ძს}$ - ძირითადი საშუალებების ბრუნვადობა;

$d_{სს}$ - საბრუნავი საშუალებების ხვედრითი წონა;

$d_{ძ}$ - ძირითადი საშუალებების ხვედრითი წონა;

საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობა გაინგარიშება ფორმულით:

$$L_{სს} = \frac{ღ_{სს} \times დ}{სბ}$$

სადაც

ღსს - საბრუნავი საშუალებების საშუალოწლიური ღირებულება;

დ - პერიოდში დღეების რაოდენობა;

სბ - საქონელბრუნვის მოცულობა.

ძირითადი საშუალებების ბრუნვადობა გაინგარიშება ფორმულით:

$$L_{ზ} = \frac{Ღ_{ძ} \times დ}{ა}$$

სადაც

$Ღ_{ძ}$ - ძირითადი საშუალებების საშუალოწლიური ღირებულება;

დ - პერიოდში დღეების რაოდენობა;

ა - გასაანალიზებელ პერიოდში ამორტიზაციული აწარიცხვების თანხა;

ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების ($L_{ზ}$ გამოკლებით) დინამიკა შესაძლებელია ინტერპრეტირებული იქნეს შემდეგი სახით: მაჩვენებლის მნიშვნელობის ამაღლება განიხილება როგორც რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაუმჯობესებად და პირიქით. ბრუნვადობის ინტეგრალური მაჩვენებლისათვის დადებით მოვლენტად გვევლინება მისი შემცირება, ე.ი. ბრუნვადობის დაჩქარება.

შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებლის გაანგარიშების დროს ამოსავალს წარმოადგენს ერთი მუშაკის შრომის ნაყოფიერება და სამუშაო დროის ერთი საათის შრომის ნაყოფიერება:

$$ნ_1 = \frac{სბ}{რცხ}; \qquad ნ_2 = \frac{სბ}{დ}$$

სადაც

ნ - შრომის ნაყოფიერება;

სბ - საქონელბრუნვის მოცულობა;

რცხ - მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი;

დ - ფაქტიური სამუშაო დრო (საათებში).

შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტურობის გაზომვის ინტეგრალურ მაჩვენებლად შეიძლება გამოვიდეს განხილული მაჩვენებლების ზრდის ტემპების ნარმოებულიდან კვადრატული ფესვი:

$$S_{ზმ} = \sqrt{ზტ_{ნ} \times ზტ_{1სთ}}$$

სადაც

$ზტ_{ნ}$ - ერთი მუშაკის შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი;

$ზტ_{1სთ}$ - სამუშაო დროის ერთი საათის შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი.

ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებლების (მეორე ჯგუფის მაჩვენებლები) გაანგარიშების დროს გამოიყენება რიგი კერძო მაჩვენებლები. მაგალითად, სავაჭრო საქმიანობის ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებელი გაინგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$S_{ვმ} = \frac{სბ}{ხფ+Ღ_{ბ}+Ღ_{ბი}}$$

სბ - საქონელბრუნვის მოცულობა;

$Ღ_{ბ}$ - ძირითადი საშუალებების საშუალო-წლიური ღირებულება;

$Ღ_{ბი}$ - საბრუნავი საშუალებების საშუალო-წლიური ღირებულება;

ხფ - დანახარჯი შრომის ანაზღაურებაზე (ხელფასის ფონდი)

ანალოგიური წესით გამოიანგარიშება ფინანსური საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებელი ($S_{ფინანს}$). ამისთვის ზემოთ აღნიშნულ ფორმულაში მრიცხველში ჩაიდება მოგების თანხა

$$S_{ფინანს} = \frac{მ}{ხფ+Ღ_{ძ}+Ღ_{ბ}}$$

სადაც

მ - ორგანიზაციის მოგება;

$Ღ_{ძ}$ - ძირითადი საშუალებების საშუალოწლიური ღირებულება;

$Ღ_{ბ}$ - საბრუნავი საშუალებების საშუალოწლიური ღირებულება;

ხფ - დანახარჯი შრომის ანაზღაურებაზე (ხელფასის ფონდი)

$S_{ფინანს}$ მაჩვენებელი ახდენს იმის შეფასებას, თუ როგორი

რესურსების არსებობის დროს მიიღწევა ფინანსური შედეგი და რამდენად ეფექტიანად გამოიყენება ისინი.

მთელი სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების დროს აუცილებელია წინასწარ შეფასდეს შრომითი საქმიანობის ეფექტიანობა. ამ შემთხვევაში იყენებენ საშუალო ხელფასის ერთ ღარზე ერთი მუშაკის გამომუშავების კოეფიციენტს ($S_{შრომა}$).

$$S_{შრომა} = \frac{სბ}{ხფ}$$

სადაც

სბ – საქონელპროდუქციის მოცულობა;

ხფ - დანახარჯი შრომის ანაზღაურებაზე (ხელფასის ფონდი);

ორგანიზაციის მთელი სამეურნეო საქმიანობის შეფასების განმაზოგადოებელი მაჩვენებელია სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობის ინტეგრალური მაჩვენებელი ($S_{საქსაქ}$); იგი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$S_{საქსაქ} = S_{ეკ} + S_{ფნ} + S_{შრომა}$$

სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის აბსოლუტურ და შეფარდებით განზომილებებში გამოხატვის გარდა, მთელი სამეურნეო საქმიანობის ინტეგრალური მაჩვენებელი გაანალიზდება მისი ცვლილების ტემპების მონაცემების გეგმიურთან შედარებით ან დინამიკაში წარმოდგენით. ამ შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$T_{საქსაქ} = \frac{S_{საქსაქ1}}{S_{საქსაქ2}} \times 100$$

სადაც

$T_{საქსაქ}$ – სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებლის ცვლილების ტემპია;

$S_{საქსაქ1}$, $S_{საქსაქ2}$ – სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებლის საანგარიშო და საბაზისო მნიშვნელობა.

13.3. სამეურნეო საქმიანობის ინტენსიფიკაციის შეფასება

ექსტენსიური და ინტენსიური განვითარების რაოდენობრივი თანაფარდობა საწარმოო და ფინანსური რესურსების გამოყენების მაჩვენებლებში გამოიხატება. რესურსების გამოყენების პირველადი რაოდენობრივი მაჩვენებლებია: მუშაკთა რაოდენობა, გასარჯული შრომის საგნების სიდიდე, ამორტიზაციის მოცულობა, ძირითადი საწარმოო ფონდების და ავანსირებული საბრუნავი საშუალებების სიდიდე. ინტენსიური განვითარების მაჩვენებელი - რესურსების, ე.ი. შრომის ნაყოფიერების (ან შრომტევადობის), მასალათტევადობის (ან მასალათტევადობის), ფონდტევადობის (ან ფონდტევადობის), საბრუნავი საშუალებების ბრუნვის ოდენობის (საბრუნავი საშუალებების დამაგრების კოეფიციენტი) გამოყენების ხარისხობრივი მაჩვენებელია.

წარმოების მოცულობა ღირებულებით გამოხატულებაში ყველა სახის რესურსის ზემოქმედების შედეგს წარმოადგენს. პროდუქციის ხარისხის ამაღლება გავლენას ახდენს მის რაოდენობაზე, რესურსების ეკონომიაზე, მყიდველთა მოთხოვნების უფრო სრულად დაკმაყოფილებაზე. ეს ნიშნავს, რომ ხარისხის მაჩვენებლები წარმოების ინტენსიფიკაციის მაჩვენებელია, რომელიც ასახვას წარმოების შედეგებში და რესურსების დანახარჯებში პოულობს. რესურსების გამოყენების თვითთვეული სინთეზიკური მაჩვენებელი, თავის მხრივ, წვრილი ფაქტორების (მეორე და შემდგომი რიგის ფაქტორების) მოქმედებით ყალიბდება. მაგალითად, შრომის ნაყოფიერება დამოკიდებულია მისი ექსტენსიურობის სიდიდეზე, მოცულობაზე, ე.ი. სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე, მის ინტენსიურ სიდიდეზე, ე.ი. სამუშაო დროში მუშაკის დატვირთვაზე და წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური და პირობებით (ბუნებრივი და

სოციალური პირობებით) განსაზღვრულ შრომის მწარმოებლურ ძალაზე. შესაბამისად, რესურსების გამოყენების თვითთოეული სინთეზიკური ხარისხობრივი მაჩვენებელი მხოლოდ ზოგადი სახით ასახავს ამ პროცესის ინტენსიურობას. «წმინდა სახით» ინტენსიურობის გამოსავლენად უფრო ღრმა ეკონომიკურ ანალიზს ატარებენ. მაგალითად, შრომის ნაყოფიერების ანალიზის დროს განვითარების ეფექტიანობა იქნება მუშაკის საათობრივი გამომუშავება, ექსტენსიურობის მაჩვენებელი კი – შრომის დანახარჯები.

ინტენსიფიკაციის კომპლექსური შეფასება არა მხოლოდ ცოცხალი, არამედ, ასევე განივთებული შრომის, ე.ი. საწარმოო და ფინანსური რესურსების მთელი ერთობლიობის გამოყენების პროცესს მოიცავს და მას ახასიათებს. სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგები როგორც ინტენსიური ისე ექსტენსიური ფაქტორების, რესურსების გამოყენების როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლების ზემოქმედების შედეგად ყალიბდება.

მაგალითად, სავაჭრო ორგანიზაციაში ინტენსიური ფაქტორების (ხარჯზე საქონელბრუნვის ზრდის წილი წინტ), შრომის ნაყოფიერების ამაღლება, ფონდუკუგების ზრდა და ბრუნვადობის მატება შესაძლოა განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$\text{წინტ} = \frac{(\text{შნ}_{\text{საანგ}} - \text{შნ}_{\text{საბაზ}})\text{მრ} + (\text{ფუ}_{\text{საანგ}} - \text{ფუ}_{\text{საბაზისო}})\text{ძს} + (\text{ბ}_{\text{საანგ}} - \text{ბრ}_{\text{საბაზისო}})\text{სს}}{(\text{სბ}_1 - \text{სბ}_0) \times 3} \times 100$$

სადაც

$\text{შნ}_{\text{საანგ}}$, $\text{შნ}_{\text{საბაზ}}$ – შრომის ნაყოფიერების შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო მაჩვენებლებია, ათასი ლარი;

$\text{ფუ}_{\text{საანგ}}$, $\text{ფუ}_{\text{საბაზისო}}$ – ფონდუკუგების საანგარიშგებო და საბაზისო მაჩვენებლები, ათასი ლარი;

$\text{ბრ}_{\text{საანგ}}$, $\text{ბრ}_{\text{საბაზისო}}$ – ბრუნვადობის საანგარიშო და საბაზისო მაჩვენებლები, დღე;

სბ_1, სბ_0 – საქონელბრუნვის საანგარიშგებო და საბაზისო მაჩვენებლები, ათასი ლარი;

მრ, ძს, სს – შესაბამისად მუშაკთა რიცხოვნება (კაცი), ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ღირებულება (ათასი ლარი)

მეურნეობრიობის ინტენსიფიკაციის შესაფასებლად აუცილებელია ვიანგარიშოთ ინტენსიფიკაციის ტემპი. ამ მიზნით სარგებლობენ შემდეგი ფორმულით:

$$\text{ტ}_{\text{ინტ}} = \frac{\text{ტ}_{\text{შნ}} \times \text{ტ}_{\text{ფ.ფ.}} \times \text{ტ}_{\text{საბრ.}}}{\text{ტ}_{\text{შ}} \times \text{ტ}_{\text{ძ.ს.საშ.}} \times \text{ტ}_{\text{საბ.ს.}}} \times 100$$

სადაც:

$\text{ტ}_{\text{შნ}}$ - შრომის ნაყოფიერების ცვლილების ტემპია;

$\text{ტ}_{\text{ფ.ფ.}}$ - ფონდუკუგების ცვლილების ტემპი;

$\text{ტ}_{\text{საბრ.}}$ - საბრუნავი საშუალებების ბრუნვის სისწრაფის ცვლილების ტემპი;

$\text{ტ}_{\text{შ}}$ - ხელფასზე დანახარჯების ცვლილების ტემპი;

$\text{ტ}_{\text{ძ.ს.საშ.}}$ - ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულების ცვლილების ტემპი;

$\text{ტ}_{\text{საბ.ს.}}$ - საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულების ცვლილების ტემპი;

აღნიშნული ფორმულის დახმარებით შესაძლოა დადგინდეს საწარმოს საქონელბრუნვაზე და მოგებაზე მოქმედი ინტენსიური (ხარისხობრივი) ფაქტორების წილის თანაფარდობა ექსტენსიურ (რაოდენობრივი) ფაქტორების წილთან. და, თუ ინტენსიური ფაქტორების წილი მეტია ექსტენსიური ფაქტორების წილზე, მაშინ საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსები უფრო ეფექტიანად (ინტენსიურად) გამოიყენება. ამას ფაქტს მივყევართ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების დაჩქარებისაკენ.

13.4. რეიტინგული ანალიზის მეთოდიკა

ორგანიზაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზის პროცესში საკმაოდ ხშირად წარმოიშვება მთელი რიგი პერიოდების მანძილზე ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების დინამიკაში განხილვის ან სხვადასხვა მეურნე სუბიექტების შედეგებთან შედარების აუცილებლობა. ეს საკითხი ორი მხრიდან უნდა განვიხილოთ: პირველი, მეურნე სუბიექტის კომპლექსური შეფასებისათვის ანალიტიკოსის მიერ არჩეული ზოგიერთი ობიექტური მაჩვენებლის შეფასება რამდენიმე მეურნე ერთეულის ან ერთი ორგანიზაციის სხვადასხვა ქვედანაყოფის შედარებასთან არის დაკავშირებული. აღნიშნულ შედარებას უწოდებენ სივრცობრივ, ან გარეშე შედარებას. მეორე, ორგანიზაციის საქმიანობის შედეგები შეუდარდება ზოგიერთი სახის ეტალონებს: გეგმური დავალებებს, საბაზისო პერიოდის შედეგებს ან რომელიღაც «იდეალურ» ან «ეტალონურ» საწარმოს შესაბამის არსებული წარმოდგენას. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა საწარმოს ეკონომიკური დინამიკის შეფასების ინტეგრალური მაჩვენებლების შემუშავებასთანაა დაკავშირებული; მას შიდა **რეიტინგულობის** სახელით მოიხსენებენ.

სიტყვა «რეიტინგი» გამოხატავს წინასწარ დაწესებულ/დადგენილ წესებთან და კრიტერიუმებთან შესაბამისობაში მყოფი ერთეულების განაწესს. რეიტინგირება შესაძლოა ჩატარდეს როგორც ბუღალტრული ანგარიშგების უმნიშვნელოვანესი მუხლების აბსოლუტურ მნიშვნელობათა საფუძველზე, ისე გაანგარიშებული შეფარდებითი სიდიდეების (კოეფიციენტების) საფუძველზეც; მათგან უმჯობესია მეორე მიმართულება, რამდენადაც ამ მიმართულებაში უკვე სახეზეა არა პოსტ-ფაქტუმის რანგის სიტუაცია, არამედ კვლევის შესაბამისი რეალობა.

რეიტინგირება ხორციელდება სპეციალური მათემატიკური მეთოდების, მათ შორის -ტაქსონომეტრიული, ადგილების ჯამის მეთოდის, დაშორიშორების და სხვა სახის მეთოდების გამოყენებით. ამ მეთოდების საფუძველზე შედგენილი რეიტინგი ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის კომპლექსურ შეფასებას, ანუ მთელი რიგი მაჩვენებლებიდან საუკეთესოს გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

რეიტინგირების პროცესის ყველაზე მარტივი მეთოდია ადგილების ჯამის მეთოდი და ტაქსონომეტრიული მეთოდი. ადგილების ჯამის მეთოდით სარგებლობის დროს ნებისმიერი მაჩვენებლის მიხედვით გასაანალიზებელი მნიშვნელობების ერთობლიობა თანმიმდევრულად საუკეთესოდან ცუდის მიმართულებით იმ წესით განწესდება, რომ საუკეთესო მნიშვნელობას მიენიჭება პირველი ადგილი, შემდეგს - მეორე და ა.შ. მიღებული მაჩვენებლები დაჯამდება, და რაც უფრო ნაკლები იქნება შედეგი, მით უკეთესია. ტაქსონომეტრიულ მეთოდს საფუძვლად უდევს ოპერაციები მატრიცებთან.

რეიტინგული შეფასების მიზნით განსახორციელებელ მაჩვენებელთა რაოდენობა წინასწარ დადგენილი არ არის. ამდენად იგი სხვადასხვა ოდენობის შეიძლება იყოს. ანალიტიკოსის შეხედულებიდან გამომდინარე, ამგვარი კოეფიციენტები შესაძლოა იყოს ფინანსური მდგრადობის, ლიკვიდურობის, რენტაბელობის და საქმიანი აქტივობის კოეფიციენტები; ისინი ფაქტიურად ძალზე მნიშვნელოვანია ორგანიზაციის საქმიანობის შეფასებისათვის.

ორგანიზაციის რეიტინგული შეფასებისათვის ეფექტურობის ამ მეთოდებით სარგებლობისას ფინანსური კოეფიციენტების სისტემა გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:

1. ისინი მაქსიმალურად ინფორმატიული უნდა იყოს და ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის მთლიანი მდგარადობის სრული სურათი უნდა მოგვცეს;

2. პირითადად უნდა ჰქონდეს ერთგვაროვანი მიმართულება, ე.ი. მათი ზრდა კომპანიის ფინანსურის მდგომარეობის გაუმჯობესებას ნიშნავს;

3. შესაძლებლობა უნდა მოგვცეს განვახორციელოთ ორგანიზაციის რეიტინგული შეფასება მთელი რიგი პერიოდების მიხედვით ან სხვა საწარმოებთან მისი შედარებით.

რეიტინგული შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს ისეთი ცნების მიხედვით, როგორიცაა «პირობითად დამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია». ამ სახის ორგანიზაციას ნორმატიულად მინიმალური სიდიდის შესაბამისი ფინანსური მაჩვენებლები გააჩნია.

საწარმოს ფინანსური პროცესების წაირგვაროვნების, ფინანსური მდგრადობისა და ლიკვიდურობის მაჩვენებლების შეფასების, მათი კრიტიკული შეფასების დონეში არსებული სხვაობების, მათგან კოეფიციენტების ფაქტიური მნიშვნელობების გადახრის ხარისხი და ამის გამო ფინანსური მდგომარეობის საერთო შეფასებაში არსებული სირთულეების გათვალისწინებით ანალიტიკოსები ფინანსური მდგომარეობის ინტეგრალური ბალური შეფასების ჩატარების რეკომენდაციებს იძლევიან. ასეთი მეთოდიკის არსი რისკების დონეების მიხედვით ორგანიზაციებს კლასიფიკაციაში მდგომარეობს, კერძოდ, ნებისმიერი ორგანიზაცია «დაგროვილი» ბალების რაოდენობით განსაზღვრულ კლასზე შეიძლება იქნეს მიკუთვნებული.

საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის კომპლექსური შედარებითი რეიტინგული შეფასების მეთოდიკა შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

1. დროის გასაანალიზებელი პერიოდისათვის ამოსავალი ინფორმაციის შეგროვებას

და ანალიტიკურ დამუშავებას;

2. ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის რეიტინგული შეფასების მიზნით მაჩვენებელთა სისტემის დასაბუთებას და მათ კლასიფიკაციას;

3. რეიტინგული შეფასების შედეგობრივ მაჩვენებელთა გაანგარიშებას;

4. ორგანიზაციის რეიტინგის მიხედვით კლასიფიცირებას (რანჟირებას).

საბოლოო რეიტინგული შეფასებამ უნდა გაითვალისწინოს კომპანიის საფინანსო-საწარმოო საქმიანობის ყველა მნიშვნელოვანი პარამეტრი (მაჩვენებელი). ამ მიმართულებით კი ორგანიზაციის ეკონომიკური პოტენციალის, რენტაბელობის, საწარმოო და საფინანსო რესურსების ეფექტიანობის, საშუალებების მდგომარეობის, ვანლაგების და სხვათა შესახებ არსებული ინფორმაცია გამოიყენება.

ზუსტი და ობიექტური რეიტინგული შეფასება არ შეიძლება მაჩვენებელთა თვითნებურ შერჩევას დაეყრდნოს. ამიტომ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საწყისი მაჩვენებლების შერჩევა და განახლება უნდა განხორციელდეს ორგანიზაციის ფინანსების თეორიის საფუძველზე. ეს გულისხმობს საწარმოს საქმიანობის დამახასიათებელ მაჩვენებელთა ფართო წრის - ფინანსური და საბაზრო მდგარადობის, გადახდისუნარიანობის, რენტაბელობის, საქმიანი აქტივობის, ეკონომიკური პოტენციალის ამსახველი მაჩვენებლების გამოკვლევას.

რეიტინგული შეფასების მეთოდები აუცილებელია გამოვიყენოთ არა მხოლოდ სხვადასხვა დარგის საწარმოების მიმართ, არამედ, ასევე ცალკეული კომპანიების ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის დინამიკის შესასწავლადაც. მსგავსი სახის რეიტინგული შეფასების ყველაზე დამუშავებულ ინსტრუმენტს წარმოადგენს დიფერენცირებული კომპლექსური შეფასების მეთოდები. მათგან ყველაზე სრულყოფილია დაშორიშორების მეთოდი და წონადი კოეფიციენტების გამოყენებით მიღებული მისი მოდიფიკაცია.

საწარმოს რეიტინგული შეფასების შედეგობრივი მაჩვენებლების გაანაგარიშების საფუძველია საფინანსო-ეკონომიკური

მდგომარეობის თვითოეული მაჩვენებლის მიხედვით პირობითად ეტალონური წლის, ანუ საუკეთესო შედეგების მქონე ყველა შესადარისი მაჩვენებლის გასაანალიზებელი წლის მაჩვენებელთან შედარება. ამდენად, ორგანიზაციის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის რეიტინგული შეფასების მისაღებად ათვლის ბაზას რეალურ საბაზრო კონკურენციაში ჩამოყალიბებული ყველაზე მაღალი შედეგები წარმოადგენს. შედარების ეტალონს ყველაზე წარმატებული წელი წარმოადგენს, ანუ სწორედ ის წელი, სადაც ყველა მაჩვენებელი საუკეთესოა. ასეთი მიდგომა საბაზრო კონკურენციის პრაქტიკას შეესაბამება, სადაც თვითოეული მეურნე სუბიექტი ისწრაფვის საქმიანობის ყველა მაჩვენებლის მიხედვით აჯობოს თავის კონკურენტს.

ორგანიზაციის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის კომპლექსური შედარებითი შეფასების ალგორითმი ზოგადი სახით დაწვრილებითაა გადმოცემული სასწავლო-ეკონომიკურ ლიტერატურაში და ეტაპებად წარმოდგენილი გარკვეული მოქმედების თანმიმდევრობის სახით. ეს ეტაპებია:

პირველი ეტაპი. ამ ეტაპზე ამოსავალი მონაცემები წარმოსდგებიან მატრიცული სახით: ამოსავალი მონაცემების თვითოეული მატრიცა განსაზღვრული პერიოდის მიხედვით შემაფასებელი ძაჩვენებლების (ფინანსური კოეფიციენტების) შეფასებას მოიცავს. ამოსავალი მონაცემების მატრიცაში (მატრიცა A) ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლები სხვადასხვა წლებში განიხილება, ამიტომაც ამა თუ იმ პერიოდისათვის უპირატესობის მინიჭება რთულია და რანჟირებული წესით მათი აგება შეუძლებელია.

მეორე ეტაპი. ამ ეტაპზე განისაზღვრება თვითოეული შეფასებითი მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა, რის შემდეგაც აღნიშნული ელემენტები ეტალონად აღიარებული პირობითი წლის სტრიქონში შეიტანება. ამასადამე, A მატრიცას დაემატება კიდევ ერთი გრაფა, რომელშიც მოყვანილია ეტალონური

წლის შეფასებითი მაჩვენებლები; ყოველივე ამის შედეგად ფორმირდება მატრიცა ეტალონით (მატრიცა B).

მესამე ეტაპი. ამ ეტაპზე ხორციელდება ეტალონური წლის შესაბამისი მაჩვენებლის მიმართ მატრიცის ამოსავალი მაჩვენებლების სტანდარტიზაცია. ამისათვის თითოეული მწკრივის შეფასებითი მაჩვენებლები შესაბამისი მწკრივის მაქსიმალურ ელემენტებად დაიყოფა. მაშასადამე, ყალიბდება C მატრიცის ელემენტები, ანუ მატრიცის კოორდინატები.

მეოთხე ეტაპი. იმისათვის რომ მიღებულ მაჩვენებელთა დაჯგუფება შესაძლებელი იყოს, კოორდინატი C მატრიცის თითოეულ ელემენტი შეჰყავთ კვადრატში. გაანგარიშების საბოლოო ჯამში ღებულობენ კვადრატების D მატრიცას. კვლევის შემდეგ ეტაპზე თითოეული წლისათვის დაშორიშორების მეთოდით განისაზღვრება მისი რეიტინგული შეფასება, ე.ი. განისაზღვრება თვითოეული წლის ეტალონურ წელთან «სიახლოვე». თუ რეიტინგული შეფასება ნარმოებს «შეწონვის» გარეშე, მაშინ იგი კვადრატების (D მატრიცების) სვეტების დაჯგუფებაზე დაიყვანება.

მეხუთე ეტაპი. რამდენადაც ყველა მაჩვენებლს არათანაბარი მნიშვნელობა აქვს, მაჩვენებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე კვადრატების მატრიცაში მოყვანილი მონაცემები ექსპერიმენტული წესით დადგენილი წონადი კოეფიციენტების დახმარებით ხარისხობრივად უნდა შეფასდეს («შეწონილი» უნდა იქნეს). როგორც წესი, მაჩვენებლების «შეწონვას» ახდენენ ხუთბალიანი სისტემის მიხედვით.

აღნიშნულ ეტაპზე D მატრიცის თითოეული მწკრივი მრავლდება ბალებში გამოხატულ მის წონად კოეფიციენტზე. ამ სახით ფორმირდება შეწონილი სიდიდის მატრიცის - E მატრიცის ელემენტები. თუ რეიტინგული შეფასება ხორციელდება «შეწონადობასთან», მაშინ ის შეწონილი სიდიდის E მატრიცამდე დაიყვანება.

მეექვსე ეტაპი. დამამთავრებელ ეტაპზე რეიტინგული შეფასების გამოკლების წესით ხორციელდება წლების რანჟირება.

ორგანიზაციის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტი და ობიექტური საბოლოო შეფასების ერთ-ერთ პირობას საანგარიშგებო და საბაზისო მაჩვენებლების შეთანაწყობა წარმოადგენს. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სულ ადასტურებს ფირმების მიერ შემუშავდება და ვრცელდება სტანდარტული ინდიკატორები. საქართველოში ამ საკითხის დამუშავება ჩარსახის დონეზეც კი არ არის. არადა, ამ პრობლემის გადაწყვეტა დარგობრივი სტანდარტების მიხედვით საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის საბოლოო რეიტინგული შეფასების შედარებითი ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას მოგვცემდა.

13.5. ეკონომიკაში ეფექტურობის ამაღლების მემარგულებები

ორგანიზაციის მეურნეობრიობის ეფექტიანობის ამაღლება უპირველეს ყოვლისა მიდა რეზერვების გამოყენებაზეა დაკავშირებული.

ეკონომიკური ანალიზის თეორიასა და პრაქტიკაში «რეზერვების» ცნებაორგვარიაზრითგამოიყენება.პირველი,რეზერვებად თვლიან იმ მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, რომლებიც შექმნილია თვით ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული მიზნით. მატერიალური რეზერვები (ნედლეული, მასალების, სათბობის მარაგები) იქმნება იმ დამატებითი მოთხოვნების დასაფარად, რომელებიც შესაძლოა წარმოიშვას განსაზღვრულ პირობებში, მაგალითად, საწარმოო პროგრამის შეცვლის აუცილებლობის დროს, მოწოდებების შეფერხების დროს და ა.შ.

ფინანსური რეზერვები ფორმირდება საკანონმდებლო-

განკარგულებით დოკუმენტების მოთხოვნით ან დამყუძნებელთა და კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების შესაბამისად. მას შეიძლება გააჩნდეს მუდმივი ხასიათი და გამოიყენებოდეს განსაზღვრულ შემთხვევებში.

მეორე, რეზერვებს განიხილავენ როგორც საწარმოს ჯერ კიდევ გამოუყენებელ შესაძლებლობას, მისი მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და მეურნეობრიობის ეფექტიანობის ამაღლების პირობას. სწორედ ამ გაგებით გამოიყენება ეკონომიკურ ანალიზში «რეზერვების» ცნება. რეზერვების გამოვლენა და მათი მობილიზაციის რეალური გზების და ვადების განსაზღვრა ფირმის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

გამოვლენილი რეზერვების გამოყენების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ზემოქმედება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის, შრომის ნაყოფიერების, ფონდუკუგების, მოგებისა და რენტაბელობის ზრდაში, პროდუქციის (მომსახურეობის) თვითღირებულების შემცირებაში, და საბოლოო ჯამში, მეურნეობრიობის ეფექტიანობის ამაღლებაში, ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაში გამოიხატება.

რეზერვების მოძიების თანმიმდევრობისადმი კონკრეტული მიდგომები, მათი გამოვლენისა და დაანგარიშების ხერხები კომპანიის დარგობრივ სპეციფიკაზე და საქმიანობის პირობებზეა დამოკიდებული. მეურნეობრიობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

პირველი ნაბიჯი - შრომითი რესურსების და შრომის ანაზღაურების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების გამოვლენის მიზნით ანალიზდება შრომის რეჟიმი და სამუშაო დროის გამოყენების რაციონალურობა. პირველი მაჩვენებლის ზრდა შესაძლებელია მიღწეული იქნეს შრომის დანაწილებით, პროფესიის, სპეციალობის და

ფუნქციის შეთავსებით, მომსახურეობის ზონის გაფართოებით, კადრების დენადობის შემცირებით, შრომის ანაზღაურების სრულყოფით. მუშაკთა შრომის ნაყოფიერება განისაზღვრება ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით. მათი კომპლექსური ანალიზი შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს შრომის ნაყოფიერების ამაღლების რეზერვები.

ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაზრდა. აქ ხელფასის სრულყოფის ამოცანა იმაში მდგომარეობს, ფორმირებულ სისტემა, საქმიანობის ყველა მხარეზე ხელფასის როგორც ეკონომიკური სტიმულატორის ყველაზე ეფექტიან ზემოქმედებას უზრუნველყოფდეს. პერსონალის შრომითი აქტივობის ამაღლებისათვის ფართოდ გამოიყენება მატერიალური დაინტერესების სხვადასხვა სისტემა.

მეორე ნაბიჯი - **ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება.** ძირითად საშუალებებზე მოთხოვნა, არსებითად, დამოკიდებულია მათი გამოყენების ეფექტიანობაზე. რაც უფრო მაღალია ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა, მით მცირეა მათი ის მოცულობა, რომელიც საქონლისა და მომსახურების გაყიდვების განსახორციელებლადაა საჭირო.

ეკონომიკის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს კაპიტალური დაბანდების ფორმით განხორციელებული ძირითადი ფონდების გაფართოებული კვლავწარმოება. ეკონომიკის ყველა დარგში კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი კაპიტალის შემდგომი ზრდა და ხარისხობრივი სრულყოფა სამშენებლო წარმოების დაგეგმვის, პროექტირებისა და ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მშენებლობის ვადების არსებითი შემცირებით, ორგანიზაციის გაფართოებითა და რეკონსტრუქციით, მშენებლობის ღირებულების შემცირებით მიიღწევა.

მესამე ნაბიჯი - საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება. საბრუნავი საშუალებების გამოყენების მაღალი ეფექტიანობა უზრუნველყოფს მდგრად ფინანსურ მდგომარეობას, საფინანსო-სააღრიცხვო დისციპლინის მკაცრად დაცვას, უმცირესი დახარჯებით უკეთესი შედეგების მიღწევას. მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საწარმო მოვალეა დაიცვას შემდეგი წესები: საბრუნავი საშუალებები გამოიყენოს მიზნობრივი დანიშნულებით, ეკონომიკურად დაასაბუთოს საკუთარი საბრუნავი საშუალებების მოცულობა, უზრუნველყოს აქტივების შენარჩუნება, საშუალებების რაციონალური გამოყენება, მათი ბრუნვადობის დაჩქარება.

საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარებაა, რისთვისაც ფირმამ უნდა:

დახვეწოს საქონელის მოძრაობა და მოახდინოს საბრუნავი საშუალებების განლაგების ნორმალიზება;

სრულყოს მომწოდებლებთან და მყიდველებთან ანგარიშგება;

დააჩქაროს ფულადი საშუალებების ბრუნვა სავაჭრო ამონაგების ინკასაციის ხარჯზე;

საწარმოს სალაროში დააწესოს ფულადი საშუალებების მკაცრი ლიმიტირება;

მოახდინოს სამეურნეო მასალების, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი სამუშალებების (საგნების), ინვენტარის მარაგების, მომავალი პერიოდის დანახარჯების მინიმალიზაცია;

არ დაუშვას დებიტორული დავალიანების წარმოშობა.

საბრუნავი საშუალებების შემადგენლობაში სასაქონლო მარაგები 85%-ზე იჭერს. ამდენად, მათი მართვის სრულყოფა და დახვეწა საბოლოო ჯამში მიმოქცევის დროის შემცირებას უზრუნველყოფს.

საქონლის ბრუნვადობის დაჩქარება შესაძლებელია მხოლოდ საწარმოს მთელი სავაჭრო-კომერციული და ეკონომიკური

სამუშაოების სრულყოფის ხარჯზე. სასაქონლო მარაგების ოპტიმალურ მოცულობამდე შემცირება შესაძლებელია მათი თანაბარზომიერი და ხშირი შემოტანის ხარჯზე, სხვა კომპანიებისათვის ჭარბი დაუმთავრებული საქონლის საბითუმო მიწოდებით, ვაჭრობისა და რეკლამის ორგანიზაციის სრულყოფით, გამოფენა-გაყიდვის ჩატარებით, მომხმარებლის მსყიდველობით მოთხოვნის შესწავლის გაუმჯობესებით.

მეოთხე ნაბიჯი - მიმოქცევის ხარჯების შემცირების რეზერვების გამოვლენა. ცნობილია, რომ საქონელბრუნვის ზრდასთან ერთად მიმოქცევის ხარჯების დონე მცირდება. ამასთან, საქონელბრუნვის მოცულობა მხოლოდ ნაწილობრივ ახდენს გავლენას მათ დონეზე, რამდენადაც აქ სხვა ფაქტორებიც მოქმედებენ: საქონლის შემოსვლის და რეალიზაციის თანაბარზომიერება, სასაქონლო მარაგების სიდიდე და ა.შ. გეგმის თანაბარზომიერი და რიტმული შესრულება, საქონელბრუნვის სიდიდესთან ერთად საქონლის მიმოქცევის ხანგრძლივობა, ასევე, ზემოქმედებას ახდენს მოცემულ მაჩვენებელზე. აღნიშნული ფაქტორების გვერდით მიმოქცევის ხარჯების შეფარდებით და აბსოლუტურ ჯამზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: საქონელბრუნვის შემადგენლობისა და სტრუქტურის ცვლილება, გვერდითი ორგანიზაციების მომსახურეობის ტარიფები და განაკვეთები, საცალო ფასების დონე, ფასები მატერიალურ რესურსებზე, საქონლის მიმოქცევის დრო და სისწრაფე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემადგენლობა და გამოყენების ეფექტიანობა, მუშაკთა შრომის ნაყოფიერება.

საქონლის ბრუნვადობის დაჩქარება გავლენას ახდენს სასაქონლო მარაგების ფორმირებასა და შენახვის ხარჯებზე. საწარმოს მოქნილი საფასო პოლიტიკა, საქონელბრუნვაში მიმოქცევის მოკლევადიანი მიმოქცევისა და დაბალი ხარჯების მქონე საქონლის წილის გაზრდა საქონლის ბრუნვადობის დაჩქარებას უზრუნველყოფს. აღნიშნულს ასევე ხელს უწყობს

გადაზიდვების მანძილის შემცირება, საქონლის გაყიდვის და ტრანსპორტირების პროგრესული მეთოდების გამოყენება.

შრომის ნაყოფიერების ცვლილება გავლენას ახდენს ჩაცალო საქონელბრუნვის მოცულობაზე და მისი მეშვეობით მიმოქცევის ხარჯების დონეზე. თუ ამასთან ერთად ნაყოფიერების ზრდა საშუალო ხელფასის ზრდას უსწრებს, მაშინ უზრუნველყოფილი ხდება მნიშვნელოვანი სტატიის «შრომის ანაზღაურებაზე დახარჯები» -ის შედარებითი ეკონომია.

მეხუთე ნაბიჯი - მოგების რეზერვების გაზრდა. მათ, ე.ი. რეზერვებს მიეკუთვნება: საქონლის ასორტიმენტის გაფართოება, გაყიდვების მოცულობის გაზრდის მიზნით კომერციული ხასიათის მქონე ინოვაციების დანერგვა, ხარჯების ეკონომიის შედეგად მიღებული საშუალებების გონივრული გამოყენება. ამასთან აუცილებელია არჩეული იქნეს კომერციული საქმიანობის სტრატეგია: საქონელზე მოთხოვნის შემცირების შესაბამისად შემცირდეს საქონლის ფასები იმ გაანგარიშებით, რომ ეს გაყიდვების მოცულობის გაზრდას გამოიწვევს და მოგებას გაიზრდის.

საჭირო მოცულობის მოგების მიღების მიზნით ორგანიზაციამ ერთდროულად უნდა ჩაატაროს საქონელბრუნვის მოცულობის გაზრდის, სავაჭრო ზედნადებების ცვლილების, მიმოქცევის ხარჯების შემცირების ღონისძიებები. ამასთან, აუცილებელია ვიცოდეთ საქონელბრუნვის მოცულობის, სავაჭრო დანამატების დონე და მიმოქცევის ცვალებადი დანახარჯების დონის ექსტრემალური მნიშვნელობა, ე.ი. გავითვალისწინოთ, რომ საქონელბრუნვის რა მოცულობის, სავაჭრო დანამატების რა დონის და მიმოქცევის ცვალებადი დანახარჯების რომელი სიდიდის ქვემოთ არ შეიძლება ამყოფებოდეს საწარმო, რათა იგი ზარალის ზონაში არ მოხვდეს.

ლიტერატურა

1. ლიპარტია ზ. ეკონომიკური ანალიზი. ნაწ. I - ეკონომიკური აწალიზის თეორია. თბილისი. 2003
2. ლიპარტია ზ., გვარამია ნ., ლაჩჩავა ე. ეკონომიკური ანალიზი. ნაწ. II. მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმი. თბილისი. 2007
3. ცირამუა ე. ეკონომიკური ანალიზი. მეთოდოლოგია. პრაქტიკული მეთოდოლოგია. თბილისი. 2003
4. ჯიქია. მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი. 2010
5. თანამედროვე ფინანსური ლექსიკონი. შემდ. თ. ციგროშვილი. თბილისი. 2002
6. Экономический анализ: учебное пособие / коллектив авторов: под. ред. Н. В. Парушиной. М. : КНОРУС, 2013. - 304 с
7. Экономический анализ: учеб пособие / Л. В. Попова, И. А. Маслова, Б. Г. Маслов, Е Л Малкина. – М. : Дело и Сервис, 2013 - 336 с
8. Словарь экономических терминов /tochka.com
9. http://www.nplg.gov.ge

განმარტებები

აგრეგირება [ლათ. aggregare] - საერთო, განზოგადებული, მთლიანი მაჩვენებლების (სიდიდის) მიღების მიზნით რამე ერთგვაროვანი მაჩვენებლების (სიდიდეების) გაერთიანება, შეჯამება.

ავტორეგრესიული - ადამიანის მონაწილეობის გარეშე ავტომატიურად მიმდინარე რეგ-რესიული პროცესი, მოვლენა.

ალტერნატიული დანახარჯი - საქონლის და/ან მომსახურეობის მოცულობა, რომელიც შესაძლებელია მივიღოთ სხვა რაიმეს დათმობის შედეგად.

არაპირდაპირი დანახარჯი - დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული წარმოებასთან.

აუდიტი - ფინანსური ანალიზი, ბუღალტრული კონტროლი, ორგანიზაციის, კომპანიის და ა.შ. სამეურნეო ან სხვა სახის საქმიანობის რევიზია.

ასორტიმენტი - [ფრანგ. assorir შერჩევა, შეხამება] - რაიმე საგნების, საქონლის ან მათი სხვადასხვა სახეობის ნაკრების არსებობა. გასაყიდი საქონლის მრავალსახეობა.

აფილაცია - [ფრანგ. affiliation მიერთება, (საზოგადოებაში, წრეში და სხვ.) მიღება] - რაიმე თანამეგობრობის, ჯგუფის შემადგენლობაში წევრად მიღება. აფილირება გულისხმობს ყოველი ფიზიკური ან იურიდიული პირის თავისი კაპიტალით რომელიმე სტრუქტურასთან (ამხანაგობასთან, სააქციო საზოგადოებასთან, ბანკის ფონდთან და სხვ. მიერთებას და ერთობლივი მართვის მიმართულებით ახალი გაერთიანების ხელშეკრულებას გაიფორმებს.

აქტივი - [ლათ. activus, ქმედითი, აქტიური] - 1. ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების, იურიდიული და ფიზიკური პირების ნებისმიერი საკუთრება; 2. სახელმწიფოს მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული შემოსავლების სიჭარბე საზღვარგარეთ გაწეულ ხარჯებთან შედარებით (სავაჭრო ბალანსი); 3. ფირმის საბუღალტრო ბალანსის ნაწილი,

რომელიც ასახავს მატერიალურ და არამატერიალურ ფასეულობებს. აქტივი შეიძლება არსებობდეს: ფინანსური (კრედიტი, ფასიანი ქაღალდი), კაპიტალური (უძრავი ქონება, მანქანა-მოწყობილობა) და არამატერიალური სახით (რეპუტაცია - good will).

გადახდისუუნარობა - გადახდისუუნარობად ითვლება მოვალის მიერ დადგენილ ვადაში ვალდებულებათა შესრულების უუნარობა. მოვალის მიერ ვალების გადახდის შეწყვეტაც ჩაითვლება აგრეთვე უუნარობად (საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ", მუხლი 2.1).

გაკოტრება - [იტალ. bancarotta] - ფინანსური კრახი, რომელიც გამოწვეულია საწარმოს შეუძლებლობით დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები და სხვა ვალდებულებები. საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადება ხდება სასამართლოს მიერ.

გაკოტრების საქმის წარმოება - კერძო ვალუალი მოვალის ეკონომიკური და ფინანსური სრულუფლების საფუძვლიანი გადაწყვეტა სასამართლოში სენაციის ან სასმართლოსმიერი ლიკვიდაციის საშუალებით (საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ", მუხლი 2.1).

გარიგება ფიუჩერსული - (future business) - გარიგება საბირჟო საქონლის მიწოდების სტანდარტულ კონტრაქტებზე, საქონლის მიწოდების შესახებ კონტრაქტების ყიდვაზე, რომლის აუცილებელი პირობა ითვალისწინებს საქონლის რეალიზაციას კონტრაქტში მითითებული ფასით, გარიგების დადებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ (საქართველოს კანონი „სასაქონლო ბირჟებისა და საბითუმო ვაჭრობის შესახებ", მუხლი 2).

გარიგება ფორვარდული - (forward business, future) - საბირჟო გარიგება, რომელიც იდება, როგორც რეალურ საქონელზე, ისე განსაზღვრულ ვადაში (მომავალში) დასამზადებელ საქონელზე ხელშეკრულების დადებისას შეთანხმებული

და ხელშეკრულებაში მითითებული ფასით (საქართველოს კანონი „სასაქონლო ბირჟებისა და საბითუმო ვაჭრობის შესახებ", მუხლი 2).

დანახარჯი ზღვრული - (marginal cost) - პროდუქციის დამატებითი ერთეულის წარმოებაზე გაწეული დანახარჯი. გაიანგარიშება როგორც მთლიანი დანახარჯების ნაზარდის შეფარდება პროდუქციის რაოდენობის ზრდის მაჩვენებელთან.

დანახარჯი მუდმივი - (fix (constant) cost) - საწარმოს დანახარჯები იმ რესურსებზე (წარმოების ფაქტორებზე), რომელთა რაოდენობა არ არის დამოკიდებული მოკლევადიან პერიოდში წარმოების მოცულობაზე. იგი მოიცავს: ამორტიზაციის ანარიცხებს, ხელფასებს, პროცენტს კრედიტისთვის, მმართველობით ხარჯებს და ა.შ.

დანახარჯი ცვლადი - (variable costs) - საწარმოს მიერ გაწეული ხარჯები იმ რესურსებზე (წარმოების ფაქტორებზე), რომელთა გამოყენების ოდენობა დამოკიდებულია გამოშვებული პროდუქციის რაოდენობაზე.

დებეტი - (debit) [გერმ. debet ლათ. debet - debere მოვალედ ყოფნა] - ორმაგი ჩაწერის პრინციპის შესაბამისად საბუღალტრო ჩანაწერი, რომლის შედეგად იზრდება ორგანიზაციის აქტივი ან მცირდება ვალდებულებები (საპირისპირო კრედიტი).

დებიტორი - (debtor) [ფრანგ. Debiteur ლათ. debitor] - 1. დავალიანების მქონე პირი; 2. მოცემული საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების ვალის მქონე (მოვალე) იურიდიული ან ფიზიკური პირი.

დებიტორული დავალიანება - (debts, liabilities) - 1. სამეურნეო ურთიერთობებისგან წარმოქმნილი იურიდიული ან ფიზიკური პირის ნებისმიერი ვალი, რომელიც ეკუთვნის საწარმოს; 2. თანხა, რომელიც ერგება საწარმოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირისაგან მათთან სამეურნეო ურთიერთობების შედეგიდან გამომდინარე.

დისპერსია - წარმოადგენს ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში მონაცემთა გაფანტულობის საზომს. შემთხვევითი სიდიდის დისპერსია ეწოდება რიცხვს, რომელიც გამოხატავს, თუ რამდენადაა გაფანტული შემთხვევითი სიდიდის მნიშვნელობები მისი მათემატიკური ლოდინიდან.

ეკონომეტრული - ეკონომიკური მოვლენების და პროცესების ანალიზის მეთოდი, რომელიც ინტუიციაზე, ანალოგიაზე, გამოცდილებაზე, გამოჩენილობაზე არის დაფუძნებული და იგი ადამიანის გონებისა და ადამიანის შესაძლებლობის განსაკუთრებულ თვისების მაღალი ინტუიტირად წყვეტს იმ ამოცანებს, რომლის ფორმალური მათემატიკური გადაწყვეტა უცნობი არის.

თვითანაზღაურება - საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, რომ ლის დროსაც მისი დანახარჯები მთლიანად იფარება მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით.

თვითდაზღვევა - დამზღვევის მიერ რეგულარული გადარიცხვის გზით შექმნილი საკუთარი სადაზღვევო ფონდი.

ინოვაცია - [ლათ. ინნოვატიო] - განახლება, სიახლის დანერგვა, შემოტანა.

ინჟინირინგი - [ინგლ. ინჟინერინგ, ლათ. ინგენიუმ გამომგონებლობა]. ახალისაინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურება.

კალკულაცია - გამოთვლა. ეკონომიკაში იყენებენ პროდუქციის ან სახეობის ერთეულების გაანგარიშებისათვის დანახარჯთა ყოველი მუხლის გამოთვლისა და განაწილების გზით.

რელევანტური - [ინგლ. relevant არსებითი <ფრანგ. relever ამაღლება, აწევა ლათ. relevare აწევა] - 1. მნიშვნელოვანი, არსებითი; 2. საინფორმაციო მოძიებასა და მიღებულ ცნობას შორის აზრობრივი შესაბამისობა.

კორელაცია - (correlation) [ფრანგ. correlation, გერმ. korrelation ლათ. correlatio თანაფარდობა] - ურთიერთკავშირი, თანაფარდობა, რომელიც იზომება სპეციალური კო-ეფიციენტებით.

კორელაციური, კორელაციური მეთოდი - (ლათ. correlatio - ურთიერთკავშირი) - გამოიყენება სტატისტიკაში და ასახავს მოვლენებსა, პროცესებსა და მათ დამახასიათებელ სიდიდეებთან კაუზირის არსებობას.

კლასტერული ანალიზი - მრავალჯერადი სტატისტიკური პროცედურა, რომლის დახმარებითაც შერჩეულ ობიექტზე ხდება მონაცემების შეგროვება და შედარებით ერთგვაროვან ჯგუფებში დაჯგუფება. დღეს "კლასტერული ანალიზი" ავტომატური კლასიფიკაციის სინონიმად გამოიყენება.

დივერსიფიკაცია - (diversification) - 1. რისკის შემცირების მიზნით სხვადასხვა საფინანსო ინსტრუმენტსა და სხვა აქტივებს შორის საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება; 2. კომპანიის საქმიანობის სფეროს გაფართოება (მათ შორის შთანთქმისა და შერწყმის გზით) ერთი სახეობის პროდუქციის სახეობაზე დამოკიდებულებისა და ციკლური ფაქტორების ზემოქმედების შემცირების მიზნით; 3. სახელმწიფოს სავალუტო რეზერვების უსაფრთხოების გაზრდა გამოყენებული სავალუტო და საფინანსო ინსტრუმენტების სპექტრის გაზრდის გზით.

ექსპერიმენტი - (experiment) [გერმ. experiment, ლათ. experimentum ცდა, პრაქტიკა] - მეცნიერული ცდა, ზუსტად ფიქსირებულ პირობებში საკვლევ ობიექტზე დაკვირვება.

ექსპერტი - (expert) [ლათ. expertus გამოცდილი] - 1. სპეციალისტი რომელიმე დარგში, რომელიც ატარებს ექსპერტიზას და იძლევა დასკვნას;

ექსპერტიზა - (appraisal, expert advice) [ფრანგ. exretise] - გამორკვევის, განხილვის პროცესი, რომელიც ხორციელდება სპეციალისტების (ექსპერტების) მიერ რაიმე საკითხის თაობაზე კვალიფიციური დასკვნების მიღების მიზნით.

ექსტრაპოლაცია - (extrapolation) [ფრანგ. extrapolation <ლათ. extra გარედან, ზემოდან + polire გაწყობა] - მეცნიერული კვლევის მეთოდი, რომლის შესაბამისად რაიმე მოვლენის ნაწილის

შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები ვრცელდება მოცლენის სხვა ნაწილებზე.

კუმულატიური ეფექტი - ეფექტი, რომელიც მიიღწევა ფაქტორების მუდმივი თავმოყრის, დაგროვების ხარჯზე და შემდგომში მათი აფეთქების მოქმედების ხარჯზე.

ელასტიკური - (elastic) [გერმ. elastisch, ფრანგ. elastique, ახ. ლათ. Elasticus, ბერძ. elaunō ყარმყნის] - გარეგანი ფაქტორების მიმართ მგრძნობიარე, შესაბამისად ცვლადი.

ლიზინგი - [ინგლ. ლეასინგ - იჯარა] - (ეკონ.). მანქანა-მოწყობილობისა და წარმოებრივი დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიანი იჯარა (6 თვიდან რამდენიმე წლამდე) შემდგომი გამოსყიდვის შესაძლებლობით.

ლაგი - [ინგლ. ლაგ] - ორ ურთიერთდაკავშირებულ ეკონომიკურ მოვლენას შორის (აქედან ერთი მიზეზია, მეორე - შედეგი) დროის ინტერვალი;

ლევერიჯი - ბერკეტის პრინციპი თანაფარდობა საკუთარ (აქციონერულ) და ნასესხებ კაპიტალს შორის.

მაკრო ..., [ბერძ. makros დიდი] - დიდის ან დიდი ოდენობით მნიშვნელობის შესაბამისი რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი.

მაკროეკონომიკა - (macroeconomics) [ბერძ. makros დიდი + oiconomike მეურნეობის წარმართვის ხელოვნება. შინამეურნეობა] - 1. ეკონომიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც აგრეგირებულია (ყოველისმომცველი) მაჩვენებლების შეფასებას ემყარება; 2. ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც ეკონომიკას მთლიანობაში, აგრეთვე, მის უმნიშვნელოვანეს სექტორებს სწავლობს (მაგ. შრომა, კაპიტალი, ბიზნესი, სახელმწიფო სექტორი და სხვ.).

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები - (national measure, macroeconomic indicator) - ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: მთლიანი შიდა პროდუქტი, წმინდა

შიდა პროდუქტი,მთლიანი ეროვნული პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი, წმინდა შემოსავალი და სხვ.

მარგინალიზმი - (marginis, marginalism) [ლათ. margo კიდე, საპირი, საზღვარი] - 1. წარწერა, შეხაზვა წიგნის ან ხელნაწერის კიდეზე; 2. ზღვართან ახლოს არსებული; 3. ეკონომიკური ცვლილებების შესწავლის მეთოდი ნეოკლასიკური, სხვებთან შედარებით თუნდაც უმნიშვნელოდ შეცვლილი ერთ-ერთი ცვლადის (მაგ. ღირებულება, შემოსავალი და სხვა) შესწავლის გზით.

მარჟა (margin) [ფრანგ. marge ლათ. margo კიდე, საზღვარი] - 1. მყიდველის ფასსა და გამყიდველის ფასს შორის სხვაობა; 2. საქონლის ფასებს, ფასიანი ქაღალდის ფასებს, პროცენტულ განაკვეთებს და სხვა მაჩვენებლებს შორის (ვაჭრობაში, საბირჟო და საბანკო პრაქტიკაში) სხვაობის აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინი.

მატრიცა - მათემატიკური ტერმინია და არის ცხრილი, რომელიც აღინიშნება დიდი ლათინური ასოებით. მატრიცას აქვს სვეტების რაოდენობა რომელიც აღინიშნება n-ით და სტრიქონების რაოდენობა, რომელიც აღინიშნება m-ით. თუ მატრიცის სვეტებისა და სტრიქონების რაოდენობა ერთმანეთის ტოლია მაშინ შესაძლებელია მატრიცის დეტერმინანტის პოვნა.

მეგა - [ბერძ. მეგას დიდი] დიდი ზომის, უზარმაზარი. მეგაპოლისი - თანამედროვე უზარმაზარი ქალაქი; მეგა-ეკონომიკა - მსოფლიო ეკონომიკა

მეზო - [ბერძ. მესოს - შუა,საშუალო] - შუალედური

მეთოდი -[პოლ. metod ლათ. methodus ხერხი, საშუალება. ბერძ. methodos გზა რაიმეს კვალდაკვალ] - 1. რაიმეს თეორიული კვლევის ან პრაქტიკულად განხორციელების საშუალება, ხერხი; 2. რაიმეს განხორციელების საშუალება, ხერხი.

მეთოდიკა - [გერმ. methodik ლათ. methodice. ბერძ. methodike საუბრის წესის ამსახველი გრამატიკის ნაწილი] - 1. რაიმეს

თეორიული კვლევის ან პრაქტიკულად განხორციელების სამუალებების, ხერხების ერთობლიობა; 2. მეცნიერება სწავლების მეთოდების შესახებ.

მეთოდოლოგია - [გერმ. methodologie. ბერძ. methodike] - 1. შემეცნების მეცნიერული მეთოდების შესახებ სწავლება; 2. რომელიმე მეცნიერებაში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა.

მეთოდური - [ფრანგ. methodique <ბერძ. methodike] - 1. მეთოდიკასთან დაკავშირებული; 2. მკაცრად მიმდევრობითი, სისტემატური, ზუსტად გეგმის მიხედვით.

მიკრო ... - [ბერძ. mikros მცირე] - 1. მცირე ზომის, შემოსაზღვრული მიდამოს მნიშვნელობის მქონე; 2. რაიმე ფიზიკური სიდიდის საწყისი ერთეულის ერთი მემილიონედი წილის გამომხატველი რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი.

მიკროაღწერა - მოსახლეობის შერჩევითი (10%-მდე) აღწერა.

მიკროეკონომიკა - (microeconomics) [ბერძ. mikros მცირე + oikonomike მეურნეობის წარმართვის ხელოვნება, მინამეურნეობა] - 1. ეკონომიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც სამეურნეო საქმიანობის კერძო მაჩვენებლების შეფასებასა და გამოკვლევას ეფუძნება; 2. ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც შედარებით მცირემასშტაბური ეკონომიკური პროცესების, სუბიექტებისა და მოვლენების შესწავლას ახდენს (საწარმოები, ფირმები, მეწარმეები, მათ შორის ურთიერთობები და სხვ.); მიკრო-ეკონომიკის ყურადღების ცენტრში მწარმოებლები და მოხმარებლები, მათ შორის, წარმოების, გაყიდვების, მოთხოვნის, ღირებულების, ფასის, მოგების შესახებ და ა.შ. მიღებული გადაწყვეტილებებია.

მინდობილობა - დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებულია წარმომადგენლის უფლებამოსილება სხვა პირის (მიმწდობის) სახელით მოახდინოს გარიგება ან შეასრულოს სხვა მართლზომიერი საქმიანობა.

მიმდინარე მარაგები - წარმოადგენს წარმოებისათვის საჭირო მატერიალური რესურსების იმ მარაგს, რომელიც საჭიროა ყოველდღიური საწარმოო პროცესების უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე ხარჯები - თანხები, რომლებიც ფარავს პროგრამის, პროექტის ან ორგანიზაციის ყოველდღიურ ხარჯებს.

მიმოქცევის ხარჯები - საქონლის მიმოქცევასთან დაკავშირებული ხარჯების ერთობლიობა. იგი იყოფა წმინდა და დამატებით ხარჯებად. წმინდა - განპირობებულია ყიდვა-გაყიდვის აქტით და ატარებს არასაწარმოო სასიათს. დამატებითი მიმოქცევის ხარჯები დაკავშირებულია მიმოქცევის სფეროში წარმოების გაგრძელებასთან (ტრანსპორტირება, შენახვა, საბოლოო დამუშავება) და ატარებს რა საწარმოო ხასიათს, ზრდის საქონლის ღირებულებას.

მუდმივი დანახარჯები - დანახარჯები, რომლებიც არ იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების დროს.

მინიმალიზმი - [ლათ. minimus უმცირესი] - მოთხოვნათა დაყვანა უმცირეს ზღვრამდე, მინიმუმამდე.

მოგება - (profit) - 1. სხვაობა ფირმის ერთობლივ შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის (როდესაც ერთობლივი შემოსავალი ჭარბობს დანახარჯებს); 2. გაყიდვის მოცულობის (რეალიზაციიდან ამონაგების) მეტობა ხარჯებსა და გასავლებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში; შემოსავლის ნამეტი ხარჯებზე. აუცილებელი არაა მოგებამ გაზარდოს ფულადი სახსრები, იგი შეიძლება ასახულ იქნეს გადიდებულ აქტივებში ან შემცირებულ ვალდებულებებში, მაგრამ იგი ყოველთვის ზრდის მფლობელთა კაპიტალს.

მოგება წმინდა - (net profit) - 1. პირობით წმინდა მოგების, დივიდენდების და პროცენტების სახით მიღებული შემოსავლების ის ნაწილი, რომელიც რჩება ფიქსირებული ხარჯების და გადასახადების გადახდის შემდეგ; 2. მოგება, მოგების გადასახადის გამოკლებით (საქართველოს „საგადასახადო კოდექსი", მუხლი 29.23).

მოდელი - (model) [ფრანგ. Modele. იტალ. modello. ლათ. modulus საზომი, ნიმუში] - 1. რაიმე საკეთობის ნიმუში; 2. ორიგინალთან ან ნატურალურ ზომასთან შედარებით შემცირებული სახის სქემა; 3. რაიმე მოვლენის, ობიექტის ან გასატარებელი ღონისძიების აღქმის გაადვილების მიზნით შექმნილი სქემა.

მოდელირება - (modelling) - 1. რისამე მოდელის დამუშავება; რისამე მოდელის გაკეთება; 2. მოდელებზე წარმოებული გამოკვლევა ისეთი პროცესებისა და კონსტრუქციებისა, რომელთა შესწავლა ბუნებრივ პირობებში მოუხერხებელია.

ნარჩენი ღირებულება - ამორტიზებული აქტივის ღირებულება იმ თანხის გამოკლებით, რომელიც რჩება ამ საშუალებების შესაძლო ჩამოწერის შემდეგ; მას სალიკვიდაციო ღირებულებასაც უწოდებენ.

მონაცემთა ბაზა - (data bank) - 1. მანქანურად (კომპიუტერულად) აღქმად ფორმაში გამოხატული განსაზღვრული საგნობრივი სფეროს მოწესრიგებულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა ბანკის საფუძველს; 2. სისტემური ან მეთოდური წესით განლაგებული ნაწარმოებების, დამხმარე ინფორმაციის, მონაცემებისა და სხვა მასალის კრებული, რომელიც ინდივიდუალურად ხელმისაწვდომია ელექტრონული ან სხვა საშუალებებით.

მულტი ... - [ფრანგ. multi ... ბევრი ... ლათ. multum ბევრი] - მრავალგზისობის (მრავალ-ჯერადობის), სიმრავლის გამომხატველი რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი.

მულტიპლიკატორი - (multiplicator) [გერმ. multiplikator ლათ. Multiplicator მამრავლი] - 1. საინვესტიციო (კეინსის) მულტიპლიკატორი - კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავს კაპიტალდაბანდებების ერთობლივ შემოსავალზე ზეგავლენას; 2. დეპოზიტური (საკრედიტო) მულტიპლიკატორი - კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავს საბანკო დეპოზიტების პირველად ცვლილებასთან შედარებით, საბანკო სისტემაში და საკრედიტო ბაზარზე ერთი და იმავე ფულის მრავალჯერადი გამოყენების შედეგად, ფულად მასასა და დაკრედიტების მოცულობაზე რამდენჯერმე გაზრდილ ზემოქმედებას.

მცოცავი ფასი - (sliding-scale prices) - საქონლის ფასი, რომელიც ექვემდებარება შემდგომ კორექტირებას ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე. ხელშეკრულებაში ასეთი პირობის არსებობისას გათვალისწინებული ფასი არ წარმოადგენს საბოლოოს და ჩვეულებრივ საბოლოო ფასი დადგინდება გარკვეული თარიღისათვის არსებული ფასებიდან გამომდინარე.

სეგმენტი - საერთოდ მონაკვეთს ნიშნავს, ეკონომიკაში სეგმენ-ტად ბაზრის გარკვეული ნაწილი, სფერო იგულისხმება.

სექტორი - ეკონომიკის ნაწილი, რომელიც გამოყოფილია სხვა დარგებისგან სპეციფიკური თავისებურებების ან საკუთრების ფორმით.

ტაქსონომეტრიული მეთოდი - მეცნიერული კლასიფიკაციის მეთოდი. ანუ ცოცხალი ორგანიზმების იერარქიულ პრინციპზე დაფუძნებული სისტემატური კლასიფიკაცია. მეცნიერებას ამ სახის კლასიფიკაციის შესახებ ეწოდება ტაქსონომია, და იგი საფუძვლებს ძველი ბერძენი არისტოტელეს შრომებიდან იღებს. (ბერძნ. tassein – კლასიფიცირება და nomos – კანონი)

ტრენდი - ეკონომიკური მაჩვენებლების ცვალებადობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ტრენდა - (ინგლ. "trend" - ტენდენცია) - დროითი რიგის განზომილების ძირითადი ტენდენცია. ტენდენცია შესაძლოა აღწერილი იქნეს სხვადასხვა დონეებით - წრფივი, ლოგარითმული, ხარისხობრივი და ა.შ. ტრენდის ფაქტიური ტიპი დგინდება მისი ფუნქციონალური მოდელის შერჩევით სტატისტიკური მეთოდების ან ამოსავალი დროითი რიგის მოწესრიგებით. ტრენდი ეკონომიკაში – ეს არის მაჩვენებელთა უპირატესი

მოძრაობის მიმართულება. იგი ჩვეულებრივ ტექნიკური ანალიზის ფარგლებში განიხილება, სადაც ფასების მოძრაობას ან ინდექსების მნიშვნელობას გულისხმობენ.

ქრონომეტრაჟი - [ფრანგ. chronometrage. ბერძ. chronos დრო + ბერძ. metron საზომი] - რაიმე პროცესების, მოქმედებების ხანგრძლივობის ზუსტად გაზომვა.

ჰეჯერი - სამეურნეო სუბიექტი, ფირმა ან ბანკი, რომელიც ფიუჩერსულ ბირჟაზე ჰეჯირების ოპერაციებს აწარმოებს.

ჰეჯი - საშვრაფო ხანგრძლივი ოპერაცია, გარიგება, რომელიც გამყიდველებისა და მყიდველების შორის იდება მოცემულ საქონელზე საბაზრო ფასის მომავალი შესაძლო ცვლილებისაგან დაზღვევის მიზნით.

ჰეჯირება - რისკის შემცირება, თავის დაზღვევა დანაკარგისაგან, რომელიც განპირობებულია გამყიდველებისა და მყიდველებისათვის საქონელზე საბაზრო ფასების არახელსაყრელი ცვლილებებით იმასთან შედარებით, რაც ხელშეკრულების დადების დროს იყო გათვალისწინებული.

სასწავლო კურსის პროგრამა(სილაბუსი)

სასწავლო კურსის სახელწოდება
ეკონომიკური ანალიზი
Economic Analysis
სასწავლო კურსის კოდი:
საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება
ბიზნესის ადმინისტრირება
აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური
ბაკალავრიატი მაგისტრატურა დოქტურანტურა
ავტორი

გვარი, სახელი: სამუშაო ადგილი:	ზურაბ ჯორბენაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თანამდებობა:	ასოცირებული პროფესორი
ტელეფონი: ელ-ფოსტა:	591 11 72 91 zuriko.jorbenadze@mail.ru

სასწავლო კურსის მიზანი

- ეკონომიკური მოვლენების განჭვრეტა და შემეცნება, რომელიც მოიცავს ეკონომიკური ანალიზის სფეროში ანალიტიკური მუშაობის თეორიული საწყისის საბაზისო კონცეფციის, თეორიული-მეთოდოლოგიური საფუძვლების ბაზაზე კომპლექსური ეკონომიკური ანალიზის ჩატარების თანამედროვე მეთოდიკის შემუშავება;
- დასაბუთებული მმართველობითი, საინვესტიციო და საფინანსო გადაწყვეტილებების მიღებისას საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის და მისი სხვადასხვა სეგმენტების კომპლექსური შეფასებისას ანალიტიკური მაჩვენებლების ინფორმაციის ყველა წყაროს ურთიერთკავშირის საფუძველზე მოვლენების განვითარების პროგნოზირება;
- ბიზნესის სარწმუნოდ შეფასების, საფინანსო და მმართველობით მუშაობის დონის ამაღლების მიმართულებით ფინანსური ანალიზის პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის მოცემულობაში პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა და მათი რეკომენდაციების რანგში წარმოდგენა.

კრედიტების რაოდენობა: 5

საათების განაწილება სტუდენტების დატვირთვის შესაბამისად (კვირა/სემესტრი)

ლექცია:	2/30
სემინარი (ჯგუფში მუშაობა):	2/30
პრაქტიკული:	
ლაბორატორიული სამუშაო:	
საკურსო სამუშაო /პროექტი:	
პრაქტიკა:	
დამოუკიდებელი სამუშაო:	-/75

დაშვების წინაპირობები

სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში

სწავლის შედეგები

სასწავლო კურსის ათვისების შემდეგ სტუდენტი შესძლებს: ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკის გაცნობიერებას, ეკონომიკური ინფორმაციის მომზადების და დამუშავების წესების ათვისებას, საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზს, საწარმოს ქონებრივი მდგომარეობისა და კაპიტალის განლაგების შეფასებას, მარკეტინგული და ინოვაციური ანალიზს, პროდუქციის (მომსახურეობის) თვითღირებულების ანალიზს, ბიზნესის შეფასებისა და ანალიზის მეთოდების გაცნობიერებას. განავითარებს შემდეგ კომპეტენტურობებს:

N	კომპეტენტურობა
1	**ცოდნა და გაცნობიერება:** ეკონომიკური ანალიზის არსის, მისი შესწავლის ობიექტების არსებითი უფუნქციების, დანიშნულებისა და როლის გაცნობიერება ბიზნესის მართვის სისტემაში და მისი რეალიზაციის პროცესში
	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: ეკონომიკური ანალიზის ჩასატარებლად საინფორმაციო ბაზის განსაზღვრა; ფულადი საშსრების და კაპიტალის მოძიების გასვლის ნაკადების დადგენა; საწარმოს ფინანსური მდგრადობის მიცემულობების გარკვევა; საწარმოს ბიზნესს-გეგმის რეალიზაციის მდგომარეობის და შემდგომი მიმართულებების ნორმატივების (მაჩვენებლების) შეფასება;

2	საწარმოს საფინანსო, მმართველობითი, საგადასახადო, საინვესტიციო, ინოვაციური სიტუაციური მოცემულობების განსაზღვრა; საწარმოს ბალანსის მონაცემების საფუძველზე მისი გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების მდგომარეობის დადგენა და დინამიკის წარმოჩენა; საწარმოს პროდუქციის (მომსახურეობის) დანახარჯების სტრუქტურის დადგენა და მათი ფუნქციონალური ანალიზის ჩატარება; ბიზნესის შეფასება და კომპლექსური ანალიზის ჩატარება.
3	**დასკვნის უნარი:** საწარმოს კაპიტალის (მატერიალური, შრომითი, და ფინანსური რესურსების) რაციონალური და ეფექტური გამოყენების მდგომარეობის შეფასება; საწარმოს ბიზნესს-გეგმისა და მიმდინარე პროგრამების შესრულების ობიექტური შეფასება; კომპლექსური ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე კონკრეტული და სრული დასკვნების მომზადება და წინადადებების ჩამოყალიბება.

შინაარსი

N	ლექცია თემის დასახელება და შინაარსი
1	**თემა 1. ეკონომიკური ანალიზის ორგანიზაციულ- მეთოდოლოგიური საფუძვლები.** ეკონომიკური ანალიზის არსი, ძირითადი მიზანი და ამოცანები. ეკონომიკური ანალიზის კვლევის ობიექტი. ეკონომიკური ანალიზის ადგილი მართვის სისტემაში. ეკონომიკური ანალიზის ინტერესის სფერო. ფინანსური ანგარიშგების საერთო ანალიზი ჩატარების თანმიმდევრობა და მნიშვნელობა საწარმოს მენეჯმენტში. ეკონომიკური ანალიზის შედეგების მომხმარებლები.
2	**თემა: 2. ეკონომიკური ანალიზის ჩატარების ინფორმაციული არეალი და საწარმოს ინფორმაციული მოთხოვნები.** ეკონომიკური ანალიზის ჩატარების მოთხოვნის წანამძღვრები. ეკონომიკური ანალიზი და ბიზნესის რისკები. საწარმოს საწეურნეო საქმიანობის რისკის სახეები ეკონომიკის იერარქიული სტრუქტურის დონეების მიხედვით. საწარმოს ინფორმაციული მოთხოვნების სახეები და გადაწყვეტის მიმართულებები.

3	**თემა: 3. საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი.** საწარმოს ფინანსური მდგრადობის არსი. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ჭყაროები. ლიკვიდურობის კატეგორიის არსი და რეალიზაციის და გამოვლების სახეები. გაკოტრების შესაძლებლობა. ფინანსური პროგნოზირების არის და საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირების მეთოდები
4	**თემა: 4. კაპიტალის განლაგების ანალიზი და საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასება.** საბრუნავი კაპიტალის არსი. საბრუნავი კაპიტალის ანალიზი. საწარმოს საბრუნავი კაპიტალის სახეები. საწარმოში კაპიტალის მოზიდვის პოლიტიკა და მისი განხორციელების ეტაპები
5	**თემა: 5. საინვესტიციო საქმიანობის ეფექტურობის ანალიზი.** საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის არსი და რეალიზაციის ასპექტები. საწარმოს საბაზრო ფასის ანალიზი. საწარმო როგორც აქტივების ერთობლიობა. საწარმოს საგარეო-სავაჭრო ოპერაციების არსი და საგალუტო ოპერაციის ანალიზის მნიშვნელობა.
6	**თემა: 6. მარკეტინგული და ინოვაციური ანალიზი.** საწარმოს პროდუქციის სტრუქტურის და ხარისხის გაანალიზება. პროდუქციაზე მოთხოვნების მაკრო და მიკრომოტივაციის ანალიზი. ინოვაციური ანალიზის არსი და ძირითადი ამოცანები. ინოვაციური ანალიზის ძირითადი ეტაპები.
7	**თემა: 7. საწარმოს მოგების გამოყენება.** კაპიტალის რეინვესტირება - მოგების გამოყენების ძირეული გზა. მოგების გამოყენება და კომპანიის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი. საწარმოს საგადასახადო ხარჯების ანალიზი.
8	**თემა: 8. ეკონომიკური მმართველობითი ანალიზი.** ეკონომიკური მმართველობითი ანალიზის არსი. შიდასაწარმოო ანალიზის მიზანი და ამოცანები. საწარმოო პოტენციალის გამოყენების ანალიზი. ძირითადი ფონდების მაჩვენებელთა ანალიზი. მარჟინალური ანალიზის ჩატარების ალგორითმები. CVP - ანალიზის არსი და უპირატესობები.

9	**თემა: 9. პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) თვითღირებულების ანალიზი.** შრომის ხარისხის შეფასებითი მაჩვენებელი. შრომის ნაყოფიერების ანალიზი. შრომის საზღვრითი ნაყოფიერება. ხარჯების ცვლადი ანალიზი. ნორმატიული ხარჯები. ხარჯების ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზის არსი და ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზის ჩატარების ეტაპები.
10	**თემა: 10. პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის მმართველობითი ანალიზი.** ბიზნეს-გეგმის მოქმედების და მონიტორინგის მეთოდები. საწარმოო მარაგების ფორმირების ანალიზი. თვითღირებულების საბაზრო პროექტირების მეთოდები.
11	**თემა: 11. შრომითი რესურსების და ხელფასის ფონდის ანალიზი.** საწარმოს შრომითი რესურსებით ანალიზის მიზანი და ამოცანები. შრომითი რესურსებით ორგანიზაციის უზრუნველყოფის ანალიზი. სამუშაო დროის გამოყენების ანალიზის მეთოდიკა.
12	**თემა: 12. შრომის რესურსების და ხელფასის ფონდის ანალიზი.** შრომის ნაყოფიერების ანალიზი. შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტურობის ანალიზი. ხელფასის ფონდის ჩამოყალიბების და გამოყენების ანალიზი.
13	**თემა 13. წარმოების ორგანიზაციულ ტექნიკური დონის და სხვა პირობების ანალიზი.** წარმოების ორგანიზაციულ ტექნიკური დონის ანალიზის მიზანი და ამოცანები. წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის დონის კომპლექსური ანალიზი.
14	**თემა 14. წარმოების ორგანიზაციულ ტექნიკური დონის და სხვა პირობების ანალიზი.** ძირითადი საშუალებების ანალიზის მეთოდიკა. მატერიალური რესურსების მდგომარეობის და გამოყენების ეფექტურობის ანალიზი. ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზი.

15	**თემა 15. ბიზნესის კომპლექსური ანალიზი და შეფასების მეთოდები.** ბიზნესის შეფასების ეფექტურობის სისტემა. სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობის ანალიზი. მეურნეობრიობის ინტენსიფიკაციის შეფასება. რეიტინგული ანალიზის მეთოდიკა. ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების მიმართულებები.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლების მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი; ანალიზის მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმების და მეთოდების განმარტებები თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://www.gtu.ge/quality/pdf/sc.pdf

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ქვემოთ მოყვანილი შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმების და სკალების აღწერა დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის № 732 დადგენილებით, რომელიც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://www.gtu.ge/ quality/axali/ shefasebisforma.pdf

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები:

- ყოველკვირეული შუალედური შეფასება;
- შუალედური გამოცდა;
- დასკვნითი გამოცდა.

შეფასების მეთოდები:

- ტესტირება ღია საკითხებით;
- ტესტირება დახურული საკითხებით;
- წერითი გამოკითხვა საკითხებით.

ძირითადი ლიტერატურა

1. ჯიქია მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ. - ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო. ოსუ, თბ., 2009. სტუ-ს ბიბლიოთეკის შიფრი 330.1 (02)/46, 271 გვ.

დამხმარე ლიტერატურა

2. ლიპარტია ზ., გვარამია ნ., ლანჩავა ე. - ეკონომიკური ანალიზი, ნაწ. 2-მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკული. სახელმძღვანელო, სსუ, გამომც. „უნივერსალი", თბ., 2007. 494 გვ.
3. ბურდული ფ. - ეკონომიკური ანალიზის აქტუალური საკითხები. სახელმძღვანელო. თსუ. თბ., 2000. 180გვ.
4. ბიწამე ბ, ლიპარტია ზ., ციმინტია ჯ. -მიკროეკონომიკა, გამომც. „უნივერსალი", თბ., 2005. 392 გვ.

ანზორ აბრალავა (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი).
ზურაბ ჯორბენაძე (ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი).
ეკონომიკური ანალიზი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2016, 364 გვ.

Anzor Abralava (Doctor of Economic sciense, Professor).
Zurab Jorbenadze (Doctor of Economics, Professor)
Economic Analysis (textbook), Tbilisi, 2016, 364 p.

Анзор Абралава (доктор экономических наук, профессор).
Зураб Джорбенадзе (доктор экономики, профессор).
Экономический Анализ (Учебник), Тбилиси, 2016, 364 стр.

ტექნიკური რედაქტორი
ასმათ ფიფია